ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

აღრიცხვის, ანალიზის და აუდიტის კათედრა

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
სამეცნიერო-კვლევითი პროექტი

ფინანსური ანგარიშგების გამჭვირვალობის მნიშვნელობა და მისი ანალიზის გაუმჯობესების გზები საქართველოს საწარმოებში

(საწარმოთა მენეჯმენტისთვის)

ავტორები

იზოლდა ჭილაძე, ასოც.პროფ. (ხელმძღვანელი)
მარინა მაისურაძე, ასოც.პროფ.
მარიამ ვარდიაშვილი, ასოც.პროფ.
ლია კოზმანაშვილი, ასისტ.პროფ.
თამარ მოდებაძე, დოქტორანტი

მხარდაჭერისათვის მადლობას ვუხდით:
თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანს ბატონ **გიორგი ღაღანიძეს,**
დეკანის მოადგილეს: ქალბატონ **ნინო ფარესაშვილს**
აღრიცხვისა და აუდიტის კათედრის ხემძღვანელს, ბატონ **ლევან საბაურს**
აღრიცხვისა და აუდიტის საზედამხედველო სამსახურის ხელმძღვანელობას

2019

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Economics and Business

Department of Accounting, Analysis and Auditing

The importance of financial reporting transparency and ways to improve its analysis in Georgian enterprises

(research project for enterprise management)

Authors:

1. Chiladze Izolda. Doctor of economics. Associated professor (group leader).
2. Maisuradze Marina. Doctor of economics. Associated professor.
3. Bardiashili Mariam. Doctor of economics. Associated professor.
4. Kozamnasvili Lia. Doctor of economics. Assistent professor.
5. Modebadze Tamar. Assistent.

Thanks for your support:

Mr. Giorgi Ghaganidze. To the Dean of the Faculty of Economics and Business of TSU;
Mrs. Nine Paresashvili. To the Deputy Dean of the Faculty of Economics and Business of TSU;
Mr. Levan Sabauri, Head of Accounting and Audit Department;
Heads of Accounting, Reporting and Auditing Supervision Service.

2019

Contents

Introduction …… 6
Chapter 1. The essence of financial reporting and the purpose of its transparency …… 10
Chapter 2. The directions for financial statement analysis …….. 27
Chapter 3. Methodology of accounting balance sheet analysis ……... 44
Chapter 4. Profit / Loss Reporting Analysis Methodology …… 76
Chapter 5. Methodology for analyzing cash flow reporting …….. 109
Chapter 6. Methogology of analysis of the statements of changes in equity …… 125
Chapter 7. Analysis of enterprise risk ratios 144
Chapter 8. Reporting on enterprise governance …… 167
Chapter 9. Methodology for preparation of planned financial statements ……. 177
Conclusion ---------- 189
Reference ---------- 200
Annotation ---------- 202

შინაარსი

შესავალი ---------- 6

თავი 1. ფინანსური ანგარიშგების არსი და მისი გამჭვირვალობის მიზანი ---------- 10

1.1. საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების მიზანი, მომხმარებლები და ხარისხობრივი მახასიათებლები ---------- 10

1.2. ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები ---------- 27

1.3. ფინანსური ანგარიშგების გამჭვირვალობის არსი ---------- 22

თავი 2. ფინანსური ანგარიშგების ანალიზის მიმართულებები ---------- 27

2.1. რაოდენობრივი კავშირები ფინანსური ანგარიშგების კომპონენტებს შორის ---------- 27

2.2. ფინანსური ანგარიშგების ანალიზის მეთოდები და მაჩვენებელთა სისტემა ---------- 32

თავი 3. ბუღალტრული ბალანსის ანალიზის მეთოდიკა ---------- 44

3.1. ბუღალტრული ბალანსის ჰორიზონტალური და ვერტიკალური ანალიზის შედეგები ---------- 44

3.2. საწარმოთა წმინდა მიმდინარე აქტივების ანალიზის მეთოდიკა ---------- 50

3.3. საწარმოს ფინანსური მდგრადობის ანალიზი ---------- 55

3.4. საწარმოთა გადახდისუნარიანობის ანალიზის მეთოდიკა ---------- 61

3.5. საწარმოთა საქმიანი აქტივობის ანალიზის მეთოდიკა ---------- 68

3.6. კაპიტალის ორგანული შედგენილობის კოეფიციენტების ფაქტორული ანალიზის მეთოდიკა ---------- 73

თავი 4. მოგება/ზარალის ანგარიშგების ანალიზის მეთოდიკა ---------- 76

4.1. მოგება/ზარალის ანგარიშგების წარდგენა ---------- 76

4.2. მოგება/ზარალის ანგარიშგების და მომგებიანობის მაჩვენებელთა სისტემა ---------- 81

4.3. მოგება/ზარალის ანგარიშგების ვერტიკალური და ჰორიზონტალური ანალიზის მეთოდიკა ---------- 89

4.4. მოგების შიგა საწარმოო ანალიზის მეთოდიკა ---------- 95

4.5. მომგებიანობის დინამიკური და ფაქტორული ანალიზის მეთოდიკა ---------- 102

თავი 5. ფულადი ნაკადების ანგარიშგების ანალიზის მეთოდიკა ---------- 109

5.1. ფულადი ნაკადების ანგარიშგების წარდგენის მეთოდები ---------- 109
5.2. ფულადი ნაკადების ანგარიშგების ვერტიკალური და
ჰორიზონტალური ანალიზი ---------- 115

5.3. ფულადი კოეფიციენტები ---------- 119

5.4 . ფულის ბრუნვადობის მაჩვენებლების ფაქტორული ანალიზის მეთოდიკა ---------- 122

თავი 6. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგების ანალიზის მეთოდიკა ---------- 125

6.1. საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგების ვერტიკალური და
ჰორიზონტალური ანალიზის მეთოდიკა ---------- 125
6.2. საბაზისო და გაზავებული შემოსავალი ერთ ჩვეულებრივ აქციაზე ---------- 134

6.3. საკუთარი კაპიტალის კოეფიციენტების ანალიზი ---------- 137
6.4. სააქციო კაპიტალის უკუგების ფაქტორული ანალიზი ---------- 140

თავი 7. საწარმოთა რისკების კოეფიციენტების ანალიზი ---------- 144

7.1. საწარმოთა რისკების კლასიფიკაცია ---------- 144
7.2. საოპერაციო ლევერიჯის ანალიზის მეთოდიკა ---------- 150

7.3. ფინანსური ლევერიჯის ანალიზის მეთოდიკა ---------- 154

7.4. საწარმოთა გაკოტრების პროგნოზირების მოდელები ---------- 160

თავი 8. საწარმოთა მმართველობის ანგარიშგება ---------- 167

8.2. საქმიანობის მიმოხილვა ---------- 167
8.3. კორპორაციული მართვის ანგარიშგება ---------- 172
8.4. არაფინანსური ანგარიშგება ---------- 175

თავი 9. გეგმური ფინანსური ანგარიშგების მომზადების მეთოდიკა ---------- 177

9.1. გეგმური მოგება/ზარალის ანგარიშგების მომზადება ---------- 177
9.2. გეგმური ბუღალტრული ბალანსის მომზადება ---------- 181
9.3. ფულადი ნაკადების ანგარიშგების დაგეგმვის მეთოდიკა ---------- 183
დასკვნა ---------- 189
ლიტერატურა ---------- 200
Annotation ---------- 202

შესავალი

თემის აქტუალობა: ფინანსური აღრიცხვის, ანგარიშგების, აუდიტსა და კორპორაციული მართვის საკითხებს შორის მჭიდრო კავშირია. მათი რეგულირება განიხილება არა განყენებულად, არამედ კომპანიების ფუნქციონირების გარემოსა და ანგარიშგების პროცესის ჭრილში კომპლექსურად, რადგან კარგად ინფორმირებული ბაზარი ბიზნესსაქმიანობის საუკეთესო რეგულატორია. ამიტომ, ბიზნესის გლობალიზაციის პირობებში, თანამედროვე ეტაპზე, მსოფლიოში ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის ხელშემწყობ ფაქტორებს შორის მნიშვნელოვანია კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების ფაქტორი.

საქართველოს მთავრობის მიერ საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე ხელმოწერის შედეგად წარმოიქმნა ვალდებულება ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის მიმართულებით მოხდეს კანონმდებლობის დახვეწა და მისი ევროსტანდარტებთან მიახლოება. საქართველო იღებს ვალდებულებას ზემოაღნიშნულ სფეროებში, განსაზღვრულ ვადებში, ეტაპობრივად დაუახლოვოს თავისი კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობასა და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებს.

ერთ-ერთი მიმართულება, რასაც ევროპული კანონმდებლობა საქართველოს ავალდებულებს, ქვეყანაში ბიზნესის ფინანსური ანგარიშგების გამჭვირვალობის ზრდაა. რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს საწარმოთა ფინანსების მართვის ეფექტიანობის გაზრდას.

ფინანსური ანგარიშგება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკურ საინფორმაციო სისტემაში, რომელიც ორგანიზაციის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის ძირითადი წყაროა.

საიმედო ფინანსური და მმართველობითი ინფორმაციით საზოგადოების უზრუნველყოფის მიზნით ფინანსთა სამინისტროს ანალიტიკურ სამსახურთან შეიქმნა საქართველოში პირველი საჯარო საინფორმაციო რესურსი, **ფინანსური ანგარიშგების პორტალი,** რომელზეც საწარმოების ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებები იქნება გამოქვეყნებული. აღნიშნული პორტალი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქვეყანაში კაპიტალის ბაზრების განვითარებას, ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობასა და ეკონომიკურ ზრდას.

ფინანსური ანგარიშგების გასაჯაროების ვალდებულება უკვე გაუჩნდა პირველი და მეორე კატეგორიის საწარმოებს, რომლებმაც 2019 წლის 1 ოქტომბრამდე პორტალზე ატვირთეს ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი. ხოლო 2019 წლის 1 ოქტომბრიდან ზემოაღნიშნული ვალდებულება დაეკისრა მესამე და მეოთხე კატეგორიის საწარმოებსაც.

საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“- დადგენილია, რომ, „სუბიექტი (გარდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისა) ვალდებულია მისთვის ამ კანონით დადგენილი ფინანსური ანგარიშგება (მათ შორის, კონსოლიდირებული ანგარიშგება), მმართველობის ანგარიშგება, სახელმწიფოს მიმართ განხორციელებული გადახდების შესახებ ანგარიშგება და ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში აუდიტორული დასკვნა ერთად, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს საანგარიშგებო პერიოდის მომდევნო წლის 1 ოქტომბრისა, წარუდგინოს სამსახურს მის მიერ დადგენილი წესით“(მუხლი 9).

ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის ძირითადი მომხმარებლები არიან არსებული და პოტენციური ინვესტორები, ბანკები და სხვა კრედიტორები. დანარჩენი მომხმარებლებია საწარმოს მენეჯმენტი და საზოგადოება. ანგარიშგების ძირითად მომხმარებლებს ფინანსური ანგარიშგების ინფორმაცია ესაჭიროებათ იმისათვის, რომ მიიღონ სწორი გადაწყვეტილებები, დაამყარონ თუ არა ბიზნესურთიერთობები ამა თუ იმ საწარმოსთან.

საზოგადოების დანარჩენ წარმომადგენლებს, როგორიცაა: საწარმოთა მენეჯმენტი, მეცნიერები, პოლიტიკოსები, ჟურნალისტები და სხვა, ასევე სჭირდებათ საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების ინფორმაცია სხვადასხვა დასკვნების გასაკეთებლად. საწარმოთა მენეჯმენტმა იგი უნდა გამოიყენოს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის და რისკების შეფასებისა და ადეკვატური გადაწყვეტილებების მიღებისა და განხორციელებისათვის. მეცნიერება, როგორც წესი, ეკონომიკის რეალური სურათის შესწავლის საფუძველზე აკეთებს შესაბამის დასკვნებს და რეკომენდაციებს, რაც ეხმარება ეკონომიკის წინსვლასა და განვითარებას. მეორე მხრივ, იმავდროულად ხდება მეცნიერულად დასაბუთებული ეკონომიკური აზროვნების განვითარება.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების კონცეპტუალური საფუძვლები განმარტავს, თუ რა მნიშვნელობა აქვს საერთო დანიშნულების (ანუ, საჯაროდ გამოსაქვეყნებელი) ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის ანალიზს საწარმოთა ფინანსური პოზიციების, გადახდისუნარიანობის, ფინანსური სტაბილურობის, ეკონომიკური ეფექტიანობის, აქტივობის და რისკების შეფასების მიმართულებით.

საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის ანალიზი მის მომხმარებელს ეხმარება საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენაში; მისი ლიკვიდობის და გადახდისუნარიანობის, დაფინანსების დამატებით წყაროებზე მოთხოვნილებების შეფასებაში. დაადგინოს, როგორი უკუგება მიიღო საწარმომ მის ხელთ არსებული ეკონომიკური რესურსებიდან; რამდენად კარგად შეასრულა მმართველობამ მასზე დაკისრებული ვალდებულებები; შეაფასოს მომავალი ფულადი ნაკადების განუსაზღვრელობა და მომავალი ეკონომიკური უკუგების დონე. შეფასდეს საწარმოს საინვესტიციო საქმიანობა და სხვა ფინანსური ოპერაციების პერსპექტივები.

ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ინფორმაცია საქმიანობის სახეების მიხედვით მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების, ვალდებულებების, მოთხოვნების, შემოსავლებისა და ხარჯების ცვლილებების შესახებ, რაც ანალიტიკოსს ან ინვესტორს საშუალებას აძლევს იპოვოს უფრო ღრმა მიზეზები ფინანსური რესურსების ზრდის ან შემცირების შესახებ და მრავალი სხვა. ყოველივე ამის შედეგად, ანალიტიკოსს შეუძლია მიიღოს ადეკვატური გადაწყვეტილებები.

ფინანსური ანგარიშგების საჯაროობის მთავარი მიზანია მისი ანალიზის საფუძველზე გაკეთდეს სათანადო დასკვნები და გადაიჭრას სხვადასხვა პრობლემატური საკითხები საწარმოთა ფინანსური მდგრადობის შემდგომი განმტკიცების მიმართულებით.

მიუხედავად არსებული საკანონმდებლო ბაზისა, საქართველოს საწარმოთა მენეჯმენტი იშვიათად ან ნაწილობრივ იყენებს ფინანსური ანგარიშგების ანალიზის მეთოდებსა და მის შედეგებს მართვაში მენეჯმენტის არასათანადო მომზადების გამო. ანალიზი ნაწილობრივ წარმოდგენილია მმართველობით ანგარიშგებაში, რომელიც რეალურად მთავარი ბუღალტრისა და აუდიტორის მიერ მზადდება 31 დეკემბრის მდგომარეობით და რომელიც არასრულია. ყოველივე ეს საწარმოთა წარუმატებლობისა და არასტაბილურობის ერთ-ერთ

მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს. ფინანსური მენეჯმენტი რეგულარულად უნდა ატარებდეს ანალიზს ყოველი თვის, კვარტლის და წლის ბოლოსათვის, რათა დროულად გამოვლინდეს მოსალოდნელი საფრთხეები და გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები.

ამასთან, საქართველოში ბიზნესის განვითარებისა და დასაქმების დაბალი ტემპებია.

ამდენად, ფინანსური ანგარიშგების ანალიზი საქართველოში სულ უფრო აქტუალური ხდება და ის არასოდეს დაკარგავს აქტუალობას, როგორც საწარმოთა პერსპექტივების შეფასების, ასევე არსებული მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესების აუცილებელი ინფორმაციული წყარო. აგრეთვე, იგი მნიშვნელოვანია მეცნიერებისა და პრაქტიკის დაახლოებისა და პარტნიორობის მიმართულებით.

ფინანსური ანგარიშგება, რომელიც საწარმოს ქონებრივ და ფინანსურ მდგომარეობასთან დაკავშირებული მონაცემებისა და მისი ეკონომიკური და ფინანსური საქმიანობის შედეგების საბოლოო სისტემაა, ფინანსური ანალიზის ჩასატარებლად და შესაბამისად, მენეჯმენტის გადაწყვეტილებების მისაღებად ინფორმაციის ერთ – ერთ მთავარი წყაროა.

საწარმოს მენეჯერები ფინანსური ანგარიშგების მონაცემებს იყენებენ ინფორმაციის შიდა წყაროებთან ერთად, სააღრიცხვო ინფორმაციის ჩათვლით. შიდა ინფორმაციის უმეტესი ნაწილი კონფიდენციალურია და შესაბამისად, მიუწვდომელია გარე მომხმარებლებისათვის.

მათთვის, ზოგჯერ, ამა თუ იმ საწარმოს შესახებ ინფორმაციის ერთადერთი წყარო არის ფინანსური ანგარიშგება, რომელიც საჯაროა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ამ თვალსაზრისით, ფინანსური ანგარიშგება მოქმედებს, როგორც კომუნიკაციის საშუალება სხვადასხვა საბაზრო ერთეულებს შორის.

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაციის მოცულობა და ზოგადი ხასიათი იძლევა ფინანსური ანალიზის შესაძლებლობებს. ამასთან, ანგარიშგების წაკითხვის უნარი, ანალიზის მეთოდებისა და ტექნიკის ცოდნა, ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის მრავალი სფეროს, მათი ცვლილებების მიზეზების, სამართლიანად და ობიექტურად შეფასების, მომავლისთვის პროგნოზის გაკეთების და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების საშუალებაა.

სამეცნიერო-კვლევითი პროექტის მიზანია ფინანსური ანგარიშგების ანალიზის მეთოდოლოგიური და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება და მიწოდება როგორც საქართველოს საწარმოებისათვის (გარდა ფინანსური და საჯარო სექტორისა) ასევე ამ საკითხით დაინტერესებული სხვა პირებისთვისაც.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე დასახულ იქნა შემდეგი ამოცანები:

1. ფინანსური ანგარიშგების ანალიზის მეთოდების თეორიული ასპექტების მიმოხილვა;
2. ფინანსური ანგარიშგების ანალიზის ემპირიული შედეგების გამოვლენა შერჩეული საწარმოების მაგალითზე (მინიმუმ სამი დარგობრივი მიმართულებიდან);
3. საქართველოს საწარმოებში ფინანსური ანგარიშგების ანალიზის მეთოდიკის იმპლემენტაციის მიმართულებების შემუშავება ფინანსური ანგარიშგების ანალიზის რეგულარულად გამოყენების მიზნით (ინტელექტუალური დახმარება საწარმოთა მენეჯმენტისათვის, ერთობლივი სემინარები ბიზნესსა და უნივერსიტეტებს შორის და სხვ.).
4. ფინანსური ანგარიშგების ანალიზის ისეთი მოდელის შემუშავება, რომლის მიხედვითაც ყველა საწარმოს ფინანსური საქმიანობის შეფასება შესაძლებელი გახდება ერთიანი და მარტივი მეთოდიკით.

საწარმოთა მენეჯმენტის მიერ ფინანსური ანგარიშგების ანალიზის მეთოდების რეგულარულ გამოყენებას ექნება შემდეგი დადებითი შედეგები: არსებული ფინანსური პრობლემების დროულად გამოვლენა და გადაწყვეტა; რისკების შეფასება და ეფექტური მართვა; საწარმოთა თანამშრომლების პროფესიული დონის და იმიჯის ამაღლება; წარმოების ეფექტიანობის, სტაბილურობის და უსაფრთხოების ამაღლება.

შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტი, რეკომენდაციის სახით მიეწოდება ყველა დაინტერესებულ პირს. პროექტის წარმატებულად განხორციელება იქნება სამეცნიერო დარგისა და კერძო სექტორის ურთიერთთანამშრომლობისა და პარტნიორობის ერთ-ერთი ძლიერი ემპირიული შედეგის მოწმე.

პროექტის კვლევის საგანს წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების პორტალზე გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგება, რომლის ანალიზის საფუძველზეც შემუშავდება რეკომენდაციები გამოვლენილ ხარვეზებთან დაკავშირებით.

კვლევის ობიექტად შერჩეულ იქნა ათი საწარმო სხვადასხვა დარგობრივი მიმართულებიდან, გარდა საფინანსო სექტორისა, რადგან, ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის ზოგადი ანალიზის მეთოდიკა, ძირითადად საერთოა ყველა დანარჩენი დარგისთვის. ეს საწარმოებია, სააქციო საზოგადოებები: ,,კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია", ,,თელიანი ველი", ,,სანტე", ,, ნიკორა", ,,საქართველოს რკინიგზა", ,,გუდვილი", „თელასი", „საფონდო ბირჟა", „იმედი L" და შპს ,,იფქლი დიღომი".

კვლევაში გამოყენებულია რაოდენობრივი და თვისობრივი ანალიზის მეთოდები. კერძოდ, გამოყენებულია მათემატიკური ხერხები, ფაქტორთა გაზომვის ელიმინირების მეთოდი, ფინანსური ანგარიშგების ვერტიკალური, ჰორიზონტალური და კოეფიციენტების ანალიზის ხერხები.

კვლევის თეორიულ მნიშვნელობას წარმოადგენს მეცნიერულად დასაბუთებული დასკვნებისა და რეკომენდაციების მიწოდება ყველა კატეგორიის საწარმოსათვის ფინანსური ანგარიშგების ანალიზის რეგულარული გამოყენების მიმართულებით. ამასთან, საკითხები იმგვარადაა განხილული, რომ იგი თვით საწარმოთა ფინანსური მენეჯმენტის მიერ შეიძლება წარმატებით იქნეს გამოყენებული, რადგან მას ნებისმიერ ინფორმაციაზე მიუწვდება ხელი საწარმოს შიგნით.

კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ თემის დამუშავების შედეგად წარმოდგენილი პრაქტიკული დასკვნებისა და მეთოდური ხასიათის მითითებების გამოყენებას შეძლებს საქართველოში რეგისტრირებული ნებისმიერი საწარმო, გარდა საფინანსო და საჯარო სექტორისა.

ვთხოვთ საქართველოს საწარმოების მენეჯმენტს, გაეცნონ ამ შრომას და ერთმანეთთან ვითანამშრომლოთ.

თავი 1. ფინანსური ანგარიშგების არსი და გამჭვირვალობა

1.1. საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების მიზანი, მომხმარებლები და ხარისხობრივი მახასიათებლები

დღეს, ეკონომიკური საქმიანობის სამყაროში მოქმედი ვერცერთი სუბიექტი ერთმანეთისაგან იზოლირებულად ვერ მუშაობს, რადგან ყველა ეკონომიკურ სუბიექტს უამრავი სახის საფინანსო-ეკნომიკური კავშირები სჭირდებათ ერთმანეთთან. ეს კავშირები თანამედროვე ეკონომიკაში უკვე იმდენად მჭიდრო და მრავალფეროვანია, რომ ნებისმიერი ტიპის კომპანიაში მომხდარი პოზიტიური თუ ნეგატიური მოვლენები ჯაჭვური რეაქციით მთელ ეკონომიკურ სისტემას გადაეცემა, არა მარტო ქვეყნის შიგნით, არამედ საერთაშორისო მასშტაბითაც კი. ამიტომ მეტად მნიშვნელოვანი გახდა როგორ საიმედო ფინანსური ინფორმაციის გასაჯაროვება, ასევე, აღრიცხვის წარმოებისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადების ერთიანი მეთოდიკის გამოყენება მთელ მსოფლიოში. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო (1974 წ), რომლის ძირითადი მოვალეობაა აღრიცხვის მეთოდიკის და ფინანსური ანგარიშგების მომზადების წესების ჰარმონიზაცია საერთაშორისო მასშტაბით.

ფინანსური ანგარიშგება არის საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და მის მიერ განხორციელებული სამეურნეო ოპერაციების შედეგების სტრუქტურულად ჩამოყალიბებული სურათი.

ფინანსური ანგარიშგების მიზანია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, მისი საქმიანობის ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების ცვლილებების შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს მომხმარებელთა ფართო ფენებს, რათა დაეხმაროს მათ ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებაში. ანგარიშგებაში აგრეთვე ჩანს, ხელმძღვანელობის მიერ, მასზე მინდობილი რესურსების მართვის უნარები და შედეგები.

ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციას მრავალი ტიპის მომხმარებელი ჰყავს. 2014 წლიდან ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების) კონცეპტუალურ საფუძვლებში შეტანილი ცვლილებების შემდეგ, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები დაჯგუფებულია ორ კატეგორიად:

1. **ძირითადი მომხმარებლები** – ინვესტორები, გამსესხებლები და სხვა კრედიტორები, რომელთა საინფორმაციო მოთხოვნილებებზეა ორიენტირებული საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება;

2. **დანარჩენი მომხმარებლები**. ესენია, საწარმოს მმართველობა და საზოგადოება (იხ. სქემა 1).



სქემა 1.1.1. ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების კლასიფიკაცია

გამოსაქვეყნებელი საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება ორიენტირებულია ძირითადი მომხმარებლების საინფორმაციო მოთხოვნებზე.

ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის საფუძველზე, სწორი დასკვნების გაკეთების ხელშეწყობის მიზნით, ფინანსური ანგარიშგება უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეული ხარისხობრივი მახასიათებლების მოთხოვნებს. ეს ხარისხობრივი მახასიათებლები, „ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებში“ შეტანილი ცვლილებების შემდეგ (ადრე "ფინანსური ანგარიშგების სტრუქტურულ საფუძვლებში" ოთხი ტიპის ხარისხობრივი მახასიათებელი იყო გამოყოფილი: შესაბამისობა, შესადარისობა, საიმედოობა და აღქმადობა), ორ ჯგუფად იყოფა:

I. ძირითადი ხარისხობრივი მახასიათებლები:

1. შესაბამისობა (Relevance)
2. სამართლიანი წარდგენა (Faithful Representation)

II. ხარისხობრივი მახასიათებლები, რომლებიც ამაღლებენ ინფორმაციის სარგებლიანობას:

1. შესადარისობა (comparability)
2. შემოწმებადობა (verifiability)
3. დროულობა (timeliness)
4. აღქმადობა (understandability)

ამრიგად, ერთ-ერთ ძირითად ხარისხობრივ მახასიათებლად "კონცეპტუალური საფუძვლები" მიიჩნევს **შესაბამისობას**. შევნიშნავთ, რომ "შესაბამისობის" ცნების შინაარსი

ამჯერად არ ნიშნავს იმას, რაც ადრე იყო. რომ ინფორმაცია უნდა შეესაბამებოდეს მომხმარებლის ინტერესებს და მაშასადამე უნდა იყოს არსებითი. ადრე **არსებითობა** განიხილებოდა როგორც ინფორმაციის შესაბამისობის ასპექტი. ამჯერად იგი სტანდარტებზე მუშაობისას აღარ განიხილება, ვინაიდან ბასს-ის საბჭოს განმარტებით, ინფორმაციის არსებითობა კონკრეტული საწარმოს სპეციფიკური ასპექტია მისი ხასიათიდან და სიდიდიდან გამომდინარე. ამიტომ, საბჭოს არ შეუძლია არსებითობისათვის დაადგინოს ერთიანი რაოდენობრივი ზღვარი ან, წინასწარ განსაზღვროს, რა შეიძლება იყოს არსებითი რომელიმე კონკრეტულ სიტუაციაში [1. ხმ 11]. ამიტომ, იგი მართალია არის შესაბამისობის ასპექტი, მაგრამ საბჭო არ განიხილავს მას და ამით, არ მცირდება ფინანსური ინფორმაციის სარგებლიანობა.

იმისათვის, რომ ფინანსური ინფორმაცია სასარგებლო იყოს, ის უნდა იყოს შესაბამისი და სამართლიანად წარმოაჩენდეს იმას, რისი ასახვისთვისაც არის განკუთვნილი. ფინანსური ინფორმაციის სარგებლიანობა უფრო მაღლდება, თუ ის შესადარისია, შესაძლებელია მისი შემოწმება, დროულია და აღქმადი [1.ხმ 4].

ახალი თვალსაზრისით, ინფორმაციის შესაბამისობა ნიშნავს იმას, რომ იგი უნდა იყოს საწარმოში მომხდარი ეკონომიკური მოვლენების შესაბამისი და დაეხმაროს მის მომხმარებელს სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში.

შესაბამისი ინფორმაცია გავლენას ახდენს გადაწყვეტილებების მიღებაზე, თუმცა ინფორმაციას მაშინაც შეუძლია გავლენა მოახდინოს გადაწყვეტილებაზე, თუკი მომხმარებელი გადაწყვეტს, რომ იგი არ გამოიყენოს. ამიტომ, აღნიშნულია, რომ **შესაბამისია ინფორმაცია, თუ მას გააჩნია საპროგნოზო და ან დამადასტურებელი თვისება**, ან ორივე ერთად. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეუძლია მას გავლენა მოახდინოს მომხმარებლის გადაწყვეტილებებზე [1.ხმ 7].

ფინანსურ ინფორმაციას გააჩნია საპროგნოზო თვისება (ღირებულება), თუ მისი გამოყენება შეიძლება ამოსავალ ბაზად მომავალი შედეგების პროგნოზირებისათვის. ამისთვის აუცილებელი არაა ინფორმაცია წარმოდგენილი იყოს პროგნოზის სახით.

შესაბამის ინფორმაციას აგრეთვე გააჩნია შესადარისობის თვისებაც, თუ ის უზრუნველყოფს მტკიცებულებებს (დადასტურებას) ადრე გაკეთებულ შეფასებებზე [1. ხმ 9]. ინფორმაციას შეიძლება ერთდროულად გააჩნდეს საპროგნოზო და დამადასტურებელი თვისება. მაგალითად, ამონაგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მომავალი პროგნოზისათვის და ასევე შეიძლება შედარებულ იქნეს მიმდინარე წლის პროგნოზთან, რომელიც გამოთვლილი იყო წინა წელს. ამ შედარების შედეგები მომხმარებელს ეხმარება იმ მეთოდების გაუმჯობესებაში, რომელიც გამოყენებული იყო წინა წლების პროგნოზების გამოსათვლელად. მაშასადამე, აღარაა აუცილებელი შესადარისობის ძირითად მახასიათებლად გამოყოფა [1. ხმ 10].

მეორე ძირითადი ხარისხობრივი მახასიათებელია – სამართლიანი წარდგენა, ეკონომიკური მოვლენის ობიექტურად გამოსახვა, რომელიც მოიცავს იმ ძირითად მახასიათებლებს, რომლებიც ადრე მიჩნეული იყო საიმედოობის ასპექტებად [1.დს 3.24]. ამიტომ

მან ჩაანაცვლა ტერმინი – საიმედოობა. ამასთან, "შინაარსის ფორმაზე აღმატებულობა" და წინდახედულობა (კონსერვატიზმი) "კონცეპტუალური საფუძვლებიდან" ამოღებულია, ვიანიდან, სამართლიანი წარდგენა ნიშნავს, რომ ფინანსური ინფორმაცია ასახავს ეკონომიკური მოვლენის შინაარსს და არა მარტო მის სამართლებრივ ფორმას. ამასთან, წინდახედულობის პრინციპით ან კონსერვატიული მიდგომით მომზადებული ინფორმაცია ვერ იქნება ნეიტრალური, მითითებულია "კონცეპტუალურ საფუძვლებში" [1. ხმ 16].

ფინანსური ანგარიშგება, საწარმოში მომხდარი ეკონომიკური მოვლენების შესახებ, წარმოდგენას გვიქმნის სიტყვებისა და ციფრების მეშვეობით. ეს ინფორმაცია სასარგებლო რომ იყოს, იგი სამართლიანად უნდა წარმოადგენდეს ამ ინფორმაციას. სამართლიანი წადგენა არა სამართლებრივ ფორმებს, არამედ ეკონომიკურ შინაარსს გულისხმობს.

ინფორმაციის სამართლიან წარდგენას სამი მახასიათებელი (ასპექტი) გააჩნია: უნდა იყოს სრულყოფილი, ნეიტრალური და არ უნდა შეიცავდეს შეცდომებს [1. ხმ 12].

1. **სრულყოფილება გულისხმობს** ყველა აუცილებელი ინფორმაციის მიწოდებას, რაც ნათელ წარმოდგენას შექმნის საწარმოს ეკონომიკური მოვლენების შესახებ;
2. **ნეიტრალური ასახვა** გულისხმობს ინფორმაციის წარდგენას მიუკერძოებლად, ტენდენციურობის გარეშე. იგი არ უნდა იყოს რაიმე წინასწარ განზრახული თვალსაზრისით მომზადებული;
3. **შეცდომების არარსებობა** არ ნიშნავს სიზუსტეს ყველა ასპექტში. სამართლიანი წარდგენა არ ნიშნავს რომ ანგარიშგებაში არ არსებობს შეცდომები ან არაფერი არაა გამოტოვებული. მაგრამ, იგი ობიექტურად ასახავს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას და ხელს არ უშლის სწორი გადაწყვეტილებების მიღებას.

ამრიგად, სასარგებლო ინფორმაცია უნდა იყოს როგორც შესაბამისი, ასევე სამართლიანად წარმოდგენილი ანუ ობიექტური. მომხმარებლებს გადაწყვეტილებების მიღებაში ვერ დაეხმარება ვერც სამართლიანად წარდგენილი ინფორმაცია, რომელიც შეუსაბამო იქნება ეკონომიკური მოვლენებისადმი და ვერც არასამართლიანად წარდგენილი ინფორმაცია თუნდაც ეკონომიკური მოვლენების შესაბამისი [1. ხმ 17]. ამასთან, აღნიშნულია, რომ ჯერჯერობით საბჭომ ვერ დაადგინა რა საშუალებით უნდა მოხდეს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაციის სამართლიანობის შეფასება.

ინფორმაციის ხარისხობრივი მახასიათებლების გამოყენება შემდეგნაირად უნდა მოხდეს:

- დადგინდება ისეთი ეკონომიკური მოვლენები, რომლებიც პოტენციურად შეიძლება სასარგებლო იყოს ანგარიშგების მომხმარებლებისათვის;
- განისაზღვრება ამ ეკონომიკური მოვლენის შესახებ რა სახის ინფორმაცია იქნებოდა ყველაზე შესაბამისი და შესაძლებელი იქნებოდა მისი სამართლიანი წარდგენა;
- დადგინდება, არსებობს თუ არა ეს ინფორმაცია და შესაძლებელია თუ არა მისი სამართლიანად წარდგენა.

ხარისხობრივი მახასიათებლების მეორე ჯგუფს, რომელიც ამაღლებს ინფორმაციის სარგებლიანობას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, **მიეკუთვნება: შესადარისობა, შემოწმებადობა, დროულობა და აღქმადობა.**

გადაწყვეტილებების მიღება, როგორც წესი, რამდენიმე ალტერნატივიდან არჩევანის გაკეთებასთანაა დაკავშირებული. ამ მიზნით, უფრო სასარგებლოა, თუ საწარმოს ინფორმაციის შედარება შესაძლებელია სხვა საწარმოს ანალოგიურ ინფორმაციასთან. პოტენციური ინვესტორებისათვის სასარგებლოა სხვადასხვა საწარმოს მაჩვენებლების შედარება, რათა გადაწყვიტონ, რომელ საწარმოში უფრო მომგებიანია ინვესტიციის დაბანდება.

შესადარისობა ისეთი ხარისხობრივი მახასიათებელია, რომელიც განსხვავებულ (თუ სხვადასხვა) ელემენტებს შორის მსგავსებისა და განსხვავების დადგენისა და გააზრების საშუალებას იძლევა [1. ხმ 21].

შედარებისათვის აუცილებელია ორი მუხლის (ობიექტის) არსებობა. სხვადასხვა საწარმოების ინფორმაციის შესადარისობა მიიღწევა ბუღალტრული აღრიცხვის საერთო მეთოდების გამოყენებით. შესადარისობის ხარისხი ეცემა, როცა ბუღალტრული აღრიცხვის ალტერნატიული მეთოდებია ნებადართული.

ამდენად, **შესადარისობა ნიშნავს** სხვადასხვა საწარმოს მიერ ან ერთი საწარმოს მიერ სხვადასხვა პერიოდში, ერთი და იმავე მუხლების მიმართ ერთი და იმავე მეთოდების გამოყენებას [1. ხმ 22].

"დასკვნის საფუძვლებში [1.დს 3.33] მოცემულია განმარტებები იმის შესახებ, თუ რატომ არ არის "შესადარისობა" შეტანილი ინფორმაციის ძირითად ხარისხობრივ მახასიათებლებში. აღნიშნულია, რომ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი, რის გამოც ფინანსური ანგარიშგებისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები აუცილებელია, ისაა, რომ გაიზარდოს წარდგენილი ფინანსური ინფორმაციის შესადარისობა. მაგრამ, ერთი მხრივ, თუ არ შეიძლება შედარება, შესაბამისი და სამართლიანად წარდგენილი ინფორმაცია, მაინც მნიშვნელოვანი იქნება. მეორე მხრივ, შესადარისი ინფორმაცია სასარგებლო არ არის, თუ იგი არ არის შესაბამისი და ამასთან, შეუძლია მომხმარებლების შეცდომაში შეყვანა, თუ იგი სამართლიანად არაა წარდგენილი. ამიტომ, შესადარისობა მიიჩნევა ისეთ ხარისხობრივ მახასიათებლად, რომელიც ამაღლებს ფინანსური ინფორმაციის სარგებლიანობას და არა ძირითად ხარისხობრივ მახასიათებლად.

ინფორმაციის შემოწმებადობა ეხმარება მომხმარებელს დაადგინოს, რომ ინფორმაცია სამართლიანადაა წარდგენილი. შემოწმებადობა შეიძლება იყოს პირდაპირი ან არაპირადპირი.

პიდაპირი შემოწმებადობა ნიშნავს, როცა მონაცემების ან სხვა ინფორმაციის შემოწმება შესაძლებელია უშუალო დაკვირვების გზით. მაგალითად, ფულადი თანხების დათვლა.

არაპირდაპირი შემოწმებადობა ნიშნავს მოდელის ამოსავალი მონაცემების, ფორმულების და მოდელის სხვა ელემენტების დამოუკიდებლად გამოანგარიშებას. მაგ. მატერიალური მარაგების საბალანსო ღირებულების შემოწმება.

მომხმარებელი უფრო თავდაჯერებულად გამოიყენებს იმ ინფორმაციას, რომლის შემოწმება შესაძლებელია ე.ი. მომხმარებელს შეუძლია ენდოს ისეთ ინფორმაციას, რომ მასში არ არის არსებითი შეცდომები და მიკერძოება. ამიტომ, შემოწმებადობა შეიძლება მიჩნეული ყოფილიყო სამართლიანი წარდგენის ასპექტად. მაგრამ, ოპონენტებმა აღნიშნეს, რომ შემოწმებადობის ცნების, როგორც სამართლიანი წარდგენის ერთ-ერთი ასპექტის გათვალისწინება, გამოიწვევს იმ ინფორმაციის გამოთიშვას, რომელიც არ ექვემდებარება შემოწმებას ან სრულყოფილი შემოწმება შეუძლებელია (მაგ. მოსალოდნელი ფულადი ნაკადები, სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება). საბჭო დაეთანხმა ამ არგუმენტებს და შემოწმებადობა ახლებურად განსაზღვრა, როგორც ხარისხობრივი მახასიათებლი, რომელიც ამაღლებს ფინანსური ინფორმაციის სარგებლიანობას. მეტად სასურველი, მაგრამ არა აუცილებელი.

დროულობა ნიშნავს, რომ ინფორმაცია მის მომხმარებელს მიეწოდოს იმ დროს, როცა მის გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენა შეუძლია. ზოგჯერ შეიძლება ინფორმაცია დიდი ხნის შემდეგაც დროული იყოს, თუ მიზანი ტენდენციების შესწავლაა.

განხილვების დროს აღინიშნა, რომ დროულობა არ არის შესაბამისობის თვისება იმავე მნიშვნელობით, როგორც საპროგნოზო და დამადასტურებელი ღირებულებები. დროული ინფორმაცია სასარგებლოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი შესაბამისია და სამართლიანად წარდგენილი. ინფორმაცია შეიძლება სასარგებლო იყოს იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი დროულად არ არის წარდგენილი. განსაკუთრებით დამადასტურებელი მიზნებისთვის ან ტენდენციების შესწავლისთვის [1.დს 3. 37-39].

აღქმადობა ნიშნავს, რომ ინფორმაცია იყოს ადვილად გასაგები. ეს მოითხოვს კლასიფიცირებას, სისტემატიზაციას, ნათლად და ლაკონურად ინფორმაციის წარმოდგენას.

ფინანსური ანგარიშგება მზადდება ისეთი მომხმარებლებისათვის, რომელთაც გააჩნიათ ბიზნესისა და ეკონომიკური საქმიანობის შესახებ საკმარისი ცოდნა და ამ ინფორმაციის ანალიზის უნარი. მხოლოდ მარტივი ინფორმაციის წარდგენა ანგარიშგებას არასრულყოფილს გახდის, რომელმაც მისი მომხმარებლი შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს [1.ხმ 31-32].

ასევე, აღქმადობა თუკი ფინანსური ანგარიშგების ძირითადი ხარისხობრივი მახასიათებელი იქნებოდა, მაშინ ანგარიშგებაში წარდგენილი ვერ იქნებოდა ზოგიერთი რთული, მაგრამ აუცილებელი ინფორმაცია. ამის გარეშე, ფინანსური ანგარიშგება აღარ იქნება შესაბამისი. აღქმადობა ნიშნავს, რომ რთული ეკონომიკური მოვლენები მაქსიმალურად გასაგებად იქნას წარმოდგენილი. ამიტომ, კონცეპტუალურ საფუძვლებში ხაზგასმულია, რომ ინფორმაციის მომხმარებლები პასუხისმგებელნი არიან ჰქონდეთ აუცილებელი ცოდნა და გულდასმით

შეისწავლონ წარდგენილი ინფორმაცია. საჭიროების შემთხვევაში კი კონსულტანტები გამოიყენონ, მითითებულია დასკვნის საფუძვლებში [1. დს3. 40-42].

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბასს-ის საბჭომ "კონცეპტუალურ საფუძვლებში" გამოყო ფინანსური ანგარიშგების ძირითადი ხარისხობრივი მახასიათებლები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანია (ფუნდამენტური ხასიათისაა) და ხარისხობრივი მახასიათებლები, რომლებიც ამაღლებენ ინფორმაციის სარგებლიანობას და ნაკლებად მნიშვნელოვანია, მაგრამ მეტად საჭირო. "დასკვნის საფუძვლებში გადმოცემულია, რომ ზოგიერთის აზრით, ყველა ხარისხობრივი მახასიათებელი ერთმანეთის ტოლფასია და მათი გამიჯვნა პირობითია. მაგრამ, ბასს-ის საბჭო არ დაეთანხმა ამ აზრს და თვლის, რომ **ორი ძირითადი ხარისხობრივი მახასიათებლის – შესაბამისობისა და სამართლიანი წარდგენის** გარეშე ფინანსური ინფორმაცია ვერ იქნება სასარგებლო და ვერც იმით გახდება სასარგებლო, თუ იქნება მხოლოდ უფრო შესადარისი, შემოწმებადი, დროული ან აღქმადი. მეორე მხრივ, ფინანსური ინფორმაცია რომელიც შესაბამისია და სამართლიანად არის წარდგენილი, შეიძლება იყოს სასარგებლო, თუნდაც არ გააჩნდეს არცერთი ის ხარისხობრივი მახასიათებელი, რომელიც ამაღლებს ფინანსური ინფორმაციის სარგებლიანობას [1. დს 3.10].

კონცეპტუალური საფუძვლების "დასკვნის საფუძვლებში" აგრეთვე აღნიშნულია, რომ განხილვის პროცესში საბჭოს სთავაზობდნენ სხვა მახასიათებლების შემოღებასაც, როგორიცაა: გამჭვირვალობა, მაღალი ხარისხი, შინაგანი თავსებადობა, უტყუარი და სამართლიანი, სიმარტივე, ოპერატიულობა, მიზანშეწონილობა, პრაქტიკულობა და მისაღებობა. მაგრამ, საბჭომ დაასკვნა, რომ ყველა ეს ღირებულებები სიტყვებია, რომლებიც გაუმჯობესებულია შესაბამისობით, სამართლიანი წარდგენით, შესადარისობით, შემოწმებადობით, დროულობით და აღქმადობით. ზოგიერთი კი სასარგებლო ფინანსურ იფორმაციასთან დაკავშირებული სარგებლისა და დანახარჯების წონასწორობის ნაწილია [1. დს3. 44-46].

ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი, საანგარიშგებო პერიოდში მომხდარი ყველა სამეურნეო ოპერაციისა და მოვლენის შედეგები, მათი ეკონომიკური შინაარსის მიხედვით დაჯგუფებულია ხუთ ნაერთ, გამსხვილებული მოცულობითი ხასიათის მაჩვენებლად. ამგვარ ფართო დაჯგუფებას უწოდებს **ფინანსური ანგარიშგების ელემენტებს.** ესენია: **აქტივები, ვალდებულებები, საკუთარი კაპიტალი, შემოსავლები და ხარჯები.** ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (ბასს) მათ ასე განმარტავს:

აქტივი არის რესურსი, რომელსაც საწარმო აკონტროლებს, წარსულში მომხდარი სამეურნეო მოვლენების შედეგია და რომლის გამოყენების შედეგად საწარმო მოელის რაიმე ეკონომიკური სარგებლის მიღებას.

აქტივებში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი არის აქტივების უნარი, პირდაპირ ან არაპირდაპირ ხელი შეუწყოს ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების

შემოსვლას საწარმოში. აქტივებში განივთებული მომავალი ანუ პოტენციური ეკონომიკური სარგებელი საწარმოში შემოდის სხვადასხვა გზით.

ვალდებულება საწარმოს მიმდინარე პერიოდის მოვალეობაა, რომელიც წარსული სამეურნეო მოვლენების შედეგად წარმოიშვა და რომლის შესრულება გულისხმობს საწარმოს ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლას საწარმოდან.

საკუთარი კაპიტალი არის აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება ყველა ვალდებულების დაფარვის შემდეგ.

შემოსავალი არის საწარმოს მიერ ეკონომიკური სარგებლის ზრდა საანგარიშგებო პერიოდში, აქტივების ზრდის ან ვალდებულებების შემცირების გზით, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის გადიდებით, რომელიც დაკავშირებული არაა მესაკუთრეთა დამატებით შენატანებთან.

ხარჯები არის საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საწარმოდან აქტივების გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც დაკავშირებული არაა მესაკუთრეთათვის კაპიტალის განაწილებასთან.

შევნიშნავთ, რომ ეს განმარტება ცალმხრივია. ამ განსაზღვრებაში ერთმანეთისაგან გამიჯნული არაა ხარჯები და ზარალი. ხარჯი ყოველთვის არ იწვევს საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. მაგალითად, მასალის ხარჯი ამცირებს მის მარაგს, მაგრამ, იმავე მოცულობით იზრდება მზა პროდუქციის თვითღირებულება, რომელიც მართალია მოსალოდნელ მოგებას შეამცირებს, მაგრამ ესაა აუცილებელი ხარჯი, რომლის გარეშე მოგება საერთოდ ვერ მიიღება. ამიტომ, გაუმართლებლად მიგვაჩნია იგი ჩაითვალოს "საწარმოდან ეკონომიკური სარგებლის გასვლად". ასეთი შეფასება აკმაყოფილებს მხოლოდ ვალდებულებების და ზარალის მაჩვენებლები.

ჩვენი აზრით, ხარჯი არის მოხმარებული რესურსი, რომელიც აუცილებელია პროდუქციის დამზადებისა (მომსახურების გასაწევად) და მოგების მისაღებად.

ფინანსური ანგარიშგების ელემენტების აღიარება ნიშნავს მათ ასახვას ბუღალტრულ ბალანსში ან მოგება/ზარალის ანგარიშგებაში. მათი აღიარება ხდება იმ შემთხვევაში თუ მოსალოდნელია ამ მუხლებით გამოწვეული მომავალი ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლა ან გასვლა და გააჩნია თვითღირებულება ან ღირებულება, რომლის **საიმედოდ შეფასება შეიძლება.**

შეფასება არის ფულადი თანხების ან ფულადი ღირებულების განსაზღვრის პროცესი, რომლის მიხედვითაც ხდება ფინანსური ანგარიშგების მოცემული ელემენტის აღიარება ბუღალტრულ ბალანსში და მოგება/ზარალის ანგარიშგებაში.

1.2. ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები

ფინანსური ანგარიშგება საფინანსო-სააღრიცხვო პროცესის შემადგენელი ნაწილია. 2009 წლიდან ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებში შეტანილი ცვლილებების შედეგად, შეცვლილ იქნა ანგარიშგების ზოგიერთი კომპონენტის სახელწოდება.

ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი მოიცავს ხუთ კომპონენტს:

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ანუ ბუღალტრული ბალანსი (Statement of financial position as at the end of the period).

ბუღალრულ ბალანსში წარმოდგენილია საწარმოს რესურსები და მათი დაფინანსების წყაროების ურთიერთდმოკიდებულება. **ბუღალტრული ბალანსი არის** საწარმოს რესურსების ორმხრივი ასახვა: ერთი მხრივ მათი ეკონომიკური დანიშნულების მიხედვით და მეორე მხრივ – დაფინანსების წყაროების მიხედვით, ფულად ფორმაში, დროის მოცემული მომენტისათვის.

ფინანსური ანგარიშგების ხუთი ელემენტიდან, ბალანსში სამია წარმოდგენილი: აქტივები, ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი.

2. პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგება ანუ მოგება/ზარალის ანგარიშგება ((Statement of comprehensive income for the period).

ვთვლით რომ უფრო აღქმადი და ლაკონურია ტერმინის „მოგება/ზარალის ანგარიშგების გამოყენება.

3. პერიოდის ფულადი ნაკადების ანგარიშგება (Statement of cash flows for the period). მასში წარმოდგენილია ფულადი რესურსების მოძრაობა: რაზე იხარჯებოდა და საიდან მიედინებოდა ფულადი რესურსი საწარმოში.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება შეიძლება მომზადდეს პირდაპირი ან არაპირდაპირი მეთოდით. პირდაპირი მეთოდით მომზადებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით (ფასს) აღიარებულია როგორც საბაზისო მეთოდი. ალტერანტიულ მეთოდს წარმოადგენს -არაპირდაპირი მეთოდი. დაწვრილებით მათი თავისებურებები მეხუთე თავშია განხილული.

4. პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება (Statement of changes in equity for the period);

5. განმარტებითი შენიშვნები (notes, comprising a summary of significant accounting policies and other explanatory information) - აქ მოკლედ განხილულია ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია. მასში შეიძლება აისახოს ფინანსური შედეგების განმსაზღვრელი მთავარი ფაქტორები და პირობები, მათში მომხდარი ცვლილებები და საწარმოს რეაგირება ამ ცვლილებებზე; ფინანსური ინსტრუმენტების

გამოყენების შედეგად წარმოშობილი რისკების ბუნება და დონე, რომლებიც საწარმოზე გავლენას ახდენდა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში; ასევე შეაფასოს, როგორ მართავს საწარმო ამ რისკებს [ბასს 1, მუხლი 10].

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 1 - "ფინანსური ანგარიშგების წარდგენა" (ბასს 1) მიუთითებს, რომ საწარმოს შეუძლია გამოიყენოს სახელწოდებები: "ბუღალტრული ბალანსი" და "მოგება/ზარალის ანგარიშგება". საწარმომ შეიძლება წარადგინოს სხვა ანგარიშგებაც ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნით, მაგალითად გარემოს დაცვის შესახებ, სოციალური პასუხისმგებლობების შესახებ და სხვა, რომელიც სცილდება ფასს-ის მოქმედების სფეროს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბუღალტრულ ბალანსს ბასს-ის საბჭომ, მეორე სახელი: "ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება" უწოდა, რასაც ვერ ვეთანხმებით, ვინაიდან, ჯერ ერთი, საწარმოს ფინანსური მდგომარეობის სრულყოფილი შესწავლისათვის მხოლოდ ბუღალტრული ბალანსის ინფორმაცია საკმარისი არაა. ამ მიზანს ფინანსური ანგარიშგების მთელი ინფორმაცია ემსახურება. მეორეც, შეცვლილ სახელწოდებაში არ ჩანს უმთავრესი რამ, მისი დედააზრი, კერძოდ ის, რომ ბუღალტრული ბალანსი ეყრდნობა წონასწორობას საწარმოს რესურსებსა და მისი დაფინანსების წყაროებს შორის, რაც საწარმოთა ეკონომიკაში და საერთოდ, მიკროეკონომიკაში არსებული შიგა ეკონომიკური წონასწორობის გამოხატულებაა.

რაც შეეხება "სრული შემოსავლების ანგარიშგებას", ამ სახელწოდებაში აღრეულია ცნებები: "შემოსავალი" და "მოგება", რაც ეწინააღმდეგება თვით ფასს-ში მოცემული შემოსავლების ცნების განმარტებას, რომ „შემოსავალი“ არ არის და არც შეიძლება იყოს სხვაობა შემოსავლებსა და ხარჯებს შორის.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ბუღალტრული ბალანსისა და მოგება/ზარალის ანგარიშგების სახელწოდებების შეცვლა გაუმართლებლად მიგვაჩნია.

აქვე, მკითხველს შევახსენებ სააღრიცხვო ციკლის საფეხურებს:

სქემა 1.1.2. სააღრიცხვო ციკლის საფეხურები

რეინვესტირებული მოგება საკუთარი კაპიტალის ანგარიშგებიდან გადაიტანება ბუღალტრულ ბალანსში. აქვე აღვნიშნავთ, რომ 2017 წლიდან საქართველოში ამოქმედდა მოგების გადასახდის ახალი მოდელი, რომლის მიხედვით, მოგება სრულად განაწილდება მესაკუთრეებსა და საწარმოს შორის. ანუ, მესაკუთრეებზე განაწილებული მოგების შემდეგ დარჩენილი მოგება მთლიანად საწარმოში უნდა იქნეს ინვესტირებული რაც გამოიხატება

წარმოების განვითარების რეზერვების შექმნით. შედეგად, გაუნაწილებელი მოგების მაჩვენებელი აღარ იარსებებს.

ერთია საიმედო ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მისი მომხმარებლებისათვის საწარმოს შიგნით თუ საწარმოს გარეთ, მაგრამ, სწორი გადაწყვეტილებების მისაღებად ეს არ კმარა. მეორე მხრივ, აუცილებელია ამ ინფორმაციის მომხმარებლებმა შეძლონ ფინანსური ანგარიშგების ანალიზის ჩატარება სათანადო დონეზე. სრულყოფილი და გააზრებული ანალიზის გარეშე, ფინანსური ანგარიშგება რაც არ უნდა შესაბამისი და სამართლიანად წარდგენილი იყოს, მისი მომხმარებლები სწორი გადაწყვეტილებების მიღებას ვერ შეძლებენ. ამდენად, ფინანსური ანგარიშგების ანალიზის მეთოდიკის შესწავლა მეტად აქტუალურია მენეჯმენტისა და საერთოდ ეკონომისტებისათვის.

ინფორმაცია საწარმოს ეკონომიკური რესურსებისა და მის მიმართ არსებული მოთხოვნების ხასიათისა და სიდიდის შესახებ, მომხმარებელს ეხმარება საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენაში; მისი ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის, დაფინანსების დამატებით წყაროებზე მოთხოვნილებების შეფასებაში. იმის განჭვრეტაში, როგორ განაწილდება მომავალი ფულადი ნაკადები მათ შორის, რომლებსაც გააჩნიათ მოთხოვნები ანგარიშვალდებული საწარმოს მიმართ.

საწარმოს ეკონომიკური რესურსებისა და მის მიმართ არსებული მოთხოვნების ცვლილებებს იწვევს მოცემული საწარმოს საქმიანობის ფინანსური შედეგები და ასევე სხვა ოპერაციები, როგორიცაა სავალო ან წილობრივი ინსტრუმენტების გამოშვება. იმისათვის, რომ სწორად იქნეს შეფასებული საწარმოს მომავალი ფულადი ნაკადები, აუცილებელია ამ ორი ტიპის ცვლილების ერთმანეთისაგან გამიჯვნა.

ინფორმაცია საწარმოს ფინანსური შედეგების შესახებ ანუ მოგება/ზარალის ანგარიშგების ინფორმაცია მომხმარებელს ეხმარება იმის გარკვევაში, როგორი უკუგება მიიღო საწარმომ მის განკარგულებაში არსებული ეკონომიკური რესურსებიდან; რამდენად კარგად შეასრულა მმართველობამ მასზე დაკისრებული ვალდებულებები, რაციონალურად და ეფექტიანად გამოიყენოს საწარმოს რესურსები; შეაფასოს მომავალი ფულადი ნაკადების განუსაზღვრელობა და მომავალი ეკონომიკური უკუგების დონე.

ინფორმაცია საწარმოს ფინანსური შედეგების შესახებ იმაზეც მიუთითებს, რამდენად გაიზარდა საწარმოს განკარგულებაში არსებული რესურსები და შესაბამისად, მისი შესაძლებლობა, უზრუნველყოს საწარმოს წმინდა ფულადი სახსრების შემოსვლა თავისი საქმიანობიდან და არა ინვესტორებისა და კრედიტორებისაგან მოპოვებული დამატებითი რესურსებით.

ინფორმაცია საწარმოს ფინანსური შედეგების შესახებ შეიძლება იმაზეც მიუთითებდეს, რა გავლენა იქონია საწარმოს ეკონომიკური რესურსების და მის მიმართ არსებული მოთხოვნების გაზრდაზე ან შემცირებაზე ისეთმა მოვლენებმა, როგორიცაა საბაზრო ფასების ან საპროცენტო

განაკვეთების ცვლილება და აქედან გამომდინარე, რა გავლენა მოახდინეს ამ მოვლენებმა მის შესაძლებლობაზე – უზრუნველყოს საწარმოში წმინდა ფულადი ნაკადების შემოსვლა.

ინფორმაცია ანგარიშვალდებული საწარმოს ფულადი ნაკადების შესახებ მომხმარებელს ეხმარება შეაფასოს საწარმოს მომავალი შესაძლებლობა წმინდა ფულადი სახსრების შემოსვლის შესახებ. იგი იძლევა ინფორმაციას თუ როგორ ხარჯავს და მოიპოვებს საწარმო ფულად სახსრებს; როგორია მისი ნასესხები სახსრებისა და სხვა დავალიანებების დაფარვის მდგომარეობა; ინვესტორებზე გაცემული დივიდენდის თანხების სიდიდე; სხვა გადახდები, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინონ საწარმოს გადახდისუნარიანობაზე, ფულადი ნაკადების ანგარიშგება მომხმარებელს ეხმარება წარმოდგენა შეიქმნას საწარმოს მიერ განხორციელებული ოპერაციების მასშტაბებზე, შეაფასოს მისი საფინანსო და სინვესტიციო საქმიანობა და სხვა ფინანსური ოპერაციები.

ანგარიშვალდებული საწარმოს ეკონომიკური რესურსებისა და მის მიმართ არსებული მოთხოვნების ცვლილებები, მისი საქმიანობის ფინანსური შედეგების გარდა, შეიძლება გამოიწვიოს ისეთმა მიზეზებმაც, როგორიცაა საკუთარი კაპიტალის დამატებითი აქციების გამოშვება. ეს ინფორმაცია საშუალებას იძლევა შეფასდეს რა გავლენას იქონიებს ეს ოპერაციები საწარმოს მომავალ ფინანსურ შედეგებზე.

ამრიგად, ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია საქმიანობის სახეების მიხედვით მიღებული წმინდა ფულადი ნაკადების, ვალდებულებების, მოთხოვნების, შემოსავლების და ხარჯების ცვლილებების შედეგების შესახებ, რაც ანალიტიკოსს ან ინვესტორს, საშუალებას აძლევს იპოვოს უფრო ღრმა მიზეზები ფინანსური რესურსების ზრდის ან შემცირების შესახებ. კერძოდ, ბუღალტრულ ბალანსში, როგორც წესი, მოცემულია სამეურნეო ოპერაციებით გამოწვეული ცვლილებების შემდეგ დარჩენილი აქტივების, ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის ნაშთები წლის დასაწყისსა და წლის ბოლოსათვის. მოგება/ზარალის ანგარიშგებაში შემოსავლები და ხარჯები მოცემულია დარიცხვის პრინციპით (ანუ რაც უნდა გადახდილიყო ან მიღებულიყო მიმდინარე წელს). ხოლო ფულის რეალური შედინება საწარმოში და ხარჯვა წარმოდგენილია ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

ქვეყნის ეკონომიკურ სამყაროში, როგორც ცნობილია, მრავალი დაინტერესებული მხარეა. ესენია, სავაჭრო კრედიტორები, დებიტორები, ინვესტორები, თანამშრომლები და მმართველობა. ყოველ ჯგუფს საწარმოს ფინანსური შედეგების და შესაბამისად, წლიური ფინანსური ანგარიშგების მიმართ საკუთარი ინტერესები აქვთ. ფინანსური ანგარიშგების მიზანია დაინტერესებულ მხარეებს წარუდგინოს სწორი და სასარგებლო ინფორმაცია, რომლის საფუძველზე მრავალი ფინანსური კოეფიციენტის ანალიზი და დასკვნის გაკეთება შეიძლება.

ფინანსური ანგარიშგების ანალიზი საშუალებას იძლევა გადაიჭრას შემდეგი ამოცანები:

- საწარმოს გადახდისუნარიანობის დონის შეფასება;
- საწარმოს ფინანსური სტაბილურობის ხარისხის შეფასება;

- საწარმოს ეკონომიკური პოტენციალის განსაზღვრა;
- წარმოებისა და რეალიზაციის ცვლილების ტემპების დადგენა;
- მოგებისა და მომგებიანობის ტენდენციების შესწავლა;
- რეინვესტირებული მოგების ეფექტის შეფასება;
- ფინანსური რისკების ხარისხის განსაზღვრა;

ამრიგად, გარეთ გამოსაქვეყნებელი ანუ საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სტრუქტურულად ჩამოყალიბებულ და ურთიერთდაკავშირებულ ყველა აუცილებელი აბსოლუტური (მოცულობითი) ხასიათის მაჩვენებელთა სისტემას არა ქაოტურად, არამედ საწარმოთა ეკონომიკური საქმიანობის შედეგების შინაგანი არსებითი ხასიათის კავშირების შესაბამისად. სწორედ ამიტომ აქვს მას მაღალი ანალიზური მნიშვნელობა და ამიტომ არის ფინანსური ანგარიშგება მთელი საზოგადოების მაღალი ინტერესის ობიექტი, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო მასშტაბით.

1.3. ფინანსური ანგარიშგების გამჭვირვალობის არსი

ფინანსური ანგარიშგება მხოლოდ საწარმოთა მენეჯმენტისათვის არ მზადდება. საწარმოთა მენეჯმენტს ინფორმაციის მისაწვდომობის პრობლემა არ აქვს. ანგარიშგება ასევე აუცილებელია საწარმოს გარეთ მყოფი პარტნიორების, კრედიტორების, არსებული და პოტენციური ინვესტორებისა და მთელი საზოგადოებისათვის. ამის მთავარი მიზეზია ეკონომიკური ურთიერთობების გლობალიზაცია როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო მასშტაბით. რომელიმე საწარმოს გაკოტრება და დახურვა მრავალი ადამიანისთვის პრობლემური და საშიში გახდა. ამიტომ, ამა თუ იმ საწარმოს ფინანსური სტაბილურობით არა მხოლოდ მოცემული საწარმოს პერსონალი, არამედ გარეთ მყოფი მთელი საზოგადოებაა დაინტერესებული. სწორედ ამ ახალმა გამოწვევებმა დღის წესრიგში დააყენა საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების გამჭვირვალობის და საჯაროობის აუცილებლობა.

საერთაშორისო გამჭვირვალობა ზოგადად ნიშნავს ისეთ მსოფლიოს სადაც, მთავრობები, პოლიტიკა, ბიზნესი, სამოქალაქო საზოგადოება და ხალხის ყოველდღიური ცხოვრება თავისუფალია კორუფციისაგან. დაუნდობელი კონკურენციის პრაქტიკა კი პარტნიორობაში გადაიზარდა.

საერთაშორისო ფინანსური, საინვესტიციო და საწარმოო-კომერციული კავშირების წარმატებებს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მონაწილე მხარეებს შორის ნდობის ფაქტორი. ნდობის ფაქტორში კი ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს ინფორმაციულ ასპექტს. ბიზნეს-ურთიერთობებში ნდობის შეფასების ინფორმაციებს შორის მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგება. საწარმო, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებას აქვეყნებს, დიდი ალბათობით, საიმედოა. მეოცე საუკუნის 80-იანი წლებიდან განვითარებული ქვეყნები მუშაობენ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის საერთო მეთოდოლოგიურ საკითხებზე. ეს ამოცანა გადასაჭრელად, გაეროს მიერ დაევალა ბუღალტრული აღრიცხვის საერთშორისო

სტანდარტების საბჭოს (ბასსს), რომელსაც დღეისათვის უკვე გამოცემული აქვს ფინანსური ანგარიშგების ჩვიდმეტი და ოცდაათამდე ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი. სტანდარტების საბჭომ იმთავითვე დაადგინა ფინანსური ანგარიშგების გამჭვირვალობის აუცილებლობა, რომლის პრაქტიკული განხორციელება ხდება ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნებით, მისი საჯაროობით.

დღეისათვის, დასავლეთის კომპანიებთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების დასამყარებლად, აუცილებელია არსებობდეს გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგება, რომელიც საჯარო და მაშასადამე, გამჭვირვალეა ყველასთვის და არა მხოლოდ რომელიმე ორი ან მეტი ბიზნეს-პარტნიორისთვის.

გამჭვირვალობა ბევრი კომპანიისათვის პრობლემური საკითხი იყო. ვთქვათ, კომპანიების მესაკუთრეებს არ სურდათ გაემჟღავნებინათ მისი აქტივების, მოგების, ვალდებულებების და ა.შ. რეალური მაჩვენებლები. ეს ადრე ე.წ. კონკურენტულ გარემოში გამარჯვებისათვის საჭირო კომერციულ საიდუმლოებებად ითვლებოდა. მაგრამ, მსოფლიო ეკონომიკის რეალური განვითარების, ფინანსური სტაბილურობის და სამართლიანობის დამკვიდრებისთვის, ყველასთვის ცხადი გახდა, რომ საწარმოთა ფინანსური სტაბილურობის საერთო სურათი ანუ ფინანსური ანგარიშგება საჯარო ანუ ყველასათვის გამჭვირვალე გამხდარიყო არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით, აგრეთვე საერთაშორისო მასშტაბით.

შეიძლება ითქვას, რომ დღეს მსოფლიო თითქოს „დაპატარავდა“. დღეს არა თუ თითოეული სახელმწიფო, ასევე, ყოველი საწარმო და ყოველი ადამიანი მსოფლიო სუბიექტად იქცა. კაცობრიობა ცხადად ხედავს, რომ პროგრესი და განვითარება მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით მიიღწევა, რისთვისაც ისევ და ისევ, საერთო ინფორმაციული გამჭვირვალობა აუცილებელია. ყოველივე ამის შედეგად, ნებისმიერი სახის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ინფორმაციის გასაიდუმლოება უდიდესი შეცდომა და დანაშაულია, რადგან, ეს მრავალი (ზოგჯერ გამოუსწორებელი) დანაშაულის მიზეზი ხდება. სწორედ ამიტომაც გახდა დღეს ასე აქტუალური ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის მეთოდების ჰარმონიზაცია, საჯაროობა და გამჭვირვალობა. ამასთან, საჯარო ფინანსური ანგარიშგება აუცილებელი საინფორმაციო ბაზაა საწარმოთა ფინანსური მენეჯმენტისათვის, რათა მან შეძლოს ეფექტიანად მართოს საწარმო და თავიდან აიცილოს ზარალი, გადახდისუუნარობა და დეფოლტი.

ფინანსური მენეჯმენტი მჭიდრო ურთიერთკავშირშია ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანალიზთან. ზოგჯერ მთავარი ბუღალტერი იერთებს ფინანსური მენეჯერის ფუნქციებს.

ზოგადად მართვა არის მეცნიერებისა და ხელოვნების სინთეზი. მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებაზე მ.შ. ფინანსური ხასიათის გადაწყვეტილებებზე, არსებით გავლენას ახდენს სუბიექტური ფაქტორი. სწორედ ამიტომ, ფინანსურ მენეჯმენტს აშკარა პრაქტიკული ორიენტაცია აქვს და არის როგორც ერთგვარი ხიდი თეორიულ კონსტრუქციებსა (კაპიტალის ბაზარზე, სისტემებთან, პროცესებთან და მენეჯმენტის ზოგად პრინციპებთან მიმართებაში) და მათ პრაქტიკულ განხორციელებას შორის. ეს განსაზღვრავს ფინანსური მენეჯემენტის მჭიდრო კავშირს ბუღალტრულ აღრიცხვასთან, როგორც მისი ინფორმაციული უზრუნველყოფა, და მეორე მხრივ, საქმიანობის ამ ორი მიმართულების ობიექტები ემთხვევა

ერთმანეთს. ესენია. ფინანსური ნაკადების და მათთან დაკავშირებული ოპერაციები, რომლებიც ცვლიან ბუღალტრული ბალანსის აქტივებს და ვალდებულებებს.

გამომდინარე იქედან, რომ ფინანსური მენეჯერი რეგულარულად ატარებს ფინანსურ ანალიზს. შედეგად, იგი მჭიდრო კავშირშია ბუღალტრულ აღრიცხვასთან. კერძოდ:

პირველი, აღრიცხვის პრინციპებისა და მეთოდების ცოდნის გარეშე სააღრიცხვო ინფორმაციის გამოყენება და ინტერპრეტაციები შეუძლებელია. ფინანსური მუშაკი უნდა ფლობდეს ფინანსური მართვის მეთოდებს და ხერხებს, ბუღატრულ აღრიცხვას, საგადასახადო საქმეს, სამოქალაქო სამართალს,

მეორე, ფინანსური გადწყვეტილებების მნიშვნელოვანი ნაწილი მიიღება ისეთი ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც იქმნება ბუღალტერიის მიერ. მაგალითად, მოგების მაჩვენებელი. მენეჯერი სწორ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს, თუ არ ეცოდინება მოგების იმ მაჩვენებლების არსი და თავისებურებები, რომელიც გადმოცემულია საწარმოს ანგარიშგებაში;

მესამე, ფინანსური მართვის მიზანია საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება, რომელიც მოითხოვს წმინდა მიმდინარე აქტივების მართვის პოლიტიკის შემუშავებას, რაც ბუღალტრული ბალანსის ინფორმაციის საფუძველზე ხდება. ფინანსური საქმიანობა, როგორც საწარმოს აქტივების გამოყენებისა და მათი დაფინანსების წყაროებს შორის კავშირის ხარისხი, ბუღალტრული ბალანსის აქტივისა და კაპიტალის დამოკიდებულებაა. ასევე, ფინანსური მართვის მოდელების გამოყენება, საწარმოს ფინანსური მხარეების შესწავლა აღრიცხვისა და ანგარიშგების ინფორმაციის საფუძველზე ხდება;

მეოთხე, ზოგიერთი მეტად საპასუხისმგებლო ფინანსური ხასიათის გადაწყვეტილებების მიღება მნიშვნელოვანი ხარისხით დამოკიდებულია კომპანიის საქმიანობის ამა თუ იმ ასპექტებისა და სააღრიცხვო ობიექტების ბუნების იურიდიული და შინაარსობირივი შეფასების ადეკვატური გაცნობიერების დონეზე. ასე მაგალითად, დივიდენდებზე გაუმართლებელია გაიცეს სარეზერვო ან საემისიო კაპიტალი; საწარმოს შესაძლოა მაღალი მოგება და მომგებიანობა ჰქონდეს, მაგრამ არ გააჩნდეს საკმარისი ფულადი სახსრები; ავანსირებული ღირებულების ბრუნვა რომელ სტადიაზე შეფერხდა და ა.შ. კვალიფიციურმა მთავარმა ბუღალტერმა ეს საკითხები ყოველთვის იცის, შეიძლება ითქვას, „ხელისგულზე უდევს“, ფინანსურმა მენეჯერებმა საერთოდაც რომ არ იცოდნენ, მაგრამ, ამ უკანასკნელთ, ამის ცოდნა აუცილებლად სჭირდებათ;

მეხუთე, ფინანსური მენეჯმენტის, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინის ლოგიკა და თემატური შინაარსი შესაძლებელია სრულად აღიქვა სწორედ ბუღალტრული ბალანსის და მთლიანად, ფინანსური ანგარიშგების კონცეფციის საფუძველზე;

მეექვსე, არსებობს პარადოქსი, შეიძლება მენეჯერად მუშაობდე ფინანსების არსებითი ცოდნის გარეშე, მაგრამ, მთავარ ბუღალტრად ვერ იმუშავებ საწარმოს საქმიანობის შინაგანი კავშირების აღქმის გარეშე.

მათემატიკური ფორმულებით ვერ მივიღებთ ღირებულ პასუხებს ყალბი ინფორმაციიდან. ფინანსური მენეჯმენტი ახდენს საწარმოს ფინანსური პოზიციების ოპტიმიზაციას, რისთვისაც, სახელდობრ ბუღალტრული ბალანსის ინფორმაციაა საჭირო.

ფინანსური მენეჯერის საქმიანობის დინამიური ასპექტი განისაზღვრება ხუთი ძირითადი კითხვის ფორმულირებით, რომლებიც განსაზღვრავენ მისი საქმიანობის არსს. ფინანსური მენეჯმენტი ფუნდამენტური საკითხების გადაჭრის მიზნით, მუშაობს შემდეგი მიმართულებებით:

1. საერთო ფინანსური ანალიზი და დაგეგმვა, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება საწარმოს საერთო ფინანსური სტრატეგიის ფორმირება; საკვანძო კითხვაა: არის თუ არა საწარმოს პოზიცია საქონლისა და წარმოების ფაქტორების ბაზარზე ხელსაყრელი და რა მოვლენები უწყობს ხელს მის გაუარესებას?

2. ფინანსური საშუალებების მართვა, რომლის მეშვეობით ხორციელდება მიმდინარე საქმიანობის დაფინანსება და ფულადი ნაკადების ორგანიზება, რომლის მიზანია საწარმოს გადახდისუნარიანობისა და მიმდინარე გადახდების რიტმულობა. საკვნაძო კითხვაა: ფულადი სახსრების მოძრაობა უზრუნველყოფს თუ არა საანგარიშსწორებო-საგადასახადო დისციპლინის რიტმულობას?

3. ფინანსური საქმიანობის მართვა, საწარმოს მომგებიანობის უზრუნველყოფის მიმართულებით. კითხვა: საშუალოდ ეფექტიანად მუშაობს თუ არა საწარმო?

4. საინვესტიციო საქმიანობის მართვა, ინვესტიციები რეალურ აქტივებში და ინვესტიციები ფინანსურ აქტივებში. საკვანძო კითხვა: სად შეიძლება ფინანსური რესერსების უფრო ეფექტიანად დაბანდება?

5. ფინანსური რესურსების წყაროების მართვა, რომლის მიზანია საწარმოს მდგრადი ფინანსური მდგომარეობის უზრუნველყოფა. საკვანძო კითხვაა: საიდან შეიძლება იპოვო საჭირო ფინანსური რესურსები?

ბილალ ზიას და სხვების (Bilal Zia, Miriam Bruhn… 2011) მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები, თუ რა გავლენას ახდენს ფინანსური წიგნიერების განვითარება მეწარმე სუბიექტების შემოსავალზე, ცხადყოფს, რომ მეწარმეებს, რომლებსაც აქვთ ფინანსური წიგნიერების მაღალი დონე, აქვთ უკეთესი ფინანსური საქმიანობა და უფრო მაღალი ბრუნვა.

გამჭვირვალობის დირექტივა აუმჯობესებს ემიტენტების ინფორმაციული მოვალეობების ჰარმონიზაციას, ზრდის კაპიტალის ბაზრებზე ინვესტორების დაცულობას, რათა შემცირდეს ფინანსური ბაზრის გარემოში არსებული ინფორმაციული დეფიციტი.

გამჭვირვალობა მოითხოვს საჯაროობას, რაც მიიღება მისი გამოქვეყნებით. ძირითადი ხმის უფლების ზღვრის შემცირება, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შემოღება, ფინანსურ ანგარიშებში ინფორმაციის გამოქვეყნება გაზეთისა და ინტერნეტის საშუალებით, სახელმწიფო ორგანოების პასუხისმგებლობა ზედამხედველობაზე (საფონდო ბირჟებთან თანამშრომლობით)

გამჭვირვალობა არის ის, რამდენადაა შესაძლებელი ინვესტორებმა შეიძინონ საჭირო ფინანსური ინფორმაცია კომპანიის შესახებ, როგორიცაა ფასების დონე, ბაზრის სიდიდე, ინფორმაციის აღქმადობა.

გამჭვირვალობა ხელს უწყობს ფასების ცვალებადობის შემცირებას, რადგან ბაზრის ყველა მონაწილეს შეუძლია დაადგინოს ღირებულების გადაწყვეტილებები იმავე მონაცემებზე. კომპანიებს ასევე აქვთ ძლიერი მოტივაცია გამჟღავნების უზრუნველსაყოფად, რადგან გამჭვირვალობა აჯილდოვებს აქციების მფლობელებსაც.

იმის გამო, რომ ინვესტორის გადაწყვეტილებები დაფუძნებულია ფინანსურ ანგარიშებზე, იგი უნდა იყოს მაქსიმალურად გამჭვირვალე. მაგალითად, დავუშვათ, რომ ორ კომპანიას აქვს მსგავსი ლევერიჯი, საბაზრო კაპიტალიზაცია, ბაზრის რისკის ზემოქმედება, მოგება და

კაპიტალის ბრუნვა. დავუშვათ, ერთი კომპანია მოქმედებს გამჭვირვალედ თავისი ფინანსური ანგარიშგებით, ხოლო მეორე კომპანია მართავს მრავალ ბიზნესს, რთული ფინანსური ანგარიშგებით. ინვესტორებს ექნებათ უფრო მეტი ინვესტიცია პირველ კომპანიაში, რადგან მათ შეუძლიათ ადვილად გააცნობიერონ კომპანიის ძირითადი ვითარება და რისკები.

მომავალი ზრდის ძლიერი ინდიკატორია ის, თუ როგორ ახდენს ბიზნესი ფულის ინვესტიციას. როდესაც ინვესტორი ვერ პოულობს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ სად არის კომპანია, ინვესტორი ნაკლებად სავარაუდოა, რომ იქ განახორციელებს ინვესტიციას, რადგან გაუმჭვირვალე ფინანსურ ანგარიშგებაში შეიძლება დამალული იყოს კომპანიის დავალიანების დონე და ბიზნესი შეიძლება გადახდისუუნარობის წინაშე აღმოჩნდეს.

ინვესტორებმა უნდა იცოდნენ იმ ძირითადი ინვესტიციების შესახებ, რომლებიც შეადგენენ მათ პორტფელებს. მაგალითად, ერთი ბირჟის ფლობა ნიშნავს ერთ კომპანიაში ინვესტირებას, ხოლო ურთიერთდახმარების ფონდის ფლობა გულისხმობს მრავალ კომპანიაში ინვესტირებას. ამდენად, გამჭვირვალობა ინვესტორებს უჩვენებს, თუ რა რისკთან იქნება დაკავშირებული მათი უსაფრთხოება, ეხმარება მათ მიიღონ უფრო დასაბუთებული გადაწყვეტილება ინვესტიციის შესახებ. რეგულარული და ეფექტური ბაზრისთვის აუცილებელია გამჭვირვალე და სასარგებლო ინფორმაციის მიწოდება ბაზარზე, რაც წარმოადგენს ბაზრის დისციპლინის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას.

ამრიგად, ფინანსური და არაფინანსური ინფორმაციის გამჭვირვალობა ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია, რომელიც განსაზღვრავს კომპანიის მიმართ დაინტერესებული მხარეების ნდობის ხარისხს. მის გარეშე და მაშასადამე, ბუღალტრული აღრიცხვის გარეშე, რომელიც იძლევა აუცილებელ და მოწესრიგებულ ინფორმაციას ამა თუ იმ საწარმოს ეკონომიკური საქმიანობის შესახებ, შეუძლებელია კაპიტალის ბაზრის არსებობაც კი, წერენ დასავლეთის მეცნიერ-ეკონომისტები.

თავი. 2. ფინანსური ანგარიშგების ანალიზის მიმართულებები

2.1. რაოდენობრივი კავშირები ფინანსური ანგარიშგების კომპონენტებს შორის

ფინანსური ანგარიშგების შემადგენელი ნაწილები (კომპონენტები) ერთმანეთთან ურთიერთკავშირშია, რადგან ასახავენ ერთი და იმავე საწარმოს ეკონომიკური ოპერაციებისა და მოვლენების სხვადასხვა ასპექტებს. ეს კავშირები ეყრდნობა ეკონომიკაში არსებულ შინაგანი წონასწორობის კანონზომიერებას, რომელიც აღრიცხვაში ბალანსირების ანუ ორმხრივობის პრინციპითაა ცნობილი.

ფინანსური ანგარიშგების ანალიზის დაწყებამდე, ანალიტიკოსმა შეძლებისდაგვარად უნდა შეამოწმოს, ინფორმაცია ფინანსურ ანგარიშგებაში რამდენად სწორადაა წარმოდგენილი. **ცნობილია** ფინანსური **ანგარიშგების შემოწმების შემდეგი ხერხები: ფორმალური, არითმეტიკული და არსებითი.**

ფორმალური შემოწმების დროს ანგარიშგების გარეგნული მხარე მოწმდება. შევსებულია თუ არა ყველა აუცილებელი რეკვიზიტი.

არითმეტიკული შემოწმების დროს ანგარიშგებაში არსებული ჯამების, ნამრავლის და ა.შ. შედეგები მოწმდება არითმეტიკულად.

არსებითი შემოწმების გზით ანალიტიკოსი უნდა დარწმუნდეს რამდენად ზუსტადაა დაცული ბალანსირების პრინციპი ანუ შინაგანი კავშირები ფინანსური ანგარიშგების კომპონენტებს შორის.

ქვემოთ მოტანილია ფინანსური ანგარიშგების კომპონენტების მაჩვენებლებს შორის არსებული კავშირების შემოწმების ზოგიერთი აუცილებელი ნიმუში. კერძოდ:

აქტივი = კაპიტალი ანუ

აქტივი = საკუთარი კაპიტალი + ვალდებულებები

გაცემული ხელფასი = გასაცემი ხელფასი წლის დასაწყისში + შრომითი ხარჯები პერიოდში –
- ვალდებულება ხელფასზე წლის ბოლოს

პირველი და მესამე მაჩვენებელი ბალანსშია, მეორე კი მოგება/ზარალის ანგარიშგებაში. თვით გაცემული ხელფასი ფულადი ნაკადების ანგარიშგებაშია.

ამ ტოლობიდან აგრეთვე შეიძლება გამოთვლილ იქნას წლიური შრომითი ხარჯების სიდიდე, თუკი მოგება/ზარალის ანგარიშგება მომზადებულია დანახარჯთა ელემენტების კლასიფიკაციის საფუძველზე.

1.გადახდილი პროცენტები = გადასახდელი პროცენტები წლის დასაწყისში + საპროცენტო ხარჯები –
- გადასახდელი პროცენტები წლის ბოლოს

2.მომწოდებლებზე გადახდილი ფული = ვალდებულებები მომწოდებლებთან წლის დასაწყისში +
+შესყიდვები – ვალდებულებები მომწოდებლებთან წლის ბოლოს;

3. შესყიდვები = ვალდებულებები მოწოდებიდან წლის ბოლოს + მომწოდებლებზე გადახდილი ფული – ვალდებულებები მომწოდებლებთან წლის დასაწყისში;

ამ სამი მაჩვენებლის გამოთვლა შეუძლებელია, თუკი ფულადი ნაკადების ანგარიშგება მზადდება არაპირდაპირი მეთოდით.

4. აქტივი წლის ბოლოს = ვალდებულებები წლ.ბოლოს + სააქციო და საემისიო კაპიტალი +
+ გადაფასების რეზერვი წლის ბოლოს +საწყისი გაუნაწილებელი მოგება და რეზერვები (ან რეინვესტირებული მოგება) + წლიური შემოსავლები – წლიური ხარჯები – დარიცხული დივიდენდი;

5. ფულის ნაშთის ცვლილება (წმინდა ფულადი ნაკადი) = ვალდებულებების ცვლილება -
- არაფულადი აქტივების ზრდა + საკუთარი კაპიტალის ზრდა

6. საკუთარი კაპიტალი წლის ბოლოს = წმინდა მიმდინარე აქტივები + გრძელვადიანი აქტივები – გრძელვადიანი სესხები;

7. საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფული:

ამონაგები რეალიზაციიდან	+
საოპერაციო ხარჯები ცვეთის ხარჯის გამოკლებით	(-)
მოგება საბრუნავ საშუალებებში ცვლილებამდე	X

ან,

წმინდა მოგება	+
მოგების გადასახადის ხარჯი	+
საპროცენტო ხარჯი	+
საპროცენტო შემოსავალი	(-)
ცვეთის ხარჯი	+
მოგება საბრუნავ საშუალებებში ცვლილებამდე	X

მატერიალური მარაგების ნაშთების ზრდა	(-)
მოკლევადიანი მოთხოვნების ნაშთების ზრდა	(-)
მოკლევადიანი ვალდებულებების ნაშთების ზრდა	+
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფული	X

8. მოგება დაბეგვრამდე შეიძლება გამოთვლილ იქნეს საკუთარი კაპიტალის მუხლების გადახრების საფუძველზე, რომელიც მოცემულია როგორც ბუღალტრულ ბალანსში, ასევე საკუთარი კაპიტალის ანგარიშგებაში. გაითვალისწინება საკუთარი კაპიტალის იმ მუხლების გადახრები, რომლებიც გავლენას ახდენენ მოგების მაჩვენებელზე. კერძოდ, საკუთარი კაპიტალის ჯამის საერთო გადახრიდან გამოიქვითება იმ მუხლების გავლენა, რომლებიც გავლენას არ ახდენენ მოგებაზე. ესენია, სააქციო და საემისიო კაპიტალი, გადაფასების რეზერვი და უკან გამოსყიდული საკუთარი აქციები (ცხრილი 2.1.1.).

ცხილი 2.1.1. საკუთარი კაპიტალის პირობითი ინფორმაცია

საკუთარი კაპიტალი	წლის დასაწყისში	წლის ბოლოს	გადახრა
სააქციო კაპიტალი	54000	51000	- 3000
საემისიო კაპიტალი	1300	1100	- 200
უკან გამოსყიდული აქციები	-	(400)	+ 400
გადაფასების რეზერვი	500	640	+ 140
მოგებიდან შექმნილი რეზერვები	300	280	- 20
გაუნაწილებელი მოგება (ან რეინვესტირებული მოგება)	100	130	+ 30
ჯამი	56200	53 550	- 2650

დავუშვათ, წლის განმავლობაში დარიცხული დივიდენდია 12800 ლარი.

წლიური მოგება დაბეგვრამდე რომ გამოითვალოს, საერთო გადახრიდან უნდა გამოიქვითოს იმ მაჩვენებელების გადახრა, რომლებიც მოგებაზე გავლენას არ ახდენენ. მოცემულ მაგალითზე, 2650-იდან სააქციო კაპიტალის ცვლილების გამოქვითვის მიზნით, მისი გადახრა რადგან უარყოფითია, მიემატება, ხოლო დადებითი გადახრები გამოაკლდება. დარიცხული დივიდენდი მიემატება. მიიღება:

მოგება დაბეგვრამდე = - 2650 + 3000 +200 – 400 – 140 + 12800 = 12810

„სს თელასს“ ბალანსში არა აქვს საკუთარი კაპიტალის მუხლები იდენტიფიცირებული. ასევე არაა მოკლევადიანი და გრძელვადიანი აქტივები მუხლობრივად ჩაშლილი. ხოლო, „თელიანი ველის“, „ნიკორას“ და სხვების ბუღალტრულ აბალანსში საკუთარი კაპიტალი, როგორც წესი, მუხლობრივად არის წარმოდგენილი (იხ. ცხრილი 2.1.2).

დარიცხული დივიდენდი თელიანი ველში 2018 წელს არ არის. ნიკორაში 5909 ათ.ლარია.

წლიური მოგება უნდა იყოს: 9346 – 325 – 5244 = 3777 ლარი. მართლაც, თელიანი ველის მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მოგება დაბეგვრამდე არის 3777 ათ.ლარი.

სს „გუდვილს“ , ბუღალტრული ბალანსის ინფორმაციით ჰქონდა დაუფარავი ზარალი 2017 წელს 31556 ათ.ლ, 2018 წელს კი 29691 ათ.ლ. მაშასადამე, მან 2018 წელს მიიღო მოგება 1865 ლ (31556 – 29691),

რომელიც ემთხვევა მ/ზ ანგარიშგებაში წარმოდგენილ წლიური მოგების მაჩვენებელს. დივიდენდი დარიცხული არაა.

ცხრილი 2.1.2. სს „თელიანი ველისა“ და „ნიკორას“ საკუთარი კაპიტალი 2201702918 წწ (ათ.ლ).

საკუთარი კაპიტალის მუხლები	სს „თელიანი ველი“			სს „ნიკორა“		
	2017	2018	გადახრა	2017	2018	გადახრა
- სააქციო კაპიტალი	5200	5525	+ 325	31258	25126	-6132
- საემისიო კაპიტალი	78748	83992	+ 5244	-		-
- მოგების ხარჯზე გამოსყიდული საკუთარი აქციები	-	-	-	(1294)	(1326)	+(32)
- გადაფასების რეზერვი	-	-		7284	7284	-
- გაუნაწილებელი მოგება	5209	8986	+ 3777	14465	21307	+6842
ჯამი	89157	98503	+ 9346	51713	52391	+678

დარიცხული დივიდენდი თელიანი ველში 2018 წელს არ არის. ნიკორაში 5909 ათ.ლარია.

წლიური მოგება უნდა იყოს: 9346 – 325 – 5244 = 3777 ლარი. მართლაც, თელიანი ველის მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მოგება დაბეგვრამდე არის 3777 ათ.ლარი.

სს „გუდვილს“ , ბუღალტრული ბალანსის ინფორმაციით ჰქონდა დაუფარავი ზარალი 2017 წელს 31556 ათ.ლ, 2018 წელს კი 29691 ათ.ლ. მაშასადამე, მან 2018 წელს მიიღო მოგება 1865 ლ (31556 – 29691), რომელიც ემთხვევა მ/ზ ანგარიშგებაში წარმოდგენილ წლიური მოგების მაჩვენებელს. დივიდენდი დარიცხული არაა.

მოგებას დაბეგვრამდე ეწოდება „წლის სრული შემოსავალი“ (სს„გუდვილი“). მაგრამ, ეს წლიური მოგებაა.

სს „ნიკორაში“ 2018 წელს მოგება დაბეგვრამდე მიიღება 678+6132 – 32 + 5909 = 12687 ათ.ლ. უნდა იყოს 13773 ათ.ლ. შეიძლება ვიფიქროთ, რომ დარიცხული დივიდენდი რეალური არაა. მეტი უნდა იყოს.

„თელასში“ მოგება დაბეგვრამდე 2018 წელს იყო 27628 ათ ლ. ბალანსში საკუთარი კაპიტალი მუხლობრივად წარმოდგენილი არაა. ასევე მიმდინარე და გრძელვადიანი აქტივები არაა მუხლობრივად წარმოდგენილი. წარმოდგენილია მხოლოდ ბალანსი და მოგება/ზარალის ანგარიშგება. ასევე არც 2017 წელს არა აქვს წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი. წარმოდგენილია მხოლოდ ბუღალტრული ბალანსი და მოგება/ზარალის ანგარიშგება.

აგრეთვე, ერთი აქციის ნომინალური ღირებულება ყველგან ძალიან დაბალია. თელასში ერთი აქციის ნომინალური ღირებულება არის ერთი ლარი. გამოშვებულია დაახლოებით 112 მლნ ცალი აქცია.

სს „საქართველოს რკინიგზა“ -

	2017	2018	გადახრა
სააქციო კაპიტალი	1053 271	1053714	+ 443
არაფულადი შენატანები	98192	100244	+ 2052
დაგროვილი მოგება (ზარალი)	93385	(624 742)	- 718127

სს „საქართველოს რკინიგზა„ - 2017-2018 წლებში ზარალიანია.

წლიური რეალური ზარალი = - 718127 +2052+443= - 715632 ათ ლარია.

2016 წელს ჰქონდა ძალიან მაღალი ფინანსური ხარჯები, რამაც გადაფარა საოპერაციო მოგება და მოგება დაბეგვრამდე მხოლოდ 26267 ათ ლ დარჩა. ამის შემდეგ ზარალიანია. მას აქვს ძალიან მაღალი ვალდებულებები. მათი წილი აქტივებში 2016 წელს 50.5%-ს, 2017 წ - 56,5%-ს და 2018 წელს - 76.6 %-ს შეადგენდა. ეს მაღალ ფინანსურ რისკებს და მაშასადამე, ფინანსურ საფრთხეებს ნიშნავს.

9. საკუთარი კაპიტალის ანგარიშგებაში ნაჩვენები აქციების გაყიდვის შედეგად მიღებული ფული უნდა დაემთხვეს ფულადი ნაკადების ანგარიშგების მესამე განაყოფში წარმოდგენილ იმავე მაჩვენებელს და ა.შ. შესაძლებელია სხვა რაოდენობრივი კავშირებიც იქნეს განხილული.

ბუღალტრულ ბალანსში, როგორც წესი, მოცემულია სამეურნეო ოპერაციებით გამოწვეული ცვლილებების შემდეგ დარჩენილი აქტივების, ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის ნაშთები წლის დასაწყისსა და წლის ბოლოსათვის. მოგება/ზარალის ანგარიშგებაში შემოსავლები და ხარჯები მოცემულია დარიცხვის პრინციპით (ანუ რაც უნდა გადახდილიყო ან მიღებულიყო მიმდინარე წელს). ხოლო ფულის რეალური შემოსვლა და ხარჯვა წარმოდგენილია ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

ფინანსური ანგარიშგების შინაგანი კავშირების ილუსტრაციის მიზნით, შედარებულია ინფორმაცია რამდენიმე საანალიზო საწარმოს ანგარიშგების კომპონენტებს შორის. (იხ. ცხრილი 2.1.3).

ცხრილი 2.1.3. სს თელიანი ველის, კოკა-კოლას და რკინიგზის ანგარიშგების კომპონენტების რაოდენობრივი კავშირები 2017 -2018 წწ (ათ.ლ)

მაჩვენებლები	თელიანი ველი		კოკა-კოლა		საქ. რკინიგზა	
	2017	2018	2017	2018	2017	2018
-ვალდებულებები წლის ბოლოს (ბალანსით)	15672	19276	111149	114059	1617389	1734796
-სააქციო და საემისიო კაპიტ.წლის ბოლოს (ბალანსით)	83948	89517	8754	8754	1151453	1153959
-გადაფასების რეზერვი წლის ბოლოს (ბალანსით)	-	-	-	2879	-	-
-გაუნაწ.მოგება ან რეზერვები მოგებიდან წლის დასაწ.	(734)	5209	59874	65137	447960	93385
-სულ წლიური შემოსავლები (მ/ზ ანგარიშგებიდან)	21264	25550	136001	157638	516792	458660
-სულ წლიური ხარჯები (მ/ზ ანგარიშგებიდან)	(15321)	(21773)	(130362)	(138483)	(870892)	(1175199
-დარიცხული დივიდენდი (საკ.კაპ.ანგარიშგებიდან)	-	-	(1053)	(1053)	-	-
- აქტივები წლის ბოლოს, შემოწმებით	104829	117779	184363	209984	2862703	2265601
- აქტივების წლის ბოლოს, საწარმოთა ბალანსით	104829	117779	183971	208931	2862237	2264012

სამი კომპანიის მაგალითზე, ჩვენს მიერ შემოწმებულ იქნა ფინანსური ანგარიშგების კომპონენტებს შორის რაოდენობრივი კავშირების ერთ-ერთი კომბინაცია, რომელიც 9.2.2. ცხრილშია წარმოდგენილი. ასე მაგალითად, სს „თელიანი ველში“ ბუღალტრულ ბალანსში

ნაჩვენები აქტივების ჯამს ემთხვევა არაპირდაპირი ხერხით (ჩვენი შემოწმებით) გამოთვლილი იგივე მაჩვენებელი. მაგრამ, დანარჩენ ორ კომპანიაში ეს მაჩვენებლები ერთმანეთს არ ემთხვევა. ასე მაგალითად, სს „კოკა-კოლაში“ აქტივები წლის ბოლოს 2017 წელს არის: ბალასით 183971 ათასი, ხოლო შემოწმებით უნდა იყოს 184363 ათ ლარი; 2018 წელს ბალანსში ნაჩვენებია 208931 ათასი, შემოწმებით კი შეადგენს 209984 ათ.ლარს; „საქართველოს რკინიგზაში“ ასევე ადგილი აქვს განსხვავებებს.

ამრიგად, ფინანსური ანალიზის დაწყების წინ, აუცილებელია ანალიტიკოსმა (საწარმოებში კი მენეჯმენტმა, გამოქვეყნების წინ) გადაამოწმოს ფინანსური ანგარიშგების კომპონენტებს შორის არსებული კავშირები სწორადაა თუ არა მასში ასახული. რომელიმე ტოლობა თუ არ დადასტურდა, იმაზე მიუთითებს რომ, ანგარიშგებაში რაღაც უნებლიე ან მექანიკური ხასიათის სუბიექტურ ცვლილებებს აქვს ადგილი.

გამომდინარე იქედან, რომ ფინანსური ანგარიშგება ერთიანი საფინანსო-ეკონომიკური ოპერაციების შედეგებზეა მომზადებული, მათ შორის არსებობს შინაგანი თვისობრივი კავშირები რაც რიცხვების მეშვეობით დასტურდება. საანალიზო საწარმოების ანგარიშგების საერთო შემოწმებამ აჩვენა, რომ ზოგიერთ საწარმოში შინაგანი რაოდენობრივი კავშირები დარღვეულია, რისი მიზეზები შეიძლება იყოს აღრიცხვაში რაიმე ოპერაციის გამოტოვება ან რიცხვების სუბიექტური თვალსაზრისით შესწორება ანუ რიცხვებით ზეპირი მანიპულირება.

ზოგჯერ არის შეუსაბამობები წინა წლისა და მიმდინარე წლის ანგარიშგების ინფორმაციებს შორის. მაგალითად, თელიანი ველის, კოკა-კოლას და სხვ. 2018 წლის ანგარიშგებაში განსხვავებულია 2017 წლის ინფორმაცია, 2017 წლის ანგარიშგების ინფორმაციასთან შედარებით. მაგალითად, კოკა-კოლას 2018 წელს გამოქვეყნებულ ანგარიშგებაში, აქტივების 2017 წლის ჯამი ნაჩვენებია 185040 ათ.ლ, სულ ვალდებულებები 111149 ათ. ლ, გაუნაწილებელი მოგება 65 137 ათ.ლ. ხოლო, თვით 2017 წელს გამოქვეყნებულ ანგარიშგებაში იგივე მაჩვენებლები შესაბამისად არის: 183971, სულ ვალდებულებები 110364 და გაუნაწილებელი მოგება 64853 ათ ლ. კომპანიის ფინანსური ანგარიშგების განმარტებებში მითითებულია, რომ ეს გამოწვეულია რეკლასიფიკაციის ანუ სამართლიანი ღირებულების მოძრაობით (უნდა იყოს „ცვლილებებით“) თუმცა, ამან არ უნდა გამოიწვიოს დისბალანსი მაჩვენებლებს შორის.

2.2. ფინანსური ანგარიშგების ანალიზის მეთოდები

ფინანსური ანგარიშგების ანალიზი არის საწარმოს ფინანსური ანგარიშგების კომპონენტების მიმოხილვისა და შეფასების პროცესი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია საწარმოს ფინანსური ძლიერების (სიჯანსაღის) გააზრება და შესაბამისად, უფრო ეფექტური გადაწყვეტილებების მიღება. ანალიზის გარეშე ნებისმიერი ინფორმაცია უსარგებლოა.

ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაციის ანალიზის შედეგად იგი მისი მომხმარებლებისათვის უფრო სასარგებლო ხდება.

ფინანსური ანგარიშგების ანალიზი აგრეთვე არის საწარმოს წარსული, მიმდინარე და მომავალი საქმიანობის შედეგების შეფასების მეთოდი.

ფინანსური ანგარიშგების ანალიზის მიზანია შეფასდეს, რამდენად ეფექტიანად მართავს ხელმძღვანელობა საწარმოს და რამდენად საიმედოა იგი პარტნიორებისათვის, საწარმოსთან საქმიან ურთიერთობებში მყოფი ყველა სუბიექტისათვის. მისი მიზანია ფირმის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ პოზიციებში ცვლილებების შესახებ საიმედო დასკვნებით უზრუნველყოს ეკონომიკური გადაწვეტილებების მიმღები პირები,

ამდენად, ფინანსური ანგარიშგების ანალიზი მნიშვნელოვანია ადეკვატური გადაწყვეტილებების მიღების მიზნებისათვის. საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება ინფორმაციას იძლევა ანგარიშვალდებული საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ, ანუ ინფორმაციას საწარმოს ეკონომიკური რესურსებისა და მის მიმართ არსებული მოთხოვნილებების შესახებ (საწარმო, რომელიც ვალდებულია გამოაქვეყნოს საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება, ანგარიშვალდებულ საწარმოს წარმოადგენს). გარდა ამისა, იგი შეიცავს ინფორმაციას ისეთი ტიპის ოპერციებისა და მოვლენების შედეგების შესახებ, რომელიც იწვევს საწარმოს ეკონომიკური რესურსებისა და საწარმოს მიმართ მოთხოვნების ცვლილებას. ორივე ტიპის ინფორმაცია შეიცავს საწარმოსათვის რესურსების მიწოდების შესახებ გადაწყვეტილებების მისაღებად სასარგებლო ამოსავალ მონაცემებს.

ფინანსური ანგარიშგების ანალიზი, მისი ნებისმიერი მომხმარებლისთვის არის საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესწავლის მძლავრი იარაღი, მიუხედვად მათი განსხვავებული მიზნებისა.

ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე, მოცემული საწარმოს საერთო ეკონომიკური სურათი შესაბამისი მაჩვენებლების მეშვეობით შეისწავლება. როგორც წესი, ეკონომიკური მაჩვენებლები შეიძლება იყოს რაოდენობრივი (ანუ აბსოლუტური) ან ხარისხობრივი (ანუ თვისობრივი). რაოდენობრივი მაჩვენებლები საწარმოს საქამიანობის შედეგების მოცულობითი ხასიათის შეფასება-გაზომვას ახდენს. მაგალითად: რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება, შემოსავალი რეალიზაციიდან, მოგება, ვალდებულებების მოცულობა, აქტივების სიდიდე და ა.შ.

საერთაშორისო პრაქტიკასა და თეორიაში, მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან, დასავლეთის მეცნიერ-ეკონომისტებმა, საერთო სტატისტიკურ-ეკონომიკური ანალიზის ხერხებზე დაყრდნობით, ცალკე გამოყვეს საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების ანალიზის შემდეგი მეთოდები:

1. **ვერტიკალური ანალიზი**
2. **ჰორიზონტალური ანალიზი**
3. **კოეფიციენტების ანალიზი (შედარებითი და ფაქტორული ანალიზი)**

ფინანსური ანგარიშგების ვერტიკალური ანალიზის მეთოდი გულისხმობს მრავალი სახის ფარდობის (კოეფიციენტის) შესწავლას. ფინანსური ანგარიშგების ვერტიკალურ ანალიზში პროცენტული ზომის ერთეულები გამოიყენება. ვერტიკალური ანალიზის მთავარი უპირატესობაა ის, რომ შედარება შეიძლება ნებისმიერი ზომის ერთეულებში მოხდეს.

ვერტიკალური ანალიზის დროს ფინანსური ანგარიშგების ყოველი კომპონენტის შიგნით შეირჩევა ერთი ცენტრალური მაჩვენებელი, მაგალითად, ბუღალტრულ ბალანსში - აქტივების ჯამი და მისი თითოეული მუხლი განიხილება პროცენტული ან სხვა ფარდობის სახით მთლიანი აქტივის მიმართ. ასევე, მოგება/ზარალის ანგარიშგებაში ცალკეული მუხლის პროცენტული ფარდობა მთლიან შემოსავალთან და ა.შ. ამდენად, ვერტიკალური ანალიზი ფინანსური ანგარიშგების ყოველ მუხლს წარმოადგენს პროცენტულად ანგარიშგების მთავარი (ცენტრალური) მაჩვენებლის მიმართ.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ვერტიკალური ანალიზი საშუალებას იძლევა ნებისმიერი საწარმო ასევე პროცენტულად წარმოადგინოს ეკონომიკის შესაბამის დარგში. კომპანიის ფინანსური მდგომარეობის სურათი შეიძლება წარმოდგენილ იქნას ფინანსური ანგარიშგების ამა თუ იმ მუხლის მიხედვით. იგი აგრეთვე საშუალებას იძლევა პროცენტული მაჩვენებლები ერთმანეთთან შედარებულ იქნეს წლებს შორის ან წლების შიგნით.

ჰორიზონტალური ანალიზი არის საწარმოს ფინანსური ინფორმაციის შედარება რომელიმე ერთ საანგარიშგებო პერიოდთან, ცვლილების ტენდენციების გამოსავლენად.

ტენდენციების ანალიზი (trends) ანუ ტენდენციის წრფეები აჩვენებს მრავალწლიან პერიოდში კომპანიის მუშაობის შედეგების მიმართულებებს. ტიპიური ტრენდული ანუ დინამიკური წრფეებია შემოსავლების, საერთო მოგების, წმინდა მოგების, ფულადი თანხების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების დინამიკური წრფეები. ტრენდული ანალიზი ესაა ფინანსური ანგარიშგების მუხლების პროცენტული ცვლილებების ანალიზი გარკვეული პერიოდის განმავლობაში. იგი იძლევა სამომავლო დასკვნების გაკეთების საშუალებას, თუ რა შეიძლება ელოდებოდეს საწარმოს მომავალში.

მაშასადამე, ჰორიზონტალური ანუ დინამიკური (ტრენდული) ანალიზი არის საწარმოს შედეგების მიმოხილვა მრავალწლიან პერიოდში, ხოლო, ვერტიკალური ანალიზი არის შედეგების შესწავლა ერთი საანგარიშგებო პერიოდის შიგნით.

კოეფიციენტების ანალიზის მეთოდი ნიშნავს ფარდობითი მაჩვენებლების გამოთვლას სათანადო პარამეტრების ფარგლებში და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შედარებითი ანალიზისათვის. ეს კოეფიციენტები მხოლოდ ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის საფუძველზე გამოითვლება, როცა ერთი მაჩვენებელი იყოფა მეორეზე.

უცხოურ ლიტერატურაში ზოგიერთი ავტორი გამოყოფს ფინანსური ანგარიშგების პროპორციული ანალიზის მეთოდს (Proportion analysis), საწარმოს ფინანსური ანგარიშგების

ელემენტების ცვლილებებს შორის ურთიერთკავშირის გამოსახატავად. მაგალითად, შეიძლება გამოითვალოს სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი და დადგინდეს კომპანიის უნარი, დაფაროს გადაუდებელი ვალდებულებები ან თანაფარდობა საწარმოს ვალდებულებებსა და საკუთარ კაპიტალს შორის, რათა გაირკვეს აღებული აქვს თუ არა უფრო მეტი ვალდებულებები. ამდენად, პროპორციული ანალიზი არსით, კოეფიციენტების ანალიზის მეთოდს წარმოადგენს და ამ სახელწოდებით არის გავრცელებული.

ხშირად ეს კოეფიციენტები მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების რამდენიმე კომპონენტის ინფორმაციას ერთდროულად. მაგალითად, ისეთი კოეფიციენტები როგორიცაა: წმინდა მოგების ფარდობა სააქციო კაპიტალთან (ROE), მოგების ფარდობა აქტივებთან (ROA), ვალდებულებების ფარდობა საკუთარ კაპიტალთან (DE). აქ სამი კოეფიციენტია, რომელთაგან, პირველი ორი გამოითვლება ბუღალტრული ბალანსისა და მოგება/ზარალის ანგარიშგების ინფორმაციის საფუძველზე, ე.ი. კომბინირებული კოეფიციენტებია. მესამე კი მხოლოდ ბალანსის ინფორმაციის საფუძველზე გამოითვლება და მაშასადამე, ბალანსის ინდივიდუალური კოეფიციენტია.

ეკონომისტები წერენ, რომ ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის საფუძველზე სამასამდე სხვადასხვა კოეფიციენტი შეიძლება გამოითვალოს, რომლებიც მრავალ სხვადასხვა საინტერესო კითხვაზე იძლევა პასუხს. ისინი მფლობელებს და მენეჯერებს საშუალებას აძლევენ ახსნან რა ხდება ბიზნესში და რატომ, რის საშუალებასაც ფინანსური ანგარიშგების მხოლოდ მოცულობითი მაჩვენებლები ვერ იძლევა.

კოეფიციენტების ანალიზი ეხმარება ანალიტიკოსს განსჯაში, ოღონდ ვერ აძლევს გამოცდილებას. მაგრამ, კოეფიციენტების წაკითხვა და მათი მუდმივი თვალყური ნებისმიერ მენეჯერს კარგ მმართველად ხდის. კოეფიციენტების ანალიზი ფინანსურ მენეჯმენტს ეხმარება კომპანიის საქმიანობაში დაინახოს ის სფერო, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება. აღმოაჩინოს ადგილი, სადაც პრობლემები არსებობს.

დღეისათვის, პრაქტიკაში გამოყენებული ფინანსური კოეფიციენტები, რომლებიც აჩვენებენ ფინანსურ მაჩვენებელთა სისტემაში ჩამოყალიბებულ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებსა და ამ დამოკიდებულებათა გავლენას საწარმოს ფინანსურ საქმიანობაზე, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს უნივერსალურ მეთოდებად, თუმცა, მეცნიერ-ეკონომისტები აღნიშნავენ, რომ ამ კოეფიციენტების გაანგარიშების მეთოდიკა სხვადასხვა დარგების მიხედვით განსხვავებული არ არის. გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე გაანგარიშებულ მაჩვენებლებს სტატიკური (მყარად დადგენილი) ხასიათი აქვთ, ამიტომ საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასება მათ საფუძველზე არ იქნება რეალური, თუ ეს მაჩვენებლები საანალიზო საწარმოს ოთხი-ხუთი, ან უფრო მეტი საანგარიშგებო პერიოდის მონაცემების მიხედვით არ იქნება შესწავლილი.

პრაქტიკულად ნებისმიერი კოეფიციენტის შედარებითი ანალიზი შეიძლება მოხდეს. მაგრამ, მცირე ბიზნესის მფლობელებმა და მენეჯმენტმა ძირითადი კოეფიციენტები უნდა შეარჩიონ, რათა ადვილად იპოვონ, სადაა საჭირო გაუმჯობესება.

ამასთან, ესა თუ ის კოეფიციენტი ცალკე აღებული, უსარგებლოა და შეიძლება მენეჯმენტი შეცდომაშიც კი შეიყვანოს. მაგრამ, იგი ყოველთვის სასარგებლოა, როცა ამ კოეფიციენტს გეგმურ, წინა წლის, სხვა წარმატებული კომპანიის ან საშუალო დარგობრივ დონეს შეუდარებთ. ასეთი შედარებების შედეგად საწარმოთა ფინანსურ მენეჯმენტს შეუძლია ფინანსური ანგარიშგების ყოვლისმომცველი და ღრმა ფინანსური ანალიზი ჩაატაროს, რაც საშუალებას აძლევს შემდგომი წარმატებებისა და განვითარების დეტალური ღონისძიებები შეიმუშაოს.

ფინანსური ანგარიშგების მოცულობითი მაჩვენებლებისა და კოეფიციენტების ანალიზის დროს აგრეთვე გამოყენებულ უნდა იქნას ეკონომიკური ანალიზის ტრადიციული და მათემატიკური მეთოდები, როგორიცაა: შედარება, საბალანსო მეთოდი, აბსოლუტური სხვაობის ან ჯაჭვური ჩასმის ხერხები, კორელაციური ანალიზი და სხვა მათემატიკური მეთოდები. ეს მეთოდები შემდეგში თანდათან იქნება განხილული.



სქემა 2.2.1. საწარმოთა საქმიანობის ფინანსურ მაჩვენებელთა სისტემა

საწარმოს საფინანსო-ეკონომიკურ მაჩვენებელთა სისტემას მეცნიერები სხვადასხვა რაოდენობის ჯგუფებად ყოფენ. ჩვენი აზრით, შეიძლება ამ მაჩვენებლების რვა ჯგუფის ფორმირება, როგორიცაა (იხ. სქემა 2.2.21):

I. **ქონებრივი მდგომარეობის შეფასების მაჩვენებლები**. – აქ შედის საწარმოს ქონების სტრუქტურის, დინამიკის, წმინდა აქტივების და საკუთარი საბრუნავი სახსრების

მოცულობის, ძირითადი საშუალებების ასაკობრივი მდგომარეობის და მათი დაფინანსების მდგომარეობის მაჩვენებლები;

II. **ლიკვიდურობის მაჩვენებლები** – ახასიათებენ საწარმოს გადახდისუნარიანობის დონეს. ეს მაჩვენებლები ყველაზე ფუნდამენტალური მნიშვნელობისაა, ვინაიდან ისინი ზომავენ საწარმოს უნარს, შეუძლია თუ არა მას დარჩეს ბიზნესში;

III. **ფინანსური სტაბილურობის მაჩვენებლები** – ახასიათებენ საწარმოს საკუთარი საბრუნავი სახსრებით უზრუნველყოფას, საკუთარი და ნასესხები კაპიტალის თანაფარდობის მდგომარეობას და საწარმოს ფინანსური დამოუკიდებლობის ხარისხს;

IV. **საქმიანი აქტივობის შეფასების მაჩვენებლები** – ახასიათებენ აქვს თუ არა საწარმოს მოგება და როგორია ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობის სიჩქარე;

V. **მომგებიანობის შეფასების მაჩვენებლები** – ისინი ახასიათებენ გამოყენებული რესურსების ეფექტიანობის (მომგებიანობის) დონეს. ეს მაჩვენებლები წარმოადგენენ საწარმოს მართვის ხარისხის მკაცრ ინდიკატორებს, თუ რამდენად კარგად იყენებს მმართველობა კომპანიის რესურსებს;

VI. **ინვესტიციების შეფასების მაჩვენებლები** – ახასიათებენ საწარმოს მდგომარეობას ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, თუ რამდენად საინტერესოა იგი ინვესტორისათვის;

VII. **რისკების შეფასების კოეფიციენტები** - ახასიათებენ რამდენად რისკიანია საოპერაციო და ფინანსური საქმიანობა. რამდენად ოპტიმალურია დანახარჯების სტრუქტურული სურათი და აქტივების დაფინანსების საკუთარი და ნასესხები წყაროების თანაფარდობა;

VIII. **არაფინანსური მაჩვენებლები** - პერსონალის დენადობის კოეფიციენტი, ეკოლოგიური გარემოს დაცვის ხარჯების დონე, საწარმოში პიროვნული თავისუფლების სრულყოფის ხარჯების დონე, სოციალური პასუხისმგებლობების დაცვის ხარჯების დონე.

წარმოვადგენთ ეკონომიკურ მეცნიერებასა და პრაქტიკაში გავრცელებულ **ძირითად საფინანსო-ეკონომიკურ მაჩვენებელთა სისტემას :**

I. ქონებრივი მდგომარეობის შეფასების მაჩვენებლები

1. **წმინდა აქტივების ღირებულება** = აქტივები – ვალდებულებები

2. **აქტივების სტრუქტურის მაჩვენებლები** ანუ თითოეული სახის აქტივის პროცენტული წილი აქტივების საერთო ჯამის მიმართ.

3. **წმინდა მიმდინარე აქტივი** = მიმდინარე აქტივებს – მიმდინარე ვალდებულებები

4. **საკუთარი საბრუნავი სახსრები** = წმინდა მიმდინარე აქტივები – მიმდინარე აქტივებში დაბანდებული გრძელვადიანი სესხი

4. **საკუთარი საბრუნავი სახსრების წილი** მიმდინარე აქტივებში = საკუთარი საბრუნავი სახსრები შეფარდებული მიმდინარე აქტივების ჯამთან.

6. *ძირითადი საშუალებების ცვეთის კოეფიციენტი* = $\frac{\text{დაგროვილი ცვეთი თანხა}}{\text{ძირით.საშუალებები პირვანდელი ღირებულებით}}$

7. *ძირითადი საშუალებების განახლების კოეფიციენტი* = $\frac{\text{ახლად შეძენილი ძირ.საშ. პირვ.ღირებულებით}}{\text{ძირით.საშუალებების პირვანდელი ღირებულება წლის ბოლოს}}$

II. ლიკვიდურობის მაჩვენებლები

1. *აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი* = $\frac{\text{ფულადი თანხები}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}}$

2. *სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი* = $\frac{\text{ფულადი თანხები + მოკლევადიანი მოთხოვნები}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}}$

3. *საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი* = $\frac{\text{მიმდინარე აქტივები}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}}$

4. *საკუთარი საბრუნავი სახსრების მანევრირების კოეფიციენტი* = $\frac{\text{ფულადი საშუალებები}}{\text{საკუთარი საბრუნავი სახსრები}}$

5. *ფულადი უსაფრთხოების ინტერვალი* = $\frac{\text{ფული+ მოკლევად.ფასიანი ქაღალდები+ დებიტორები}}{\text{საშუალო დღიური ხარჯი}}$

III. ფინანსური სტაბილურობის შეფასების მაჩვენებლები

1. *საპროცენტო ხარჯის დაფარვის კოეფიციენტი* = $\frac{\text{საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფული– მოგების გადასახადი}}{\text{წლიური საპროცენტო ხარჯი}}$

2. *მარაგის დაფარვის კოეფიციენტი* = $\frac{\text{დაფინანსების „ნორმალური“ წყაროები}}{\text{მატერიალური მარაგი+ წინასწარ გაწეული ხარჯები}}$

3. *ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი* = $\frac{\text{საკუთარი კაპიტალი}}{\text{აქტივების ჯამი}}$

4. *ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი* = $\frac{\text{ვალდებულებები}}{\text{აქტივების ჯამი}}$

5. *კაპიტალის ორგანული შედგენილობის კოეფიციენტი* = $\frac{\text{საკუთარი კაპიტალი}}{\text{მოზიდული კაპიტალი}}$

6. *საკუთარი კაპიტალის ვალით დატვირთვის კოეფიციენტი* = $\frac{\text{ვალდებულებები}}{\text{საკუთარი კაპიტალი}}$

7. *საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი* = $\frac{\text{საკუთარი საბრუნავი საშუალებები}}{\text{საკუთარი კაპიტალი}}$

8. *გრძელვადიანი ვალდებულებების კონცენტრაციის კოეფიციენტი* = $\frac{\text{გრძელვადიანი ვალდებულებები}}{\text{გრძელვადიანი აქტივები}}$

9. *გრძელვადიანი სესხების წილი პერმანენტულ კაპიტალში* = $\frac{\text{გრძელვადიანი სესხები}}{\text{გრძელვადიანი ვალდ.+საკ.კაპიტალი}}$

10. *გრძელვადიანი სესხების კონცენტრაციის კოეფიციენტი* = $\frac{\text{გრძელვადიანი სესხები}}{\text{გრძელვადიანი ვალდ.+საკ.კაპიტალი}}$

11. *საკუთარი კაპიტალის ორგანული სტრუქტურის კოეფიციენტი* = $\frac{\text{საკუთარი კაპიტ–პრივილეგ.სააქც.კაპიტ.}}{\text{საკუთარი კაპიტალი}}$

13. *პროცენტის უზრუნველყოფის კოეფიციენტი* = $\frac{\text{საოპერაციო მოგება.}}{\text{საპროცენტო ხარჯები}}$

IV. ბიზნესის საქმიანი აქტივობის შეფასების მაჩვენებლები

1. *მიმდინარე აქტივების ბრუნვის რიცხვი* = $\frac{\text{შემოსავალი რეალიზაციიდან}}{\text{მიმდინარე აქტივების საშ..წლ.ნაშთი}}$

2. *მიმდინარე აქტივების ბრუნვის ხანგრძლივობა დღეებში* = $\frac{\text{მიმდინარე აქტივების საშ..წლ.ხარჯი}*365}{\text{შემოსავალი რეალიზაციიდან}}$

(ან, 365 / ბრუნვის რიცხვი)

3. *ფულის ბრუნვის რიცხვი* = $\frac{\text{შემოსავალი რეალიზაციიდან}}{\text{ფულის საშ.წლ ნაშთი}}$

4. *მიმდინარე აქტივების დაყოვნების კოეფიციენტი* = $\frac{\text{მიმდინარე აქტივები}}{\text{შემოსავალი რეალიზაციიდან}}$

5. *მზა პროდუქციის ბრუნვის რიცხვი* = $\frac{\text{რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება}}{\text{ფულის საშ.წლ ნაშთი}}$

6. *დებიტორული დავალიანებების ბრუნვის რიცხვი* = $\frac{\text{კრედიტით გაყიდვები წელიწადში}}{\text{დებიტ.დავალიანებების საშუალო წლ.ნაშთი}}$

7. *კრედიტორული დავალიანებების ბრუნვის რიცხვი* = $\frac{\text{კრედიტით შესყიდვები წელიწადში}}{\text{კრედიტ.დავალიანებების საშუალო წლ.ნაშთი}}$

8. *ძირითადი საშუალებების ღირებულების ბრუნვის რიცხვი* = $\frac{\text{ძირით. საშუალებების საშუალო წლ.ნაშთ}}{\text{წიური ცვეთის თანხა}}$

9. *ეკონომიკური ზრდის კოეფიციენტი* = $\frac{\text{გაუნაწილებელი (ან რეინვესტირებული) მოგება}}{\text{საკუთარი კაპიტალი–გაუნაწ.მოგება}}$

V. ეფექტიანობის მაჩვენებლები

ა. აბსოლუტური მაჩვენებლები

1. **მოგება რეალიზაციიდან** = შემოსავალი რეალიზაციიდან - რეალი. პროდ.თვითღირებულება

2. **მოგება ცვეთის ხარჯის, საპროცენტო ხარჯებისა და მოგების გადასახადის გამოქვითამდე** (EBITDA) = = საოპერაციო მოგება - ცვეთის ხარჯი

3. **საოპერაციო მოგება (EBIT) = მოგება რეალიზაციიდან** - კომერციული ხარჯები - ადმინისტრაციული ხარჯები

4. **მოგება დაბეგვრამდე** = საოპერაციო მოგება + საპროცენტო შემოსავალი - საპროცენტო ხარჯი

5. **წმინდა მოგება** = მოგება დაბეგვრამდე – მოგების გადასახადი

6. **გაუნაწილებელი მოგება** = წმინდა მოგებას – განაწილებული მოგება – რეინვესტირებული მოგება

7. **ფინანსური სიჭარბე** = წმინდა მოგება + წლიური ამორტიზაცია

8. **ზღვრული მოგება** = შემოსავალი რეალიზაციიდან – ცვალებადი საოპერაციო ხარჯები

ბ. ფარდობითი მაჩვენებლები

1. $\textit{მოგების ნორმა}\ (\textit{მარჟა}) = \frac{\textit{მოგება რეალიზაციიდან} * 100\%}{\textit{ამონაგები რეალიზაციიდან}}$

2. $\textit{ფასნამატი} = \frac{\textit{მოგება რეალიზაციიდან} * 100\%}{\textit{რეალიზ.პროდუქციის სრული თითღირებულება}}$

3. $\textit{აქტივების მომგებიანობა}\ (\boldsymbol{ROA}) = \frac{\textit{მოგება დაბეგვრამდე} * 100\%}{\textit{აქტივების საშ.წლ.ნაშთი}}$

4. $\textit{საკუთარი კაპიტალის უკუგება}\ (\boldsymbol{ROE}) = \frac{\textit{წმინდა მოგება} * 100\%}{\textit{საკუთარი კაპიტალი}}$

. 5. მატერიალური რესურსების უკუგება= (მოგება დაბეგვრამდე) / (ძირითადი საშ.+საწარმოო მარაგები))

6. $\textit{პერმანენტული კაპიტალის უკუგება}\ (\boldsymbol{ROCE}) = \frac{\textit{მოგება \%–ისა და გადასახადის გადახდამდე}\ (\boldsymbol{EBIT})}{\textit{საკუთარი კაპიტალი+გრძელვადიანი ვალდებულებები}}$

VI. ინვესტიციების შეფასების მაჩვენებლები

1. $\textit{საკუთარი კაპიტალის გამოსყიდვის პერიოდი} = \frac{\textit{საკუთარი კაპიტალი}}{\textit{წმინდა მოგება}}$

=

2. $\textit{ინვესტიციის უკუგება}\ (ROI) = \frac{\textit{ინვესტიციის მოგება}}{\textit{ინვესტიციის ღირებულება}}$

3. $\textit{შემოსავალი 1 აქციაზე} = \frac{\textit{წმინდა მოგება– პრივილეგ.აქციის დივიდენდი}}{\textit{ჩვეულებრივი აქციების საშუალო წლიური რიცხვი}}$

4. $\textit{ერთი აქციის ღირებულება} = \frac{\textit{ერთი აქციის საბაზრო ფასი}}{\textit{შემოსავალი ერთ აქციაზე}}$

5. $\textit{დივიდენდის უზრუნველყოფა} = \frac{\textit{წმინდა მოგება– პრივილეგ.აქციის დივიდენდი}}{\textit{ჩვეულებრივი აქციების დივიდენდი}}$

6. $\textit{აქციის მომგებიანობის კოეფიციენტი} = \frac{\textit{შემოსავალი ერთ ჩვეულებრივ აქციაზე} * 100\%}{\textit{ერთი აქციის საბაზრო ფასი}}$

7. $\textit{დივიდენდი ერთ აქციაზე} = \frac{\textit{ჩვეულებრივ აქციებზე გამოყოფილი დივიდენდი}}{\textit{ჩვეულებრივი აქციების საშ.შეწონილი რიცხვი}}$

8. $\textit{შემოსავალი დივიდენდიდან} = \frac{\textit{დივიდენდი ერთ აქციაზე}}{\textit{ერთი აქციის საბაზრო ფასი}}$

9. $\textit{აქციის კონვერტირების (კოტირების) კოეფიციენტი} = \frac{\textit{ერთი აქციის საბაზრო ფასი}}{\textit{ერთი აქციის ნომინალური ღირებულება}}$

10. WACC (კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება) = $r_e * (E/V) + r_d * (D/V) * (1-t)$

11. რეინვესტირების კოეფიციენტი = (საერთო წმინდა ფულადი ნაკადი - დარიცხული დივიდენდი) / გრძელ-ვადიანი აქტივების ზრდა

VII. საწარმოს რისკების შეფასების ძირითადი მაჩვენებლები

ა. საოპერაციო რისკები

საოპერაციო ლევერიჯი = მუდმივი ხარჯები / საოპერაციო მოგება

ბ. ფინანსური რისკები

ფინანსური ლევერიჯი 1 = ვალდებულებები / საკუთარი კაპიტალი

ფინანსური ლევერიჯი 2 = აქტივები / საკუთარი კაპიტალი

VIII. არაფინანსური მაჩვენებლები

1. სამუშაო ძალის დენადობა = სამუშაოდან წასულთა რიცხვის ფარდობა დასაქმებულთა საშუალო სიობრივ რიცხვთან, გამრავლებული 100%-ზე.
   ეს მაჩვენებელი საშუალო დარგობრივ მაჩვენებელზე დაბალი არ უნდა იყოს.

2. შრომისმწარმოებლურობა = წელიწადში გამოშვებული პროდუქციის მოცულობის ფარდობა

პერსონალის საშუალო წლიურ რიცხვთან.

იგი აჩვენებს, წელიწადში რამდენი ლარის პროდუქციაა გამოშვებული ყოველ ერთ დასაქმებულზე. ეს მაჩვენებელი დინამიკაში უნდა იზრდებოდეს.

3. **გარემოს დაცვის ხარისხი = გარემოს ეკოლოგიურ გაუმჯობესებაზე ანუ გარემოს უსაფრთხოებაზე) გაწეული ხარჯების ფარდობა რესურსების ანუ აქტივების საშუალო წლიურ ნაშთთან.**

იგი საშუალო დარგობრივ მაჩვენებელზე ან საერთაშორისო სტანდარტებზე დაბალი არ უნდა იყოს.

სოციალური პასუხისმგებლობების დაცულობის ხარისხი = ამ მიმართულებით გაწეული ხარჯების პროცენტული წილი საწარმოს წლიურ მოგებაში.

ეს მაჩვენებელი რაც უფრო მაღალი იქნება 0%-ზე, მით უფრო დადებითი მოვლენაა.

ასეთია საწარმოს საფინანსო-ეკონომიკური მაჩვენებლების ძირითადი ნუსხა. ჩამოთვლილ მაჩვენებლებს შეიძლება კიდევ უამრავი კოეფიციენტი დაემატოს და შეიძლება რამდენიმე ასეული კოეფიციენტი იქნეს გამოთვლილი დეტალიზაციის სხვადასხვა ხარისხით. ეს ანალიტიკოსის მიზნებზეა დამოკიდებული.

მოტანილი კოეფიციენტები სრულიად საკმარისია საწარმოთა ფინანსური სტაბილურობის, გადახდისუნაროანობის, ეფექტიანობის, რისკების და საზოგადოებრივი სოციალ-ეკონომიკური აქტივობის შეფასებისათვის. მათი ფაქტორული ანალიზისათვის. მათი ანალიზის მეთოდიკა შესაბამის თავებშია განხილული.

მართალია ფინანსური ანგარიშგების ანალიზი ძლიერი ინსტრუმენტია მისი მრავალფეროვანი მომხმარებლების ხელში, გააკეთონ შესაბამისი შეფასებები და დასკვნები მათთვის საინტერესო საწარმოს ფინანსური სტაბილურობისა და მოსალოდნელი რისკების შესახებ, **მაგრამ, ფინანსური ანგარიშგების ანალიზის მეთოდიკას თან ახლავს ზოგიერთი შეზღუდვები ანუ პრობლემური მხარეები,** რომლებიც ხელს უშლიან ინფორმაციის გარე მომხმარებლებს ანალიზის შედეგების სრულყოფილ შეფასებასა და ინტერპრეტაციებში. ესენია:

1. **შესადარისობა პერიოდებს შორის** – საწარმო ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას და ინახავს მას, ხოლო შეიძლება ადგილი ექნეს სააღრიცხვო ცვლილებებს. მაშასადამე, ინფორმაცია პერიოდიდან პერიოდამდე შეიძლება შეიცვალოს;
2. **შესადარისობა საწარმოებს შორის** – ანალიტიკოსი ხშირად ერთმანეთს უდარებს სხვადასხვა საწარმოს ფინანსურ კოეფიციენტებს, რათა შეისწავლოს როგორ შეესაბამებიან ისინი ერთმანეთს. ყოველმა კომპანიამ ინფორმაცია შეიძლება დააჯგუფოს სვადასხვაგვარად. ამიტომ, მათი კოეფიციენტების შედეგები არაშესადარისი აღმოჩნდნენ.

ამის გამო ანალიტიკოსმა შეიძლება საწარმოს შედეგების შესახებ არასწორი დასკვნები გააკეთოს მის კონკურენტებთან შედარებით;

3. **საოპერაციო (ოპერატიულ) ინფორმაციაზე მიუწვდომლობა** – ფინანსური ანგარიშგების ანალიზი მხოლოდ ფინანსურ ინფორმაციას მიმოიხილავს და არა მის საოპერაციო ინფორმაციას, ამიტომ ანალიტიკოსს არ შეუძლია დაინახოს საქმიანობის მომავალი შედეგების საკვანძო მაჩვენებლები, როგორიცაა, ცალკეული სახის პროდუქციის მომგებიანობა, შეკვეთების პორტფელის მოცულობა და შედგენილობა, ან ცვლილებები საგარანტიო მოთხოვნებში და ა.შ. ოღონდაც, ეს არ ეხება ინფორმაციის შიგა მომხმარებლებს (მმართველობას). მათ ფინანსური ინფორმაციის მისაწვდომობის პრობლემა არა აქვთ.

ამრიგად, ფინანსური ანგარიშგების ანალიზი მხოლოდ საერთო სურათის შედეგებს წარმოადგენს. ფინანსური ანგარიშგების კოეფიციენტების უმრავლესობა მიუთითებს საწარმოს მხოლოდ პოტენციურ პრობლემებზე, რომლებსაც ინფორმაციის გარე მომხმარებელი ყურადღებას აქცევს. იგი გარედან უყურებს მოცემული საწარმოს ფინანსურ შედეგებს და გადაწყვეტილებას იღებს მასთან ეკონომიკური ურთიერთობების გაგრძელების ან შეწყვეტის შესახებ, რაზეც ფინანსური ანგარიშგების შეზღუდულობა არსებით ხასიათს ვერ ახდენს.

მიუხედავ გარკვეული შეზღუდულობისა, ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის ანალიზი საწარმოს მენეჯმენტს (რომელსაც არ აქვს შიგა ინფორმაციის მისაწვდომობის პრობლემა),შიგა ინფორმაციასთან ერთად საშუალებას აძლევს წარსული შედეგების საფუძველზე დაგეგმოს მომავალი და იწინასწარმეტყველოს განუსაზღვრელობებიც კი.

თავი 3. ბუღალტრული ბალანსის ანალიზის მეთოდიკა

3.1. ბუღალტრული ბალანსის ჰორიზონტალური და ვერტიკალური ანალიზის მეთოდიკა

ბუღალტრულ ბალანსში, როგორც ცნობილია მოცემულია საწარმოს რესურსებისა (ანუ აქტივების) და მათი დაფინანსების წყაროების სტრუქტურა. აღვნიშნავთ, რომ ფინანსური ანგარიშგების და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები ბუღალტრული ბალანსის მეორე მხარეს უწოდებს – "ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი". ჩვენი აზრით, ვინაიდან ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი არსებითად, ორივე რესურსების დაფინანსების წყაროა, მართებულია მათი საერთო ცნებით მოხსენიება, როგორც - „კაპიტალი“. ეს სახელწოდება არის გავრცელებული „ეკონომიქსის“ (ეკონომიკის პრინციპების) სახელმძღვანელოებშიც.

მიუხედავად საწარმოთა სამართლებრივი ფორმებისა, ბუღალტრული ბალანსი ყოველთვის ეყრდნობა შემდეგ ტოლობას, რომელიც საბალანსო ტოლობითაა ცნობილი:

აქტივი = საკუთარი კაპიტალი + ვალდებულებები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების (შემდგომში, ბუღალტრული ბალანსის) ინფორმაციის საშუალებით შეისწავლება საწარმოს ფინანსური პოზიციები, მისი ფინანსური სტაბილურობა, გადახდისუნარიანობა და ლიკვიდურობა, აგრეთვე ბიზნესსაქმიანობის რისკების დონე.

ამასთან, ბუღალტრულ ბალანსში ინფორმაცია მოცემულია წლის დასაწყისისა და წლის ბოლოსათვის, რაც იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ შესწავლილ იქნეს საწარმოს გადახდისუნარიანობის და ლიკვიდურობის ცვლილება წლის განმავლობაში. ბუღალტრული ბალანსი საშუალებას იძლევა დადგენილ იქნეს, რამდენად შეუძლია საწარმოს დაფაროს თავისი ვალდებულებები, რამდენად აქტიურია ბიზნესი, რამდენად არის იგი დამოკიდებული სხვაზე (კრედიტორებზე) ანუ რა ფინანსური პოზიციები უჭირავს მას, რა რესურსები გააჩნია მოცემულ მომენტში და როგორია მათი დაფინანსების წყაროების სტრუქტურა. აგრეთვე, შეიძლება შეფასდეს, საწარმოში შენარჩუნებულია თუ არა კაპიტალი, რასაც კაპიტალის ფინანსური შენარჩუნების კონცეფცია ეწოდება.

საწარმოს ბალანსის ანალიზი საკმაოდ შრომატევადი პროცესია, რომლის დროსაც, პირველ რიგში უნდა მოხდეს ფინანსური ანგარიშგების წინასწარი შეფასება, კერძოდ უნდა დადგინდეს და შეფასდეს:

1. საწარმოს არადამაკმაყოფილებელი საქმიანობა საანგარიშო პერიოდში და შედეგად წარმოშობილი არასტაბილური ფინანსური მდგომარეობა (გაურკვეველი ზარალი, ვადაგადაცილებული სესხები და გადასახდელები და ა.შ.);
2. საწარმოში არსებული გარკვეული ნაკლოვანებების მტკიცებულება, რომელთა, რეგულარულად გამეორება მიმდინარე პერიოდში, მნიშვნელოვნად იმოქმედებს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე (ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანების თანხები, ფინანსურ შედეგებზე ჩამოწერილი დავალიანებები, ჯარიმები, გირაო, უარყოფითი წმინდა ფულადი სახსრების ნაკადი და ა.შ.).

საწარმოთა ბალანსის ანალიზი შეიძლება განხორციელდეს რამდენიმე ეტაპად. ასეთი მეთოდით ანალიზის ჩატარება საწარმოს ფინანსური მდგომარეობის სრული და ობიექტური შეფასების საშუალებას იძლევა იმ შემთხვევაში, თუ ხელმისაწვდომია სრული და ზუსტი საინფორმაციო ბაზა. ანალიზის ჩატარების პროცესში არანაკლებ მნიშვნელოვანია ანალიტიკოსთა მაღალი პროფესიონალიზმი.

დღეისათვის, პრაქტიკაში გამოყენებული ფინანსური კოეფიციენტები, რომლებიც ასახავენ ფინანსურ მაჩვენებელთა სისტემაში ჩამოყალიბებულ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს და ამ დამოკიდებულებათა გავლენას საწარმოს ფინანსურ საქმიანობაზე, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს უნივერსალურ მეთოდებად, თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ამ კოეფიციენტების გაანგარიშების მეთოდიკა სხვადასხვა დარგების მიხედვით განსხვავებული არ არის. გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე გაანგარიშებულ მაჩვენებლებს სტატიკური ხასიათი აქვთ, ამიტომ საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასება მათ საფუძველზე არ იქნება რეალური, თუ ეს მაჩვენებლები საანალიზო საწარმოს ოთხი-ხუთი, ან უფრო მეტი საანგარიშგებო პერიოდის მონაცემების მიხედვით არ იქნება შესწავლილი.

საწარმოთა ბალანსის ანალიზის მიმართულებები და საანალიზო მაჩვენებლები წარმოდგენილია 3.1.1. ცხრილში. ბალანსის დინამიკისა და სტრუქტურის ანალიზის დროს მიზანშეწონილია დადგინდეს ბალანსის ყველაზე მნიშვნელოვანი მუხლების (ჯგუფების) ზრდის ტემპი და მოხდეს შედეგების შედარება შემოსავლის ზრდის ტემპთან. ანალიზის მნიშვნელოვანი მიმართულებაა ვერტიკალური ანალიზი, რომელიც ტარდება ზოგადი ფინანსური პოზიციების დასადგენად.

ბუღალტრული ბალანსის ვერტიკალური ანალიზის მეშვეობით ფასდება საწარმოს ქონების სტრუქტურული ცვლილებები და აქტივებისა და ვალდებულებების თანაფარდობა.

"კარგი ფინანსური პოზიციების“ ბუღალტრული ბალანსი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ცხრილი 3.1.1. ბუღალტრული ბალანსის ანალიზის მიმართულებები და მაჩვენებლები

	ბუღალტრული ბალანსის ანალიზის მიმართულებები	**საანალიზო მაჩვენებლები**
1	ბალანსის დინამიკისა (ჰორიზონტზალური) და სტრუქტურის(ვერტიკალური) ანალიზი	1. ქონების დინამიკა 2. მიმდინარე აქტივების წილი ქონებაში 3. წმინდა მიმდინარე აქტივების ანალიზი 4. ფულადი სახსრების და მოკლევადიანი ინვესტიციების წილი მიმდინარე აქტივებში
2	ფინანსური მდგრადობის ანალიზი	1. კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი 2. ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი 3.ნასესხები და საკუთარი სახსრების თანაფარდობა 4. კაპიტალის უსაფრთხოების (შენარჩუნების) კოეფიციენტი 5. კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი
3	გადახდისუნარიანობის ანალიზი	1. აბსულუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი 2. სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი 3. მიმდინარე ლიკვიდურობის (დაფარვის) კოეფიციენტი 4. საერთო გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი 5. ინვესტირების კოეფიციენტი
4	ბიზნესის აქტიურობის ანალიზი (საქმიანი აქტივობის ანალიზი)	1. აქტივებში ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობის კოეფიციენტები 2. ლევერიჯის საბალანსო კოეფიციენტები

ა) საანგარიშო პერიოდის ბოლოს ბალანსის აქტივი იზრდება პერიოდის დასაწყისთან შედარებით, ხოლო მისი ზრდის ტემპი უფრო მაღალია, ვიდრე ინფლაციის მაჩვენებელი, მაგრამ არა უფრო მაღალი ვიდრე შემოსავლის ზრდის ტემპი;

ბ) მიმდინარე აქტივების ზრდის ტემპი უფრო მაღალია, ვიდრე გრძელვადიანი აქტივებისა და მოკლევადიანი ვალდებულებების ზრდის ტემპები;

გ) დაფინანსების გრძელვადიანი წყაროების (საკუთარი კაპიტალი და გრძელვადიანი ნასესხები კაპიტალი) ზრდის ტემპი არ აღემატება მიმდინარე აქტივების შესაბამის მაჩვენებლებს;

დ) საკუთარი კაპიტალის წილი ბალანსის აქტივების 50% ზე ნაკლები არაა;

ე) დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების სიდიდე, ხვედრითი წილი და ზრდის ტემპი დაახლოებით ერთნაირია;

ვ) ბალანსში არ არის ზარალი.

ბალანსის ანალიზის დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს ცვლილებები ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდოლოგიასა და საგადასახადო კანონმდებლობაში, აგრეთვე საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკა.

ბუღალტრული ბალანსის ვერტიკალური და ჰორიზონტალური ანალიზის მეთოდის გამოყენებით შესაძლებელი ხდება საწარმოთა ქონებრივი მდგომარეობის შეფასება და შესწავლა.

ბალანსის ვერტიკალური ანალიზი პასუხობს **აქტივებთან, ვალდებულებებთან და კაპიტალთან** დაკავშირებულ შემდეგ კითხვებს:

- მთლიანი აქტივების რამდენი პროცენტია მიმდინარე აქტივები? მთლიანი ვალდებულებების და კაპიტალის რამდენი პროცენტია მიმდინარე ვალდებულებები? მიმდინარე აქტივების წილი აქტივებში, უფრო მაღალი უნდა იყოს, ვიდრე მიმდინარე ვალდებულებების წილი მთლიან კაპიტალში (ვალდებულბებისა და საკუთარი კაპიტალის ჯამი). რა წილი აქვს სააქციო კაპიტალს აქტივებში? როგორ იცვლება ეს თანაფარდობა დროთა განმავლობაში? - კერძოდ, იზრდება თუ მცირდება.
  - თუ წილი იზრდება, ეს შეიძლება იმის მანიშნებელია, რომ კომპანიას უჭირს ან არ სურს თავისი აქციების გაყიდვა?

    თუ აქციების გაყიდვა უჭირს კომპანიას, ეს ორი მიზეზით შეიძლება იყოს გამოწვეული:

    1. გაიზარდა კონკურენცია დარგში ან
    2. კომპანიაში დაგროვდა მოძველებული მარაგი.

    მაგრამ, თუ არ სურს ფინანსურ მენეჯმენტს აქციების გაყიდვა, ეს იმასაც შეიძლება ნიშნავდეს, რომ საკუთარი კაპიტალი საკმარისია და ბიზნესი აქტიურია.
- მთლიანი აქტივების რამდენი პროცენტია დებიტორული დავალიანება?- დროთა განმავლობაში მნიშვნელოვნად იცვლება თუ არა თანაფარდობა, თუ იცვლება, მაშინ იზრდება თუ მცირდება:
  - თუ წილი იზრდება, ეს შეიძლება მიუთითებდეს, რომ კომპანიას უჭირს დებიტორული დავალიანებების ამოღება. თუ დებიტორული დავალიანებები შემცირდება, შეიძლება ეს ნიშნავდეს რომ კომპანიამ გაამკაცრა საკრედიტო პოლიტიკა. მაგრამ ამით შესაძლოა

კომპანიამ დაკარგოს მყიდველები. ამიტომ შეიძლება კომპანიამ ნაკლებად მკაცრი საკრედიტო პოლიტიკა აირჩოს და დროებით შეიძლება ბანკის ფაქტორინგული მომსახურება გამოიყენოს;

- როგორია კაპიტალის (დაფინანსების წყაროების) სტრუქტურული შემადგენლობა ან, სხვა სიტყვებით, მთლიანი აქტივების რა წილია დაფინანსებული ვალდებულებებით და რა ნაწილი - საკუთარი კაპიტალით.

ცხრილი 3.1.2. საანალიზო საწარმოთა ბალანსის ვერტიკალური ანალიზის ზოგადი

შედეგები 2017 წლის ბოლოს (ხვედრითი წილი %-ად)

საწარმოები	აქტივები			კაპიტალი			
	გრძელ-ვადიანი	მიმდი-ნარე	ჯამი	გრძელ-ვადიანი ვალდებ.	მიმდი-ნარე ვალდებ.	საკუთა-რი კაპი-ტალი	ჯამი
1. სს,,კოკა- კოლა ბოთლერს ჯორჯია”	83.85	16.15 -	100	35.38	24.61	40.01	100
2. სს ,,თელიანი ველი“:	75.32	24.68	100	4.94	10.01	85.05	100
3. სს ,,სანტე“	67.04	32.96	100	0.29	20.84	78.88	100
4. სს ,, ნიკორა”	60.94	39.06	100	13.85	69.38	16.77	100
5.სს,,საქართველოს რკინიგზა“	89.18	10.82	100	50.72	7.55	41.73	100
6. შპს ,,იფქლი დიღომი	69.49	30.51	100		14.98	85.02	100
7. .სს ,,გუდვილი“	34.47	65.52	100		89.19	(60.52)	100
8. სს „თელასი“	74.21	25.79	100	48.12	13.41	38.47	100
9. სს „საფონდო ბირჟა“	29.45	70.55	100	-	13.06	86.94	100
10. სს „იმედი L“	32.98	67.03	100	-	79.49	20.51	100

მაგალითისათვის 3.1.2 ცხრილში წარმოდგენილია საანალიზო საწარმოთა ბალანსის სტრუქტურა. როგორც ცხრილიდან ჩანს, გრძელვადიანი აქტივების წილი 83.85 პროცენტია, ხოლო გრძელვადიანი ვალდებულებების წილი იმავე აქტივების მიმართ 38.35 %. მაშასადამე, უნდა ვივარაუდოთ, რომ გრძელვადიანი აქტივების დანარჩენი ნაწილი საკუთარი კაპიტალითაა დაფინანსებული, მაგრამ, საკუთარი კაპიტალის საერთო წილი აქტივებში 40.1%-ია, მათი ჯამი კი 75.39%-ია (38.35+40.01), რასაც გრძელვადიანი აქტივების წილი მაინც აღემატება. მაშასადამე, გრძელვადიანი აქტივები არა მხოლოდ პერმანენტული კაპიტალით,

არამედ მოკლევადიანი ვალდებულებებითაც არის დაფინანსებული, რაც ეკონომიკური (იმავე დროს ფინანსური) თვალსაზრისით გაუმართლებელია. როგორც წესი, გრძელვადიან აქტივს შედეგები მოაქვს რამდენიმე წლის განმავლობაში, მოკლევადიანი ვალდებულებები კი ერთ წელიწადში უნდა დაიფაროს. აქედან გამომდინარე, ეს უკვე ფინანსური სირთულეების წარმოშობის მიზეზია.

რაც შეეხება მიმდინარე აქტივებს, მისი წილი 16.15%-ია, მიმდინარე ვალდებულებებისა კი 24,61%. მაშასადამე, საწარმოს საკუთარი საბრუნავი სახსრები არ გააჩნია. რაც უკვე ფინანსურ არასტაბილურობაზე მიუთითებს. მსგავსი ვითარებაა „გუდვილში“, „თელასში„ და „იმედი L-ში.“

სს „თელიანი ველში“ მიმდინარე აქტივები აღემატება მიმდინარე ვალდებულებებს ანუ წმინდა მიმდინარე აქტივი, სხვაობა მიმდინარე აქტივებსა და მიმდინარე ვალდებულებებს შორის (25873-10097), დადებითი რიცხვია, ამასთან, პერმანენტული კაპიტალის წილი სულ 90%-ია. მაშასადამე, წმინდა მიმდინარე აქტივი საკუთარი კაპიტალითაა დაფინანსებული. ე.ი. გააჩნია საკუთარი საბრუნავი სახსრები, რაც დადებითი ფინანსური პოზიციაა.

ცხრილი 3.1. 3. საანალიზო საწარმოების აქტივებისა და კაპიტალის ცვლილება 2017 წელს %-ად წინა წელთან შედარებით

საწარმოები	ძირითადი საშუალებებ.	მიმდინარე აქტივები	მიმდინარე ვალდებ.	გრძელვ. ვალდებ.	საკუთარი კაპიტალი
1. სს ,,კოკა კოლა ბოთლერს ჯორჯია“	97.04	114.01	46.90	117.86	107.26
2. სს,,თელიანი ველი“	97.03	129.25	137.86	67.99	218.08
3. სს ,,სანტე“	118.68	138.00	150.36	25.05	120.52
4. სს,, ნიკორა“	103.95	173.99	161.87	43.23	271.91
5. სს ,,საქართველოს რკინიგზა“	90.04	77.21	101.89	98.99	75.76
6. შპს ,,იფქლი დიღომი“	125.37	97.80	299.54		104.15
7.სს ,,გუდვილი“	135.85	111.53	132.15	85.72	(99.36)
8. სს თელასი	116.06	98.32	106.08	193.22	101.45
9. სს „საფონდო ბირჟა“	67.86	94.81	90.57	-	96.14
10. სს „იმედი ლ“	104.94	83.47	85.42	-	80.12

საანალიზო საწარმოების ბუღალტრული ბალანსის ჰორიზონტალური ანალიზის შედეგები ობიექტური ტენდენციების გაკეთების საშუალებას იძლევა, როცა განვლილი ხუთი წლის ინფორმაციის გამოკვლევა ხდება. ჩვენთვის საანალიზო საწარმოების ინფორმაცია განვლილი ხუთი წლისთვის მიუწვდომელი იყო. ამიტომ მაგალითისათვის ცვლილება შესწავლილია წინა წელთან შედარებით. იგი წარმოდგენილია 3.1.3. ცხრილში.

დადებითად ითვლება თანაფარდობა, როცა: მიმდინარე აქტივების ზრდის ტემპი მეტია გრძელვადიანი აქტივების ზრდის ტემპზე, მაგრამ ნაკლებია შემოსავლების ზრდის ტემპზე. ასეთი თანაფარდობა ახასიათებს საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობის დაჩქარების ტენდენციას; ასეთი სურათი აღმოჩნდა მხოლოდ „კოკა-კოლასა“ და „ნიკორაში“.

აქტივების ზრდის ტემპი მეტია ვალდებულებების ზრდის ტემპზე. ასეთი ვითარება ნიშნავს რომ ვალდებულებები ეფექტიანად და მიზნობრივად გამოიყენება. დასახელებულ ტენდენციებს, 3.1.3. ცხრილის მაჩვენებლების მიხედვით, აკმაყოფილებენ საწარმოები: „კოკა-კოლა“, „თელიანი ველი“, „სანტე“, „ნიკორა“, „იმედი L“.

ამრიგად, ბუღალტრული ბალანსის ვერტიკალური და ჰორიზონტალური ანალიზი საშუალებას იძლევა შეფასდეს თუ როგორია მისი ქონებრივი მდგომარეობა დაფინანსების წყაროებთან მიმართებაში. პასუხი უნდა გაეცეს კითხვას: გააჩნია თუ არა საკუთარი საბრუნავი საშუალებები საწარმოს. ამ მიზნით გამოკვლეულ უნდა იქნას წმინდა მიმდინარე აქტივების დაფინანსების მდგომარეობა, რადგან მიმდინარე აქტივების დაფინანსების არასწორი პოლიტიკა შეიძლება საწარმოს გაკოტრების მიზეზიც კი გახდეს.

3.2. წმინდა მიმდინარე აქტივების ანალიზის მეთოდიკა

წინა საკითხიდან გამომდინარე, ცხადი გახდა, რომ საწარმოს აქტივების ანალიზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ბალანსის მიმდინარე აქტივების, ანუ საბრუნავი საშუალებების დაფინანსების საკითხი.

კერძოდ, მიმდინარე აქტივების დასაფინანსებლად გამოყენებულ იქნას როგორც მოკლევადიანი, ასევე გრძელვადიანი სესხები. „მბრძანებლურ“ საბჭოთა ეკონომიკაში მიუღებელი იყო მიმდინარე აქტივების დაფინანსება გრძელვადიანი სესხით. იგი მხოლოდ მოკლევადიანი სესხით და საკუთარი კაპიტალით ფინანსდებოდა. ძირითადი საშუალებები კი გრძელვადიანი ნასესხები სახსრებით და საკუთარი კაპიტალით. ასეთი მიდგომის დროს სხვაობა მიმდინარე აქტივებსა და მიმდინარე ვალდებულებებს შორის მთლიანად საკუთარ საბრუნავ სახსრებს წარმოადგენდა.

თანამედროვე ბიზნესში, მეწარმე თავისუფალია თავის გადაწყვეტილებებში და მიმდინარე აქტივებიც შეიძლება გრძელვადიანი სესხებით დაფინანსდეს. ამიტომ, სხვაობა მიმდინარე აქტივებსა და მიმდინარე ვალდებულებებს შორის შეიძლება არ წარმოადგენდეს საკუთარ საბრუნავ საშუალებებს.

მაშასადამე, ტერმინი მიმდინარე აქტივი არის რესურსი, რომელიც აუცილებელია საწარმოს ნორმალური ფუნქციონირებისათვის და გათვალისწინებულია, რომ ერთი წლის განმავლობაში გადაიქცევა გაცვლის საშუალებად ანუ დაბრუნდება ფულადი რესურსის სახით.

მიმდინარე აქტივებში ავანსირებულ ღირებულებას, ბრუნვის სიჩქარის გამო, როგორც ცნობილია, **საბრუნავი საშუალებები ანუ საბრუნავი კაპიტალი ეწოდება.** აქ იგულისხმება მათი ღირებულების (ანუ მასში ავანსირებული ღირებულების) მოძრაობა. ამიტომ, **როცა ბრუნვადობის საკითხი შეისწავლება, გმოყენებული უნდა იქნეს ტერმინები საბრუნავი საშუალებები ან საბრუნავი კაპიტალი.**

მაშასადამე, მიმდინარე აქტივები და საბრუნავი აქტივები სინონიმებია. საბრუნავი საშუალებები და საბრუნავი კაპიტალი - სინონიმებია. ხოლო, **მიმდინარე აქტივი და საბრუნავი კაპიტალი** - „**ერთი მედლის ორი მხარეა“. ისინი ერთმანეთის გარეშე არ არსებობენ. ერთი ფიზიკური მდგომარეობის, მეორე მასში დაბანდებული ღირებულების გამოხატულებაა.**

მიმდინარე აქტივების მართვის მნიშვნელოვანი მიმართულებაა მისი დაფინანსების წყაროების ოპტიმიზაცია. თანამედროვე ეკონომიკურ ურთიერთობებში, რადგან მიმდინარე აქტივები გრძელვადიანი ვალდებულებებითაც ფინანსდება, შეცდომა იქნება, **სხვაობას მიმდინარე აქტივებსა და მიმდინარე ვალადებულებებს შორის პირდაპირ საკუთარი საბრუნავი კაპიტალი (ან საკუთარი საბრუნავი საშუალებები) ეწოდოს.** ამიტომ, ვიზიარებთ დასავლეთის მეცნიერ-ეკონომისტების აზრს, რომლებიც სხვაობას მიმდინარე აქტივებსა და მიმდინარე ვალდებულებებს შორის წმინდა მიმდინარე აქტივს უწოდებენ. ამის შემდეგ უნდა გაირკვეს, იგი მთლიანად საკუთარი საბრუნავი საშუალებებია, თუ უნდა შემცირდეს მიმდინარე აქტივებში დაბანდებული გრძელვადიანი ვალდებულებებით, თუკი ასეთი არსებობს.

პრაქტიკაში, მიმდინარე აქტივები შესაძლოა მიმდინარე ვალდებულებებზე მეტი, ნაკლები ან ტოლი აღმოჩნდეს. წმინდა მიმდინარე აქტივი არსებობს მხოლოდ მაშინ, როცა მიმდინარე აქტივები მიმდინარე ვალდებულებებზე მეტია. ამის შემდეგ საჭირო ხდება **გაირკვეს, წმინდა მიმდინარე აქტივი საკუთარი კაპიტალით თუ გრძელვადიანი სესხებითაა დაფინანსებული. თუ ორივეთი ერთად. ეს დამოკიდებულია მიმდინარე აქტივების დაფინანსების სტრატეგიაზე, რომელიც არჩეული აქვს საწარმოს მენეჯმენტს.**

როგორც უკვე აღინიშნა, წმინდა მიმდინარე აქტივის დაფინანსების წყარო მოკლევადიანი ვალდებულებების გარდა შეიძლება იყოს პერმანენტული კაპიტალი ანუ, მხოლოდ საკუთარი კაპიტალი, ან მხოლოდ გრძელვადიანი ვალდებულებები ან ორივე ერთდროულად. საწარმოს ბუღალტრული ბალანსის ინფორმაციის საფუძველზე, მისი დადგენა შესაძლებელია აღარაა.

დავუშვათ, ბუღალტრული ბალანსის ინფორმაცია შემდეგია (იხ. ცხრილი 3.1.4.). წმინდა მიმდინარე აქტივი 200 ათ. ლარია (900-700). იგი ფინანსდება პერმანენტული კაპიტალით ანუ საკუთარი კაპიტალითა და გრძელვადაინი ვალდებულებებით, მაგრამ, ბუღალტრული ბალანსის ინფორმაციით როგორ დავადგინოთ, რომელი თანაფარდობით მოხდა ეს? პერმანენტული კაპიტალი (1000+300) აღემატება გრძელვადიან აქტივებს და შეიძლება ვივარაუდოთ, რომ წმინდა მიმდინარე აქტივი მთლიანად საკუთარი კაპიტალითაა დაფინანსებული.

ცხრილი 3.1.4. ბუღალტრული ბალანსის ზოგადი ინფორმაცია (ათ.ლ)

აქტივი	ათ.ლ	წილის %	კაპიტალი	ათ.ლ	წილის %
-მიმდინარე აქტივები	900	45	-მიმდინარე ვადლებულებები	700	35
-გრძელვადიანი აქტივები			-გრძელვადიანი ვალდებულებები	300	30
	1100	55	-საკუთარი კაპიტალი	1000	50
ჯამი	2000	100	ჯამი	2000	

წმინდა მიმდინარე აქტივი 200 ათ. ლარია (900-700). იგი ფინანსდება პერმანენტული კაპიტალით ანუ საკუთარი კაპიტალითა და გრძელვადაინი ვალდებულებებით, მაგრამ, ბუღალტრული ბალანსის ინფორმაციით როგორ დავადგინოთ, რომელი თანაფარდობით მოხდა ეს? პერმანენტული კაპიტალი (1000+300) აღემატება გრძელვადიან აქტივებს და შეიძლება ვივარაუდოთ, რომ წმინდა მიმდინარე აქტივი მთლიანად საკუთარი კაპიტალითაა დაფინანსებული. თუმცა, შესაძლოა გრძელვადიანი ვალდებულებები მთლიანად არ იყოს გრძელვადიან აქტივებში დაბანდებული. ნაწილი იქნებ მიმდინარე აქტივებშიცაა გამოყენებული. ან პირიქით, იქნებ, მიმდინარე ვალდებულებებია გამოყენებული გრძელვადიან აქტივებში? თუ გრძელვადიანი აქტივების წილი მთლიანი პერმანენტული კაპიტალის წილზე ნაკლებია, მაშინ, შეიძლება თუ არა ჩავთვალოთ, რომ მიმდინარე ვალდებულებებით დაფინანსებულია გრძელვადიანი აქტივები? და ა.შ. მრავალ სიტუაციურ შემთხვევას შეიძლება ექნეს ადგილი.

ამრიგად, ბუღალტრული ბალანსის ინფორმაციით აღარაა შესაძლებელი განისაზღვროს საკუთარი საბრუნავი საშაულებების სიდიდე. ამიტომ, საწარმოებმა ფინანსური ანგარიშგების წერილობით განმარტებებში უნდა წარადგინონ ინფორმაცია გამოყენებულია თუ არა გრძელვადიანი სესხები მიმდინარე აქტივებში და რა რაოდენობით.

დასავლეთის ქვეყნების პრაქტიკაში ცნობილია მიმდინარე აქტივების დაფინანსების სამი მოდელი. საწარმოებისათვის უფრო რეალურია შეარჩიოს სამი მოდელიდან ერთ-ერთი, რომელთა საფუძველია წანამძღვარი, რომ ლიკვიდურობის უზრუნველსაყოფად, მიმდინარე აქტივების მინიმუმ მუდმივი ნაწილი და გრძელვადიანი აქტივები უნდა იფარებოდეს პერმანენტული კაპიტალით.

I. აგრესიული მოდელი:

გრძელვად. აქტივი + საწარმოო მარაგები = საკ.კაპიტ. + გრძელვად. ვალდებულებები

აგრესიული მოდელი ნიშნავს, რომ პერმანენტული კაპიტალით უნდა დაფინანსდეს გრძელვადიანი აქტივები და მიმდინარე აქტივების მუდმივი ნაწილი ანუ საწარმოო მარაგები, რაც აუცილებელია საწარმოს შეუფერხებელი სამეურნეო საქმიანობისათვის. ამ შემთხვევაში: მიმდინარე აქტივების ცვალებადი ნაწილი მთლიანად იფარება მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებებით. ლიკვიდურობის პოზიციიდან, ეს სტრატეგიაც ძალიან რისკიანია, რადგან პრაქტიკულად შეუძლებელია მიმდინარე აქტივების მხოლოდ მინიმუმის საზღვრების განსაზღვრა.

II. **კონსერვატორული მოდელი** ვარაუდობს, რომ მიმდინარე აქტივების ცვალებადი ნაწილი ასევე იფარება პერმანენტული კაპიტალით. ამ შემთხვევაში საწარმოს არ გააჩნია მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები და ლიკვიდურობის დაკარგვის რისკიც არ არსებობს.

წმინდა მიმდინარე აქტივი = მიმდინარე აქტივებს

ეს მოდელი ხელოვნურ ხასიათს ატარებს. ეს სტრატეგია ვარაუდობს, რომ პერმანენტული კაპიტალი შემდეგ ტოლობას აბალანსებს:

გრძელვადიანი აქტივები + საწ.მარაგები + მიმდინარე აქტივის ცვალებადი ნაწილი =

= პერმანენტული კაპიტალი

III. **კომპრომისული მოდელი** უფრო რეალურია. ამ დროს, გრძელვადიანი აქტივები, საწარმოო მარაგები და მიმდინარე აქტივების ცვალებადი ნაწილის თითქმის ნახევარი იფარება პერმანენტული კაპიტალით. წმინდა მიმდინარე აქტივი უდრის საწარმოო მარაგებისა და ცვალებადი ნაწილის ნახევრის ჯამს.

წმ.მიმდ.აქტივი = საწ.მარაგი + 0,5 ცვალებადი ნაწილი

ცალკეულ მომენტებში საწარმოს შესაძლოა აღმოაჩნდეს ჭარბი მიმდინარე აქტივი, რაც უარყოფითად ზემოქმედებს მოგებაზე, მაგრამ ეს განიხილება როგორც ლიკვიდურობის დანაკარგის რისკის საჭირო დონეზე შეჩერების „გადასახადი“. სტრატეგია ითვალისწინებს გრძელვადიანი პასივების (პერმანენტული კაპიტალის) შენარჩუნებას შემდეგი საბალანსო ტოლობის (მოდელის) ბაზაზე:

მაშასადამე, თანამედროვე მიდგომების გათვალისწინებით, საკუთარი საბრუნავი საშუალებები (სახსრები) შემდეგნაირად გამოითვლება:

საკუთარი საბრუნავი საშუალებები =

= მიმდინარე აქტივები – მიმდინარე ვალდებულებები – მიმდინარე აქტივებში

დაბანდებული გრძელვადიანი ვალდებულებები.

ან,

სსს = საკ.კაპიტ. + გრძელვად. ვალდებ. – გრძელვად. აქტივები

საკუთარი საბრუნავი სახსრების შემცირების მიზეზები შეიძლება იყოს:

1. ფულადი სახსრების არადანიშნულებისამებრ (არაოპტიმალურად) გამოყენება;
2. ფულადი სახსრების ბრუნვის შეფერხება;
3. შეფერხებები დებიტორული დავალიანებების ამოღებაში;
4. მასალის მოულოდნელი გაძვირება ბაზარზე;
5. მზა პროდუქციის მარაგების ზრდა;
6. შეფერხებები მზა პროდუქციის რეალიზაციაში არაეფექტური მარკეტინგის გამო

დამატებითი მოთხოვნა საკუთარ საბრუნავ საშუალებებზე კი შემდეგი წესით გამოითვლება:

დამატებითი მოთხოვნა სსს –ზე =

= მარაგებისა და დებიტ. დავალიანებების ნამატი - კრედიტ. დავალიანებების ნამატი

შეისწავლება აგრეთვე მიმდინარე აქტივების საკუთარი კაპიტალით უზრუნველყოფის მაჩვენებელი.

K საკუთ. საბრუნავი კაპიტალით უზრუნველყოფის =

= (საკუთ.კაპიტალი - ძირითადი საშუალებები) / მიმდინარე აქტივები

განსაკუთრებით, მიმდინარე აქტივების მუდმივი ნაწილი (მატერიალური მარაგები). თუკი საწარმოს მატერიალური მარაგის მინიმალური სიდიდე მუდმივად უნდა გააჩნდეს, მაშინ შეიძლება გრძელვადიანი სესხის გამოყენებაც. ამავე დროს შეიძლება ძირითადი საშუალებების დასაფინანსებლად გამოყენებულ იქნეს მოკლევადიანი სესხები. ყველაფერი დამოკიდებულია საწარმოს ფინანსური მენეჯმენტის გადაწყვეტილებებზე და სესხების რისკის ხარისხზე (რომელი უფრო იაფია).

მიმდინარე აქტივების გრძელვადიანი ვალდებულებებით დაფინანსებას, **ჭარბ კაპიტალიზაციას უწოდებენ.**

მოკლევადიანი დაფინანსება მოიცავს სავაჭრო კრედიტებს, რომელიც ჩვეულებრივ ითვლება ყველაზე ,,იაფ" დაფინასებად მაშინ, როდესაც სესხებზე პროცენტები გაიცემა. ხოლო საკუთარი კაპიტალით დაფინანსება ძვირი უჯდება მესაკუთრეს, ვინაიდან დივიდენდი უფრო მაღალია და არ გამოიქვითება დასაბეგრი მოგებიდან, ვიდრე სესხის საპროცენტო განაკვეთები. ამასთან, მოკლევადიანი სესხი უფრო იაფია, ვიდრე გრძელვადიანი, რადგან ამ უკანასკნელის შემთხვევაში ბანკი უფრო მეტ რისკს ეწევა. თუმცა ზოგჯერ საწინააღმდეგო ტენდენციებიც შეინიშნება. მოკლევადიანი კრედიტი უფრო ძვირია, ვიდრე გრძელვადიანი. ეს მაშინ ხდება, როცა ბაზარზე გრძლევადიან პერსპექტივაში საპროცენტო განაკვეთების დაცემას მოელიან. მოკლევადიანი დაფინანსება უფრო მოქნილია გრძელვადიანთან შედარებით.

მაგალითად, თუ სახსრები მიღებულია ოვერდრაფტის ხარჯზე და გამოიყენება საბრუნავი საშუალებების (მიმდინარე აქტივების) ცვლადი ნაწილის დაფინანსებისათვის, მაშინ ისინი შეიძლება დაბრუნდეს როდესაც მათზე აღარ არის საჭიროება. ამით გაკეთდეს ეკონომია გადასახდელ პროცენტზე. ამასთან, თუ სახსრები ნასესხები იქნებოდა გრძელვადიანი პერიოდისათვის, მაშინ ვალის ადრე დაფარვა ან შეუძლებელი იქნებოდა, ანდა დაკავშირებული იქნებოდა ჯარიმის დაკისრებასთან. ამრიგად, მოკლევადიანი კრედიტის მოქნილობამ შეიძლება დაწიოს მისი საერთო ღირებულება.

ამრიგად, მართალია, მოკლევადიანი დაკრედიტება „იაფ“ დაფინასებად ითვლება, მაგრამ შეიძლება წარმოიშვას შემდეგი პრობლემები:

- მოკლევადიანი დაკრედიტება შეიძლება საჭიროებდეს მუდმივად განახლებად მოლაპარაკებებს ვადების სწრაფი ამოწურვის ან კომპანიის ფინანსური მდგომარების გამო ხელშეკრულების განახლებისათვის. თუ კომპანიას მუდმივად უწევს დაფინანსებაზე თავისი ხელშეკრულების განახლება, მაშინ იგი იმყოფება მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთების მუდმივი რყევების გავლენის ქვეშ.

ამრიგად, ბუღალტრული ბალანსის ინფორმაციით აღარაა შესაძლებელი განისაზღვროს საკუთარი საბრუნავი საშუალებების სიდიდე. ამიტომ, საწარმოებმა ფინანსური ანგარიშგების წერილობით განმარტებებში უნდა წარადგინონ ინფორმაცია გამოყენებულია თუ არა გრძელვადიანი სესხები მიმდინარე აქტივებში და რა რაოდენობით.

3.3. საწარმოს ფინანსური სტაბილურობის ანალიზის მეთოდიკა

საწარმოს ფინანსური სტაბილურობის (მდგრადობის) ანალიზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა მისი ფინანსური დამოუკიდებლობის და ფინანსური სტაბილურობის ხარისხის განსაზღვრა.

საწარმოს ფინანსური მდგრადობა (სტაბილურობა) მისი ფინანსური რესურსების ისეთი მდგომარეობა, გამოყენება და განაწილებაა, რომელიც უზრუნველყოფს საწარმოს განვითარებას მოგებისა და კაპიტალის ზრდის საფუძველზე, გადახდისუნარიანობის და კრედიტუნარიანობის შენარჩუნების პირობებში.

საწარმოს ფინანსურ მდგრადობაზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას, რომელთა დაჯგუფება შესაძლებელია შიდა და გარე ფაქტორებად.

შიდა ფაქტორებს მიეკუთვნება: ფინანსური რესურსების შემადგენლობა და მათი თანაფარდობა, აქტივების მდგომარეობა და მათი ბრუნვადობა, მენეჯმენტის პროფესიონსალიზმის ხარისხი.

გარე ფაქტორები კი არის სახელმწიფო საგადასახადო და საკრედიტო პოლიტიკა, ფინანსური ბაზრის, სადაზღვევო საქმის და საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარების ხარისხი, ვალუტის კურსის ცვლილება და საერთო ეკონომიკური სტაბილურობა.

არსებობს ფინანსური სტაბილურობის აბსოლუტური და ფარდობითი მაჩვენებლებით შეფასების მეთოდები.

აბსოლუტური მაჩვენებლების მეთოდით, საწარმოს მარაგების, საკუთარი და ნასესხები წყაროებით უზრუნველყოფის თვალსაზრისით განასხვავებენ ფინანსური მდგრადობის შემდეგ ტიპებს:

- აბსოლუტურად მდგრადი ფინანსური მდგომარეობა (რომელიც ძალზე იშვიათია);
- ნორმალურად მდგრადი ფინანსური მდგომარეობა;
- არამდგრადი ფინანსური მდგომარეობა;
- კრიზისული (კრიტიკული) ფინანსური მდგომარეობა.

- **აბსოლუტურად მდგრადია** საწარმოს ფინანსური მდგომარეობა, თუ საკუთარი საბრუნავი სახსრებით მთლიანად არის უზრუნველყოფილი მარაგები, რაც შემდეგი თანაფარდობით გამოიხატება:

მატერიალური მარაგები < საკუთარ საბრუნავ სახსრებზე

უნდა აღინიშნოს რომ ეს თანაფარდობა იშვიათად შეიძლება არსებობდეს და არ შეიძლება ჩაითვალოს იდეალურად, რადგანაც ეს ნიშნავს რომ საწარმო საქმიანობის განსახორციელებლად არ იყენებს დაფინანსების გარე წყაროებს. ეს კი საწარმოს მენეჯმენტის (მართვის) დაბალ ხარისხზე მიუთითებს. სპეციალისტთა უმრავლესობის აზრით, როგორც ადრე აღვნიშნეთ, მიჩნეულია რომ ნორმალურად ფუნქციონირებად საწარმოში, მატერიალურ ფასეულობებში, საკუთარი საბრუნავი სახსრების წილი მინიმუმ 50% უნდა იყოს.

- **ნორმალურად მდგრადი** ფინანსური მდგომარეობის დროს მარაგების უზრუნველყოფა ხდება საკუთარი საბრუნავი სახსრებითა და ნასესხები წყაროებით, რაც ასეთი დამოკიდებულებით შეიძლება გამოისახოს:

საკუთარი საბრუნავი სახსრები < მატერიალური მარაგები < მარაგების ფორმირების „ნორმალური წყაროები“

ამ შემთხვევაში საკუთარ და მოზიდულ სახსრებს შორის ოპტიმალური თანაფარდობა არსებობს. მარაგების ფორმირების „ნორმალური” წყაროების ქვეშ იგულისხმება საკუთარი საბრუნავი სახსრების, მოკლევადიანი სესხების, მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებებისა და მიღებული მოკლევადიანი ავანსების ერთობლიობა.

- **არამდგრადი** ფინანსური მდგომარეობის დროს მარაგების და დანახარჯების დაფარვა ხდება არა მხოლოდ დაფარვის „ნორმალური“ წყაროების, არამედ გრძელვადიანი ნასესხები წყაროების, ე.ი. ყველა წყაროს ხარჯზე. ამ დროს საწარმო იძულებულია ყველა სახის სესხი აიღოს მარაგების შესაძენად. აღნიშნული მდგომარეობა შემდეგი სახით გამოისახება:

მატერიალური მარაგები > მარაგების დაფინანსების „ნორმალური” წყაროები.

- **კრიზისული** ფინანსური მდგომარეობის დროს საწარმოს მარაგები არ არის უზრუნველყოფილი მათი ფორმირების ნორმალური წყაროებით და ამასთან ერთად არსებობს ვადაგადაცილებული დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები. საწარმო გაკოტრების ზღვარზე იმყოფება. კრიზისული ფინანსური მდგომარეობის დროს საწარმო მთლიანად დამოკიდებულია დაფინანსების მოზიდულ წყაროებზე. ასეთი სიტუაციის ქრონიკული განმეორების შემთხვევაში საწარმო გაკოტრებულად უნდა გამოცხადდეს.

საწარმოს ფინანსური მდგრადობის გაუმჯობესება მიიღწევა:

- მიმდინარე აქტივებში დაბანდებული კაპიტალის ბრუნვადობის დაჩქარებით;
- მარაგებისა და დანახარჯების ოპტიმალური დონის უზრუნველყოფით;
- საკუთარი საბრუნავი სახსრების შევსებით შიდა და გარე წყაროების ხარჯზე.

საწარმო ანგარიშობს ფინანსური მდგრადობის როგორც **აბსოლუტურ** ისე **შეფარდებით** მაჩვენებლებს.

ზემოაღნიშნული მეთოდიკის მიხედვით სს „კოკა კოლა-ბოთლერს ჯორჯიას “ ფინანსური მდგრადობის შეფასებით დადგინდა შემდეგი (იხ. ცხრილი 3.3.1).

„კოკა-კოლაში“ ბალანსით მოკლევადიანი აქტივები სამივე წელს ნაკლებია მოკლევადიან ვალდებულებებზე, ე.ი.საკუთარი საბრუნავი საშუალებები არ გააჩნია. მაშასადამე არასტაბილური ფინანსური მდგომარეობაა. მენეჯმენტმა კი სამი წლის განმავლობაში ეს პრობლემა ვერ გადაწყვიტა (?!).

ამასთან, ვერტიკალური ანალიზის დროს აღმოჩნდა, რომ იგი გრძელვადიან აქტივებში იყენებს მოკლევადიან ვალდებულებებს, რაც ფინანსურ მდგომარეობას კიდევ უფრო აუარესებს.

3.3.1. ცხრილის ინფორმაციიდან ჩანს, რომ საანალიზო საწარმოებს ხშირად არ გააჩნიათ საკუთარი საბრუნავი სახსრები. მიუხედავად ფინანსური დაძაბულობისა არ ჩანს, რომ ფინანსური მენეჯმენტი რაიმე დადებით ღონისძიებებს გეგმავს და ახორციელებს. მმართველობით ანგარიშგებაში ამის შესახებ არაფერია აღნიშნული. როგორც ჩანს, მენეჯმენტი ეფექტიანად ვერ მართავს და აკონტროლებს მიმდინარე აქტივებსა და მიმდინარე ვალდებულებებს, რაც ფინანსური კრიზისის ერთერთი სერიოზული მიზეზი შეიძლება გახდეს.

ანალიზში აგრეთვე გამოიყენება ფინანსური მდგრადობის შეფასების შემდეგი ფარდობითი მაჩვენებლები:

1) **საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი:** (ფინანსური დამოუკიდებლობა)

$$k = \frac{\text{საკუთარი კაპიტალი}}{\text{აქტივების ჯამი}}$$

საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი ახასიათებს საკუთარი კაპიტალის წილს აქტივებში. იგი აჩვენებს საკუთარი კაპიტალის ხარჯზე შეძენილი ქონების სიდიდეს. დადებითად ითვლება თუ ეს კოეფიციენტი 0,5 -ს აღემატება. **მას აგრეთვე საწარმოს დამოუკიდებლობის კოეფიციენტსაც უწოდებენ.** იგი უნდა იყოს 0.5-სა და ერთს შორის. რაც უფრო ახლოსაა ერთთან, საწარმო ფინანსურად მით უფრო დამოუკიდებელია. 0.5-ის ქვემოთ, საწარმო დამოკიდებული ხდება სხვებზე (კრედიტორებზე).

ცხრილი 3.3.1. ,,კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ ფინანსური სტაბილურობის აბსოლუტური მაჩვენებლები (ათასი ლარი)

	მაჩვენებლები	2016	2017	2018	2017 წლის გადახრა 2016 წლიდან	2018 წლის გადახრა 2017 წლიდან
1.	გრძელვადიანი აქტივები	156665	154253	92030	-2412	-62223
2.	მიმდინარე აქტივები ანუ საბრუნავი საშუალებები მათ შორის:					
	ა). მარაგები	9 331	8 362	9 079	-969	+717
	ბ). ფულადი სახსრები და დანარჩენი მოკლევა-დიანი აქტივები	16 736	21.356	25728	+4 620	+4372
3.	საკუთარი კაპიტალი	68628	73607	94872	+4 979	+21265
4.	გრძელვადიანი ვალდებულებები	55228	65089	67900	+9861	+2811
	მ.შ. გრძელვადიანი სესხები	55228	65089	67900	+9861	+2811
5.	მოკლევადიანი სესხები	36215	23294	29022	-12921	+5728
6.	დანარჩენი მოკლევადიანი ვალდებულებები	22661	21981	16137	-680	-5844
7.	საკუთარი საბრუნავი საშუალებები (მიმდინარე აქტივებს - მიმდინარე ვალდებულებები) ან (3+4-1)	- 32809	- 15557	-11352	არაა	არაა
8.	მარაგების ფორმირების ნორმალური წყაროების საერთო სიდიდე (7+5+6)	75.103	79.588	33 807	+4 485	-45781
9.	საკუთარ საბრუნავ საშუალებათა სიჭარბე/ (დანაკლისი) (7-2ა)	6.041	25.096	(20431)	+19 055	-45 427
10	მარაგების ფორმირების ნორმალური წყაროების სიჭარბე (ნაკლებობა) (8-2ა)	65.772	71.226	24728	+5 454	-46498

$$\textit{ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი} = \frac{\textit{აქტივები}}{\textit{საკუთარი კაპიტალი}}$$

ეს კოეფიციენტი ერთის ზემოთ უკვე ფინანსურ რისკებზე მიუთითებს.

2) **ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი** (ნასესხები კაპიტალის კონცენტრაცია):

$$k = \frac{\textit{ვალდებულებები}}{\textit{აქტივების ჯამი}}$$

ეს კოეფიციენტი 0.5 ნაკლები უნდა იყოს.

3) **ნასესხები და საკუთარი სახსრების თანაფარდობა** (ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი):

$$k = \frac{\textit{ვალდებულებები}}{\textit{საკუთარი კაპიტალი}}$$

ეს კოეფიციენტი ერთზე მეტი არ უნდა იყოს.

4) **კაპიტალის უსაფრთხოების (შენარჩუნების) კოეფიციენტი:**

$$k = \frac{\textit{საკუთარ კაპიტალი საანგარიშო პერიოდის ბოლოს}}{\textit{საკუთარი კაპიტალი საანგარიშო პერიოდის დასაწყისში}}$$

ეს კოეფიციენტი 1-ზე მეტი უნდა იყოს.

5). საკუთარი კაპიტალის მანევრირების (მობილობის) კოეფიციენტი:

$$k = \frac{\textit{საკუთარი საბრუნავი საშუალებები}}{\textit{საკუთარი კაპიტალი}}$$

იგი აჩვენებს საკუთარი კაპიტალის იმ წილს, რომელიც დაბანდებულია მიმდინარე აქტივებში. ეს კოეფიციენტი 0.3-ზე დაბალი არ უნდა იყოს. ანუ, სასურველია, საკუთარი კაპიტალის მინიმუმ 30% დაფინასებული (დაბანდებული) იქნეს მიმდინარე აქტივებში.

6) საკუთარი საბრუნავი საშუალებების ფარდობა მიმდინარე აქტივებთან:

$$k = \frac{\textit{საკუთარი საბრუნავი საშუალებები}}{\textit{მიმდინარე აქტივები}}$$

ეს კოეფიციენტი აჩვენებს, მიმდინარე აქტივების იმ ნაწილს, რომელიც დაფინანსებულია საკუთარი კაპიტალით. მისი ინტერვალი საუკეთესოა 0.4-სა 0.5-ს შორის. ანუ მიმდინარე აქტივების მინიმუმ 40-50% საკუთარი კაპიტალით უნდა იყოს დაფინანსებული.

ფინანსური კოეფიციენტების გამოსათვლელად ბუღალტრული ბალანსის ინფორმაცია გამოიყენება. ამიტომ **მათ, ბალანსის კოეფიციენტებსაც უწოდებენ.**

თანამედროვე ეტაპზე ფინანსური კოეფიციენტების ანალიზის მეთოდი ანალიზის ყველაზე ეფექტურ მეთოდად მიიჩნევა. იგი იძლევა მაჩვენებელთა დინამიკის ძირითადი მიმართულებებისა და ფაქტორთა გავლენის დადგენის საშუალებას, რაც ვერტიკალური, და ჰორიზონტალური ანალიზის საშუალებით ვერ ხერხდება.

საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი ახასიათებს საკუთარი კაპიტალის ხვედრით წონას მთლიან აქტივებში, იგი 0.5-ზე მეტი უნდა იყოს და აჩვენებს საკუთარი კაპიტალის ხარჯზე შეძენილი აქტივების სიდიდეს.

ცხრილი 3.3.2. საანალიზო საწარმოების ფინანსური სტსაბილურობის კოეფიციენტები 2016- 2017 წწ.

საწარმოთა დასახელება	მაჩვენებლები									
	საკ.კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი		ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი		ნასესხები და საკუთარი სახსრების თანაფარდობა		კაპიტალის უსაფრთხოების (შენარჩუნების) კოეფიციენტი		საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი	
	2016	2017	2016	2017	2016	2017	2016 *	2017	2016	2017
1. „კოკა კოლა“	0.38	0.40	0.62	0.60	1,66	1.50	1.90	1.07	-0.48	-0.21
2.სს„თელიანი ველი“	0.73	0.85	0.27	0.18	0.37	0.18	3.66	2.18	0.30	0.17
3. შპს „სანტე“	0,81	0,79	0,19	0,21	0.23	0.27	_	1.21	0,15	0.15
4. სს,,ნიკორა“	0,08	0,17	0,92	0,83	12,14	4,96	2,20	0,37	3,23	0,60
5.სს „საქართველოს რკინიგზა“	0.48	0.42	0.52	0.58	1.06	1.40	-	0.76	0.12	0,08
7.შპს „იფქლი დიღომი“	0.94	0,85	0.06	0.15	0.06	1.76	0.79	0.96	0.32	
სს,,გუდვილი“	-0.68	-0.61	1.68	1.61	-2.47	2.65	-	0.99	0.14	0.39
სს ,,თელასი“	0.52	0.48	0.48	0.52	0.91	1.08	-	1.12	-0.22	-0.27
იმედი ლ	0,22	0.21	0,78	0,79	3,63	3,87	-	0.80	3,61	3,81
საფონდო ბირჟა	0,86	0,86	0,14	0,13	0,02	0,15	-	0,96	0,66	0,66

* შევნიშნავთ, რომ ზოგიერთი საწარმოს 2016 წლის პირველი იანვრის ფინანსური ინფორმაცია ჩვენთვის მიუწვდომელი იყო.

ცხრილი 3.2.2.-ის მაჩვენებლების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის ანუ, ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი ნორმაზე დაბალი იყო შემდეგ საწარმოებში: „კოკა-კოლა“, „ნიკორა“, „საქართველოს რკინიგზა“, „გუდვილი“, „თელასი“, „იმედი L“.

შესაბამისად, მაღალია ამავე საწარმოების კრედიტორებზე ანუ სხვებზე ფინანსური დამოკიდებულების ხარისხი (იხ. დიაგრამა 3.3.1).



დიაგრამა 3.3.1. საწარმოთა ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტის დონე

საკუთარი კაპიტალი დაცულობის ხარისხი კი ერთზე დაბალი იყო „ნიკორას“, „საქართველოს რკინგნიგზას“, „გუდვილს“, „საფონდო ბირჟასა“ და „იმედი L-ში“. ამასთან, ეს მაჩვენებელი 2017 წელს ყველგან შემცირდა წინა წელთან შედარებით. რაც მათ ფინანსურ არასტაბილურობაზე კიდევ ერთხელ მიუთითებს.

3.4. საწარმოს გადახდისუნარიანობის ანალიზის მეთოდიკა

ლიკვიდური აქტივების ცნება უკავშირდება სტაბილურად პროგნოზირებადი ფასით აქტივების სწრაფად რეალიზაციის შესაძლებლობას. ეკონომიკურ ლიტერატურაში განასხვავებენ **აქტივების, ბალანსის და საწარმოს ლიკვიდურობას.**

აქტივების ლიკვიდურობა შეფარდებითი ცნებაა, ვინაიდან მათი გაყიდვა ყოველთვის შესაძლებელია. აქტივების ლიკვიდურობის არსი ფულად საშუალებებად ქცევის უნარია. აღიარებულია, რომ შედარებით ნაკლებად ლიკვიდურია უძრავი ქონება. აქტივის ფულად ქცევის უნარი განაპირობებს ყველა აქტივის განლაგებას ლიკვიდურობის „კიბეზე“ ზრდადობის მიხედვით.

თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში ტერმინს „ლიკვიდურობა“გააჩნია გამოყენების ფართო სპექტრი და ახასიათებს ეკონომიკის სრულიად განსხვავებულ ობიექტებს. ის

გამოიყენება როგორც ეროვნული ეკონომიკის სხვადასხვა ობიექტების (საწარმო, ბანკი), ასევე ეკონომიკური ცხოვრების ობიექტების (საქონელი, ფასიანი ქაღალდი) და ეკონომიკური სუბიექტების საქმიანობისათვის დამახასიათებელი ცალკეული მხარეების (საწარმოს ბალანსი, ბანკის ბალანსი) დახასიათებისათვის. აქედან გამომდინარეობს აქტივების, ბალანსის, საწარმოს ლიკვიდურობის ცნებები.

ლიკვიდურობა წარმოადგენს ცალკეულ ფასეულობათა ფულად ფორმაში გადასვლის უნარს, თავისი საბალანსო ღირებულების არსებითი ცვლილების გარეშე. ლიკვიდურობის ხარისხი განისაზღვრება დროის ხანგრძლივობით, რომლის განმავლობაშიც ეს ტრანსფორმაცია შეიძლება განხორციელდეს.

ბალანსის ლიკვიდურობა ნიშნავს სამუშაო კაპიტალის ხელმისაწვდომობას იმ ოდენობით, რომელიც პოტენციურად საკმარისია მოკლევადიანი ვალდებულებების დაფარვისთვის. ე,ი გააჩნია შესაძლებლობა მოცემულ დროს უზრუნველყოს ვალდებულებების დაფარვა თავისი აქტივებით, სხვა წყაროების ან სახსრების მოზიდვის გარეშე. ლიკვიდური ბალანსი ორგანიზაციის გადახდისუნარიანობის საფუძველია.

საწარმოს ლიკვიდურობა უფრო ფართო ცნებაა ვიდრე ბალანსის ლიკვიდურობა. ბალანსის ლიკვიდურობა ითვალისწინებს გადახდის საშუალებათა არსებობას შიდა წყაროების ხარჯზე (აქტივების რეალიზაცია). ამავე დროს საწარმოს შეუძლია ნასესხები სახსრების მოზიდვა გარედანაც, თუკი მას გააჩნია შესაბამისი იმიჯი საქმიან სფეროში და საინვესტიციო მიმზიდველობის საკმაოდ მაღალი დონე.

შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ საწარმოს ლიკვიდობის ქვეშ იგულისხმება მისი უნარი შეასრულოს თავისი ვალდებულებები, გააჩნია თუ არა ამისათვის საკმარისი ოდენობის სახსრები.

ერთი შეხედვით, ლიკვიდურობა ასეთი ფორმულირებით არ განსხვავდება გადახდისუნარიანობისაგან, ე.ი. საწარმოს უნარისგან პასუხი აგოს თავის ვალდებულებებზე დროის კონკრეტული მომენტისათვის.

საწარმოს გადახდისუნარიანობა არის საწარმოს უნარი, დროულად და სრულად დაფაროს თავისი ფინანსური ვალდებულებები. გადახდისუნარიანობა გულისხმობს საწარმოში ფულისა და მისი ექვივალენტების იმ ოდენობით არსებობას, რომელიც საკმარისია სასწრაფო კრედიტორული დავალიანებების დასაფარავად. ამრიგად, გადახდისუნარიანობის მნიშვნელოვან მახასიათებლებს წარმოადგენს საწარმოში ფულის საკმარისი ოდენობით არსებობა და ვადაგადაცილებული კრედიტორული დავალიანებების არ არსებობა.

ამავე დროს, ლიკვიდურობა ვალდებულებების დაფარვის შესაძლებლობაა, ხოლო გადახდისუნარიანობა - ვალდებულებების შესრულებისათვის პირობების შექმნა, გადახდისუნარიანობა დამოკიდებულია ბუღალტრული ბალანსის ფულადი მუხლების არსებობასა და საწარმოს ლიკვიდურობაზე. ლიკვიდურობა ხასიათდება, როგორც ანგარიშსწორებათა

მდგომარეობა მიმდინარე პერიოდში და პერსპექტივაში. საწარმო შეიძლება იყოს გადახდისუნარიანი საანგარიშგებო თარიღისათვის, მაგრამ გააჩნდეს არაკეთილსასურველი შესაძლებლობანი მომავლისათვის.

თუმცა, ლიკვიდურობა და გადახდისუნარიანობა არ არის ერთი და იგივე ცნებები. მაგალითად, ლიკვიდურობის კოეფიციენტების მიხედვით შეიძლება საწარმოს ფინანსური მდგომარეობა დადებითად ხასიათდებოდეს, თუმცა ეს შეფასება შეიძლება მცდარი იყოს, თუ საბრუნავი აქტივების შედგენილობაში სჭარბობს ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანებები და ისეთი აქტივები, რომელთა რეალიზება ბაზარზე შეუძლებელია არსებითი ფინანსური დანაკარგების გარეშე.

ლიკვიდურობა გადახდისუნარიანობასთან შედარებით ნაკლებად დინამიურია. ლიკვიდურობის კოეფიციენტი ჩვეულებრივად მერყეობს გარკვეულ ფარგლებში და ანალიტიკოსებს საშუალება ეძლევათ გააკეთონ შესაბამისი დასკვნები და ორიენტაცია აიღონ საწარმოს საქმიანობის ახალ მიმართულებებზე. რაც შეეხება გადახდისუნარიანობას, ის შეიძლება ძალზე ცვალებადი იყოს, ერთ დღეში საწარმო გადახდისუნარიანიდან შეიძლება გადახდისუუნარო გახდეს მორიგ კრედიტორთან ანგარიშსწორების დროის დადგომისას, თუ მას ფული არ გააჩნია დებიტორების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის გამო.

საწარმოს ბალანსის ლიკვიდურობის განსაზღვრა ხდება აქტივებსა და ვალდებულებებს შორის თანაფარდობის დადგენით.

ბალანსის ლიკვიდურობის შეფასება შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა მეთოდით, მათ შორის ლიკვიდობის კოეფიციენტების გაანგარიშების საფუძველზე.

ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის შეფასების მაჩვენებლებია:

- ფუნქციონირებადი სამუშაო კაპიტალის მანევრირების მაჩვენებელი;
- მიმდინარე ლიკვიდურობის (დაფარვის) კოეფიციენტი;
- სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი;
- აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი;
- საკუთარი საბრუნავი სახსრების ხვედრითი წილი მარაგების დაფარვაში;
- მარაგების დაფარვის კოეფიციენტი

თითოეული კოეფიციენტის გაანგარიშება მოიცავს მიმდინარე აქტივების გარკვეულ ჯგუფებს, რომლებიც განსხვავდება ლიკვიდობის ხარისხით (ე.ი. წარმოებისა და კომერციული ციკლის განმავლობაში ფულადი სახსრების გადაქცევის უნარით). გაიანგარიშებენ ლიკვიდობის შემდეგ კოეფიციენტებს: აბსოლუტური, სწრაფი და საერთო (მიმდინარე) ლიკვიდურობის კოეფიციენტები.

1. აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი:

$$K = \frac{\textit{ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები}}{\textit{მიმდინარე ვალდებულებები}}$$

აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი 0.20 ნაკლები არ უნდა იყოს.

2. **სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი:**

$$K = \frac{\text{ფულადი სახსრები + დებიტორული დავალიანება}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}}$$

სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი იდეალურ დონედ ითვლება 1. იგი ერთზე ნაკლები არ ინდა იყოს.

3. **საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი ორსა და სამს შორის უნდა იმყოფებოდეს.**

$$K = \frac{\text{მიმდინარე აქტივები}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}}$$

გადახდისუნარიანობის ჩამოთვლილი კოეფიციენტები განხილულ იქნა ყველა საანალიზო საწარმოს მაგალითზე (იხ. ცხრილი 3.4.1.).

როგორც 3.4.1 ცხრილდან ჩანს, აბსოლუტური ლიკვიდობა, საანალიზო საწარმოებში, ,,საფონდო ბირჟის" გარდა არ არის ნორმის ფარგლებში, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნულ საწარმოებს მიმდინარე ვალდებულებების დასაფარად საკუთარი ფულადი სახსრები არ გააჩნიათ.

ცხრილი 3.4.1 საანალიზო საწარმოების ლიკვიდურობის კოეფიციენტები 2016-2017 წწ.

საწარმოთა დასახელება		ლიკვიდურობის კოეფიციენტები					
		აბსოლუტური		სწრაფი		საერთო	
		2016	2017	2016	2017	2016	2017
1	,,კოკა-კოლა"	0,0289	0,0605	0,2836	0,4608	0,4428	0,6564
2	„თელიანი ველი"	0,6789	0,7260	1,4907	1,5025	2,6291	2,4648
3	„სანტე"	0,3870	0,3923	0,7242	0,8309	1,7237	1,5820
4	სს,,ნიკორა"	0,0405	0,1466	0,1573	0,2577	0,5238	0,5630
5	სს „საქართველოს რკინიგზა"	1,2709	1,0718	1,6916	1,2803	1,8904	1,4326
6	შპს „იფქლი დიღომი"	0,7566	0,1770	2,0350	0,9128	6,2382	2,0368
7	,,გუდვილი"	0,0982	0,1216	0,2321	0,2012	0,8706	0,7348
8	სს,,თელასი"	0,1805	0,1501	0,6311	0,5729	0,7233	0,6705
9	,,საფონდო ბირჟა"	4,7507	4,9249	5,0419	5,2714	5,1618	5,4033
10	იმედი ლ	0,0908	0,0369	0,2992	0,2452	0,8694	0,8433

სწრაფი ლიკვიდობა, საანალიზო საწარმოებში დასაშვები ნორმის ფარგლებში აქვთ საწარმოებს: სააქციო საზოგადოებებს: ,,საქართველოს რკინიგზას“, ,,თელიან ველს“,, საფონდო ბირჟას“.

საერთო ანუ მიმდინარე ლიკვიდურობა, საანალიზო საწარმოებში დასაშვები ნორმის ფარგლებში აქვთ საწარმოებს :შპს,,იფქლი დიღომს“ და ,,თელიან ველს“ რაც იმას ნიშნავს, რომ დანარჩენი საწარმოები მიმდინარე ვალდებულებებს მიმდინარე აქტივებით ვერ ფარავენ.

საწარმოს ბალანსის ლიკვიდურობის ანალიზი იწყება აქტივების და ვალდებულებების დაჯგუფებით, აქტივების ლიკვიდურობის ე.ი ფულად საშუალებად გადაქცევის სისწრაფის და ვალდებულებების დაფარვის სისწრაფის მიხედვით. გამოყოფენ აქტივების და ვალდებულებების ოთხ ჯგუფს:

საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი 2-სა და 3-ს შორის უნდა ერყეობდეს. დიაგრამზე ნათლად ჩანს, რომ ნორმის ფარგლებში მხოლოდ „თელიანი ველისა“ და „იფქლი დიღომის“ მაჩვენებლები იმყოფება. დანარჩენ საწარმოებში გადახდისუნარანობის ეს მაჩვენებელი ნორმის ფარგლებს გარეთ იმყოფება, რაც არასასურველი ვითარებაა



დიაგრამა 3.4.1. საწარმოთა საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი

საწარმოთა აქტივების ჯგუფებია:

A_1 - მაღალლიკვიდური აქტივები (ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები);

A_2 - საშუალო გაყიდვების სიჩქარის აქტივები (სხვა მოკლევადიანი ფინანსური ინვესტიციები, მოკლევადიანი დებიტორული დავალიანებები (12 თვემდე);

A_3 - ნელა რეალიზებადი აქტივები (აქციები, გრძელვადიანი დებიტორული დავალიანებები (12 თვის შემდეგ), დღგ შეძენილ ფასეულობებზე, მიმდინარე აქტივები);

A_4 – ძნელად რეალიზებადი აქტივები (გრძელვადიანი აქტივები)

ვალდებულებების (კაპიტალის) ჯგუფებია:

P_1- ვალდებულებები მოწოდებიდან;

P_2 - სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები;

P_3 - გრძელვადიანი ვალდებულებები;

P_4 - საკუთარი კაპიტალი.

აქტივებისა და ვალდებულებების დაწყვილებული ჯგუფების რეკომენდებული თანაფარდობები, რომლებიც ახასიათებს აბსოლუტურად ანუ 100% ლიკვიდურ ბალანსს, შემდეგია:

$A_1 \geq P_1$ (ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ≥ ვალდებულებები მოწოდებიდან)

$A_2 \geq P_2$ (მოკლევადიანი ფინანსური ინვესტიციები, მოკლევად. დებიტ. დავ. ≥ ვალდებულებები მოწოდებიდან);

$A_3 \geq P_3$ (ნელა რეალიზებადი აქტივები ≥ გრძელვადიანი ვალდებულებები);

$A_4 \leq P_4$ (ძნელად რეალიზებადი აქტივები ≤ საკუთარი კაპიტალი).

მაგალითები, 2918 წლის მდგომარეობით

სს კოკა-კოლა:	$A_1 \geq P_1$ - **არაა დაცული;**	$A_4 \leq P_4$ - **არაა დაცული**
სს თელიანი ველი:	$A_1 \geq P_1$ - **დაცულია;**	$A_4 \leq P_4$ - **დაცულია**
სს გუდვილი :	$A_1 \geq P_1$ - **არაა დაცული;**	$A_4 \leq P_4$ - **არაა დაცულია**
სს საქ. რკინიგზა:	$A_1 \geq P_1$ - **არაა დაცულია;**	$A_4 \leq P_4$ - **არაა დაცულია**

მაშასადამე, არასტაბილური მდგომარეობაა ამ მიმართულებით.

ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის მთავარი მახასიათებელია მისი გადახდისუნარიანობა, რაც ნიშნავს საწარმოს უნარს დროულად დაფაროს ყველა ვალდებულება (გრძელვადიანი და მოკლევადიანი).

საწარმოს ლიკვიდურობა ნიშნავს საჭირო ფულადი თანხების არსებობას ვალდებულებების დროულად დასაფარად, ამდენად, საწარმოს ლიკვიდურობა და გადახდისუნარიანობა არსით ერთმანეთთან დაკავშირებული ცნებებია, თუმცა ლიკვიდურობა ვალდებულებების დაფარვის შესაძლებლობაა, ხოლო გადახდისუნარიანობა - ვალდებულებების შესრულებისათვის პირობების შექმნა.

საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებულია გადახდისუნარიანობის ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები:

ა) საერთო გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი:

$$K = \frac{\textit{აქტივების ჯამი}}{\textit{მოზიდული კაპიტალი}}$$

აქტივების ჯამისა და სასესხო კაპიტალის თანაფარდობა ახასიათებს მოზიდული კაპიტალის გადახდის საერთო დონეს. ეს კოეფიციენტი 2-ზე მაღალი უნდა იყოს.

ბ) ინვესტირების კოეფიციენტი:

$$K = \frac{\textit{საკუთარი კაპიტალი} - \textit{საკუთარი. საბრ. საშუალებები}}{\textit{გრძელვადიანი აქტივი}}$$

ეს კოეფიციენტი ახასიათებს გრძელვადიანი აქტივების იმ წილს, რომელიც დაფინანსებულია საკუთარი კაპიტალით. ეს თანაფარდობა სასურველია 0.5-ზე დაბალი არ იყოს (იხ. ცხრილი 3.4.2) .

საერთო გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი რაც უფრო შორსაა 2-დან, მით უფრო ნაკლებადაა საწარმო კრედიტორებზე დამოკიდებული. როგორც 3.4.2 ცხრილიდან ჩანს, იგი 2016 წელს ხუთ საწარმოში, 2017 წელს კი ოთხ საწარმოში იყო 2-ზე მაღალი.

ცხრილი 3.4.2. საანალიზო საწარმოების გადახდისუნარიანობის ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები

საწარმოთა დასახელება		გადახდისუნარიანობის ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები				
		საერთო გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი (2-ზე მაღალი უნდა იყოს)			ინვესტირების კოეფიციენტი	
		2016	2017	2018	2016	2017
1	სს,,თელასი“	2.0978	1,9275	2,129	0,7364	0,6484
2	სს,,ნიკორა“	1,0823	1,2015	2,271	0,1052	0,2752
3	შპს „იფქლი დიღომი“	17,3263	6,6765	3,648	1,4724	1,2234
4	სს „საქართველოს რკინიგზა“	1,9390	1,7160	1,305	0,5523	0,4679
5	„სანტე“	5,8052	4,7992	5,819	1,1571	1,1766
6	„თელიანი ველი“	3,6853	6,6889	6,110	1,1328	1,1292
7	,,კოკა-კოლა“	1,6015	1,6669	1,794	0,4381	0,4772
8	,,გუდვილი“	0,6029	0,6230	0,874	-1,9626	1,7560
9	იმედი ლ	1,2687	1,2581	1,573	0,6780	0,6221
10	,,საფონდო ბირჟა“	7,2732	7,6592	-	2,9711	2,9525

ამრიგად, საერთო გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი ნორმის ფარგლებში ორსა და სამს შორის იყო მხოლოდ 2016 წელს სს თელასში. ასვე, ინვესტირების კოეფიციენტი მრავალ საწარმოში ერთზე დაბალია.



დიაგრამა 3.4.2. ინვესტირების კოეფიციენტი 2017 წლის მდგომარეობით

ამდენად, როგორც 3.4.2. დიაგრამა აჩვენებს, ინვესტირების კოეფიციენტი (საკუთარი კაპიტალის ფარდობა გრძელვადიან აქტივებთან) მხოლოდ სამ საწარმოშია ნორმაზე დაბალი.

3.5. ბიზნესის საქმიანი აქტივობის ანალიზის მეთოდიკა

კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მისი ლიკვიდურობა და გადახდისუნარიანობა დიდწილად დამოკიდებულია მისი სახსრების გამოყენების ეფექტიანობაზე, რაც საქმიანობის აქტივობის მაჩვენებლებით გამოისახება.

საქმიანი აქტივობის საშუალებით შესაძლებელია შეფასდეს, თუ რამდენად სწრაფად გადაიქცევა აქტივებში დაბანდებული ინვესტიცია რეალურ ფულად.

საქმიანი აქტივობის აბსოლუტური მაჩვენებლებია: მოგება, შემოსავალი რეალიზაციიდან და ა.შ.

საქმიანი აქტივობის შეფარდებითი მაჩვენებლები ახასიათებენ ორგანიზაციის რესურსების გამოყენების ეფექტიანობას. მათი გაზომვა შესაძლებელია ბრუნვადობის მაჩვენებლების სისტემის სახით.

ბრუნვადობა შეიძლება განისაზღვროს როგორც მთლიანად ავანსირებული კაპიტალის (აქტივების), ასევე მისი ელემენტებისთვის. ამავდროულად, საწარმოს საკუთრებაში არსებული საშუალებების ბრუნვადობა ფასდება ბრუნვის სიჩქარის, ბრუნვის პერიოდის, დატვირთვის ფაქტორების ინდიკატორების გამოყენებით.

ბრუნვადობის მაჩვენებლების ოპტიმალური მნიშვნელობა განისაზღვრება თითოეული საწარმოს საქმიანობის სპეციფიკური მახასიათებლების გათვალისწინებით. ესენია:

1. **აქტივების ბრუნვის კოეფიციენტი** ახასიათებს კომპანიის მთლიანი აქტივების გამოყენების ეფექტიანობას შემოსავლის წარმოქმნისათვის, ანუ საწარმოს კაპიტალის ბრუნვის სისწრაფეს.

2. **კაპიტალის ბრუნვის კოეფიციენტი** აჩვენებს კაპიტალის ბრუნვის ტემპს (სიჩქარეს).

3. **მიმდინარე აქტივების ბრუნვის კოეფიციენტი** აჩვენებს მობილური სახსრების ბრუნვის სიჩქარეს საანალიზო პერიოდისთვის.

4. **დებიტორული დავალიანების ბრუნვადობის კოეფიციენტი** ახასიათებს დებიტორული დავალიანებების ბრუნვათა რიცხვს, ანუ რამდენჯერ მოხდება დებიტორული დავალიანების ანაზღაურება წელიწადში. მისი ბრუნვის დაჩქარებით, დებიტორული დავალიანების ნაშთი მცირდება, რაც დებიტორებთან ანგარიშსწორების გაუმჯობესებაზე მიუთითებს.

5. **მარაგების ბრუნვის კოეფიციენტი** ახასიათებს მიმდინარე მარაგებში ავანსირებული ღირებულების ბრუნვის სიჩქარეს.

6. **კრედიტორული დავალიანებების ბრუნვა** აჩვენებს კომპანიის მიერ დავალიანების დაფარვის ბრუნვის სიჩქარეს. თუმცა, კრედიტორული დავალიანებების ბრუნვადობის დაჩქარება უარყოფითად მოქმედებს ფულად რესურსებზე.

7. **ავანსირებული კაპიტალის ერთი ბრუნვის ხანგრძლივობა** -ახასიათებს საშუალო პერიოდს, რომელიც საჭიროა დებიტორული დავალიანებების ამოღებისათვის.

8. **დებიტორული დავალიანების ერთი ბრუნვის ხანგრძლივობა** ახასიათებს დებიტორული დავალიანების ანაზღაურებისათვის საჭირო საშუალო პერიოდს დღეებში.

საწარმოთა საქმიანი აქტივობის მაჩვენებლებიდან მნიშვნელოვანია მიმდინარე აქტივების, მარაგების და ფულის ნაშთებში ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობის მაჩვენებლები.

მიმდინარე აქტივების ბრუნვის რიცხვი = შემოსავალი რეალიზაციიდან / მიმდინარე აქტივების საშუალო წლიური ნაშთი (ფულის ნაშთის გარეშე)

ეს მაჩვენებელი ახასიათებს, მიმდინარე აქტივების ნაშთებში ავანსირებული ღირებულება რამდენჯერ შემობრუნდება წელიწადში ანუ რამდენჯერ გადაიქცევა ფულად აქტივად.

მარაგების ბრუნვის რიცხვი = რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება / მარაგების საშუალო წლიური ნაშთი

ის აჩვენებს მატერიალურ მარაგებში ავანსირებული ღირებულება რამდენჯერ ხარჯად გადაიქცევა წელიწადში.

ცხრილი 3.5.1. ბრუნვადობის მაჩვენებლები და მათი გამოთვლის მეთოდიკა

მაჩვენებლები		გამოთვლის მეთოდიკა	რეკომენდებული მნიშვნელობა
1	მთელი აქტივების ბრუნვის რიცხვი	შემოსავლები რეალიზაციიდან/ აქტივის საშუალო ნაშთი პერიოდში (ფულის ნაშთის გარეშე).	ინდივიდუალურია თითოეული ორგანიზაციისთვის; უნდა არსებობდეს დაჩქარების ტენდენცია
2	საკუთარი კაპიტალის ბრუნვის რიცხვი	შემოსავლები რეალიზაციიდან / საკუთარი კაპიტალის საშუალო წლიური ნაშთი პერიოდში	ინდივიდუალურია თითოეული ორგანიზაციისთვის; უნდა არსებობდეს დაჩქარების ტენდენცია
3	მიმდინარე (საბრუნავი) აქტივების ბრუნვის რიცხვი	შემოსავლები რეალიზაციიდან/ მიმდინარე აქტივების საშუალო წლიური ნაშთი პერიოდში (ფულის ნაშთის გარეშე)	ინდივიდუალურია თითოეული ორგანიზაციისთვის; უნდა არსებობდეს დაჩქარების ტენდენცია
4	დებიტორული დავალიანების ბრუნვის რიცხვი	კრედიტით გაყიდვები / დებიტორული დავალიანების საშუალო წლიური ნაშთი	უნდა არსებობდეს დაჩქარების ტენდენცია
5	მარაგების ბრუნვის რიცხვი	რეალიზებული საქონლის თვითღირებულება/ მარაგების საშუალო ნაშთი პერიოდში	უნდა არსებობდეს დაჩქარების ტენდენცია
6	კრედიტორული დავალიანებების ბრუნვის რიცხვი	კრედიტით შესყიდვები / კრედიტორული დავალიანების საშუალო ნაშთი პერიოდში	კრედიტორული დავალიანების ბრუნვადობა ნაკლები უნდა იყოს დებიტორული დავალიანების ბრუნვადობაზე
7	აქტივებში ავანსირებული ღირებულების (აქტივების) ერთი ბრუნვის ხანგრძლივობა დღეებში	365 / ბრუნვის რიცხვი	უნდა არსებობდეს შემცირების ტენდენცია
8	დებიტორული დავალიანებების ერთი ბრუნვის ხანგრძლივობა	365 /დებიტორული დავალიანების ბრუნვის რიცხვი	უნდა არსებობდეს შემცირების ტენდენცია
9	მარაგების ერთი ბრუნვის ხანგრძლივობა დღეებში	365 /მარაგების ბრუნვის რიცხვი	უნდა არსებობდეს შემცირების ტენდენცია

ფულის ბრუნვის რიცხვი წელიწადში = შემოსავალი რეალიზაციიდან / ფულის საშ.ნაშთი

ეს მაჩვენებელი ახასიათებს, მატერიალურ რესურსებში ავანსირებულ (გაღებული) ფული კვლავ ფულის სახით, რამდენჯერ ბრუნდება უკან წელიწადში.

ცხრილი 3.5. 2. საანალიზო საწარმოთა საქმიანი აქტივობის ზოგიერთი მაჩვენებელი

საწარმოთა დასახელება		ბრუნვის რიცხვის მაჩვენებლები „ჯერ-ებში“		
		მიმდინარე აქტივების ბრუნვის რიცხვი	მარაგების ბრუნვის რიცხვი	ფულის ბრუნვის რიცხვი
		2017	2017	2017
1	,,სს კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“	5.1	10.7	124.9
2	,,სს თელიანი ველი“	1.12	1.4	7.7
3	,,სს სანტე“	5.5	5.8	17.5
4	სს,,ნიკორა“	3.5	11.2	45.1
5	სს ,,საქართველოს რკინიგზა“	10.8	11.23	1.5
6	შპს,,იფქლი დიღომი“	10.3	0.02	0.1
7	,,გუდვილი“	3.2	6.4	39.4
8	სს,,თელასი“	6.6	46.5	23.8
9	,,სს საფონდო ბირჟა“	5.4	-	0.5
10	„სს იმედი L“	1.5	-	18.5

საწარმოთა საქმიანობა დადებითად ხასიათდეს შემდეგი თანაფარდობის დაცვით:

დაბეგვრამდე მოგების ზრდის ტემპი > რეალიზაციიდან შემოსავლების ზრდის ტემპი> ბალანსის აქტივის ზრდის ტემპი>100%

ამ თანაფარდობის დაცვა ნიშნავს: იზრდება საწარმოს ეკონომიკური პოტენციალი (იზრდება საქმიანობის მასშტაბები); გაყიდვების მოცულობა იზრდება უფრო სწრაფი ტემპით, ვიდრე ბალანსის ჯამი, ე.ი. საწარმოს რესურსები უფრო ეფექტიანად გამოიყენება; მოგება იზრდება უფრო სწრაფი ტემპით, ვიდრე დანახარჯები. ამ თანაფარდობას „**საწარმოს ეკონომიკის ოქროს წესს"** უწოდებენ.

ეს დმოკიდებულებები 2018 წლის მდგომარეობით, წინა წელთან შედარებით შემდეგნაირად გამოიყურება (იხ.ცხრილი 3.5.3).

ცხრილი 3.5.3. სამი ურთიერთდაკავშირებული მაჩვენებლების ცვლილების ტენდენციების ურთიერთშედარება

საწარმოები	2017	2018	ცვლილება %-ად (100-ის ზემოთ და ქვემოთ) 2018/2017 *100% (+.-)
1. „კოკა-კოლა“			
მოგება დაბეგვრამდე	6.102	20.647	+38.4
შემოსავალი რეალიზაციიდან	137.186	150.185	+9.5
ბალანსის აქტივის ჯამი წლის ბოლოს	183.971	208.931	+13.6
			არაა დაცული
2. „თელიანი ველი“			
მოგება დაბეგვრამდე	5.943	3.777	-36.4
შემოსავალი რეალიზაციიდან	19.735	25.318	+28.3
ბალანსის აქტივის ჯამი წლის ბოლოს	104.829	117.779	+12.4
			არაა დაცული
3. „ნიკორა“			
მოგება დაბეგვრამდე	4.059	122	+3.0
შემოსავალი რეალიზაციიდან	268.270	344.943	+28.6
ბალანსის აქტივის ჯამი წლის ბოლოს	100.042	131.034	+31.0
			არაა დაცული
4. „სს თელასი“			
მოგება დაბეგვრამდე	24.363	27,628	+13.4
შემოსავალი რეალიზაციიდან	420.338	461,969	+9.9
ბალანსის აქტივის ჯამი წლის ბოლოს	320. 882	340.686	+6,2
			დაცულია
5. გუდვილი			
მოგება დაბეგვრამდე	1.332	1.865	+40.0
შემოსავალი რეალიზაციიდან	113.834	128.049	+12.5
ბალანსის აქტივის ჯამი წლის ბოლოს	26.845	24.573	-8.5
			არაა დაცული

მაშასადამე, რიგ საწარმოებში დარღვეულია ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებს შორის ცვლილების ტენდენციების ურთიერთდამოკიდებულების კანონზომიერებები, რასაც მენეჯმენტმა ყურადღება უნდა მიაქციოს, რადგან შესაძლოა საწარმოში ფინანსური კრიზისი გამოიწვიოს.

3.6. კაპიტალის ორგანული სტრუქტურის ფაქტორული ანალიზის მეთოდიკა

საწარმოს ფინანსური სტაბილურობის ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელია კაპიტალის ორგანული (ძირითადი) სტრუქტურის კოეფიციენტი, **საკუთარი კაპიტალის და ვალდებულებების ფარდობა, რომელიც ერთზე დაბალი არ უნდა იყოს. საკუთარი კაპიტალისა და ვალდებულებების ფარდობის კოეფიციენტი ერთზე მეტი უნდა იყოს.** მისი ზრდა ნიშნავს, რომ დაფინანსების წყაროებში იზრდება საკუთარი კაპიტალის წილი და მაშასადამე, სხვა თანაბარ პირობებში, საწარმო ფინანსურად სულ უფრო დამოუკიდებელი და სტაბილური ხდება. თუ ეს კოეფიციენტი ერთზე ნაკლებია, ეს საწარმოს ფინანსური კრიზისის დასაწყისია.

ანალიზის დროს გამოკვლეული უნდა იქნეს საკუთარი კაპიტალის ორგანული სტრუქტურის კოეფიციეტის კავშირი რომელიმე სხვა მაჩვენებელთან, მაგალითად, მომგებიანობასთან.

ჩვენ შევქმენით, კაპიტალის ძირითადი სტრუქტურის ცვლილებაზე მოქმედი სამ ფაქტორიანი მოდელი ანუ ფაქტორთა მწკრივი, რომელსაც შემდეგი სახე აქვს:

$$\frac{\text{საკუთარი .კაპიტ.}}{\text{ვალდებულებები}} = \frac{\text{საკუთ.კაპ.}}{\text{მოგება დაბეგვრამდე}} * \frac{\text{მოგება დაბეგვრამდე}}{\text{აქტივები სულ}} * \frac{\text{აქტივები სულ}}{\text{ვალდებულებები}} \qquad 3.6.1.$$

საბალანსო მუხლები შეიძლება აღებული უნდა იქნეს საშუალო წლიური რიცხვითი მნიშვნელობებით.

ეს ფაქტორებია:

1. საკუთარი კაპიტალის ფარდობა წლიურ მოგებასთან (მას შეიძლება ვუწოდოთ მოგების კაპიტალტევადობა) - რაც უფრო მაღალია, მით უფრო მაღალია საკუთარი კაპიტალის წილი მოგების ფორმირებაში და მცირდება ფინანსური რისკები;

2. წლიური მოგების ფარდობა აქტივებთან (აქტივების მომგებიანობა) - ამ მაჩვენებლის ზრდა ნიშნავს აქტივების მომგებანობის ზრდას. ე.ი. აქტივები სულ უფრო მაღალი ეფექტით გამოიყენება, რაც აძლიერებს საწარმოს ფინანსურ პოზიციებს და ამაღლებს კაპიტალის ორგანული შედგენილობის ხარისხს.

3. აქტივების ფარდობა ვალდებულებებთან - მისი ზრდა ნიშნავს რომ აქტივების ზრდის ტემპი აღემატება ვალდებულების ზრდის ტემპს. მაშასადამე, იზრდება საკუთარი კაპიტალით დაფინანსებული აქტივების მოცულობა და შესაბამისად, მცირდება ფინანსური რისკები.

შრომაში, ფაქტორული ანალიზის მეთოდიკის დემონსტრირების მიზნით, გამოყენებულია სს „კოკა-კოლას“ ფინანსური ანგარიშგების ინფორმაცია (იხ. ცხრილი 3.6.1).

ცხრილი 3.6.1. სს,,კოკა კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ კაპიტალის ორგანული სტრუქტურის კოეფიციენტის ფაქტორული მოდელი

მაჩვენებლები	2016		2017		2018	
საკუთარი კაპიტალის და ვალდებულებების ფარდობა	0,602	68,628 / 114,104	0,6670	73,607 / 110,364	0.794	89964 / 113249
მოქმედი ფაქტორები: I. საკუთარი კაპიტალის ფარდობა წლიურ მოგებასთან	4,4475	68,628 / 15,431	12,2028	73,607 / 6,032	5.6147	89964 / 16023
II. წლიური მოგების ფარდობა აქტივებთან (აქტივების მომგებიანობა)	0,0912	15,431 / 169,337	0,0329	6,032 / 183,352	0.0788	16023 / 203213
III. აქტივების ფარდობა ვალდებულებებთან	1,4841	169,337 / 114,104	1,6614	183,352 / 110,364	1.7944	203213 / 113249

ფაქტორთა მწკრივში წარმოდგენილი სამი ფაქტორის გავლენის გაზომვა ხდება კარგად ნაცნობი, აბსოლუტური სხვაობის ხერხით. ამ ხერხის მიხედვით მოცემული ფაქტორის გავლენა უდრის მოცემული ფაქტორის გადახრა გამრავლებული, მწკრივში მის წინ მდგომი ფაქტორის მიმდინარე და შემდგომი ფაქტორის საბაზისო მნიშვნელობებზე. 3.6.1. ცხრილში სს „კოკა-კოლას“ მაგალითზე წარმოდეგნილია კაპიტალის ორგანული შედგენილობის გადახრაზე მოქმედი ფაქტორების გავლენები. გამოთვლები 2017 წელს არსებულ გადახრაზე მოქმედი ფაქტორების გავლენების გასაზომად შემდეგნაირად ჩატარდება:

(+7.7553) * 0.0912 * 1.4841 = + 1.0497

12.2028 * (-0.0583) * 1.4841 = - 1.0558

12.2028 * 0.0329 * (+0.1773) = + 0.0711

ჯამი +0.065

3.6.2. ცხრილში წარმოდგენილია კაპიტალის ორგანული შედგენილობის ცვლილებაზე მოქმედი ფაქტორების გავლენის გამოთვლების შედეგები 2017 და 2018 წლების მდგომარეობით.

ამრიგად, 2017 წელს, წინა წელთან შედარებით, კაპიტალის ორგანული შედგენილობის ცვლილებაზე პირველმა და მეორე ფაქტორმა დადებითი გავლენა მოახდინა. მეორე ფაქტორი - აქტივების მომგებიანობა კი 2017 წელს, წინა წელთან შედარებით დაეცა, რამაც კაპიტალის ორგანული შედგენილობა (კაპიტალის ხარისხი) 1.0558 პუნქტით გააუარესა. მაშასადამე, მენეჯმენტმა განსაკუთრებით უნდა გამოიკვლიოს, რატომ შემცირდა აქტივების მომგებიანობა. ამ საკითხს მომგებიანობის ანალიზის დროს კიდევ დავუბრუნდებით.

ცხრილი 3.6.2. სს „კოკა-კოლას“ კაპიტალის ორგანული შედგენილობის კოეფიციენტის ცვლილებაზე მოქმედი ფაქტორების გავლენა 2017 და 2018 წელს, წინა წელთან შედარებით

მაჩვენებლები	2016	2017		2018	
		კოეფ.	გადახრა 2016 წ-დან	კოეფ.	გადახრა 2017 წ-დან
კაპიტალის ორგანული შედგენილობა	0.602	0.667	+ 0.065	0.794	+0.127
მოქმედი ფაქტორები:					
1.საკუთარი კაპიტალის ფარდობა მოგებასთან	4.4475	12.2028	+7.7553	5.6147	-6.5881
2. აქტივების მომგებიანობა	0.0912	0.0329	-0.0583	0.0788	+0.0459
3. აქტივების ფარდობა ვალდებულებებთან	1.4841	1.6614	+0.1773	1.7944	+0.133
მოქმედ ფაქტორთა გავლენა:					
პირველი ფაქტორის გავლენა			+ 1.0497		-6.5881
მეორე ფაქტორის გავლენა			- 1.0558		+0.0459
მესამე ფაქტორის გავლენა			+ 0.0711		+0.0588
----------			----------		--------
ჯამი			+ 0.065		+0.1269

2018 წელს კი, წინა წელთან შედარებით, დადებითი გავლენა მოახდინა მეორე და მესამე ფატქორმა. პირველმა ფაქტორმა კი უარყოფითი გავლენა მოახდინა ანუ დაეცა საკუთარი კაპიტალის წილი მოგების ფორმირებაში. ასე რომ ფინანსური რისკი მაინც იზრდება.

ამდენად, მენეჯმენტმა უნდა შეძლოს საკუთარი კაპიტალის წილის ზრდა აქტივებში და მისი უფრო მეტი ეფექტიანობით გამოიყენება, რათა შეამციროს ფინანსური რისკები.

თავი 4. მოგება/ზარალის ანგარიშგების ანალიზის მეთოდიკა

4.1. მოგება/ზარალის ანგარიშგების წარდგენა

მოგებისა და ზარალის შესახებ ანგარიშგება არის საწარმოს ისეთი ძირითადი დოკუმენტი, რომელიც ასახავს მისი საქმიანობის შედეგებსა და ეფექტიანობას. სახელდობრ, ეს ანგარიშგება იძლევა ინფორმაციას კომპანიის შემოსავლების, ხარჯებისა და მოგების მაჩვენებლების შესახებ საქმიანობის სხვადასხვა დონეზე. მას ასევე უწოდებენ "ანგარიშგებას ფინანსური შედეგების შესახებ", ხოლო ინგლისურად უწოდებენ - Income Statement (სიტყვასიტყვით, "შემოსავლის დეკლარაცია").

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებში 2009 წლის ცვლილებით, მოგება/ზარალის ანგარიშგებას "სრული შემოსავლების ანგარიშგება" ეწოდება, თუმცა საწარმოებს შეუძლიათ სახელწოდება კვლავ "მოგება/ზარალის ანგარიშგება" გამოიყენონ, რაც უფრო მართებულად მიგვაჩნია, ვინაიდან, მოგება არის ორი ელემენტის: შემოსავლებისა და ხარჯების სხვაობა, შემოსავლები ვერ იქნება - „შემოსავლებისა და ხარჯების სხვაობა“.

ამდენად, "სრული შემოსავლების ანაგარიშგების" სახელწოდების შემოღებით, ერთმანეთში აღრეულია ცნებები: "**შემოსავალი" და "მოგება".** შესაძლოა ეს ინგლისურიდან თარგმანის მიზეზიც იყოს, რადგან ინგლისურში შემოსავალი არის – **Reveniu**. ხოლო – **Income** - ზოგჯერ შემოსავალსაც ნიშნავს და მოგებასაც. მაგალითად, **ბასს 12 - მოგების გადასახდი, ინგლისურად იწერება როგორც - Income Tax.** იმავე მე-12 სტანდარტში **სააღრიცხვო მოგება** ინგლისურად არის - **Accounting Profit. აგრეთვე გამოიყენება შემდეგნაირი გამოთქმებიც:** gains and losses (მოგება და ზარალი), profit or losses (მოგება ან ზარალი). ტერმინი "profit" ბასს 1-ში შემდეგ წინადადებაშიცაა გამოყენებული:

"An entity shall present all items of income and expense recognised in a period:

(a) in a single statement of comprehensive income, or

(b) in two statements: a statement displaying components of **profit** or loss (separate statement of comprehensive income) and a second statement beginning with **profit** or loss and displaying components of other comprehensive income (statement of comprehensive income" (IAS 1 – item 81).

მოგება/ზარალის ანგარიშგება მზადდება დარიცხვის პრინციპით, რაც იმას ნიშნავს, რომ მოცემული წლის შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მისი წარმოშობისთანავე, მიუხედავად იმისა, მიღებულია ან გადახდილია თუ არა ფული.

მოგება/ზარალის ანგარიშგება შეიძლება ორი მეთოდით მომზადდეს. პირველი, როცა დანახარჯები დაჯგუფებულია ეკონომიკური ელემენტების მიხედვით და მეორე, როცა დანახარჯები კლასიფიცირებულია ფუნქციური დანიშნულების მიხედვით.

განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე. მაგალითად, სს „თელიანი ველი“ მოგება/ზარალის ანგარიშგებას ამზადებს დანახარჯთა ფუნქციური დანიშნულების მიხედვით (იხ. ცხრილი 4.1.1.).

დანახარჯები აქ კლასიფიცირებულია საწარმოო და არასაწარმოო დანახარჯებად. საწარმოო დანახარჯები: პირდაპირი მასალის, პირდაპირი შრომის და საწარმოო ზედნადები ხარჯების ჯამი წარმოდგენილია რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების სახით. ხოლო

მარკეტინგის და საერთო ადმინისტრაციული ხარჯები საოპერაციო, მაგრამ არასაწარმოო ხარჯებია და თვითღირებულებაში არ შედის.

დანახარჯთა ელემენტების მიხედვით მოგება/ზარალის ანგარიშგების წარდგენა ევალება მატერიალური წარმოების (მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და მშენებლობის) სექტორის საწარმოებს. თუკი, მატერიალური წარმოების სფეროს საწარმოები მოგება/ზარალის ანგარიშგებას წარადგენენ დანახარჯთა ფუნქციური დანიშნულების მიხედვით, აუცილებელია დანახარჯთა ელემენტები ფინანსური ანგარიშგების წერილობით განმარტებებში გადმოსცენ.

ცხრილი 4.1.1. სს „თელიანი ველის“ სრული შემოსავლების ანგარიშგება 2018 წლის დასრულებული წლისათვის (ათ.ლარი) (მოგება/ზარალი დანახარჯთა ფუნქციური მუხლების მიხედვით)

მაჩვენებლები	ათ.ლ.
შემოსავალი და შემოსულობები	25.318
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	(15.467)
საერთო მოგება (ანუ მოგება რალიზაციიდან)	**9 851**
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები	(1.119)
ადმინისტრაციული ხარჯები	(3.359)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(255)
საოპერაციო მოგება	**5.118**
ფინანსური ხარჯები	(1.044)
ფინანსური შემოსავლები	232
საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება (ზარალი)	(2)
ხელმძღვანელობის შეცვლის დანახარჯები	(527)
მოგება დაბეგვრამდე	3.777
მოგების გადასახადი	-
წმინდა მოგება*	3.777
სხვა სრული შემოსავალი	--
მთლიანი წმინდა მოგება*	

წყარო: reportal ge.

* შევნიშნავთ, რომ ტერმინი „წლის მოგება“, წმინდა მოგებას არ ნიშნავს .

დანახარჯთა ელემენტების მიხედვით მომზადებულ მოგება/ზარალის ანგარიშგებას შემდეგი სახე აქვს (იხ.ცხრილი 4.1.2). აქ დანახარჯები პირობითად არის აღებული და არ წარმოადგენს რეალურ ინფორმაციას. როგორც ხედავთ, ამ ცხრილში მოტანილი საოპერაციო ხარჯები წარმოდგენილია ერთგვაროვანი სახის დანახარჯთა ელემენტების სახით. მაგალითად, საწარმოში სულ რამდენი ლარის მასალა დაიხარჯა, მიუხედვად მისი მიზნობრიობისა; სულ

რამდენი ლარის შრომითი ხარჯია გაწეული კომპანიაში, მიუხედავად იმისა, რა მიზნით იხარჯებოდა იგი და ა.შ.

ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოგება/ზარალის ანგარიშგებას მეორე სახელწოდება: "სრული შემოსავლების ანგარიშგება" ეწოდა. იგი შეიძლება წარდგენილ იქნეს ერთი ანგარიშგების ან ორი ანგარიშგების სახით [იხ. ბასს 1 – „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“]. ერთი ანგარიშგების სახით წარდგენილი "სრული შემოსავლების ანგარიშგების" ფორმატი წარმოდგენილია 4.1.1. ცხრილში. როგორც ცხრილიდან ჩანს, პირველი ნაწილი მოიცავს ჩვეულებრივი სამეურნეო ოპერაციებიდან მიღებულ მოგება-ზარალს. მეორე ნაწილში კი დანარჩენი ოპერაციებიდან მიღებული მოგება/ზარალია წარმოდგენილი, რაც არ წარმოადგენს საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის ნაწილს.

ცხრილი 4.1.2 მოგება/ზარალის ანგარიშგება პირობითად
(დანახარჯთა ელემენტების მიხედვით)

მ ა ჩ ვ ე ნ ე ბ ე ლ ე ბ ი	**თანხა ათ. ლარი**
შემოსავალი რეალიზაციიდან	25.318 -
დაუმთავრებელი და მზა პროდუქციის ნაშთების ზრდა (ემატება)	-
მასალის ხარჯები	
შრომითი ხარჯები	
ცვეთის ხარჯები	
სხვა საოპერაციო ფულადი ხარჯები	
----------	----------
საოპერაციო მოგება	5.118
ფინანსური ხარეჯები	
ფინანსური შემოსავლები	
საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება (ზარალი)	
ხელმძღვანელობის შეცვლის დანახარჯები	
----------	----------
მოგება დაბეგვრამდე (იგივე წლიური მოგება)	3.777
მოგების გადასახადის ხარჯი	-
----------	----------
წმინდა მოგება	3.777
შემოსავალი ერთ აქციაზე (საბაზისო , გაზავებული)	
მოგება დანარჩენი საქმიანობიდან	-
---- ----------	---------
წმინდა მოგება სულ	3.777

ამრიგად, მოგება/ზარალის ანგარიშგებაში არსებობს შემდეგი ტოლობები:

მოგება რეალიზაციიდან =
= შემოსავალი რეალიზაციიდან – რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება;

წმინდა მოგება = შემოსვალი - რეალიზ. თ/ღ + დანარჩენი შემოსავლები – მარკეტინგის ხარჯი – ადმინისტრ. ხარჯი – დანარჩენი ხარჯები – მოგების გადასახადი
ან,
წმინდა მოგება = შემოსავლები – საოპერაციო ხარჯები –არასაოპერაციო ხარჯები – - მოგების გადასახადი

მეორე ნაწილში მოცემულია დანარჩენი ოპერაციებიდან მიღებული მოგება ან ზარალი და გამოთვლილია მათ შორის სხვაობა - "**საანგარიშგებო წლის სხვა სრული შემოსავალი მოგების გადასახადის გამოკლებით".**

"მთლიანი სრული შემოსავალი არის პერიოდის მანძილზე სამეურნეო ოპერაციებით და სხვა მოვლენებით განპირობებული საკუთარი კაპიტალის ცვლილება, იმ ცვლილებების გარდა, რომლებიც გამოწვეულია მესაკუთრეებთან, როგორც აქციონერებთან შესრულებული ოპერაციებით" [ბასს 1, მუხლი 7].

მთლიანი სრული შემოსავალი მოიცავს "მოგებისა ან ზარალის" და "სხვა სრული შემოსავალის" მუხლების ყველა კომპონენტს. ბასს 1-ის მითითებებით, ერთ განაყოფში გამოყენებულია ტერმინები: „მოგება და ზარალი“, მეორე განაყოფში კი „სხვა სრული შემოსავალი“. მოკლედ, ცნებები : „მოგება“ და „შემოსავალი“ გაიგივებულია ერთმანეთთან, რასაც არ ვეთანხმებით.

სხვა სრული შემოსავლების (ანუ დანარჩენი მოგება/ზარალის) მუხლებში შედის აქტუარული შემოსულობა (ზარალი) დადგენილ გადასახდელიანი საპენსიო პროგრამებიდან, რომელსაც იწვევს კადრების დენადობის, პენსიაზე ნაადრევად გასვლის, სიკვდილიანობის, ხელფასის, სამედიცინო მომსახურების, დისკონტირების განაკვეთის ცვლილებები. ამ განაყოფში შედის აგრეთვე ფულადი ნაკადების ჰეჯირების ხარჯები, რომელიც არის მოსალოდნელი რისკებისაგან თავდაცვის ხარჯი.

უნდა აღინიშნოს, რომ ბუღალტრული აღრიცხვის პირველ სტანდარტში მითითებულია: "მართალია ამ სტანდარტში გამოიყენება "სხვა სრული შემოსავალი", "მოგება ან ზარალი" და "მთლიანი სრული შემოსავალი", მაგრამ საწარმოს ჯამური მუხლების აღსანიშნავად შეუძლია სხვა ტერმინების გამოყენება, თუ მათი შინაარსი ნათელი იქნება. მაგალითად, საწარმოს "მოგებისა ან ზარალის" აღსანიშნავად შეუძლია ტერმინი "წმინდა შემოსავალი" გამოიყენოს" [ბასს 1, მუხლი 8].

ვფიქრობთ, **ტერმინი - „მოგება/ზარალის ანგარიშგება“** ყველაზე უფრო ადვილად აღქმადი და ლაკონურია, რომელსაც ექნება ორი განაყოფი:

ა. **მოგება/ზარალი ძირითადი საქმიანობიდან და**

ბ. მოგება/ზარალი დანარჩენი საქმიანობიდან

მოგება/ზარალის ანგარიშგებაში კომპანიებმა აგრეთვე უნდა აჩვენონ ერთ აქციაზე **საბაზისო და გაზავებული შემოსავლის მაჩვენებლები.** ამ მაჩვენებლების გამოთვლის მეთოდიკას საკუთარი კაპიტალის ანგარიშგების ანალიზთან ერთად განვიხილავთ.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, საწარმო მოვალეა ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი შეადგინოს და წარადგინოს სულ მცირე წელიწადში ერთხელ (გარდა ფინანსური სექტორისა).

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანებით №6-6 2019 წლის 21 მაისი, განისაზღვრა **ანგარიშგების ვებგვერდზე მომხმარებელთა რეგისტრაციის, სუბიექტების მიერ ანგარიშგების წარდგენისა და წარდგენილი ინფორმაციის გასაჯაროების წესი. ამ წესის მიხედვით** ელექტრონულად შესავსები ციფრული ფორმების ძირითადი კომპონენტებია (დანართი №1):

ა) ფინანსური მდგომარეობა (ფორმა №1);

ბ) საქმიანობის შედეგები (ფორმა №2);

გ) ფულადი სახსრების მოძრაობა (ფორმა №3);

დ) კაპიტალის მოძრაობა (ფორმა №4);

ე) განმარტებითი შენიშვნები (ფორმა №5);

ეს ყოველივე, სრულ შესაბამისობაშია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდრტის (ბასს) 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ - მოთხოვნებთან.

თუმცა, უნდა აღინიშნოს რომ საანალიზო საწარმოების მიერ ატვირთულ ანგარიშგებაში მოგება-ზარალის შესახებ, შესაძლოა მათი სპეციფიკიდან გამომდინარე ყოველთვის არ არის განსაზღვრული მოგების მაჩვენებლები ყველა დონეზე.

მაგალითად, სს„საქართველოს რკინიგზის“; სს “თელასის“; სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ-ის“ ანგარიშგებაში არ არის გამოთვლილი საერთო მოგება (მოგება რეალიზაციიდან). რაც მათი ანგარიშების გამჭვირვალობის ხარისხის დონეს ამცირებს.

4.2. მოგება/ზარალის ანგარიშგებისა და მომგებიანობის მაჩვენებელთა სისტემა

მოგება/ზარალის ანგარიშგების მაჩვენებლების ანალიზის შედეგად ინვესტორები იგებენ რამდენად კარგად და გამართულად მუშაობს საწარმო, გამოიმუშავებს თუ არა იგი ფულს. როგორც წესი, საწარმომ მეტი ფული უნდა მიიღოს, ვიდრე ხარჯავს. ამაზე ნათლად მიუთითებს ისეთი ვითარება, როცა მოგება/ზარალის ანგარიშგებაში შემოსავლები აღემატება ხარჯებს.

ამრიგად, მოგება/ზარალის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგების მაჩვენებლები თვალსაჩინოებისათვის, შეიძლება შემდეგი სქემის სახით წარმოვადგინოთ (იხილეთ სქემა 4.1.).

საერთო მოგება არის სხვაობა პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალსა და მის თვითღირებულებას შორის.

საოპერაციო მოგება (მოგება ძირითადი საქმიანობიდან) გულისხმობს კომპანიის მოგებას, რომელიც მიიღება საოპერაციო შემოსავლებიდან საოპერაციო ხარჯების გამოკლებით. მას დასავლეთის ლიტერატურაში აგრეთვე უწოდებენ მოგებას პროცენტისა და გადასახადის გამოქვითვამდე (EIBT).

მოგება დაბეგვრამდე - თანხა, რომელიც მიიღება საოპერაციო მოგებაზე არასაოპერაციო შემოსავლების დამატებითა და არასაოპერაციო ხარჯების გამოკლებით.



სქემა 4.2.1. საწარმოს მოგების ფორმირების საფეხურები

წმინდა მოგება არის თანხა, რომელიც მიიღება დასაბეგრი მოგებიდან მოგების გადასახადის გამოკლებით.

მეოცე საუკუნის 80-იანი წლებიდან, დასავლეთის ეკონომიკის თეორიასა და პრაქტიკაში გაჩნდა მოგების კიდევ ერთი მაჩვენებელი - მოგება ცვეთის, პროცენტის და გადასახადის გამოქვითვამდე (EBITDE), რომელიც გამოითვლება საოპერაციო მოგებისა და ცვეთის მთლიანი თანხის ჯამით. ეს მაჩვენებელი გამოიყენება კომპანიის სხვადასხვა ქვეყანაში არსებული ფილიალების (სეგმენტების), ეფექტიანობის შედარებითი დახასიათებისათვის, რადგან, სხვადასხვა ქვეყანაში ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვის სხვადასხვა მიდგომების გავლენა გამორიცხონ.

მოგება/ზარალის ანგარიშგება მაშინ ითვლება პოზიტიურად, როცა მასში არ არის ზარალი და შემოსავლების ზრდის ტემპები წინ უსწრებს დანახარჯების ზრდის ტემპებს.

მოგება/ზარალის ანგარიშგების ანალიზის მეშვეობით შესაძლებელი ხდება შეფასდეს:

1. რამდენად მომგებიანად იყენებს საწარმო რესურსებს;
2. როგორია დანახარჯების სტრუქტურული ცვლილებები;
3. როგორია ხარჯების უკუგება;
4. მოგების მაჩვენებლების ზრდის ტემპები;
5. როგორია მომგებიანობის სხვადასხვა მაჩვენებლების ტენდენციები;
6. მოხდება რეალიზაციიდან მიღებული მოგების ფაქტორული ანალიზი;
7. შეისწავლება ფინანსური ლევერიჯის ზოგიერთი კოეფიციენტი
8. შემუშავებული იქნება მოგების ზრდის ღონისძიებები.

ამდენად, მოგება/ზარალის ანგარიშგების ინფორმაციის ანალიზის მნიშვნელობა იმაში გამოიხატება, რომ მის საფუძველზე შეიძლება შესწავლილ იქნეს:

I. მოგება/ზარალის ანგარიშგების მოცულობითი მაჩვენებლები, როგორიცაა: მოგება რეალიზაციიდან, საოპერაციო მოგება, მოგება დაბეგვრამდე, წმინდა მოგება, გაუნაწილებლი მოგება, მათი დინამიკა და წილი ხარჯების მიმართ;
II. მოცემულ პერიოდში რამდენი შემოსავალი ჰქონდა საწარმოს, რამდენი დახარაჯა და როგორია სხვაობა მათ შორის;
III. შემოსავლების, ხარჯების და მოგების მაჩვენებლების სტრუქტურისა და დინამიკის კოეფიციენტები;
IV. მომგებიანობის სხვადასხვა მაჩვენებლების დინამიკური და ფაქტორული ანალიზი
V. ფინანსური ლევერიჯის ზოგიერთი კოეფიციენტის გამოკვლევა.

ამრიგად, მოგება/ზარალის ანგარიშგების მეშვეობით, მის მომხმარებელს შეუძლია მიიღოს მნიშვნელოვანი ინფორმაცია საწარმოს ფინანსური შედეგების შესაფასებლად. არსებობს თუ არა მნიშვნელოვანი ცვლილებები შემოსავლებს, ხარჯებსა და მოგებაში. შემოსავლების ზრდა უკვე პირველი ნიშანია საწარმოს ფინანსური ძლიერების შესახებ. მოგების ზრდა მიუთითებს საწარმოს ეფექტიანობის და მომგებიანობის ზრდაზე და იმის შესახებაც, უმკლავდება თუ არა საწარმო კონკურენტულ ბრძოლას.

4.2.1. ცხრილიდან ჩანს თუ როგორ იცვლება მოგების მაჩვენებლები თითოეული საწარმოსთვის 2016-2018 წლებში. ძირითადად საერთო მოგების ზრდის ტენდენცია გამოიკვეთა, მაგრამ საოპერაციო და დაბეგვრამდე მოგების მაჩვენებლები ზოგიერთ შემთხვევაში მცირდება.

ცხრილი 4.2.1. საანალიზო საწარმოების მოგების მაჩვენებლები

(ათასი ლარი)

საწარმოების **დასახელება**	**საერთო(მთლიანი) მოგება**			**საოპერაციო მოგება**			**მოგება დაბეგვრამდე**			**წმინდა მოგება**		
	2016	**2017**	**2018**	**2016**	**2017**	**2018**	**2016**	**2017**	**2018**	**2016**	**2017**	**2018**
სს.კოკაკოლა	36,888	44,067	47,272	10,937	17,495	19,772	(455)	8,208	16,023	15,431	8,139	15,809
სს თელიანი ველი	5,787	9,574	9,851	2,654	5,664	5,118	1,700	5,943	3,777	1,834	5,943	3.777
სს სანტე	0	25,354	27,826	0	7,554	5,952	0	7,942	6,300	0	7,940	6,214
სს „ნიკორა ტრეიდი“	50,876	66,439	87,959	1,361	9,172	6,191	(7,622)	4,059	122	(7,468)	3,569	(873)
სს„საქართვე -ლოს რკინიგზა	0	0	0	182,586	(329,841	0	26,989	(373,397	0	69,577	(373,922	0
შპს.„იფქლი დიღომი“	6,603	7,076	8,709	4,142	3,426	0	4,142	3,571	3,773	3.521	3.56	3,560
სს „გუდვილი“	-	29,675	28,627	0	(98)	2,196	0	132	1,865	0	132	1,865
„სს თელასი“	-	-	0	36,465	28,638	34,351	34,094	24,426	27,628	38,720	22,187	27628
„სს საქართვ. საფონდო ბირჟა	-	-	-	-	-	-	(22,588	(26,941)	0	(62,508)	(26,941)	0
სს „ იმედი L“	-	-	-	-	-	-	(4,681)	(2,319)	3,527	(5,139)	(2,629)	2948

როგორც წესი, ჯერ მოგება/ზარალის ანგარიშგების საერთო მაჩვენებლების ანალიზი ტარდება, ხოლო შემდეგ იმისათვის, რომ განვსაზღვროთ რომელმა ფაქტორებმა გამოიწვიეს შედეგების შემცირება, ტარდება მისი ცალკეული მუხლების ვერტიკალური (სტრუქტურული) და ჰორიზონტალური (დინამიკური), ფაქტორული და ა.შ. ანალიზი.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი საანალიზო კომპანიის 2016 წლის ფინანსური ანგარიშგება არ არის წარმოდგენილი, რაც ინფორმაციის გარე მომხმარებლებისათვის ართულებს ანალიზის პროცესს, ხშირ შემთხვევაში შეუძლებელს ხდის რიგი მაჩვენებლების გაანგარიშებას. აგრეთვე სხადასხვა პერიოდის ანგარიშგებაში ერთი და იგივე მაჩვენებელის სიდიდე განსხვავებულია.

მაგალითად, სს „გუდვილის“ საერთო მოგება 2017 წლის ანგარიშგებაში 29,675 ათ. ლარია, 2018 წელს კი წინა პერიოდის მონაცემებში ასახულია 25,304 ათ.ლარი, საოპერაციო მოგება 2017 წლის ანგარიშგებაში არის - ზარალი 98,0 ლარი, 2018 წლის ანგარიშგებაში ნაჩვენებია მოგება 1,315 ლარი, წლის წმინდა მოგება 2017 წლის ანგარიშგებაში 132 ათ. ლარია, იგივე პერიოდზე 2018 წელს – 1,322ათ. ლარი. ასეთი შემთხვევები, რასაკვირველია ინფორმაციის სანდოობას ამცირებს.

კომპანიის ბიზნეს-საქმიანობის ფინანსური შედეგების მთავარი აბსოლუტური მაჩვენებელი არის მოგება. საწარმოსთვის, მოგება არის მაჩვენებელი, რომელიც ქმნის სტიმულს ინვესტიციის განხორციელებისთვის ისეთ სფეროებში, სადაც შესაძლებელია ღირებულების ზრდის მიღწევა. მოგება, როგორც ეკონომიკური კატეგორია, ასრულებს შემდეგ ფუნქციებს:

- ახასიათებს საწარმოს საქმიანობიდან მიღებულ ეკონომიკურ ეფექტს;
- არის საწარმოს ფინანსური რესურსების მთავარი ელემენტი;
- არის სხვადასხვა დონის ბიუჯეტის წყარო.

გარკვეულ როლს ასრულებს ზარალიც. ის ხაზს უსვამს საწარმოს შეცდომებს ფინანსური რესურსების გამოყენების, წარმოების ორგანიზაციისა და პროდუქციის მარკეტინგის სფეროებში.

საწარმოს მოგების მაჩვენებლები სხვადასხვა დონეზე განისაზღვრება. როგორც ადრე ვაჩვენეთ, გამოიყოფა მოგების შემდეგი მაჩვენებლები: საერთო მოგება (მოგება რეალიზაციიდან), საოპერაციო მოგება, მოგება დაბეგვრამდე, წმინდა მოგება და გაუნაწილებელი მოგება.

ინფორმაცია ანგარიშვალდებული საწარმოს კონკრეტული პერიოდის საქმიანობის ფინანსური შედეგების შესახებ, შეიძლება იმაზეც მიუთითებდეს, რა გავლენა იქონია საწარმოს ეკონომიკური რესურსებისა და მის მიმართ არსებული მოთხოვნების გაზრდაზე ან შემცირებაზე ისეთმა მოვლენებმა, როგორიცაა საბაზრო ფასების, ან საპროცენტო განაკვეთების ცვლილება და, აქედან გამომდინარე, რა გავლენა მოახდინეს ამ მოვლენებმა მის შესაძლებლობაზე - უზრუნველყოს საწარმოში წმინდა ფულადი სახსრების შემოსვლა.

საწარმოთა საქმიანობის ფინანსური შედეგები განისაზღვრება მოგების ან ზარალის მაჩვენებლით კალენდარული წლის განმავლობაში. მოგების ეკონომიკური ხასიათის შესახებ კამათი მიმდინარეობს სამ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში, მაგრამ მოგების თეორია ჯერ კიდევ არასრული და წინააღმდეგობრივია.

მოგება, რომელიც საწარმოთა საქმიანობის შეფასების ძირითადი მაჩვენებელია, ხელს უწყობს პროდუქციის წარმოებისა და გაყიდვების ზრდას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, არსებული წარმოების რესურსების გამოყენების გაუმჯობესებას.

ვინაიდან ბიზნესის წარმატების მთავარი და საბოლოო ფინანსური შედეგი მოგებაა, საწარმოთა მენეჯმენტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა მართოს და აკონტროლოს მოგების მაჩვენებლები. წინამდებარე კვლევაში გადმოცემულია მოგებისა და მომგებიანობის მაჩვენებლების ანალიზის მეთოდიკა მისი გარე მომხმარებლების პოზიციიდან. თუმცა, იგი შეიძლება წარმატებით გამოიყენოს საწარმოთა მენეჯმენტმაც. კვლევაში, მოგების ინდიკატორების ანალიზი ხორციელდება კომპანიისთვის ხელმისაწვდომი აქტივების და რესურსების გათვალისწინებით, მათ შორის, მატერიალური, შრომითი და ფინანსური.

მოგება/ზარალის ანგარიშგებაში წარმოდგენილია ეფექტიანობის აბსოლუტური მაჩვენებლები მოგების მაჩვენებლების სახით, რომელიც ზემოთ უკვე იქნა განხილული.

მეორე ჯგუფს განეკუთვნება რენტაბელობის ანუ მომგებიანობის მაჩვენებლები.

მომგებიანობის მაჩვენებელთა სისტემა სამ ჯგუფად იყოფა:

I. ეკონომიკური მომგებიანობის მაჩვენებლები;
II. ფინანსური მომგებიანობის მაჩვენებლები;
III. პროდუქციის მომგებიანობის მაჩვენებლები.

როგორც წესი, საწარმოთა ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებლებს ორ ჯგუფად ყოფენ: აბსოლუტური და ფარდობითი.

საწარმოს ეკონომიკური ეფექტიანობის აბსოლუტური მაჩვენებლებია მოგების მაჩვენებლები, რომელიც თვით მოგება/ზარალის ანგარშგებაშია წარმოდგენილი და რომელიც, უკვე განვიხილეთ. მოგების მაჩვენებლების ანალიზი მნიშვნელოვანი დასკვნების საშუალებას იძლევა, მაგრამ, ისინი ვერ პასუხობენ კითხვაზე, როგორია რესურსების გამოყენების ეფექტიანობის შედეგი. მაგალითად, საწარმომ შეიძლება წინა და მიმდინარე წელს ერთი და იგივე მოცულობის მოგება მიიღოს, თუმცა, მხოლოდ ამ მოცულობითი მაჩვენებლების შედარებით მენეჯმენტი ვერ დაადგენს, რესურსები წინა წელთან შედარებით მაღალი თუ დაბალი ეფექტიანობით გამოიყენა. მაგრამ, როგორც კი მოგების ფარდობით მაჩვენებელს, მაგალითად, აქტივების მომგებიანობას გავზომავთ, უკვე მნიშვნელოვან ინტერესს გამოიწვევს ის, რომ წინა წელს ყოველ ერთ ლარ აქტივზე 12 %, მიმდინარე წელს კი 10% მოგებაა მიღებული. სწორედ ამის შემდეგ დაიწყება საინტერესო კითხვები და ძიების პროცესები. ამრიგად, მომგებიანობის ანალიზის კიდევ უფრო აუმჯობესებს ეკონომიკური ეფექტიანობის ანალიზის შედეგებს.

ეკონომიკური მომგებიანობის მაჩვენებლები შეიძლება სხვადასხვა ბაზის საფუძველზე იქნეს გამოთვლილი. როგორიცაა, აქტივების ჯამი, საოპერაციო ხარჯები, გამოყენებული კაპიტალი და ა.შ. (მომგებიანობას რენტაბელობის მაჩვენებელსაც უწოდებენ).

მომგებიანობის მრავალი მაჩვენებელია ცნობილი. მათ შორის მნიშვნელოვანია:

1. საოპერაციო ხარჯების მომგებიანობა, რომელიც დადებითი რიცხვი უნდა იყოს.

$$\textbf{საოპერაციო ხარჯების მომგებიანობა} = \frac{\textit{საოპერაციო მოგება} * \mathbf{100\%}}{\textit{საოპერაციო ხარჯების ჯამი}}$$

მოტანილ ფორმულაში შეიძლება საოპერაციო ხარჯები დაიყოს საწარმოო და არასაწარმოო ხარჯებად და მათი ეფექტიანობა დინამიკაში ცალ-ცალკე იქნეს გამოკვლეული საწარმოთა მენეჯმენტის მიერ.

2. მთლიანი დანახარჯების მომგებიანობა - მოგებისა და ყველა სახის ხარჯების ფარდობა.

$$\textbf{მთლიანი ხარჯების მომგებიანობა} = \frac{\textit{წლიური მოგება დაბეგვრამდე} * \mathbf{100\%}}{\textit{მთლიანი ხარჯების ჯამი}}$$

3. აქტივების საერთო მომგებიანობა ანუ ეკონომიკური მომგებიანობა :

$$\textbf{აქტივების საერთო მომგებიანობა} = \frac{\textbf{წლიური მოგება დაბეგვრამდე} * \mathbf{100\%}}{\textbf{აქტივების საშუალო წლიური ნაშთი}}$$

იგი (3) აჩვენებს რამდენი პროცენტი მოგება მიიღება ყოველ ერთ ლარ აქტივზე. იგი მომგებიანობის ყველაზე ზოგადი მაჩვენებელია და მთელი ავანსირებული ღირებულების გამოყენების ეფექტიანობას ახასიათებს. მისი ალტერნატიული მაჩვენებელია გამოყენებული (პერმანენტული) კაპიტალის უკუგება (ROCE).

4. $\textit{გამოყენებული კაპიტალის უკუგება}\ (\text{ROCE}) = \frac{\textit{მოგება \%-ისა და გადასახადის გადახდამდე}}{\textit{საკუთ.კაპიტალი+გრძელვად.ვალდებულებები}}$

მოგება პროცენტისა და მოგების გადასახადის გადახდამდე იგივე საოპერაციო მოგებაა. იგი აჩვენებს პერმანენტული კაპიტალის საერთო უკუგებას მანამ, სანამ გადაიხდება პროცენტები აღებულ სესხებზე (და ან მიიღება საპროცენტო შემოსავლები) და მოგების გადასახადი. დინამიკაში ამ მაჩვენებლის (4) ზრდა კაპიტალის გამოყენების ეფექტიანობის ზრდას ნიშნავს.

5. $\textit{წარმოების მომგებიანობა} = \frac{\textit{საოპერაციო მოგება} * \mathbf{100\%}}{\textit{მატერიალური. მარაგები} + \textit{ძირითადი საშუალებები}}$

მომგებიანობის ეს მაჩვენებელი (5) ახასიათებს იმ აქტივების ეფექტიანობას, რომლებიც წარმოადგენენ პროდუქციის წარმოების საშუალებებს ანუ, რომელთა მეშვეობითაც იქმნება პროდუქტი. მისი მართვა და კონტროლი წარმოების მენეჯმენტის ერთ-ერთი მთავარი ობიექტია. იგი ახასიათებს მოცემულ საწარმოში (ბიზნესში) გამოყენებული, საკუთრივ წარმოების საშუალებების მომგებიანობას, რადგან საოპერაციო მოგება მთლიანად მოცემული საწარმოს წარმოების საშუალებების გამოყენების ხარისხზეა დამოკიდებული. დასაბეგრ მოგებაზე, როგორც ცნობილია, გავლენას ახდენს საპროცენტო ხარჯები და საპროცენტო შემოსავლები, რომელთა სიდიდე მოცემული კომპანიის მუშაობის ეფექტიანობაზე არაა დამოკიდებული. ამასთან, როდესაც მთელი აქტივების მომგებიანობას ვითვლით, აქტივებში შედის ნაყიდი აქციები და ობლიგაციები, საიდანაც მიღებული სარგებლის დონე მოცემული კომპანიის მუშაობის ხარისხზე ასევე დამოკიდებული არაა. თუმცა, ფინანსური მენეჯმენტის მართვის ხარისხი მასზე გავლენას ახდენს.

აგრეთვე შეიძლება შესწავლილ იქნეს დამატებული ღირებულებისა და დაბანდებული კაპიტალის ფარდობის კოეფიციენტი (RE).

6. **RE = დამატებული ღირებულება / დაბანდებული კაპიტალი**

დამატებული ღირებულება არის შრომითი ხარჯებისა და საოპერაციო მოგების ჯამი.

II. **ფინანსური მომგებიანობის** მაჩვენებლები გამოითვლება წმინდა მოგების მაჩვენებლის მიხედვით ასევე სხვადასხვა ბაზის საფუძველზე. როგორიცაა:

1. **აქტივების ფინანსური რენტაბელობა = წმინდა მოგება * 100 5 / აქტივები**

იგი აჩვენებს თუ, აქტივებში ავანსირებული ღირებულების ყოველ ერთ ლარზე, საწარმოს მფლობელთა საკუთრებაში რამდენი პროცენტი მოგება რჩება.

2. **სააქციო კაპიტალის რენტაბელობა = წმინდა მოგება * 100% / სააქციო კაპიტალი**

იგი აჩვენებს აქციონერთა პოტენციურ შემოსავალს და მეტად საინტერესოა აქციონერებისათვის. ეს მაჩვენებლები განხილულია საკუთარი კაპიტალის ანალიზის თავში.

3. **წმინდა აქტივების მომგებიანობა (RONA) =**
= წმინდა მოგება / (გრძელვადიანი აქტივები + წმინდა მიმდინარე აქტივი)

RONA – წმინდა აქტივების მომგებიანობაა (Return on net Assets) აჩვენებს, რამდენად კარგად შეუძლია საწარმოს გამოიყენოს მისი აქტივების ბაზა მოგების შესაქმნელად. რაც უფრო მაღალია ეს მაჩვენებელი, მენეჯმენტის მართვის მით უფრო მაღალ ხარისხზე მიანიშნებს.

4. NINS = **წმინდა მოგება / მოგება რეალიზაციიდან**

ეს კოეფიციენტი ახასიათებს იმას, თუ რეალიზაციიდან მიღებული მოგების რამდენი პროცენტი რჩება საწარმოს მესაკუთრეებს.

საერთოდ, წმინდა (ფინანსური) მომგებიანობა ახასიათებს საწარმოს მმართველობის მუშაობის ეფექტიანობის ხარისხს. მისი ოპტიმალური დონე დამოკიდებულია კონკრეტული საწარმოს საქმიანობის ტიპზე.

III. პროდუქციის რენტაბელობის მაჩვენებლები

პროდუქციის მომგებიანობის მაჩვენებელთა სისტემა მრავალფეროვანია. ისინი ზოგადად გამოყენებული ხარჯებისა და გამოშვებული პროდუქციის მომგებიანობას ახასიათებენ. მათ მიეკუთვნება:

1. მოგების ნორმა (ანუ მარჟა), რომელიც აჩვენებს რამდენი პროცენტი მოგება მიიღება ერთ ლარ შემოსავალზე.

$$\textbf{მოგების ნორმა} = \frac{\textbf{მოგება } \textit{რეალიზაციიდან} * \mathbf{100\%}}{\textit{შემოსავალი რეალიზაციიდან}}$$

2. ფასნამატი - აჩვენებს, რამდენი პროცენტი მოგება მიიღება ერთ ლარ საოპერაციო დანახარჯებზე.

$$\textbf{ფასნამატი} = \frac{\textbf{მოგება } \textit{რეალიზაციიდან} * \mathbf{100\%}}{\textit{რეალიზ. პროდ. სრული თვითღ.}}$$

ფასნამატი აჩვენებს რამდენი პროცენტი მოგება მიიღება ყოველ ერთ ლარ დანახარჯებზე. ფასნამატს ძირითადი საქმიანობის (წარმოების) რენტაბელობასაც უწოდებენ. იგი ყოველთვის აღემატება მარჟას. პროდუქციის რენტაბელობის მაჩვენებლებს აგრეთვე იყენებენ მოგება/ზარალის ანგარიშგების შესადგენად, არასრული სააღრიცხვო ჩანაწერების დროს. საწარმოს შიდა მართვაში აგრეთვე ცალკეული სახის პროდუქციის მომგებიანობის ანალიზიც ტარდება.

3. ადმინისტრაციული ხარჯების წილი ერთ ლარ შემოსავალზე - არ უნდა აღემატებოდეს მოგების ნორმას

$$\text{ადმინისტრაციული ხარჯების წილი} = \frac{\text{საერთო ადმინსტრაციული ხარჯები} * 100\%}{\text{შემოსავალი რეალიზაციიდან}}$$

4. დანახარჯი ერთ ლარ შემოსავალზე - ერთზე ნაკლები უნდა იყოს და დინამიკაში სასურველია მცირდებოდეს.

$$\text{დანახარჯი 1 ლარ შემოსავალზე} = \frac{\text{რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება}}{\text{შემოსავალი რეალიზაციიდან}}$$

5. შემოსავლების საერთო ხარჯტევადობა. იგი ერთზე ნაკლები უნდა იყოს და დინამიკაში შემცირების ტენდენციით უნდა ხასიათდებოდეს.

$$\text{საერთო ხარჯტევადობა} = \frac{\text{ყველა სახის ხარჯის ჯამი}}{\text{ყველა სახის შემოსავლის ჯამი}}$$

მომგებიანობის ჩამოთვლილი მაჩვენებლები ფინანსურ მენეჯმენტს ეხმარება წარმატებით მართოს და აკონტროლოს დანახარჯები, მათი უფრო მაღალი ეფექტიანობით გამოყენების მიზნით.

4.3. მოგება-ზარალის ანგარიშგების ვერტიკალური და ჰორიზონტალური ანალიზის მეთოდიკა

მოგება-ზარალის ანგარიშგების ვერტიკალური (სტრუქტურული) ანალიზით ხორციელდება ანგარიშგებაში წარდგენილი ცალკეული მუხლების ხვედრითი წილის დადგენა ცენტრალური მაჩვენებლის, მაგალითად, ამონაგების (რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის) მიმართ. კერძოდ:

- შემოსავლის ღირებულება აღებულია, როგორც 100 პროცენტიანი ინდიკატორი;
- დანარჩენი მუხლების პროცენტული წილი გამოიანგარიშება შემოსავლების მიმართ.

ვინაიდან ანგარიშგება მოიცავს ორი პერიოდის ინფორმაციას - მიმდინარე და წინა, წლისათვის, ვერტიკალური ანალიზის გამოყენება საშუალებას იძლევა:

- გაკონტროლდეს მთლიანი ხარჯების სტრუქტურის ცვლილება ზრდის ან შემცირების მიმართულებით;
- გამოტანილ იქნეს დასკვნები იმის შესახებ, თუ რომელი ხარჯების ზრდა არის გაუმართლებელი, რომლებიც ნეგატიურად აისახება თვითღირებულებაზე.
- შემუშავებულ იქნეს ახალი ბიზნეს სტრატეგიები, როდესაც არსებობს მზა პროდუქციის მოთხოვნის შემცირების მტკიცებულება.

ცხრილში 4.3.1. სს „კოკა -კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ მოგება/ზარალის ანგარიშგების მაგალითზე განხილული ინფორმაციით, 2016-2018 წლებში, ამონაგების მიმართ

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება სტაბილურად, დაახლოებით 68% იყო. საერთო ადმინისტრაციული ხარჯების წილი თანდათან მცირდებოდა, ხოლო, საოპერაციო მოგების წილი იმავე შემოსავლების მიმართ იზრდებოდა, რაც დადებით შეფასებას იმსახურებს. წმინდა მოგების წილის ცვლილება კი არასტაბილური იყო, რაც კომპანიას ინვესტორებისათვის არასაიმედოს ხდის.

როცა წმინდა მოგების ტემპი არასტაბილურია და ფინანსური მენეჯმენტისა და მესაკუთრეების მხრიდან საპასუხო ეფექტური ქმედებები არ ჩანს, წარმოშობს ეჭვს, რომ ადგილი აქვს რაღაც გარე ფარული ფაქტორების ნეგატიურ ზემოქმედებას. შემოსავლების მიმართ წმინდა მოგების ფარდობის კოეფიციენტის ხშირი მერყეობა უარყოფით გალენას ახდენს მოგების რეინვესტირების პოლიტიკაზეც.

ცხილი 4.3.1. კოკა-კოლას მოგება/ზარალის ანგარიშგების ვერტიკალური ანალიზის შედეგები (%) 2016-2018 წწ

მოგება/ზარალის ანგარიშგების ელემენტები	2016	2017	2018
შემოსავალი რეალიზაციიდან	**100**	**100**	**100**
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	68.41	68.97	68.47
საერთო (მთლიანი) მოგება	**31.59**	**31.03**	**31.53**
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0.38	0.42	1.05
დისტრიბუციის ხარჯები	8.25	6.48	7.00
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	14.85	13.53	10.36
სხვა საოპერაციო შემოსულობები (ზარალი),	0.5	0.68	2.04
საოპერაციო მოგება	**9.37**	**10.76**	**13.19**
ფინანსური შემოსავალი	1.5	2.54	2.83
ფინანსური ხარჯები	11.3	8.86	5.33
მოგება დაბეგვრამდე	**(0.39)**	**4.45**	**10.69**
მოგების გადასახადის ხარჯი (აღდგენა)	13.21	0.05	0.14
წმინდა მოგება	**13.21**	**4.40**	**9.69**
სხვა სრული შემოსავლები	-		1.92
დანარჩენი ხარჯები	-		
სულ წმინდა მოგება	**13.21**	**4.40**	**11.61**

მოგების მაჩვენებლების ფარდობით, **მოგების ლევერიჯის კოეფიციენტებიც** გამოითვლება. მაგალითად, რეალიზაციიდან მიღებული მოგების ტემპი თუ აღემატება საოპერაციო მოგების ზრდის ტემპს, მით უფრო იზრდება რისკები მმართველობითი ხარჯების გამოყენებაში. ხოლო, საოპერაციო მოგება რაც უფრო მეტად აღემატება დასაბეგრ მოგებას, მით უფრო მაღალია ფინანსური რისკები. ამიტომ, აუცილებელია მენეჯმენტმა ლევერიჯის კოეფიციენტებიც რეგულარულად გამოიკვლიოს.

ჰორიზონტალური ანალიზის დროს განისაზღვრება:

- აბსოლუტური გადახრები;
- ზრდის ტემპი;
- მატების ტემპი.

ცხრილი 4.3.2. **კოკა-კოლას მოგება/ზარალის ანგარიშგების ელემენტების ჰორიზონტალური ანალიზის შედეგები %-ად 2016 წელთან შედარებით (ზრდის ტემპი)**

მოგება-ზარალის ანგარიშგების ელემენტები	2016	2017/2016*100	2018/2016 *100
შემოსავალი რეალიზაციიდან	**100**	117.48	128.4
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	100	118.43	128.49
საერთო (მთლიანი) მოგება	**100**	115.40	128.15
სხვა საოპერაციო შემოსავალი	**100**	132.57	359.23
დისტრიბუციის ხარჯები	100	92.28	108.81
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	100	107.06	89.58
სხვა საოპერაციო შემოსულობები (ზარალი), ნეტო	100	157.89	518.68
საოპერაციო მოგება	**100**	134.97	180.78
ფინანსური შემოსავალი	100	199.26	241.84
ფინანსური ხარჯები	100	92.45	60.76
მოგება დაბეგვრამდე	**100**	-1341.10	-3521.54
მოგების გადასახადის ხარჯი (აღდგენა)	100	0.45	1.39
წმინდა მოგება	**100**	39.09	94.17
დანარჩენი შემოსავლები	-		
დანარჩენი ხარჯები	-		
წმინდა მოგება სულ	**13.21**	39.09	112.82

აბსოლუტური გადახრები = მიმდინარე მაჩვენებლებს - საბაზო მაჩვენებლები;
ზრდის ტემპი = მიმდინარე მაჩვენებელი / საბაზისო მაჩვენებელზე * 100 %.
მატების ტემპი = მიმდინარე მაჩვენებელი / საბაზისო მაჩვენებელზე * 100% -100%.

საწარმოთა მოგება/ზარალის ანგარიშგებაში წმინდა მოგების ნაცვლად გამოყენებულია ტერმინი - წლის მოგება, რაც ვთვლით რომ მცდარია.

ჩატარებული ანალიზიდან შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

2018 წელს 2016 წელთან შედარებით მოგების მაჩვენებლები ხასიათდება ზრდის ტემპით, თუმცა ზრდის ხარისხი მოგების სხვადასხვა მაჩვენებლის მიხედვით განსხვავებულია. ეს გამოწვეულია ძირითადად ადმინისტრაციული და ფინანსური ხარჯების შემცირებით.

პროდუქციის თვითღირებულებისა და ამონაგების ზრდის ტემპი ერთნაირია, რაც გარკვეულ ეკონომიკურ ხიფათს მაინც ქმნის. უნდა გატარდეს ღონისძიებები მის შესამცირებლად, მაგალითად ინვესტიციების ზრდა ტექნოლოგიური გადაიარაღებისთვის.

ჰორიზონტალური ანალიზი და ეკონომიკის ოქროს წესი. ჰორიზონტალური მეთოდით აფასებენ არა მხოლოდ ბალანსს, არამედ მოგება-ზარალის ანგრიშგების ელემენტებსაც. ამ ანგარიშგებიდან მიღებული მონაცემები გამოიყენება კომპანიის განვითარების ტემპების შესადარებლად სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით. „ეკონომიკის ოქროს წესი“ საწარმოს პოტენციალის შეფასების საშუალებას იძლევა. ეს გულისხმობს წარმატების შემდეგ პრინციპებს:

- უნდა იზრდებოდეს შემოსავალი, მოგება დაბეგვრამდე, აქტივები და საკუთარი კაპიტალი, რაც მიუთითებს ეკონომიკური პოტენციალის ზრდაზე;
- მოგება უნდა გაიზარდოს სწრაფად, ვიდრე შემოსავალი, რაც ადასტურებს ხარჯების ეფექტიანად გამოყენებას;
- შემოსავლები უნდა გაიზარდოს საკუთარ კაპიტალზე უფრო სწრაფად, რაც ახასიათებს სახსრების მოზიდვას გაყიდვების და არა დამფუძნებლების ხარჯზე;
- საკუთარი კაპიტალი აქტივებზე უფრო სწრაფად უნდა გაიზარდოს, რადგან ფინანსური დამოუკიდებლობა კომპანიისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

წმინდა მოგებისა და კაპიტალის ზრდა კარგი ტენდენციაა. მაგრამ თუ მოგება იზრდება უფრო ნელა, ვიდრე კაპიტალი, მაშინ საწარმო სრულად არ იყენებს შესაძლებლობებს კომერციული საქმიანობის ეფექტურობის გასაზრდელად. ინდიკატორების გადახრების ოფიციალური ანალიზით არ არის შესაძლებელი სწორი დასკვნების გამოტანა. სპეციალური ცოდნაა საჭირო, რომ მოხდეს ანგარიშში შესული ცვლილებების სრულყოფილად შეფასება, სხვადასხვა ინდიკატორებთან ურთიერთობაში.

წმინდა მოგების ზრდის ტემპი ≥ რეალიზაციიდან ამონაგების ზრდის ტემპი ≥ საკუთარი კაპიტალის ზრდის ტემპი ≥ საწარმოს აქტივების ზრდის ტემპი > 100%

ფინანსური შედეგების ანგარიშგების მაჩვენებლებს შორის თანაფარდობის სამი ძირითადი წესი არსებობს. ესენია:

წესი 1. შემოსავალი უნდა გაიზარდოს და უფრო სწრაფად, ვიდრე აქტივები.

მხოლოდ ამ შემთხვევაშია გამართლებული საწარმოში ინვესტირება. წინააღმდეგ შემთხვევაში, იქმნება სიტუაცია, როდესაც რესურსების ზრდა არ იწვევს მათ ადეკვატურ ბრუნვას. ამ წესისთვის ორი დაზუსტება არსებობს:

- აქტივების ზრდის ტემპის შედარება, პირველ რიგში, რეალიზაციიდან მიღებულ ამონაგებთან და არა შემოსავლის მთლიან ოდენობასთან. იმიტომ, რომ სხვა შემოსავლები ყოველთვის არ წარმოიქმნება აქტივებით. მაგალითად, დადებითი საკურსო სხვაობები ან ჯარიმები კონტრაქტორების მხრიდან სახელშეკრულებო პირობების დარღვევისთვის, ემყარება სხვა ფაქტორებს, გარდა აქტივების პირდაპირი გამოყენებისა;
- თუ ორგანიზაცია ახორციელებს საინვესტიციო პროექტს ან ჯერ კიდევ ადრეულ ეტაპზეა, მაშინ ამ ეტაპზე შემოსავლის ზრდის ტემპი შეიძლება იყოს აქტივების ზრდის ტემპზე ნაკლები. ეს სიტუაცია ნორმალური და ახსნილია.

წესი 2. ხარჯები ან უნდა შემცირდეს ან გაიზარდოს უფრო ნელა, ვიდრე შემოსავალი. ეს არის ფინანსური შედეგის ზრდის გასაღები.

დაწვრილებით უნდა გაანალიზდეს თუ როგორ ყალიბდება ფინანსური შედეგი.

ფარდობითი გადახრა ფასდება ხარჯების ქვესახეობების მიხედვით.

საგანგაშო მდგომარეობაა როდესაც:

- მმართველობითი ხარჯების ზრდის ტემპი უსწრებს თვითღირებულების ზრდის ტემპს:
- ადმინისტრაციული ხარჯები არაადეკვატურია, მაგალითად, წარმოების ხარჯებთან შედარებით, ეს განვითარების გზა არ არის. „მშიერი მუშა, ძველი აპარატურა და დეფექტური მასალა არასოდეს გახდება ხარისხიანი პროდუქტის საფუძველი“;
- „სხვა ხარჯების“ ზრდის ტემპი მაღალია, ჩვეულებრივი საქმიანობის ხარჯების ზრდის ტემპთან შედარებით. მაგალითად, პროცენტი სესხებზე და კრედიტებზე; ჩამოწერილი უიმედო დებიტორული დავალიანებები. „სხვა ხარჯების“ მნიშვნელოვანი ზრდის ტემპი მოითხოვს სიღრმისეული ანალიზის ჩატარებას.

წესი 3. მოგების ყველა მაჩვენებელი უფრო ინტენსიურად უნდა გაიზარდოს, ვიდრე შემოსავალი.

მესამე წესი შესრულებულია ავტომატურად, როდესაც მეორე დაცულია. განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს მთლიანი მოგებისა და **საოპერაციო მოგების (მოგება ძირითადი საქმიანობიდან)** ზრდის ტემპის შედარებაზე შემოსავლის ზრდის ტემპთან.

მესამე წესი არ იმუშავებს, თუ ზოგიერთ პერიოდში ორგანიზაციამ მიიღო ზარალი მოგების ნაცვლად, აზრი არა აქვს ზრდისა თუ მატების ტემპის დათვლას უარყოფითი და ამჟამინდელი დადებითი მაჩვენებლების საფუძველზე.

მაშასადამე, მოგება/ზარალის ანგარიშგებაში სასურველია არსებობდეს ზრდის ტემპების შემდეგი ტენდენციები:

1.შემოსავლების ზრდის ტემპი წინ უსწრებდეს ხარჯების ზრდის ტემპს;

2. საოპერაციო მოგების ზრდის ტემპი წინ უსწრებდეს რეალიზაციიდან მიღებული მოგების ზრდის ტემპს;

3. წლიური მოგების ზრდის ტემპი უნდა უსწრებდეს საოპერაციო მოგების ზრდის ტემპს;

4. წმინდა მოგების ზრდის ტემპი ტოლი ან მეტი უნდა იყოს წლიური მოგების ზრდის ტემპზე;

საკვლევი საწარმოების ანგარიშგების საფუძველზე, ეკონომიკური ზრდის და ფინანსური სტაბილურობის მაჩვენებლების ცვლილების პროპორციები ნაჩვენებია ცხრილში 4.3.1.

ცხრილი 4.3.3. ფინანსური მაჩვენებლების აუცილებელი პროპორციები საკვლევ საწარმოებში

ზრდის ტემპების თანაფარდობის „ოქროს წესი“		სს კოკა-კოლა	სს თელია-ნი ველი	სს ნიკორა ტრეიდი	შპს იფქლი დიღომი	სს გუდვილი	სს თელასი	სს იმედი „L“	სს საქარ. რკინ-იგზა
შემოს.რეალ. > ხარჯ. ტემპი	2017	< *	>	>	< *	-	< *	>	< *
	2018	>	< *	< *	< *	< *	>	>	0
საოპ.მოგება > მოგ.რეალიზ.	2017	>	>	>	< *	0	0	0	0
	2018	>	>	< *	< *	< *	0	0	0
მოგ.დაბეგვრა-მდე > საოპ.მ.	2017	< *	>	< *	>	0	< *	0	<
	2018	< *	0	< *	< *	>	< *	0	0
წმ.მოგება > მ.დაბეგვმდე	2017	< *	< *	>	>	0	< *	< *	>
	2018	>	=	< *	< *	=	>	>	0

ცხრილში 4.3.1 წარმოდგენილია რამდენიმე ძირითადი მაჩვენებლის ზრდის ტემპის პროპორციული დამოკიდებულებების შედარება საწარმოების მიხედვით 2017 -2018 წლებში, წინა წლებთან შედარებით. ანუ, 2017 წელი შედარებულია წინა 2016 წელს და 2018 წელი შედარებულია მის წინა 2017 წელთან. ცხრილში ნულით აღნიშნულია ინფორმაციის არარსებობა, რადგან, კვლევის პერიოდში ზოგიერთ საწარმოს ჯერ არ ჰქონდა ინფორმაცია სრულად წარდგენილი. წერტილებით აღნიშნულია არასასურველი შედეგი. როგორც ჩანს, არ არსებობს კომპანია, სადაც აუცილებელი პროპორციები, რამდენიმე მაინც, დარღვეული არაა.

4.4. მოგების მაჩვენებლების შიგა საწარმოო ანალიზი

ამ საკითხში განხილულია მოგების შიგა ანალიზის მეთოდიკა, რომელიც უნდა ჩაატაროს საწარმოთა მენეჯმენტმა შიგა ინფორმაციის საფუძველზე, რადგან, ფინანსურ ანგარიშგებაში ისინი არ ქვეყნდება, მაგრამ საწარმოთა მენეჯმენტს ინფორმაციის მისაწვდომობის პრობლემა არა აქვს.

მოგება არა მხოლოდ სააღრიცხვო სიდიდეა, რომელიც განისაზღვრება, ამონაგებიდან მიღებულ შემოსავლებსა (დღგ და აქციზის გადასახადის გამოკლებით) და წარმოების ხარჯებს შორის სხვაობით, არამედ ეკონომიკური კატეგორიაა, რაც წარმოადგენს ინვესტიციის მიმზიდველობის ეფექტიანობის საზომს, წარმოების განვითარების, გაფართოების და სოციალური პასუხისმგებლობების დაცვის ერთადერთ ბერკეტს.

მოგებაზე მოქმედი ფაქტორების კლასიფიკაცია

პირველადი	**მეორადი**	
-გაყიდვების მოცულობა; - თვითღირებულება; -სარეალიზაციო ფასები; -თვითღირებულების სტრუქტურა; -გაყიდული პროდუქციის სტრუქტურა; -პროდუქტის კონკურენტუნარიანობა.	**ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს ღირებულებაზე** - რესურსების ფასები; - ერთეულის ცვლადი ხარჯები; - ცვეთის პოლიტიკა; - ხელფასის დონე; - არაპირდაპირი გადასახადები.	**რესურსების ეფექტიანობის ფაქტორები** - საბრუნავი სახრების ბრუნვის სიჩქარე; - საწარმოო პროცესების შრომატევადობა; - აღჭურვილობის მწარმოებლურობა.

შიდა	**გარე**
-გაყიდვების მოცულობა; - მზა პროდუქცია საწყობში; - თვითღირებულება; - წარმოების დისციპლინის დარღვევა; - პროდუქციის ხარისხი და ასორტიმენტი; - ბუღალტრული აღრიცხვის პროცედურები; - წარმოებისა და შრომის ორგანიზაცია.	-საწარმოო რესურსების ფასები; - ბუნებრივი და გეოგრაფიული პირობები; -სატრანსპორტო და ტექნიკური პირობები; - სოციალურ-ეკონომიკური პირობები; - საგარეო ეკონომიკური კავშირების განვითარების დონე; - გადასახადების საპროცენტო განაკვეთების დონე

რაოდენობრივი	**სტრუქტურული**	**ხარისხობრივი**
- გაყიდვების მოცულობა; - თვითღირებულება; - მზა პროდუქცია საწყობში; - დისკრეციული ხარჯების დონე.	- გაყიდვების სტრუქტურა; - წარმოების ღირებულების სტრუქტურა.	- აღჭურვილობის ხარისხი და მწარმოებლურობა; - ფასები საწარმოო რესურსებზე და პროდუქციაზე; - დებიტორული და

		კრედიტორული დავალიანებების ბრუნვის სიჩქარე.

ექსტენსიური	ინტენსიური
- გაყიდული პროდუქციის მოცულობა; - საწარმოო რესურსების ფასები და ტარიფები, - კრედიტით გაყიდვების მოცულობა.	- გაყიდული პროდუქციის ფასი; - ღირებულება; - შრომის ნაყოფიერება; - გაყიდვების სტრუქტურა;, - კაპიტალის ბრუნვის სიჩქარე; - ტექნოლოგიური, ფინანსური დისციპლინის დარღვევა; - ფინანსური დაგეგმვის ეფექტურობა.

სქემა 4.4.1. რეალიზაციიდან მიღებულ მოგებაზე მოქმედ ფაქტორთა ჯგუფები

მოგებაზე პირველადი ფაქტორების გავლენის ცვლილების შეფასების მეთოდიკა:

- **გასაყიდი ფასების ცვლილების გავლენა მოგებაზე**

$$M = pq - sq$$

სადაც

M - არის საერთო მოგების (მოგება რეალიზაციიდან) სიდიდე;

P - ერთეულზე ფასი;

q - რეალიზებული საქონლის რაოდენობა;

s - თვითღირებულება

შესაბამისად გასაყიდი ფასების ცვლილების გავლენა მოგებაზე განისაზღვრება შემდეგნაირად, საანგარიშგებო წლის ამონაგებს გამოკლებული იგივე ამონაგები გაანგარიშებული საბაზისო წლის ფასებით.

საერთო მოგების ცვლილება $_{D}M_{P} = (p_1q_1 - s_1q_1) - (p_0q_1 - s_1q_1) = p_1q_1 - p_0q_1$

სადაც p_0 -არის საბაზისო პერიოდის გასაყიდი ფასი;

p_1 - საანგარიშგებო პერიოდის გასაყიდი ფასი;

q_1 - საანგარიშგებო პერიოდში რეალიზებული საქონლის რაოდენობა.

- **მოგებაზე არსებით გავლენას ახდენს პროდუქციის რეალიზაციის ცვლილება.**

რენტაბელური პროდუქციის გაყიდვების მოცულობის ზრდა მოგებას ზრდის და პირიქით.

ამრიგად, პროდუქციის გაყიდვების მოცულობის გავლენა შეიძლება განვსაზღვროთ საბაზისო მოგების გამრავლებით გაყიდვების მოცულობის ზრდის ტემპზე საბაზისო ფასებით:

$$_{\Delta} M(q) = M_{o} * \Delta T:100\%$$

(q) მიანიშნებს რეალიზაციის მოცულობას.

სადაც M_0 არის წინა წლის მოგება;

ΔT - გაყიდვიდან მიღებული ამონაგების მოცულობის ტემპის ზრდა

$$\Delta T = \frac{p_0 q_1}{p_0 q_0} * 100\% - 100\%$$

• **მოგებაზე გავლენას ახდენს გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება**. თვითღირებულებასა და მოგებას შორის არსებობს უკუპროპორციული დამოკიდებულება, რაც დაბალია გაყიდული საქონლის თვითღირებულება მით მეტია მოგება. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულების ცვლილების გავლენა მოგებაზე შეიძლება განისაზღვროს საანგარიშგებო წელს რეალიზებული საქონლის წინა წლის დანახარჯების მიხედვით გაანგარიშებული თვითღირებულების ფაქტობრივთან შედარებით:

$$\Delta M(s) = q_1 s_1 - q_1 s_0$$

ამ ფაქტორის გავლენისას საჭიროების შემთხვევაში ანალიზური მონაცემების საფუძველზე შეიძლება გამოვყოთ ფასების ცვლილება მოხმარებულ მატერიალურ და სხვა რესურსებზე.

• მოგებაზე გავლენა შეიძლება მოახდინოს **რეალიზებული პროდუქციის ასორტიმენტის (სტრუქტურულმა)** ცვლილებამ. რეალიზებული პროდუქციის მთლიან მოცულობაში მაღალრენტაბელური პროდუქციის წილის ზრდა საწარმოს მოგებას გაზრდის, მათი წილის შემცირება - ამცირებს.

ყველაზე პოპულარულ ფინანსურ კოეფიციენტებს შორის შეიძლება გამოვყოთ **გაყიდვების რენტაბელობის კოეფიციენტი ანუ მარჟა (მოგება რეალიზაციიდან / შემოსავალი * 100%).** გაყიდვების რენტაბელობის კოეფიციენტი აჩვენებს რამდენი პროცენტი მოგება მიიღება ყოველ ერთ ლარ შემოსავალზე.

საწარმოთა მენეჯმენტი რეგულარულად უნდა ატარებდეს რეალიზაციიდან მიღებული მოგების გეგმიდან გადახრის ანალიზს, თუ რა ფაქტორებმა გამოიწვია მისი გადახრა გეგმურთან შედარებით.

საერთო მოგების სიდიდეზე, **გაყიდვების მოცულობ**ისა და **საერთო მოგების მარჟის ცვლილების გავლენის გამოსათვლელად გამოიყენება შემდეგი** ფორმულა:

$$M = V * \frac{M}{V}$$

სადაც M - საერთო მოგების სიდიდეა,

V - გაყიდვების მოცულობა (ამონაგები)

$\frac{M}{V}$ კოეფიციენტი ახასიათებს საერთო მოგების ამონაგებთან თანაფარდობას (საერთო მოგების მარჟა ანუ **გაყიდვების რენტაბელობა** გაანგარიშებული საერთო მოგების მიხედვით).

საერთო მოგების ცვლილების გავლენა **გაყიდვების მოცულობის ცვლილების** გავლენით განისაზღვრება ფორმულით:

საერთო მოგების ცვლილება = Δ **M= (V_1- V_0) *** $\frac{M}{V}$

სადაც V_1 დაV_0 ამონაგების სიდიდეა საანგარიშგებო და საბაზისო პერიოდში.

Δ - აღნიშნავს ცვლილებას (გადახრას).

საერთო მოგების სიდიდის **ცვლილება საერთო მოგების მარჟის** ცვლილებით, გაიანგარიშება ფორმულით:

საერთო მოგების ცვლილება = $\Delta M = \frac{M1}{V1} - \frac{Mo}{Vo} \cdot V_1 = (M_1 / V_1 - M_0 / V_0) * V_1$

საანალიზო საწარმოში სს „კოკა-კოლა“ ბოთლერს ჯორჯია **საერთო** მოგების სიდიდე გაიზარდა 5,681(42569-36888) ლარით. მაშინ როდესაც გაყიდვების მოცულობა გაიზარდა 20408 (137186-116778) ლარით.

აღნიშნულის მიზეზია გაყიდვების რენტაბელობის შემცირება.

გავიანგარიშოთ **გაყიდვების მოცულობის (ამონაგების) ცვლილებამ** რა გავლენა მოახდინა საერთო მოგების სიდიდეზე მარჟის უცვლელობის პირობებში ($\frac{Mo}{Vo}$ **საბაზისო პერიოდი**)

Δ **M= (V_1- V_0) *** $\frac{Mo}{Vo}$ =(137186-116778)* 36888/116778 = 6 447

მაშასადამე გაყიდვების **რენტაბელობის უცვლელობისა** (საბაზისი პერიოდის დონის პირობებში) **და** გაყიდვების მოცულობის 20408 ლარით ზრდის პირობებში, საერთო მოგება 6447 ლარით უნდა გაზრდილიყო, ფაქტობრივად გაიზარდა 5,681ლარით.

გაყიდვების რენტაბელობის (მარჟის) ცვლილების გავლენის შესაფასებლად ჩავატაროთ გაანგარიშება:

Δ **M=** $\frac{M1}{V1} - \frac{Mo}{Vo} \cdot V_1$ = (42569/137186)-(36888/116778)*137186 = 0.3103-0.3159 +137186 =

= - 766

გაყიდვების რენტაბელობის შემცირებამ (ზღვრული მოგების)-0.0056% -ით საერთო მოგების სიდიდის 766,0 ლარით გაზრდა გამოიწვია.

ამრიგად, ზემოთ აღნიშნული ორივე **ფაქტორის გავლენის** შედეგად საერთო მოგება 5681 (6447 - 766) ლარით გაიზარდა.

გაყიდვების რენტაბელობა კომპანიის ფასების პოლიტიკის და ხარჯების კონტროლის შესაძლებლობის ინდიკატორია. იგი ხშირად გამოიყენება კომპანიების საოპერაციო საქმიანობის ეფექტიანობის გასაზომად [მ.ჯიქია.2018.გვ.153]

როგორც 4.4.1. ცხრილიდან ჩანს, გაყიდვების რენტაბელობა შემცირდა 0.00313 პუნქტით. ეს გამოწვეულია იმით, რომ რეალიზებული საქონლის თვითღირებულების ზრდის ტემპი 118% (94617/79890) მეტია, ამონაგების (137186/116778)ზრდის ტემპთან - 117% - შედარებით.

გაყიდვების რენტაბელობას შეუძლია არსებითი გავლენა მოახდინოს მოგების მაჩვენებლებზე. თუმცა როდესაც ბიზნესი წარმოდგენილია სეგმენტებად, რენტაბელობა გაშუალებული სიდიდეა, რომელიც მისი ცვლილების გამომწვევი მიზეზის დადგენის შესაძლებლობას არ იძლევა. ამ შემთხვევაში საჭიროა, გაყიდვების საერთო რენტაბელობაზე ჩატარდეს ბიზნესის ცალკეული სეგმენტის რენტაბელობის გავლენის ანალიზი, თუ ამის საშუალებას ფინანსური ანგარიშგება იძლევა.

ცხრილი 4.4.1. გაყიდვებიდან რენტაბელობის დონე და ცვლილება სს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია“-ს მაგალითზე 2017 წელს

(ათასი ლარი)

მაჩვენებლები	2016	2017	ცვლილება (+, -)	ზრდის ტემპი %
მოგება გაყიდვებიდან	36888	42569	+ 5681	115.4%
ამონაგები გაყიდვებიდან	116778	137186	- 20408	117.4%
გაყიდვების რენტაბელობა %	32.0	31.0	-1.0	-0.00313

გაყიდვების რენტაბელობას შეუძლია არსებითი გავლენა მოახდინოს მოგების მაჩვენებლებზე. თუმცა როდესაც ბიზნესი წარმოდგენილია სეგმენტებად, რენტაბელობა გაშუალებული სიდიდეა, რომელიც მისი ცვლილების გამომწვევი მიზეზის დადგენის შესაძლებლობას არ იძლევა. ამ შემთხვევაში საჭიროა, გაყიდვების საერთო რენტაბელობაზე ჩატარდეს ბიზნესის ცალკეული სეგმენტის რენტაბელობის გავლენის ანალიზი, თუ ამის საშუალებას ფინანსური ანგარიშგება იძლევა.

ბიზნესის ცალკეული მიმართულების მიხედვით ფინანსური მდგომარეობისა და ეკონომიკური საქმიანობის შედეგების შეფასების შესაძლებლობას იძლევა საოპერაციო **სეგმენტები**, რაც ფინანსური ანგარიშგების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია, სეგმენტების მიხედვით ანალიზი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მრავალპროფილიანი საწარმოსათვის.

ფასს 8 „საოპერაციო სეგმენტების“ მიხედვით, საწარმომ ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა გაამჟღავნოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც მომხმარებლებს შესაძლებლობას მისცემს შეაფასოს ცალკეული სეგმენტების სამეწარმეო საქმიანობის ხასიათი, ფინანსური შედეგები და ის ეკონომიკური გარემო, რომელშიც საწარმო ეწევა საქმიანობას.

სეგმენტების შესახებ ინფორმაციის მოპოვების მოთხოვნები, საერთაშორისო პრაქტიკაში, განისაზღვრება ფასს 8 „საოპერაციო სეგმენტებით“. გეოგრაფიული სეგმენტების მიხედვით წარმოდგენილი ანგარიში, არა მხოლოდ აუმჯობესებს ფინანსური ანგარიშგების ხარისხს, არამედ ინვესტორებს საშუალებას აძლევს საწარმო დაინახოს „ხელმძღვანელობის თვალით“, ზრდის მომხმარებლის უნარს, გაანალიზოს ხელმძღვანელობის ქმედებების ან ღონისძიებების გავლენა საწარმოს მომავალი ფულადი ნაკადების პერსპექტივაზე, შეაფასონ ის რისკები და ხელსაყრელი შესაძლებლობები, რომლებიც, ხელმძღვანელობის აზრით, მნიშვნელოვანია საწარმოსთვის.

სეგმენტური ანგარიშგების ანალიზი შეიძლება ჩატარდეს შემდეგ ეტაპებად:

1. სეგმენტების მიხედვით ანალიზის მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა.

2. კვლევაში საჭირო მაჩვენებელთა სისტემის შერჩევა.

3. კვლევის მეთოდების, ტექნიკის და ინსტრუმენტების არჩევის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

4. ინფორმაციის წყაროების მომზადება ანალიზისთვის.

5. საანალიზო პროცედურების ჩატარება და დასკვნების გაკეთება.

ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი სექტორების მიხედვით გაყიდვების რენტაბელობის ანალიზის შედეგად დგინდება, რომ საერთო მოგების მარჟა ანუ გაყიდვების რენტაბელობა სხვდასხვა სექტორისთვის განსხვავებულია. ასე მაგალითად, ბრენდის პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული მოგების მარჟა 2018 წელს შემცირებულია 2016 და 2017 წლებთან შედარებით.

ცხრილი 4.4.2. გაყიდვების რენტაბელობა რეალიზებული საქონლის კატეგორიების მიხედვით სს „კოკა-კოლას“ მაგალითზე

საწარმოები	2016		2017		2018	
	ამონაგები/თვითღირებულება	გაყიდვების რენტაბელობა (%)	ამონაგები/თვითღირებულება	გაყიდვების რენტაბელობა (%)	ამონაგები/თვითღირებულება	გაყიდვების რენტაბელობა (%)
კოკა-კოლას ბრენდის პროდუქციის გაყიდვიდან	108,377/69,634	35.74	130,845/86,075	34.21	148,705/ 100,563	32.37
სურსათისა და სასმელის გაყიდვა	3,085/7,110	-130.47	0	0	0	0
ამონაგები ოთახისა და საკონფერენციო დარბაზებიდან	2,701/0	100	0	0	0	0
ამონაგები გასაყიდად შეძენილი საქონლის გაყიდვიდან	1,831/1,274	30.42	675/2,052	-204.00	158 /1,489	-842.40
სხვა	784/1872	-138.77	674/0	100	1,056/ 595	43.65
სულ ამონაგები	116,778/79,890	31.60	132,194/88,127	33.33	149,919 / 102, 647	31.53

2017 წელს მთლიან შემოსავლებში 97.62% უკავია ბრენდული პროდუქციის გაყიდვას, ხოლო 2018 წელს 99.19% . ამ სეგმენტის მიხედვით რენტაბელობის შემცირება 2017 წელს 2016 წელთან შედარებით 1.53% -ით, ხოლო 2018 წელს, იმავე წელთან შედარებით

გამოწვეულია იმით, რომ თვითღირებულების ზრდის ტემპი უფრო მაღალია ვიდრე ამონაგების.

სეგმენტური ანგარიშგების **ორსაფეხურიანი** ანალიზი უფრო დეტალური ანალიზია. იგი ზღვრულ მოგებასთან ერთად მოიცავს ინფორმაციას მუდმივი და ცვალებადი ხარჯების შესახებ, რომელიც აჩვენებს თუ რომელი პროდუქტია უფრო მომგებიანი. ეს ერთსაფეხურიანი ანალიზით არ არის გათვალისწინებული, რამაც შეიძლება გამოიწვიოს არასწორი დასკვნები.

სეგმენტების მიხედვით ანალიზი შეიძლება ჩატარდეს არა მხოლოდ ოპერაციული სეგმენტების მიხედვით, არამედ გეოგრაფიული სეგმენტების მიხედვითაც. შეიძლება გაანალიზებული იქნას **თუ რამდენად არის მოთხოვნილი პროდუქტის თითოეული ტიპი თითოეულ კონკრეტულ გეოგრაფიულ სეგმენტში.**

ამრიგად, კომპანიის მთლიანი რენტაბელობა დამოკიდებულია მისი ცალკეული შიგა სეგმენტის რენტაბელობაზე. სეგმენტური ანალიზი არის ეფექტური უნივერსალური ინსტრუმენტი, რომელიც ცალკეული სეგმენტების რენტაბელობის განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა.

ეს სისტემა საშუალებას აძლევს კომპანიას შეიმუშაოს განვითარების სტრატეგია, რომელიც ორიენტირებულია უმაღლესი ხარისხის საქონლისა და მომსახურების წარმოებაზე მომხმარებლისთვის მისაღები ფასებით. აანალიზებს შემოსავლების ზრდის, ხარჯების შემცირების და პროდუქტიულობის გაუმჯობესების ინდიკატორებს, ძირითადი საშუალებების ოპტიმალურ გამოყენებასა და რისკების შემცირებას. ეს მაჩვენებლები აფასებს ყველა მენეჯერის მუშაობას ოპერაციული გეოგრაფიული სეგმენტების მიხედვით. საშუალებას იძლევა შეფასდეს თითოეული სეგმენტის გადახდისუნარიანობა და ფინანსური სიცოცხლისუნარიანობა.

მოგების გეგმის შესრულების მართვა და კონტროლი რეალური გეგმების შედგენას მოითხოვს. ამ მიზნით, მოგება იგეგმება ცალკეული სახეობის პროდუქციის (მომსახურების) მიხედვით ცალ-ცალკე.

ცალკეული სახის პროდუქციის გაყიდვებიდან სასურველი მოგების მიღების დაგეგმვის მიზნით, ზღვრული მოგების, წარმოების წონასწორობის, მუდმივი და ცვალებადი ხარჯების დამოკიდებულებების კონცეფციები გამოიყენება.

როგორც ცნობილია, ზღვრული მოგება არის სხვაობა პრდუქციიდან მიღებულ შემოსავალსა და ცვალებად ხარჯებს შორის. ცვალებადია ხარჯი, რომელიც პროდუქციის რაოდენობის ცვლილების პროპორციულად იცვლება. მაგალითად, ძირითადი მასალის და ძირითადი შრომითი ხარჯები. აგრეთვე, საწარმოო ზედნადებ ხარჯებში შემავალი ზოგიერთი სახის ხარჯი.

მუდმივია ხარჯი, რომელიც პროდუქციის რაოდენობის პროპორციულად არ იცვლება. მაგალითად, წარმოების მენეჯერების ხელფასები, ცვეთის ხარჯი და ა.შ.

პროდუქციის წარმოების წონასწორობის წერტილი არის პროდუქციის ის რაოდენობა, როცა არც მოგება მიიღება და არც ზარალი.

დაგეგმვის სტადიაზე მიღებულია, რომ პროდუქციის ერთეულის ფასი, ცვლადი ხარჯი ერთეულზე, ზღვრული მოგება პროდუქციის ერთეულზე და მთლიანი მუდმივი ხარჯები უცვლელია. ამის საფუძველზე, წარმოების წონასწორობის წერტილი (წწ) თითოეული სახის პროდუქტისათვის გამოითვლება შემდეგნაირად:

წწ = მუდმივი ხარჯები / ზვრული მოგება ერთ ცალ პროდუქტზე.

ეს ფორმულა აჩვენებს, რომ მოცემული სახის პროდუქციიდან მოგების მიღება დაიწყება მისი წარმოების წონასწორობის წერტილში არსებული რაოდენობის ზემოთ. მაგალითად, თუ წონასწორობის წერტილში პროდუქციის რაოდენობა არის 970 ერთეული, მაშასადამე, საწარმო მოგებას მიიღებს 970 ცალი პროდუქტის დამზადებისა და რეალიზაციის შემდეგ.

პროდუციის რაოდენობა სასურველი მოგების მისაღებად =
= (მუდმივი ხარჯები + სასურველი მოგება) / პროდ. ერთეულის ზღვრული მოგება

ამ ფორმულით გამოითვლება პროდუქციის ის რაოდენობა, რომლის წარმოება და რეალიზაცია სასურველ (მიზნობრივ) მოგებას მოიტანს. ამის შემდეგ მენეჯმენტმა უნდა გაითვალისწინოს არსებობს თუ არა შესაბამისი საწარმოო სიმძლავრეები იმ რაოდენობის პროდუქციის დასამზადებლად, რომლის მიღება საწარმოს მენეჯმენტს სურს. ამრიგად, მოგების და მომგებიანობის შიგა საწარმოო ანალიზი იძლევა მოგების ზრდის დეტალური ფაქტორების გამოვლენის საშუალებას, რაც მენეჯმენტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვალეობაა. მოცემული მეთოდიკის გამოყენება მენეჯმენტს მოცემული მიმართულებით საჭირო გადაწყვეტილებების მიღებაში დაეხმარება.

4.5. აქტივების ეკონომიკური მომგებიანობის მრავალფაქტორული მოდელის ანალიზის მეთოდიკა

მომგებიანობა, როგორც ადრე აღვნიშნეთ, ყველა საწარმოს მენეჯმენტის მთავარი საბოლოო ფინანსური მიზანია, რადგან რესურსების ეფექტიანად (მომგებიანად) გამოყენების გარეშე, ბიზნესის განვითარება და გაფართოება შეუძლებელია. ამიტომ, მომგებიანობის ამაღლების ღონისძიებების შემუშავება და დანერგვა, საწარმოთა ფინანსური მენეჯმენტის უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა.

მოგების მართვა მოიცავს ორ კომპონენტს: მოგების მენეჯმენტს (მომგებიანობის ინდიკატორის მრიცხველის) და მოგების ფორმირების ბაზის (მომგებიანობის ინდიკატორის მნიშვნელის) მენეჯმენტს.

ვინაიდან, მომგებიანობის ესა თუ ის კოეფიციენტი გამოიანგარიშება სხვადასხვა ბაზის მიმართ, მომგებიანობის მართვა ითვალისწინებს არა მხოლოდ მოგების ფორმირების ფაქტორებზე (ანუ გარკვეული სახის შემოსავლები და ხარჯები) ზეგავლენას, არამედ აქტივების სტრუქტურის, დაფინანსების წყაროებისა და წარმოების საქმიანობის ტიპების შერჩევას. კერძოდ, სამიზნე კაპიტალის სტრუქტურის შეცვლამ შეიძლება გავლენა იქონიოს საინვესტიციო მაჩვენებლებზე; წარმოების სტრუქტურის შეცვლამ, შეიძლება გავლენა მოახდინოს გაყიდვების მომგებიანობაზე. ნებისმიერ შემთხვევაში, მიღებული გადაწყვეტილებების ეფექტურობა და მიზანშეწონილობა უნდა შეფასდეს მომგებიანობის კომპლექსური კოეფიციენტით; გარდა ამისა, გათვალისწინებული უნდა იყოს სუბიექტური მომენტები, ფაქტორები და შედეგები.

როგორც ცნობილია, მომგებიანობის მრავალი კოეფიციენტი შეიძლება გამოითვალოს. ზოგიერთი მათგანი წარმოდგენილია 4.5.1. ცხრილში.

ცხრილი 4.5.1. მომგებიანობის კოეფიციენტები 2016-2017 წწ.

საწარმოები	მომგებიანობის მაჩვენებლები*									
	მოგების ნორმა		ადმ.ხარჯი/შემოს.		ხარჯი 1ლ შემოს-ავალზე		საოპერაც.ხარჯე-ბის მომგებიანობა		აქტივების მომგებიანობა	
	2016	2017	2016	2017	2016	2017	2016	2017	2016	2017
კოკა-კოლა	0.3159	0.3103	0.231	0.2069	0.6841	0.6897	0.1023	0.1200	(0.0027)	0.0329
თელიანი ველი	0.4048	0.4851	0.2191	0.2109	0.5951	0.5149	0.2280	0.3954	0.0409	0.0739
სანტე		0.3642		0.2557		0.6358		0.1217		0.1497
ნიკორა	0.233	0.2477	0.2279	0.2151	0.767	0.7523	0.0274	0.1589	(0.095)	0.044
საქ.რკინიგზა			0.8743	0.9552			0.5486	0.2198		(0.1247)
იფქლი დიღომი	0.3689	0.3560	0.1377	0.1836	0.6311	0.644	0.3007	0.2083	0.7218	0.5472
გუდვილი		0.2548		0.2592		0.7452		(0.0008)		0.0041
თელასი	0.7395	0.7656	0.2107	0.2118	0.7395	0.7656	0.0969	0.0697	0.1234	0.0804
საფონდო ბირჟა			1.8116	1.441			(0.0103)	(0.0729)	(0.0772)	(0.0349)
იმედი L	(0.8678)	(0.8347)	0,0418	0.0307	1.0268	1.0427	(0.0695)	(0.041)	(0. 0764)	(0.0449)

* ხარჯი 1 ლ შემოსავალზე - არ არის მომგებიანობის მაჩვენებელი, მაგრამ გავლენას ახდენს მომგებიანობაზე

როგორც 4.5.1. დიაგრამიდან ჩანს, რიგი საწარმოებისა ზარალიანია, რაც საგანგებო მდგომარეობაა და მენეჯმენტის მხრიდან სერიოზიული ხასიათის ღონისძიებების გატარებას მოითხოვს რესურსების ხარჯვის კონტროლის მიმართულებით. განსაკუთრებით ადმინისტრაციული ხარჯების სფეროში.

ამრიგად, შრომაში მომგებიანობის მრავალი მაჩვენებელი იქნა განხილული. მათ შორის ყველაზე ზოგადი მაჩვენებელია წლიური მოგების (ანუ მოგება დაბეგვრამდე) ფარდობა აქტივების საშუალო წლიურ ღირებულებასთან (იგივე ROA).

მომგებიანობის ცვლილებაზე მოქმედი ფაქტორების გავლენის გაზომვის მიზნით, ჩვენს მიერ შემუშავებულ იქნა მრავალფაქტორული მოდელი და საწარმოთა მენეჯმენტს რეკომენდაციას ვაძლევთ, მომგებიანობის შემდგომი ამაღლების ღონისძიებების შემუშავების მიზნით ის გამოიყენოს.



დიაგრამა 4.5.1. აქტივების მომგებიანობა 2021 წლის მდგომარეობით

აქტივების ეკონომიკური მომგებიანობის (წლიური მოგების ფარდობა აქტივების საშუალო წლიურ ჯამთან) მრავალფაქტორული მოდელი შემდეგი სახისაა [ჭილაძე ი. 2019. მონოგრაფია, გვ: 91]:

$$PTA = \frac{P}{TA} = \frac{P}{OP} * \frac{OP}{PS} * \frac{PS}{S} * \frac{S}{CS} * \frac{CS}{OEx} * \frac{OEx}{(MM + CA)} * \frac{(MM + CA)}{Ow.C} * \frac{Ow.C}{TA}$$

სადაც,

PTA - არის მთლიანი აქტივების მომგებიანობა

P/TA - არის წლიური მოგების (მოგება დაბეგვრამდე) ფარდობა მთლიან აქტივებთან

ფაქტორ-მაჩვენებლებია:

I. P/OP - წლიური მოგების (ანუ მოგება დაბეგვრამდე) ფარდობა საოპერაციო მოგებასთან - ეს კოეფიციენტი რაც უფრო ახლოსაა ერთთან, მით დაბალია მოგების გადასახადის ტვირთი და სხვა თანაბარ პირობებში ანუ დანარჩენი ფაქტორების უცვლელობის პირობებში, ზრდის საწარმოს საერთო ეკონომიკურ მომგებიანობას.

II. OP/PS – საოპერაციო მოგების ფარდობა რეალიზაციიდან მიღებულ მოგებასთან - ასევე, ეს კოეფიციენტი რაც უფრო ახლოსაა ერთთან, მით უფრო მაღალია მართვისა და მომსახურების ხარჯების ეფექტიანობა, დაბალია საოპერაციო რისკი და მაშასადამე, იზრდება მოგება.

III. PS / S – რეალიზაციიდან მიღებული მოგების ფარდობა რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალთან - იგი არის მოგების მარჟა ანუ მოგების ნორმა და მისი ზრდა აქტივების მომგებიანობის ზრდას იწვევს.

IV. S / CS – რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის ფარდობა რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებასთან - იგი ახასიათებს რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების ერთეულზე მიღებული შემოსავლის დონეს ანუ საწარმოო ხარჯების უკუგებას. მისი ზრდა, სხვა თანაბარ პირობებში იწვევს საერთო მომგებიანობის ზრდას.

V. CS / OEx – რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების ფარდობა საოპერაციო ხარჯებთან - იგი ახასიათებს საწარმოო ხარჯების წილს საოპერაციო ხარჯებში. მისი ზრდა, წარმოების მოცულობის ზრდაზე მიუთითებს და სხვა თანაბარ პირობებში მოგებასა და მომგებიანობის მოსალოდნელ სიდიდეს ზრდის. ხოლო, მისი შემცირება საოპერაციო რისკების ზრდაზე მიანიშნებს.

VI. OEx / (TA + CA) – საოპერაციო ხარჯების ფარდობა ძირითადი საშუალებებისა და მიმდინარე აქტივების საშუალო ჯამთან - იგი არის რესურსებში ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობის ანუ ბიზნესის აქტივობის მაჩვენებელი. რაც უფრო დროულად დაიხარჯება რესურსები და არ შეფერხდება მათი ბრუნვა, ეს კოეფიციენტი მითი უფრო მაღალი იქნება და მით უფრო გაზრდის მომგებიანობის მოსალოდნელ დონეს.

VII. (TA + CA) / Ov.A – ძირითადი საშუალებებისა და მიმდინარე აქტივების საშუალო ჯამის ფარდობა საკუთარი კაპიტალის საშუალო ჯამთან - იგი ახასიათებს რესურსებში ავანსირებული ღირებულების დონეს საკუთარი კაპიტალის ერთ ლარზე. ეს კოეფიციენტი რაც უფრო გაიზრდება, მით უფრო აქტიურია საკუთარი კაპიტალი და მაშასადამე, ზრდის მომგებიანობის მოსალოდნელ სიდიდეს.

VIII. Ov.C / A – საკუთარი კაპიტალის (გადაფასების რეზერვის გარეშე) ფარდობა აქტივების საშუალო ჯამთან - არის საკუთარი კაპიტალის წილის კოეფიციენტი აქტივებში. მისი ზრდა მიანიშნებს, რომ საწარმოს აქტივების დაფინანსების წყაროებში მცირდება სესხების წილი და შესაბამისად საპროცენტო ხარჯების მოცულობაც, რაც ხელს უწყობს როგორც მოგების, ასევე აქტივების მომგებიანობის დონის ზრდას.

ამრიგად, ჩამოთვლილი ფაქტორ-მაჩვენებლების ზრდა მომგებიანობის მოსალოდნელ დონეს ზრდის, მათი შემცირება კი მომგებიანობას ამცირებს.

საანალიზო საწარმოს მაგალითზე ჩვენ მიერ გამოთვლილ იქნა წარმოდგენილი ფაქტორული მოდელის რიცხვითი მნიშვნელობები 2017-2018 წლების მდგომარეობით, რათა დადგენილიყო მომგებიანობის დაცემისა და ზარალიანობის წარმოშობის მიზეზები. 4.5.2. ცხრილში წარმოდგენილია საანალიზო საწარმოს 2017 წლის მომგებიანობაზე მოქმედი ფაქტორები და მათი გადახრები წინა წელთან შედარებით (სვეტი 3). გამოთვლები აჩვენებს,

რომ აქტივების საერთო მომგებიანობა შემცირებულია 0.0582 პუნქტით. ანუ, კომპანიამ 2017 წელს, წინა წელთან შედარებით, ყოველ ერთ ლარ აქტივზე დაახლოებით 5.82% ანუ 1067 ათ ლ (183351, რომელიც არის აქტივების საშუალო წლიური მოცულობა 2017 წელს და გამრავლებული 5,82%-ზე) მოგება დაკარგა.

როგორც ზემოთ უკვე განხილულ იქნა, აქტივების საერთო მომგებიანობის მაჩვენებელი ჩვენს მიერ წარმოდგენილია მასზე მოქმედი რვა ფაქტორ-მაჩვენებლის ნამრავლის მწკრივის სახით. ამ ფაქტორული მოდელის საფუძველზე, აბსოლუტური სხვაობის ხერხის გამოყენებით, გაიზომება თითოეული ფაქტორ-მაჩვენებლის ცვლილების გავლენა მომგებიანობის საერთო გადახრაზე.

ცხრილი 4.5.2. მომგებიანობის გადახრაზე მოქმედი ფაქორების ცვლილების გავლენა სს „კოკა -კოლა ბოთლერს ჯორჯია“- მაგალითზე

მაჩვენებლები	წლები			ფაქტორთა გავლენა	
	2016	2017	მომგებია-ნობისა და მისი ფაქ - ტო რების გადახრები	მომგებია-ნობაზე	მოგებაზე (ათ.ლ)
ა	1	2	3	4	5
აქტივების მომგებიანობა (P/TA)	**0,0911**	**0.0329**	**-0.0582**	-	**-10 670**
მოქმედი ფაქტორები:					მ.შ.
1. P / OP წლიური მოგების ფარდობა საოპერაციო მოგებასთან	1.4109	0.4086	-1.0023	-0.0647	- 11 862
2. OP/PS საოპერაციო მოგების ფარდობა რეალიზაციიდან მიღებულ მოგებასთან	0.2965	0.3468	+0.0503	+0.0045	+ 825
3. PS / S რეალიზაციიდან მიღებული მოგების ფარდობა რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალთან	0.3159	0.3103	-0.0056	- 0.0006	- 110
4. S / CS რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის ფარდობა რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებასთან	1.4617	1.4499	-0.0118	-0.0002	- 37
5. CS / OEx რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების ფარდობა საოპერაციო ხარჯებთან	2.9611	3.3329	+0.3718	+ 0.0038	+698
6. OEx / (TA + CA) საოპერაციო ხარჯების ფარდობა ძირითადი საშუალებებისა და მიმდინარე მარაგების საშუალო ჯამთან	0.2326	0.1094	-0.1232	-0.0179	- 3 282
7. (TA + CA) / Ov.C ძირითადი საშუალებებისა და მიმდინარე მარაგების საშუალო ჯამის ფარდობა საკუთარი კაპიტალის საშუალო ჯამთან	3.8572	3.6488	-0.2084	- 0.0009	- 165
8. Ov.C / TA საკუთარი კაპიტალის ფარდობა აქტივების საშუალო ჯამთან	0.1775	0.3878	+0.2103	+ 0.0178	+3 263

აბსოლუტური სხვაობის ხერხი ეკონომიკურ ლიტერატურაში კარგადაა ცნობილი. ამ ხერხით, თითოეული ფაქტორის გავლენა უდრის მოცემული ფაქტორის გადახრა გამრავლებული მწკრივში მის წინ მყოფი ფაქტორის მიმდინარე (ანუ ფაქტობრივ)და შემდგომი ფაქტორების საბაზისო სიდიდეებზე.

4.5.2. ცხრილში უკვე წარმოდგენილია მომგებიანობაზე მოქმედი ფაქტორ-მაჩვენებლების გადახრები. ფაქტორების გავლენის გასაზომად საჭირო გამოთვლებს ექნება შემდეგი სახე:

პირველი ფაქტორის გავლენა = **(-1.0023)** * 0.2965 * 0.3159 *1.4617 * 2.9611 * 0.2326 * 3.8572 * 0.1775 = - 0.0627
მეორე ფაქტორის გავლენა = 0.4086 * **(+0.0503)** * 0.3159 *1.4617 * 2.9611 * 0.2326 * 3.8572 * 0.1775 = + 0.0045
მესამე ფაქტორის გავლენა = 0.4086 * 0.3468 * **(-0.0056)** * 1.4617 * 2.9611 * 0.2326 * 3.8572 * 0.1775 = - 0.0006
მეოთხე ფაქტორის გავლენა = 0.4086 * 0.3468 * 0.3103 * **(-0.011**8) * 2.9611 * 0.2326 * 3.8572 * 0.1775 = - 0.0002
მეხუთე ფაქტორის გავლენა = 0.4086 * 0.3468 * 0.3103 * 1.4499 * **(+0.3718)** * 0.2326 * 3.8572 * 0.1775 = + 0.0038
მეექვსე ფაქტორის გავლენა = 0.4086 * 0.3468 * 0.3103 * 1.4499 * 3.3329 * **(-0.1232)** * 3.8572 * 0.1775 = - 0.0179
მეშვიდე ფაქტორის გავლენა = 0.4086 * 0.3468 * 0.3103 * 1.4499 * 3.3329 * 0.1094 * **(-0.2084)** * 0.1775 = - 0.0009
მერვე ფაქტორის გავლენა = 0.4086 * 0.3468 * 0.3103 * 1.4499 * 3.3329 * 0.1094 * 3.6488 * **(+0.2103)** = + 0.0178

-0.0582

ამრიგად, ფაქტორული ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ ხუთმა ფაქტორმა მომგებიანობა შეამცირა, სამი ფაქტორის ზეგავლენით კი გაზრდილია. კერძოდ:

პირველმა ფაქტორმა ყველაზე მაღალი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა. ეს იმაზე მიუთითებს რომ გაზრდილია საპროცენტო ხარჯების ტვირთი. მისი გავლენით, მომგებიანობა შემცირდა 0,0647 პუნქტით ანუ სულ დაიკარგა 11863 ათ ლ (183351 * 0.0647) მოგება და ა.შ.

2018 წელს კი მომგებიანობა წინა 2017 წელთან შედარებით გაზრდილია 0.0499 პუნქტით (იხ. ცხრილი 4.5.3), რის შედეგადაც დამატებით მიღებულ იქნა სულ 9660 ათ. ლ მოგება.

მეორე ფაქტორი: საოპერაციო მოგების ფარდობა რეალიზაციიდან მიღებულ მოგებასთან, გაზრდილია წინა წელთან შედარებით 0.0503 პუნქტით (იხ. ცხრილი 5.1), რაც იმაზე მიანიშნებს, რომ კომერციული და ადმინისტრაციული ხარჯები უფრო მეტი ეფექტით იქნა გამოყენებული. რამაც მომგებიანობა 0.0045 პუნქტით გაზარდა და დამატებით მიღებულია მოგება (183351 * 0.0045) 825 ათ ლ.

მესამე ფაქტორის შემცირების მიზეზით მომგებიანობის დონე 0.0006 პუნქტით, ხოლო მოგება 110 ათ ლარით (183351 * 0.0006) შემცირდა და ა.შ. (იხ.ცხრილი 5.1. სვეტები 4 და 5).

ამრიგად, მომგებიანობის წარმოდგენილი ფაქტორული მოდელის საფუძველზე მენეჯმენტს შეუძლია მომგებიანობის შემდგომი ამაღლების კონკრეტული მიმართულების ღონისძიებები დაგეგმოს.

ცხრილი 4.5.3. მომგებიანობაზე მოქმედი ფაქტორების ცვლილების გავლენა „სს კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას მაგალითზე 2018 წელს, 2017 წელთან შედარებით

ფაქტორ -მაჩვენებლები	2017 წელი	2018 წელი	2018 წლის გადახრა 2017 წელთან შედარებით	რაოდენობრივი ზეგავლენა	
				მომგებიანო-ბაზე	მოგებაზე (ათ.ლარი)
	1	2	3	4	5
P/TA [წლიური მოგების (მოგება დაბეგვრამდე) ფარდობა მთლიან აქტივებთან]	0.0329	0.0828	+0.0499	-	9660
1. P / OP წლიური მოგების (ანუ მოგება დაბეგვრამდე) ფარდობა საოპერაციო მოგებასთან	0.4086	0.8104	+0.4018	+0.0323	6253
2. OP/PS საოპერაციო მოგების ფარდობა რეალიზაციიდან მიღებულ მოგებასთან	0.3468	0.4183	+0.0715	+0.0135	2613
3. PS / S რეალიზაციიდან მიღებული მოგების ფარდობა რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალთან	0.3103	0.3153	+0.0050	+0.0013	252
4. S / CS რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის ფარდობა რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებასთან	1.4499	1.4605	+0.0106	+0.0006	116
5. CS / OEx რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების ფარდობა საოპერაციო ხარჯთან	0.5161	0.7793	+0.2632	+0.0411	7957
6. . OEx / (TA + CA) საოპერაციო ხარჯების ფარდობა ძირითადი საშუალებებისა და მიმდინარე აქტივების (მარაგები)საშუალო ჯამთან	1.5867	1.1121	-0.4746	-0.0364	-7047
7. (TA + CA) / Ov.C ძირითადი საშუალებებისა და მიმდინარე აქტივების საშუალო ჯამის ფარდობა სააქცო კაპიტალის საშუალო ჯამთან	1.6248	1.4483	-0.1765	-0.0093	-1800
8. Ov.C / A სააქციო კაპიტალის ფარდობა აქტივების საშუალო ჯამთან	0.3879	0.4225	+0.0346	+0.0068	+1316

ანალოგიური გამოთვლები ჩატარდა 2018 წლის მომგებიანობის ცვლილებაზე წინა 2017 წელთან შედარებით (იხ.ცხრილი 4.5.3). ამ ცხრილში წარმოდგენილია საანალიზო საწარმოს

მომგებიანობაზე 2017-2018 წლებში მოქმედი ფაქტორები და მათი გადახრები წინა წელთან შედარებით (სვეტი 3).

გამოთვლები აჩვენებს, რომ აქტივების საერთო მომგებიანობა გაზრდილია 0.0499 პუნქტით. ანუ, კომპანიამ 2018 წელს, წინა წელთან შედარებით, ყოველ ერთ ლარ აქტივზე დაახლოებით 4.99-%-ით მეტი მოგება მიიღო (სულ 9660 ლ). ვითარება 2017 წელთან შედარებით გაუმჯობესებულია, რაც დადებითი მოვლენაა.

თავი 5. ფულადი ნაკადების ანგარიშგების ანალიზის მეთოდიკა

5.1. ფულადი ნაკადების ანგარიშგების წარდგენა

ფულადი ნაკადების ანგარიშგების ინფორმაციის მიზანია, ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის მომხმარებელი უზრუნველყოს საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საწარმოში ფულადი სახსრების შედინებისა და გადინების შესახებ ინფორმაციით, რაც ფინანსური ანგარიშგების პაკეტში შემავალ დანარჩენ კომპონენტებთან ერთად მნიშვნელოვან დახმარებას უწევს ინფორმაციით დაინტერესებულ მომხმარებლებს სწორი ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებაში. საწარმოს ფულადი ნაკადების ანგარიშგების საფუძველზე მომხმარებელს შეუძლია შეაფასოს მომავალი პერიოდისათვის ფულით საწარმოს უზრუნველყოფის ხარისხი, საიმედოობა და დროულობა.

ფულადი ნაკადების ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის საკითხებს არეგულირებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი (ბასს) 7-„ფულადი ნაკადების ანგარიშგება“, რომელშიც აღნიშნულია, რომ ფულადი ნაკადების ანგარიშგების განხილვა ფინანსური ანგარიშგების კომპონენტებთან ერთად, მომხმარებლებს საშუალებას აძლევს შეაფასონ საწარმოს წმინდა აქტივებში მომხდარი ცვლილებები, მისი სტრუქტურა (ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის ჩათვლით) და საწარმოს შესაძლებლობა - დროულად მოახდინოს რეაგირება ფულადი სახსრების მოცულობაში შეცვლილი ვითარებისა და პირობების შესაბამისად.

ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ასახვას ექვემდებარება საანგარიშგებო პერიოდის მიხედვით საწარმოში არსებული ფულადი ნაკადები, რომელიც დაჯგუფებული უნდა იყოს სამი სახის: საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობიდან შემოსული და გასული ფულადი ნაკადების მიხედვით.ფულადი ნაკადების ანგარიშგება ასახავს საწარმოს ფულადი თანხებისა და მისი ეკვივალენტების მიღების წყაროს და გამოყენებას მთელი წლის

პერიოდისათვის. იგი მზადდება საკასო პრინციპით ანუ ასახავს უშუალოდ ფულადი თანხების მოძრაობას.

არსებობს ფულადი ნაკადების ანგარიშგების მომზადების ორი - პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდი.

პირდაპირი მეთოდით ფულადი ნაკადების ანგარიშგების მომზადებისას – ანგარიშგებაში უშუალოდ აისახება ფულადი სახსრების შემოსვლისა და გასვლის ნაკადები მიზნობრიობის მიხედვით.

არაპირდაპირი მეთოდის დროს მხოლოდ პირველი განაყოფის სტრუქტურა განსხვავდება. აქ ფულადი ნაკადები განისაზღვრება წმინდა მოგებისა და ზარალის კორექტირებით, რის საფუძველზეც შესაძლებელია ფინანსური შედეგიდან (მოგება/ზარალი) წმინდა ფულადი თანხების მაჩვენებელზე გადასვლა.

ფულად საშუალებებს (სახსრებს) მიეკუთვნება ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულადი თანხები, როგორც ეროვნულ ისე უცხოურ ვალუტაში. ფულად თანხებს ყველაზე მაღალლიკვიდურ ანუ აბსოლუტურად ლიკვიდურ აქტივებს უწოდებენ, ვინაიდან მათი გამოყენება გაცვლის საშუალებად, ნებისმიერ მომენტში შეიძლება.

ფულადი თანხების ეკვივალენტებია მაღალლიკვიდური ფინანსური ინვესტიციები (ფასიანი ქაღალდები), რომელთა დაფარვის ვადა სამ თვემდეა ისე, რომ ვადა დაფიქსირებული არაა, რომლებიც დაუბრკოლებლად შეიძლება გადაიცვალონ ნაღდ ფულზე და რომელთა ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. თუ ფასიან ქაღალდს დაფარვის ვადა აწერია, იგი ფულის ეკვივალენტად არ ჩაითვლება. ფულად ექვივალენტად შეიძლება აგრეთვე ჩაითვალოს ოვერდრაფტის უფლება. გამოყენებული ოვერდრაფტი კი ფულადი თანხებიდან გამოიქვითება.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით, საწარმომ ფულადი ნაკადები ანგარიშგებაში უნდა ასახოს საქმიანობის სფეროების მიხედვით. ამ მოთხოვნის შესაბამისად, ფულადი ნაკადების ანგარიშგება სამი განაყოფისაგან შედგება და ყოველი განაყოფის შემდეგ გამოთვლილია "წმინდა ფულადი ნაკადი", რომელიც უდრის სხვაობას შემოსულ და გასულ ფულად თანხებს შორის.

ფულადი ნაკადების ანგარიშგების განაყოფებია:

I. **ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან** – აქ მოცემულია საწარმოს ძირითად საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები. როგორიცაა, მყიდველებიდან მიღებული თანხები, მომწოდებლებზე, საწარმოს პერსონალზე და პარტნიორებზე გაცემული თანხები, სამეწარმეო ან სავაჭრო მიზნით დადებულ კონტრაქტებთან დაკავშირებით მიღებული და გაცემული ფულადი თანხები.

საოპერაციო საქმიანობა არის საწარმოს მთავარი საქმიანობა, რომელიც მისი ბიზნესისათვის არის დამახასიათებელი, ძირითადად მასზეა კონცენტრირებული დანახარჯები

და მოაქვს მთავარი შემოსავლები. არასაოპერაციო ხარჯები და შემოსავლები კი საოპერაციო საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელებას ემსახურება.

ამავე განაყოფში მოცემულია გადახდილი პროცენტები, მოგების გადასახადი და დივიდენდი, რადგან ითვლება, რომ საწარმოს ნორმალური ფინანსური მდგომარეობის დროს, ეს ხარჯები საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი თანხებით უნდა იფარებოდეს.

გარდა ამისა, ის ფულადი ხარჯები, რომელიც არასაწარმოო მიზნით დაიხარჯა, როგორიცაა: რეკლამის, კომუნიკაციის, საკანცელარიო, ქირის, დაზღვევის, საბანკო მომსახურების, საკონსულტაციო, საგარანტიო მომსახურების, საეჭვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯები, მივლინების და სხვა მსგავსი ფულადი ხარჯები იქვე მიეთითება, როგორც "გაწეული არასაწარმოო ფულადი ხარჯები".

საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები ითვლება საწარმოს საქმიანობის შეფასების მთავარ ინდიკატორად რადგან, აქედან ჩანს, გარედან მოზიდული ფულადი სახსრების გარეშე, საწარმოს ძირითადი საქმიანობიდან შემოვიდა თუ არა საკმარისი ფულადი სახსრები სესხებისა და სხვა ვალდებულებების დასაფარავად, საწარმოს სიმძლავრეების ასათვისებლად, დივიდენდების გასაცემად და ახალი ინვესტიციების განსახორციელებლად.

II. **ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან** – ამ განაყოფში ნაჩვენებია გრძელვადიანი აქტივების შეძენასა და რეალიზაციასთან დაკავშირებული გაცემული და მიღებული ფულადი თანხები. იგი აჩვენებს თუ რა ფულადი დანახარჯები იქნა გაწეული იმ რესურსებისთვის, რომლებმაც უნდა შექმნან სამომავლო შემოსავლები და ფულადი ნაკადები.

საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მაგალითებია: ძირითადი საშუალებების, არამატერიალური და სხვა გრძლევადიანი აქტივების შეძენაზე გადახდილი ფულადი თანხები; სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე გაწეული კაპიტალიზებული დანახარჯები და საკუთარი წარმოების ძირითადი საშუალებები; წილი სხვა საწარმოების საკუთარ კაპიტალში ან სასესხო ინსტრუმენტების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები, თუ ისინი არ ითვლება ფულად ეკვივალენტებად ან არაა შეძენილი სამეწარმეო მიზნით; სხვა პირებზე ავანსად ან სესხად გაცემული ფულადი სახსრები (გარდა საკრედიტო-საფინანსო დაწესებულებებისა) და მათ დასაფარად მიღებული ფულადი სახსრები; ფიუჩერსული, ფორვარდული, ოპციონით და სვოპ კონტრაქტებით გადახდილი ან მიღებული ფულადი სახსრები გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კონტრაქტები შეეხება სამეწარმეო, სავაჭრო ან საფინანსო საქმიანობას.

3. საფინანსო საქმიანობა ისეთი სფეროა, რომელიც იწვევს რაოდენობრივ და სტრუქტურულ ცვლილებებს საწარმოს საკუთარ კაპიტალსა და ნასესხებ საშუალებებში. ამ ხასიათის ფულადი ნაკადების ცალკე გამოყოფა სასარგებლოა იმ მიზნით, რომ შეფასდეს კაპიტალის მომწოდებლების მოსალოდნელი პრეტენზიები სამომავლო ფულადი სახსრების მიმართ.

ცხრილი 5.1.1. სს „საქართველოს რკინიგზის“ 2017 წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგება (პირდაპირი მეთოდით)

მ ა ჩ ვ ე ნ ე ბ ლ ე ბ ი	თანხა ათ. ლარი
I. ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	
კლიენტებიდან მიღებული ფულადი სახსრები	447 510
მომწოდებლებზე და თანამშრომლებზე გადახდილი ფულადი სახსრები *	(268 593)
თანამშრომლებზე გაცემული ხელფასები *	-
სხვა საოპერაციო ხარჯები	-
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი თანხები	**178 917**
გადახდილი პროცენტები	-
გადახდილი მოგების გადასახადი	(2 685)
გადახდილი დივიდენდი	-
წმინდა ფულადი ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან	**176 232**
II. ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	
ძირითადი საშუალებების შეძენა	(165 265)
არამატერიალური აქტივების შეძენა	-
ობლიგაციების შესყიდვა	-
ზედმეტი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფული	5 133
მიღებული პროცენტები	14 805
გაცემული სესხები	-
წმინდა ფულადი ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან	**(145 327)**
III. ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	
გამოშვებული აქციებიდან მიღებული ფული	-
საკუთარი აქციების უკან გამოსყიდვა	(-)
აღებული სესხები	50 248
აღებული სესხის დაფარვა	(10 996)
გადახდილი პროცენტები	(103 126)
გადახდილი დივიდენდი	(-)
წმინდა ფულადი ნაკადი საფინანსო საქმიანობიდან	**(63 874)**
საერთო წმინდა ფულადი ნაკადი	**(32 969)**
ფულადი თანხების საწყისი ნაშთი 1 იანვრის მდგომარეობით	**277 953**
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებზე	(1 966)
ფულადი თანხების საბოლოო ნაშთი	**243 018**

ფულადი ნაკადების ანგარიშგება შეიძლება მომზადდეს პირდაპირი ან არაპირდაპირი მეთოდით.

ცხრილში 5.1.1. წარმოდგენილია ფულადი ნაკადების ანგარიშგების სტრუქტურა პირდაპირი მეთოდით, სს „საქართველოს რკინიგზის“ მაგალითზე, რადგან იგი ფულადი ნაკადების ანგარიშგებას პირდაპირი მეთოდით ამზადებს, რაც ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნით, საბაზისო მეთოდია, რადგან მას სრულყოფილი ანალიზური მნიშვნელობა გააჩნია მისი მომხმარებლებისათვის. მართლაც, ეს 5.1.1 ცხრილიდანაც ნათლად ჩანს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სს „საქართველოს რკინიგზა“ ფულადი ნაკადების ანგარიშგებას პირდაპირი მეთოდით ამზადებს, რაც დადებით შეფასებას იმსახურებს. ოღონდ, აუცილებელია პირველ განაყოფში ცალ-ცალკე იქნეს ნაჩვენები მომწოდებლებზე და თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრების სიდიდე.

არაპირდაპირი მეთოდით მომზადებული ფულადი ნაკადების ანგარიშგების ინფორმაციას მისი მომხმარებლებისათვის ანალიზური მნიშვნელობა არ გააჩნია, ვინაიდან არასრულყოფილია ანალიზისათვის. იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რაღაც ობიექტური მიზეზების გამო კომპანიის მთავარ ბუღალტერს ან აუდიტორს არ გააჩნია სრული ბუღალტრული ჩანაწერები (ე.ი. მთავარ საბუღალტრო წიგნში არასრული ჩანაწერებია, რაც აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით დაუშვებელია).

არაპირდაპირი მეთოდის გამოყენების დროს (იხ. ცხრილი 5.1.2.) იცვლება მხოლოდ ფულადი ნაკადების პირველი განაყოფის შევსების წესი. დანარჩენი ორი განაყოფის მომზადების მეთოდიკა იგივეა, რაც პირდაპირი მეთოდის დროს. მაგალითისათვის მოვიტანთ სს „თელიანი ველის“ 2018 წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგების პირველი განაყოფის ფრაგმენტს (იხ.ცხრილი 5.1.2).

არაპირდაპირი მეთოდით საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრების გამოითვლისათვის აიღება დასაბეგრი ან წმინდა მოგების მაჩვენებელი, რომელიც შესწორდება ხარჯებით და შემოსავლებით. კერძოდ, ჯერ ემატება არაფულადი ხარჯები, როგორიცაა, ცვეთის ხარჯი, გადავადებული გადასახადები, კურსთა შორის სხვაობით გამოწვეული მოგება ან ზარალი, ზედმეტი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული მოგება (აკლდება) ან ზარალი (ემატება). შემდეგ,საპროცენტო ხარჯები ემატება და საპროცენტო შემოსავლები აკლდება. წინასწარ გაწეული ხარჯების ზრდა ემატება. შედეგად, მიიღება მოგება საბრუნავ საშუალებებში ცვლილებამდე.

შემდეგ ხდება ამ მაჩვენებლის კორექტირება დებიტორული დავალიანებების, მომწოდებელთა წინაშე დავალიანებებისა და სახელფასო და სხვა დავალიანებების ნაშთების ცვლილებებით. ამ კორექტირების შედეგად გამოითვლება საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფული, რომელიც სს თელიანი ველის მაგალითზე არის დეფიციტი 513 ათ. ლ (იხ.

ცხრილი 5.1.2). ამ ცხრილის მაჩვენებლები ნათლად ადასტურებენ იმას, რომ არაპირდაპირი მეთოდით მომზადებული ფულადი ნაკადების ანგარიშგების ინფორმაციით გაუგებარი რჩება რაზე დაიხარჯა და საიდან მიედინებოდა ფული საწარმოში. სწორედ ამიტომ, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნაა ფულადი ნაკადების ანგარიშგება მომზადდეს პირდაპირი მეთოდით.

ცხრილი 5.1.2 სს თელიანი ველის ფულადი ნაკადების ანგარიშგება (არაპირდაპირი მეთოდი)

მ ა ჩ ვ ე ნ ე ბ ლ ე ბი	თანხა ათას. ლარ.
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	
დასაბეგრი მოგება	3777
კორექტირებები, მოგების ფულად ნაკადებთან შესაბამისობაში მოსაყვანად:	
ძირითადი საშაულებების ცვეთის ხარჯი	824
არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	164
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	1044
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	(232)
სასაქონლო მატერიალური მარაგების ჩამოწერა	255
და სხვა არასაოპერაციო ხარჯები	490
---	---
მოგება საბრუნავ საშუალებებში ცვლილებამდე	**5 342**
მარაგების ნაშთების ზრდა	(3494)
მიწოდებიდან მოთხოვნის ნაშთის ზრდა	(4652)
მოწოდებიდან ვალდებულებების ნაშთის ზრდა	1577
ხელფასით ვალდებულების ნაშთის შემცირება	(648)
და სხვა მიმდინარე ვალდებულებების ზრდა	1875
---	---
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფული	(513)
გადახდილი პროცენტი	(1024)
გადახდილი მოგების გადასახადი	-
გადახდილი დივიდენდი	-
---	---
წმინდა ფულადი ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან	**(1537)**

ფულადი ნაკადების ანალიზი საშუალებას იძლევა პასუხი გაეცეს შემდეგ კითხვებს: რამდენად ფარავს საწარმო ძირითად ვალდებულებებს საკუთარი აქტიურობით გამომუშავებული ფულით; სჭირდება თუ არა დამატებითი სახსრების მოზიდვა და რომელი გზებით არის ეს შესაძლებელი; აქვს თუ არა ფულის დეფიციტი და თუ აქვს - რომელი მიმართულებით; როგორია ფულის ბრუნვის სიჩქარე; როგორ იფარება დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები.

ნორმალური ფუნქციონირების პირობებში საწარმოს არ უნდა ჰქონდეს ფულის დეფიციტი განსაკუთრებით საოპერაციო და საფინანსო საქმიანობიდან, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ საწარმოს ფულის პრობლემა არ გააჩნია.

5.2. ფულადი ნაკადების ანგარიშგების ვერტიკალური და ჰორიზონტალური ანალიზის მეთოდიკა

ფულადი ნაკადების ანგარიშგების ანალიზის საფეხურებია:

I. ვერტიკალური ანალიზი
II. ჰორიზონტალური ანალიზი
III. ფულადი ნაკდების ანგარიშგების კოეფიციენტების დინამიკური, ფაქტორული და კორელაციური ანალიზი.

ვერტიკალური ანალიზის დროს, პირველ რიგში შეისწავლება წმინდა ფულადი ნაკადების ზოგადი სურათი, იხ. ცრილი 5.2.1. სადაც მოტანილია წმინდა ფულადი ნაკადები ცალკეული სახის საქმიანობებიდან. როგორც ცხრილიდან ჩანს, 2017 წლის მდგომარეობით საქართველოს რკინიგზას და იფქლი დიღომს, საერთო ფულის დეფიციტი აქვთ და გადახდისუუნარობის დიდი საფრთხის ქვეშ იმყოფებიან.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფულადი ნაკადების ანგარიშგება შეიძლება მომზადდეს არაპირდაპირი მეთოდით. რომელსაც ანალიზური მნიშვნელობა არ გააჩნია, ვინაიდან არასრულყოფილია ანალიზისათვის. იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რაღაც ობიექტური მიზეზების გამო კომპანიის მთავარ ბუღალტერს ან აუდიტორს არ გააჩნია სრული ბუღალტრული ჩანაწერები (მთავარ საბუღალტრო წიგნში არასრული ჩანაწერებია).

ცხრილი 5. 2.1. ფულადი ნაკადების ანგარიშგების ზოგადი სურათი 2017 წ.
(ათ.ლ)

მ ა ჩ ვ ე ნ ე ბ ლ ე ბ ი	სს ნიკორა ტრეიდი	შპს იფქლი დიღომი	სს საქ. რკინიგზა
1. საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადი	10 601	4 197	176 232
II. საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადი	(7 753)	(1 499)	(145327)
III. საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადი	3 542	(2 730)	(63874)
ჯამი (საერთო წმინდა ფულადი ნაკადი)	6391	(32)	(32 969)
- ფულადი უსაფრთხოების ინტერვალი (დღეებში)	5	8	109
- ფულის ბრუნვის რიცხვი (ჯერებში)	88	45	2

შემდეგ, ძალიან მნიშვნელოვანია საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადების განხილვა. მაგრამ, შპს „იფქლი დიღომს“ ფულადი ნაკადების ანგარიშგება

მომზადებული აქვს არაპირდაპირი მეთოდით, სადაც ფულადი ნაკადების წარმომავლობა არ ჩანს. ხოლო სს „ნიკორა ტრეიდს“, მხოლოდ ნაერთი რიცხვები აქვს წარმოდგენილი საქმიანობის ცალკეული მიმართულების მიხედვით.

სს „საქართველოს რკინიგზას“ კი ფულადი ნაკადების ანგარიშგება მომზადებული აქვს საერთაშორისო სტანდარტების საბაზისო მოთხოვნებით გათვალისწინებული პირდაპირი მეთოდით. ამდენად, რადგან მაჩვენებლები არასკმარისი იყო, მეორე ცხრილში წარმოდგენილ იქნა საანალიზო საწარმოების წმინდა ფულადი ნაკადების ნაერთი შედეგები საქმიანობის სახეების მიხედვით 2017 წლის მდგომარეობით (იხ. ცხრილი 5.2.2).

ცხრილი 5.2.2. წმინდა ფულადი ნაკადები საანალიზო საწარმოების მიხედვით 2016-2017 წწ. (ათ.ლ)

საწარმოები	წმინდა ფულადი ნაკადი			
	საოპერაციო საქმიანობიდან	საინვესტიციო საქმიანობიდა	საფინანსო საქმიანობიდან	საერთო წმინდა ნაკადი სულ
1.კოკა-კოლა				
2016	15556	(27521) *	10757	(1208) *
2017	11312	(670) *	(11767) *	1125
2018	9955	(16299) *	7331	(987) *
2.თელიანი ველი				
2016	2325	(29805) *	26293	(1187) *
2017	607	(42775) *	43435	1267
2018	(1537) *	(2673) *	6662	2452
3.შპს სანტე ჯი ემ თი				
2016	-			
2017	11606	9747	326	1653
2018	-			
4.ნიკორა				
2016	8657	(1512) *	5969	13114
2017	5714	(9575) *	3919	376
2018	2306	9266	(11632) *	(60)
5.საქ. რკინიგზა პირდაპ.				
2016	187411	(168139) *	(51206) *	(31934) *
2017	176232	(145327) *	(63874) *	(32969) *
2018	179040	(75481) *	(112349) *	(8790) *
6.იფქლი დიღომი				
7.გუდვილი				
2016				
2017	3253	(260) *	(1808) *	1185
2018	5108	(1164) *	(5512) *	(1568)
8.თელასი				
2016				
2017	34249	(41158) *	5896	(1528) *
2018	63655	(42563) *	(30041) *	(8978) *
9.საფონდო ბირჟა (ლარი)				
2016	(26238)	(14061)	86504	46205

2017 2018	(83743) (301715)	(199) (751815)	54490 (1743)	(29492) (1055)
10.იმედი L 2016 2017 2018	 414 7360	 94 (12459) *	 (3105) * 5261	 (2597) * 162

* ცხრილში დეფიციტი აღნიშნულია წერტილებით.

როგორც 5.2.2. ცხრილიდან 2018 წლის მდგომარეობით, ფულის დეფიციტი აქვთ შემდეგ საწარმოებს: კოკა-კოლას, ნიკორას, შპს იფქლი დიღომს, თელასს, გუდვილს, რაც, რასაკვირველია ამ საწარმოებისათვის საფრთხეების შემცველია.

საანალიზო საწარმოების ფულადი უსაფრთხოების ხარისხის შეფასების მიზნით, ფულადი უსაფრთხოების ინტერვალის შესწავლით დავინტერესდით. აღმოჩნდა, რომ 2017 წლის მდგომარეობით, „ნიკორა ტრეიდს“ არსებული ფულით შეეძლო 5 დღის ხარჯის, „ნიკორას“ ათი დღის და საქართველოს რკნიგზას 109 დღის ხარჯის დაფარვა. ეს უკანასკნელი რაღაც არარეალურად გამოიყურება, მაშინ როდესაც, საქართველოს რკინიგზას 2017 წლის საქმიანობის შედეგად ფულის დეფიციტი ჰქონდა. როგორც ჩანს, ის მესაკუთრეების ფულადი შენატანებით დაიფარა, რაც მართებულად არ მიგვაჩნია, რადგან არ ჩანს, რომ იგი თვით საწარმოს აქტივობის შედეგია.

იმავე 5.2.2. ცხრილში წარმოვადგინეთ ფულის ბრუნვის მაჩვენებელი. „ნიკორა ტრეიდში“ ფული წელიწადში 88-ჯერ, საქართველოს რკინიგზაში კი მხოლოდ 2-ჯერ შემობრუნდა. მაშასადამე აქტივობა აქ ძალიან დაბალია. ზოგიერთი საწარმოს ანგარიშგებაში არაა გამოთვლილი საერთო წმინდა ფულადი ნაკადი წელიწადში. ბუღალტრულ ბალანსში გამოყენებული ტერმინი - „ სააქციო აქტივები“ - უნდა იყოს „სააქციო კაპიტალი“.

ფულადი ნაკადების ანგარიშგების ანალიზი საშუალებას იძლევა შესწავლილ იქნეს:

1. რამდენად ფარავს საწარმო ძირითად ვალდებულებებს საკუთარი აქტიურობით გამომუშავებული ფულით;
2. სჭირდება თუ არა დამატებითი სახსრების მოზიდვა და რომელი გზებითაა ეს შესაძლებელი;
3. გააჩნია თუ არა ფულის დეფიციტი და რომელი მიმართულებით;
4. როგორია ფულის ბრუნვის სიჩქარე;
5. რამდენად იფარება დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები.

საწარმოს არ უნდა ჰქონდეს ფულის დეფიციტი განსაკუთრებით საოპერაციო და საფინანსო საქმიანობიდან, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ საწარმოს ფულის პრობლემა არ გააჩნია.

ფინანსური ანგარიშგების ვერტიკალურ ანალიზში, როგორც უკვე იცით, პროცენტული ზომის ერთეულები გამოიყენება. ფულადი ნაკადების ანგარიშგების ვერტიკალური ანალიზი

იწყება წმინდა ფულადი ნაკადების საერთო სტრუქტურის დახასიათებით. ოღონდ, ფულადი ნაკადების ანგარიშგების ანალიზის დაწყების წინ უნდა შემოწმდეს შემდეგი ტოლობა:

წმინდა ფულადი ნაკადი = ვალდებულებების ზრდა - არაფულადი მიმდინარე აქტივების ზრდა- გრძელვადიანი აქტივების ზრდა + საკუთარი კაპიტალის ზრდა.

ფულადი ნაკადების ანგარიშგების ინფორმაციის ანალიზი ასაბუთებს, ბუღალტრულ ბალანსში წარმოდგენილი ფულადი თანხების ნაშთების ზრდა რეალურად რამდენად პოზიტიურია. იგი პასუხობს კითხვაზე, არსებული ფულადი აქტივები საკუთარი საქმიანობის შედეგადაა გამომუშავებული, თუ აღებული სესხების მეშვეობით არსებობს.

შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ფულადი თანხები ბალანსში საკმარისი რაოდენობითაა და წლის ბოლოსათვის გაზრდილია კიდეც, მაგრამ, ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში, საოპერაციო საქმიანობის მიმართულებით, დეფიციტი არსებობდეს.

ფინანსური ანგარიშგების ჰორიზონტალური ანალიზი, როგორც უკვე იცით, წამოადგენს ფინანსური ანგარიშგების მუხლების ცვლილებების გამოკვლევის ხერხს, მინიმუმ ორი წლის პერიოდისათვის. კვლევის პერიოდი რაც უფრო ხანგრძლივი იქნება, მით უფრო რეალური ტენდენციების აღმოჩენაა შესაძლებელი. კვლევის დროს საინტერესოა როგორც შემოსავლებისა და აქტივების ზრდის, ასევე ხარჯებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესწავლა. ცვლილებები გამოიხატება პროცენტებში წინა პერიოდებთან შედარებით.

პირველ რიგში ცალკეული განაყოფების წმინდა ფულადი ნაკადების დინამიკის მიმოხილვა მოხდება (იხ. ცხრილი 5.2.3). როგორც გამოთვლებიდან ჩანს, წმინდა ფულადი ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან 2017 წელს 96%-მდე დაეცა. წმინდა ფულადი ნაკადი საფინანსო საქმიანობიდან 2018 წლადე ზრდის ტენდენიციით ხასიათდებოდა, 2018 წელს კი 97%-მდე დაეცა. ასევე, საანალიზო სამწლიან პერიოდში მუდმივად იზრდებოდა ფულის დეფიციტი საინვესტიციო საქმიანობიდან, რაც იმაზე მიუთითებს, რომ კომპანიაში შემუშავებული არაა გრძელვადიანი აქტივების განახლების ოპტიმალური გეგმა.

ფულადი ნაკადების ანაგარიშგების ინფორმაცია ღირებულია როგორც მისი გარე მომხმარებლებისათვის - აქციონერებისა და კრედიტორებისათვის, ასევე თვით საწარმოს მენეჯმენტისათვის. ოღონდ ამ უკანასკნელს, როგორც უკვე ითქვა, არა აქვს ინფორმაციის მისაწვდომობის პრობლემა და ამდენად, თავისუფლად შეუძლია სიღრმისეული ანალიზი ჩაატაროს.

საწარმოს ხელმძღვანელობა გამუდმებით უნდა აკონტროლებდეს მის გადახდისუნარიანობას, რათა საჭიროების შემთხვევაში მიიღოს ოპერატიული ღონისძიებები, შეიმუშაოს ფულადი სახსრების მოძიების და გამოყენების ეფექტიანი პოლიტიკა.

5. 3. ფულის გამოყენების მაჩვენებელთა სისტემა

ფულის გამოყენებასთან დაკავშირებული მაჩვენებლები ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: **ფულადი ნაკადების ანგარიშგების კოეფიციენტები და კომბინირებული კოეფიციენტები.**

I. **ფულადი ნაკადების ანგარიშგების კოეფიციენტებია** მხოლოდ მისი ინფორმაციის საფუძველზე გამოთვლადი კოეფიციენტები. ესენია სტრუქტურული და დინამიკური კოეფიციენტები და ფულის შემდეგი კოეფიციენტები:

ფულის საერთო ეფექტიანობის კოეფიციენტი =
= ფულის შემოდინება პერიოდში / ფულის გადინება პერიოდში

ეს კოეფიციეტი ერთზე ნაკლები არ უნდა იყოს.

პროცენტის დაფარვის დონე =
= საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული
ფული გადასახადების გადახდამდე / გადახდილი პროცენტი

დივიდენდის დაფარვის დონე = (საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადი - მოგების გადასახადი) / იგივე წმინდა ფულადი ნაკადი დივიდენდის გადახდამდე

წმინდა ინვესტიციების დაფარვის ხარისხი = წმინდა ფულადი ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან / წმინდა ფულადი ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან

იგი ახასიათებს, საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადი რა ხარისხით იფარება საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულით.

ფულის ეფექტიანობის საერთო კოეფიციენტი =
= საერთო წმინდა ფულადი ნაკადი / ფულის გადინება წელიწადში

ფულის მოძრაობის ეფექტიანობა =
= (ფულის საწყისი ნაშთი + ფულის შემოდინება) / ფულის გადინება სულ

II. **ფულადი ნაკადების ანგარიშგების კომბინირებული კოეფიციენტებია** ისეთი კოეფიციენტები, რომელთა გაანგარიშებას ანგარიშგების ორი ან მეტი კომპონენტის ინფორმაცია სჭირდება. ესენია:

საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადის ეფექტიანობა =
= წმინდა ფულადი ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან / შემოსავალი

საოპერაციო საქმიანობიდან

საინვესტიციო სამიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადის ეფექტიანობა =
= საინვესტ. საქმიანობიდან მიღებ. წმინდა ფულადი ნაკადი / შემოსავალი
საინვესტიციო საქმიანობიდან

საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადის ეფექტიანობა =
= საფინ. საქმ-დან მიღებული წმ. ფულადი ნაკადი / შემოსავალი
საფინანსო საქმიანობიდან

პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი =
= (წმ.ფ.ნაკადი საოპ.საქმ. – წლ.მოგების გადასახადი) / წლ. საპროცენტო ხარჯი

რეინვესტირების კოეფიციენტი =(საერთო წმინდა ფულადი ნაკადი – დარიცხული
დივიდენდი) / გრძელვადიანი აქტივების ზრდა

დადებითი წმინდა ფულადი ნაკადის რენტაბელობა =
= წმინდა მოგება / საერთო წმინდა ფულადი ნაკადი

ფულადი უსაფრთხოების ინტერვალი =
= საერთო წმინდა ფულადი ნაკადი / დღიური ხარჯები

ანალიზის დროს ფინანსური მენეჯმენტი აგრეთვე შეისწავლის ფულის ბრუნვის კოეფიცინტებს, როგორიცაა:

ფულადი თანხების დამაგრების (დაყოვნების) კოეფიციენტი =
= ფულადი თანხების საშუალო ნაშთი / შემოსავალი რეალიზაციიდან

იგი აჩვენებს თავისუფალი ფულადი თანხების ნაშთის რა რაოდენობა იყო საჭირო ყოველი ერთი ლარის შემოსავლის მისაღებად. ამ კოეფიციენტის შებრუნებული მაჩვენებელი ახასიათებს ფულის ბრუნვის რიცხვს წელიწადში.

ფულის ბრუნვის რიცხვი = წლიური შემოსავალი რეალიზაციიდან / ფულის საშუალო ნაშთი

ამ კოეფიციენტების დინამიკაში შესწავლა ძალიან საინტერესოა საწარმოს ფინანსური მმართველობისათვის. დინამიკური ანალიზის დროს, როგორც უკვე იცით, გამოითვლება ვარიაციის კოეფიციენტი, რათა შეფასდეს, რამდენად მერყევი იყო მათი ცვლილების ტენდენციები განვლილი წლების განმავლობაში და გაკეთდეს შესაბამისი დასკვნები.

$$\textit{წმინდა ფულადი ნაკადით უზრუნველყოფა} = \frac{\textit{წლიური წმინდა ფულადი ნაკადი}}{\textit{გადახდილი სესხები და პროცენტები} + \textit{მატერ. მარაგების ზრდა} + \textit{დარიცხული დივიდენდი}}$$

წმინდა ფულადი ნაკადით უზრუნველყოფის კოეფიციენტი ერთზე დაბალი არ უნდა იყოს. ცხრილში 5.3.1.მოტანილია ფულის გამოყენების რამდენიმე მაჩვენებელი საანალიზო საწარმოების მიხედვით.

ამ კოეფიციენტების დინამიკაში შესწავლა ძალიან საინტერესოა საწარმოს ფინანსური მმართველობისათვის. დინამიკური ანალიზის დროს, როგორც ცნობილია, შეისწავლება ვარიაციის კოეფიციენტი, რათა შეფასდეს, რამდენად მერყევი იყო მათი ცვლილების ტენდენციები განვლილი წლების განმავლობაში და გაკეთდეს შესაბამისი დასკვნები და რეკომენდაციები. მიმდინარე შრომაში კორელაციური ანალიზი ვერ ჩატარდა წინა 5-6 წლის ინფორმაციის არ არსებობის გამო.

როგორც 5.3.1 ცხრილიდან ჩანს, რეინვესტირების კოეფიციენტი და წმინდა ფულადი ნაკადით უზრუნველყოფა, განხილულ საწარმოებში ძალიან დაბალია.

ცხრილი 5. 3.1. ფულით უზრუნველყოფის კოეფიციენტები 2018 წელს საანალიზო საწარმოების მიხედვით

საწარმოები	ფულის ბრუნვის რიცხვი (ჯერ-ებში)	ფულადი უსაფრთხოების ინტერვალი (დღეებში)	დივიდენდის დაფარვის დონე (კოეფ.)	პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი	რეინვესტირების კოეფიციენტი	წმინდა ფულადი ნაკადით უზრუნველყოფა
1. კოკა-კოლა	149.62	5.43	4.56	1.19	-0.003	0.13
2. თელიანი ველი	5.59	8314.8	0.60	-1537	0.39	0.13
3. სანტე	20.76	733.81	1	63.01	0.51	1.48
4. ნიკორა	104.09	0.04	1.56	4.38	-0.001	-0.0002
5. გუდვილი	36.32	1991.88	1.07	14.59	-3.29	-1.105
6. იფქლი დიღომი	31.33	31.77	1	3405	-6.02	0.14
7. თელასი	37.16	7.83	1.09	13.05	-0.34	-1.68
8. იმედი L	36.39	13.77	1.14	5.94	112	0.126

საწარმოებს ყოველთვის გააჩნიათ მოთხოვნა ფულადი თანხების მინიმალურ ნაშთებზე, რათა შექმნან მიმდინარე მარაგები, დააფინანსონ სხვადასხვა პროგნოზული პროექტები, დროულად დაფარონ მიმდინარე ვალდებულებები და სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები. მაგრამ, საჭიროა თავისუფალი ფულადი თანხების ოპტიმალური მოცულობის დადგენა, რათა ზედმეტი ფული კონვერტირებულ იქნეს (გაიცვალოს) ფასიან ქაღალდებში (ვთქვათ, ობლიგაციებში), დამატებითი შემოსავლების მისაღებად.

დასავლეთის ქვეყნებში, **თავისუფალი ფულადი თანხების ნაშთების ოპტიმალური მოცულობის დასადგენად, ბაუმოლის ფორმულა გამოიყენება.**

ბაუმოლის ფორმულით, საწარმოსათვის საჭირო ფულის ნაშთების ოპტიმალური მოცულობა შემდეგი ფორმულით გაიანგარიშება:

$$Q = [(2 * v * c) / r]^{1/2} \; ; \qquad \text{სადაც,}$$

v - არის წლიური მოთხოვნა ფულად თანხებზე ანუ წლიური ფულადი ხარჯები;

c- ფასიან ქაღალდებში ფულადი სახსრების კონვერტაციის ხარჯები (ანუ ერთეულის რეალიზაციაზე გასაწევი ხარჯი)

r - არის მოკლევადიანი ფინანსური ინვესტიციის (დავუშვათ, ობლიგაციის ან პრივილეგირებული აქციის) საპროცენტო განაკვეთი;

½- კვადრატული ფესვის ნიშანია

Q - აჩვენებს ანგარიშსწორების ანგარიშზე ფულადი თანხის არსებობის მაქსიმალურ შესაძლო სიდიდეს. ხოლო, საშუალო მინიმალური დონე მისი ნახევრის ტოლია.

5.4. ფულის ბრუნვადობის ფაქტორული ანალიზის მეთოდიკა

საწარმოები, როგორც წესი, რესურსებში სათანადო ღირებულების ავანსირებას ანუ დაბანდებას ახდენენ. მეწარმის მიერ გაღებული ფულადი სახსრები, გარკვეული დროის შემდეგ, ისევ ფულის სახით უკან ბრუნდება. მაგრამ, ეს არის არა იგივე ფული, არამედ გაზრდილი მოცულობის ფული, რადგან გაყიდული პროდუქციის ფასი მის დანახარჯებს აღემატება. ფულის ბრუნვის შენელება იწვევს ფულის დეფიციტს. თუმცა, არც ძალიან სწრაფი ბრუნვა არ არის გამართლებული, რადგან, თუკი ფული საბანკო ანგარიშებზე რაღაც გარკვეული დროით არ (ან ვერ) ჩერდება, ესეც ფულის უკმარისობაზე მიანიშნებს. იგი ძალიან სწრაფად იხარჯება, რადგან ვალდებულებების მოცულობა დიდია და შემოსული ფული საკმარისი არ არის.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ფულის ბრუნვის მაჩვენებლების დინამიკაში შესწავლა მეტად მნიშვნელოვანია. ასევე მნიშვნელოვანია ფულის ბრუნვადობაზე მოქმედი ფაქტორების გავლენის გაზომვა.

ჩვენი აზრით, **ფულის ბრუნვის რიცხვის ფაქტორული მოდელი, სამრეწველო საწარმოებისათვის** შეიძლება შემდეგი ოთხფაქტორიანი მოდელის სახით წარმოვადგინოთ:

$$\textit{ფულის ბრ. რიცხვი} = \frac{\textit{შემოს. რეალიზ. .}}{\textit{ფულის საშ. წლ. ნაშთი}} = \frac{\textit{შემოს. რეალიზ.}}{\textit{მზა პრ. საშ. წ. ნ.}} * \frac{\textit{მზა პრ. საშ. წ. ნ.}}{\textit{დაუმთ. პრ. საშ. წ. ნ.}} * \frac{\textit{დაუმთ. პრ. საშ. წ. ნ.}}{\textit{მასალის. საშ. წ. ნ.}} * \frac{\textit{მასალის საშ. წ. ნ.}}{\textit{ფულის საშ. წ. ნ.}}$$

ფაქტორებია:

1. **რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლისა და მზა პროდუქციის საშუალო წლიური ნაშთის ფარდობა** - იგი აჩვენებს მზა პროდუქციის მარაგში ავანსირებული ღირებულების ბრუნვის რიცხვს. მისი ზრდა წინა წელთან შედარებით, ნიშნავს, რომ მზა პროდუქციის ნაშთებში

ავანსირებული ღირებულება უფრო სწრაფად ბრუნავს წინა პერიოდთან შედარებით, რაც ფულის საერთო ბრუნვადობასაც გაზრდის და პირიქით.

2. მზა პროდუქციისა და დაუმთავრებელი პროდუქციის საშუალო წლიური ნაშთების ფარდობა - იგი ერთზე მეტი უნდა იყოს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მზა პროდუქციის ნაშთების ზრდის ტემპი წინა წელთან შედარებით, უნდა აღემატებოდეს დაუმთავრებელი პროდუქციის ზრდის ტემპს, რაც ფულის საერთო ბრუნვაზე დადებით ზეგავლენას ახდენს და პირიქით.

3. დაუმთავრებელი პროდუქციის საშუალო წლიური ნაშთების ფარდობა მასალის საშუალო წლიურ ნაშთთან - დაუმთავრებელი პროდუქციის ზრდის ტემპი უნდა აღემატებოდეს მასალის ნაშთების ზრდის ტემპს, რაც ნიშნავს რომ მასალები უფრო სწრაფად უნდა გადაიქცეს ხარჯად, ვიდრე დაუმთავრებელი პროდუქცია გადაიქცევა მზა პროდუქტად. მაშასადამე, მასალის მარაგში ავანსირებული ღირებულების ბრუნვა დაჩქარდა, რაც ფულის საერთო ბრუნვასაც დააჩქარებს.

4. მეოთხე ფაქტორია მასალის საშუალო წლიური ნაშთისა და ფულადი სახსრების საშუალო წლიური ნაშთების ფარდობა. ეს კოეფიციენტიც ერთზე მეტი უნდა იყოს, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ფულადი სახსრები უფრო ჩქარა გადაიქცევა მატერიალურ რესურსებად, ვიდრე მასალები - დანახარჯებად. მაშასადამე, ფულის საერთო ბრუნვადობაც იზრდება და ბიზნესი აქტიურია.

ფაქტორული ანალიზისათვის გამოიყენება ტრადიციული აბსოლუტური სხვაობის ხერხი. ამასთან, მატერიალური მარაგების ნაშთები აიღება საშუალო წლიური სიდიდით, რომელიც საწყისი და საბოლოო ნაშთების ჯამის ნახევარია.

სავაჭრო კომპანიებში შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი სამფაქტორიანი მოედელი:

$$\text{ფულის ბრ. რიცხვი} = \frac{\text{შემოს. რეალიზ} - \text{დან.}}{\text{ფულის საშ. წლ. ნაშთი}} = \frac{\text{შემოს. რეალიზ.}}{\text{რეალიზ. პრ. თვითღ.}} * \frac{\text{რეალიზ. პრ. თვითღ.}}{\text{საქონლ. მარაგი.}} * \frac{\text{საქონ. მარაგი.}}{\text{ფულის. ნაშთი}}$$

ვინაიდან, კოკა-კოლას მიერ წარმოდგენილ მმართველობის ანგარიშგებაში ნაჩვენები არ არის დაუმთავრებელი წარმოებისა და მასალის (ნედლეულის) ნაშთები ცალ-ცალკე, მოტანილი ფაქტორული მოდელი საჭიროებს მოდიფიცირებას. თუკი საწარმოს არ გააჩნია დაუმთავრებელი პროდუქცია მისი პროდუქციის წარმოების თავისებურებების გამო, მაშინ, მოტანილ ფაქტორულ მოდელში ფაქტორების რიცხვი შემცირდება და სამფაქტორიანი მოდელი შეიძლება იქნეს გამოყენებული. მაგრამ, როცა კომპანიას აქვს საკუთარი წარმოებით დამზადებული პროდუქცია და აგრეთვე ყიდულობს და ყიდის საქონელს, რომელიც სხვაგან არის დამზადებული, მაშინ, მენეჯმენტმა, რომელსაც არა აქვს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრობლემა, აუცილებელია ცალ-ცალკე გააანალიზოს საკუთარი პროდუქციიდან და შეძენილი საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების სიდიდეები. შესაბამისად, ზემოთ მოტანილ ფულის ბრუნვის ფაქტორულ მოდელში გამოყენებული უნდა იქნეს საკუთარი წარმოების პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი. იგი იძლევა საკუთარი წარმოებისათვის ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობის დეტალური ანალიზის საშუალებას.

ხოლო, ისინი, ვინც კომპანიის გარეთ ვიმყოფებით და ფინანსური ანგარიშგების გარდა სხვა ინფორმაციაზე წვდომა არა გვაქვს, შევძლებთ სამი ფაქტორის გავლენა გავზომოთ, ზემოთ მოტანილი სამფაქტორიანი მოდელით.

სს „თელიანი ველის“ მარაგები შეიცავს დაუმთავრებელი წარმოების, საკუთარი მზა პროდუქციისა და ნაყიდი საქონლის ნაშთებსაც. მაგრამ, ანგარიშგებაში იდენტიფიცირებული არაა საკუთარი მზა პროდუქციის და ნაყიდი საქონლიდან რეალიზებული საქონლის თვითღირებულება. აგრეთვე მატერიალური დანახარჯები, ნაყიდი საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი და მისი თვითღირებულება. ამიტომ, სამფაქტორიანი მოდელი გამოვიყენეთ.

ცხრილი 5.4.1. ფულის ბრუნვადობაზე მოქმედი ფაქტორების ზეგავლენა სს „კოკა-კოლას“ მაგალითზე

მაჩვენებლები	2017	2018	გადახრა
ფულის ბრუნვის რიცხვი	125	148	+23
მოქმედი ფაქტორები:			
1.შემოსავალი / რეალიზ.პროდ. თვითღ.	1.45	1.46	+0.01
2. რეალიზ.პროდ.თვითღ. / საქონლ. მარაგი	10.69	11.78	+0.09
3. საქონლური მარაგი / ფულის ნაშთი	8.06	8.60	+0.54
გადახრაზე მოქმედი ფაქტორების გავლენა:			
1.შემოსავლებისა და თვითღირებულების ფარდობა			
2.თვითღ. და საქონლის მარაგის ფარდობა	(+0.01) * 10.69 * 8.06 = = 0.86		
3. საქონლის მარაგისა და ფულის ნაშთის ფარდობა	1.46 * (+1.09) * 8.06 = +12.83		
	1.46 * 11.78 * (+0.54) = +9.29		

	+23		

ამრიგად, როგორც 5.4.1. ცხრილიდან ჩანს, რომ სს „კოკა-კოლაში“ფულის ბრუნვის რიცხვი 2018 წელს, წინა წელთან შედარებით 23 ერთეულით დაჩქარდა რადგან, 2017 წელს 125-ჯერ და 2018 წელს - 148-ჯერ შემობრუნდა. ე.ი. ერთ შემობრუნებას 2018 წელს 2,5 დღე, 2017 წელს - 3 დღე სჭირდებოდა. ფულის ბრუნვის დაჩქარების შედეგად გამოთავისუფლებული სახსრები გამოითვლება ბრუნვის დღეების სხვაობის გამრავლებით დღიურ ხარჯზე:

0.5 დღე * 382,7 ლ = 191 ათ ლ.

აგრეთვე საინტერესოა ფულის დაყოვნების კოეფიციენტის შესწავლა, რომელიც გამოითვლება ფულის საშუალო წლიური ნაშთისა და შემოსავლების ფარდობით. იგი ახასიათებს, რამდენი ლარი ფულადი რესურსი იმყოფებოდა მიმოქცევაში, ერთი ლარის რეალიზაციის უზრუნველსაყოფად და დინამიკაში შემცირების ტენდენციით უნდა ხასიათდებოდეს.

თავი 6. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგების ანალიზის მეთოდიკა

6.1. საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგების ვერტიკალური და ჰორიზონტალური ანალიზი

საკუთარი კაპიტალი, როგორც წესი, წარმოადგენს საწარმოთა რესურსების დაფინანსების საკუთარ წყაროს. მის მოცულობასა და ეფექტიან გამოყენებაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული საწარმოს ფინანსური სტაბილურობის ხარისხი და ფინანსური უსაფრთხოება. საკუთარი კაპიტალის სტრუქტურის თავისებურებებს განაპირობებს ამა თუ იმ საწარმოს იურიდიული სამართლებრივი ფორმა. საკუთარი კაპიტალის ფორმირება ხდება მესაკუთრეების (ან აქციონერების) მიერ საწარმოში განხორციელებული თავდაპირველი ინვესტირების დროს და შემდეგ, მოგების რეინვესტირების შედეგად. ანგარიშგებაში „საკუთარი კაპიტალის ცვლილებების შესახებ“ წარმოდგენილია ყველა ის ცვლილება, რომელიც შეეხება საკუთარი კაპიტალის რომელიმე ელემენტს.

საკუთარი კაპიტალი არის აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება ვალდებულებების დაფარვის შემდეგ. იმავდროულად, საკუთარი კაპიტალი იგივე წმინდა აქტივებია ე. ი. საკუთარი კაპიტალი წარმოადგენს მისი აქტივების ღირებულებას, რომელიც რჩება ვალდებულებების დაფარვის შემდეგ :

საკუთარი კაპიტალი = მთლიანი აქტივები – მთლიანი ვალდებულებები

აგრეთვე:

საკუთარი კაპიტალი = სააქციო კაპიტალი + საემისიო კაპიტალი + გაუნაწილებელი

(ან რეინვესტირებული) მოგება – უკან გამოსყიდული აქციები

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები მას წილობრივ ინსტრუმენტს უწოდებს. წილობრივი ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ადასტურებს საწარმოს აქტივებში ყველა მისი ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი წილის საკუთრების უფლებას (ბასს 32, მუხლი 11).

საკუთარი კაპიტალი ორი ნაწილისაგან შედგება: ავანსირებული (ინვესტირებული) და რეინვესტირებული კაპიტალისაგან.

ავანსირებული კაპიტალი ახასიათებს საწარმოში მესაკუთრეთა მიერ თავდაპირველად დაბანდებული სახსრების სიდიდეს. როგორიცაა სააქციო კაპიტალი და საემისიო კაპიტალი. ხოლო რეინვესტირებული კაპიტალი არის საწარმოს ფუნქციონირების ფინანსური შედეგის ანუ დაბანდებული კაპიტალის გამომუშავებული სარგებლის კვლავ ავანსირება ბიზნესში. რეინვესტირებულ კაპიტალს მიეკუთვნება მოგების ხარჯზე შექმნილი რეზერვები, გაუნაწილებელი მოგება და გადაფასების რეზერვი.

საკუთარი კაპიტალის სტრუქტურას საწარმოს იურიდიულ სამართლებრივი ფორმა განსაზღვრავს. განსახილველი საწარმოების საკუთარი კაპიტალის სტრუქტურას საანალიზო საწარმოებში შემდეგი სახე აქვს (იხ. ცხრილი 6.1.1):

სააქციო კაპიტალი (ან საწესდებო კაპიტალი)

საემისიო კაპიტალი

დამატებითი შენატანები კაპიტალში

მესაკუთრეთა არაფულადი შენატანის რეზერვი

მოგებიდან შექმნილი რეზერვები

გადაფასების რეზერვი

გაუნაწილებელი მოგება (თუ ასეთი არსებობს)

ასეთი კლასიფიკაცია სასარგებლოა წილობრივი ინსტრუმენტების მართვისა და ეკონომიკური გადაწყვეტილებების მისაღებად.

ბუღალტრულ ბალანსში ასახული საკუთარი კაპიტალის სიდიდე დამოკიდებულია აქტივებისა და ვალდებულებების შეფასებაზე. როგორც წესი, საკუთარი კაპიტალის ჯამური სიდიდე შეიძლება მხოლოდ შემთხვევით დაემთხვეს საწარმოს მიერ გამოშვებული აქციების საბაზრო ღირებულების მთლიან თანხას ან იმ თანხას, რომელიც შეიძლება მიღებულ იქნას საწარმოს წმინდა აქტივების გაყიდვის შედეგად.

საკუთარი კაპიტალის ფორმირების (შექმნის) გზებია:

• ახალი აქციების გამოშვება აქციების განთავსებით, საჯარო შეთავაზებით ან უფლებითი ემისიით;

• შიდა აკუმულირებული (დაგროვილი) კაპიტალი – საემისიო კაპიტალი, რეზერვები და გაუნაწილებებლი მოგება (თუკი არსებობს).

საკუთარი კაპიტალის წარმოქმნის გზებს შორის არჩევანის გაკეთებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ფინანსების ხელმისაწვდომობა, ფინანსების ოდენობა, დანახარჯები აქციების გამოშვების პროცედურებთან დაკავშირებით, გამოშვებული აქციების შეფასება, კონტროლი, გადასახადები და დივიდენდების გაცემის პოლიტიკა.

კანონმდებლობით, აქციების გამოშვების უფლება მხოლოდ სააქციო საზოგადოებებს გააჩნიათ. სააქციო კაპიტალი ახასიათებს აქციონერების წილს სააქციო საზოგადოებაში.

სააქციო კაპიტალი ორგანიზაციაში, როგორც წესი, წარმოიქმნება აქციების გამოშვების გზით.

ცხრილი 6.1.1. საკუთარი კაპიტალის შედგენილობა 2017 წლის მდგომარეობით (ათ.ლარი)

საწარმოები	საწ. (სააქციო) კაპიტა-ლი	საემისიო კაპიტალი	რეზერვები და დაფინანსება	დამატებითი შენატანები კაპიტალში (მესაკ.არაფ. შენატ. რეზ.)	ძ/ს გადაფასების რეზერვი	გაუნაწ. მოგება/დაგროვილი ზარალი	ჯამი
1. სს კოკა-კოლა	8,754	-	-	-	-	64,853	73,607
2. სს თელიანი ველი	5,200	-	-	78,748	-	5,209	89,157
3. სს სანტე	45,858	-	18,234	-	-	(17,551)	46,542
4. სს ნიკორა	1,000	-	-	-	-	2,005	3,005
5. სს საქართველოს რკინიგზა	1,053,271	-	-	98,500	-	17,184	1,168,955
6. შპს იფქლი დიღომი	35	-	2,028	-	125	3,758	5,946
7. სს გუდვილი	5,680	-	-	-	-	(31,556)	(25,876)
8. სს თელასი	112,429	-	(126)	25,747	-	15,396	153,446
9. სს საფონდო ბირჟა	30	117	-	-	-	524	671
10. სს „იმედი L“	4,170	-	-	9,759	83	(3,420)	10,592

აქცია არის ფასიანი ქაღალდი, რომელსაც მისი მფლობელისათვის მოაქვს შემოსავალი დივიდენდის სახით. შეიძლება გამოშვებულ იქნეს პრივილეგირებული ან ჩვეულებრივი აქციები. აუცილებელია საწარმოთა ფინანსურ ანგარიშგებაში მითითებული იყოს თუ როგორი სახის აქციები აქვს გამოშვებული საწარმოს, რათა ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს სრული ინფორმაცია ჰქონდეთ საწარმოს საკუთარი კაპიტალის სტრუქტურის შესახებ. მაგალითად, სს გუდვილის ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი ჩვეულებრივ აქციებს ფლობენ აქციონერები თუ პლივილეგირებულს.

აღნიშნული ინფორმაციის წარდგენა ფინანსურ ანგარიშგებაში საშუალებას იძლევა გაირკვეს პრივილეგირებული აქციის მფლობელები, რომელთაც არ აქვთ ხმის უფლება საწარმოთა მართვაში, მაგრამ აქვთ დივიდენდის უცვლელი საპროცენტო განაკვეთი და ჩვეულებრივი აქციის მფლობელები, რომლებიც მონაწილეობენ საწარმოს საქმიანობაში და აქვთ ხმის უფლება, რადგან არა აქვთ დივიდენდის წინასწარ დადგენილი განაკვეთი.

აუცილებელია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი იყოს ინფორმაცია გამოშვებული აქციების რა მოცულობა წარმოადგენს დაბრუნებად და რა მოცულობაა დაუბრუნებადი. შესწავლილი საწარმოების არცერთ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის აღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილი.

დაბრუნებადი აქცია წარმოადგენს ისეთ ფინანსურ ინსტრუმენტს, რომელიც მფლობელს უფლებას ანიჭებს ემიტენტს (გამომშვებს) უკან დაუბრუნოს ინსტრუმენტი ფულად სახსრებზე ან სხვა ფინანსურ აქტივზე გაცვლის გზით, ან ავტომატურად უბრუნდება ემიტენტს ამა თუ იმ გაურკვეველი მოვლენის მოხდენისას მომავალში, ან ინსტრუმენტის მფლობელის სიკვდილის ან პენსიაში გასვლის დროს. აქციის დაბრუნების პირობები უნდა განისაზღვროს საწარმოს მიერ აქციების გამოშვების დროს. აქციების უკან გამოსყიდვის პირობები გათვალისწინებული უნდა იყოს ხელშეკრულებაში, რომელიც ცხადდება აქციების გამოშვების დროს.

საემისიო კაპიტალი არის სხვაობა გამოშვებული აქციების გაყიდვის ფასსა და ნომინალურ ღირებულებას შორის. საემისიო კაპიტალი მხოლოდ სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ 2017 წლის ფინანსურ ანგარიშგებაშია წარმოდგენილი, რომლის თანახმადაც აქციონერებს აქციების გაყიდვის ფასზე 117,420 ათ. ლარით მეტი აქვთ გადახდილი.

ზოგადად, გამოშვებული აქციები, გარდა ფულისა, შეიძლება გაიცვალოს სხვა რომელიმე სახის აქტივზე: შენობებზე, მანქანებზე და სხვა. არაფულად აქტივებზე აქციების გაყიდვის შემთხვევაში აქციების შეფასება ხდება ან მათი საბაზრო ფასით ან მისაღები აქტივის რეალური ღირებულებით. არჩევანის გაკეთება იმის მიხედვით მოხდება, რომელი მიდგომა უფრო საიმედო შეფასებას იძლევა მოცემულ მომენტში. საწარმოებმა შეიძლება მოახდინონ პრივილეგირებული აქციების კონვერტირება წინასწარ არსებული ხელშეკრულების პირობების თანახმად, ჩვეულებრივ აქციებზე. მისი მიზანია პრივილეგირებული აქციების ბრუნვიდან ამოღება.

სააქციო კაპიტალის ანგარიშგებაში წარდგენილი ნაშთები, უნდა ემთხვეოდეს ბუღალტრულ ბალანსში მოცემული საკუთარი კაპიტალის ელემენტების ნაშთებს წლის დასაწყისისა და ბოლოსათვის

საკუთარი კაპიტალის ვერტიკალური ანალიზის დროს შეისწავლება პროცენტული სტრუქტურა, რომლის დროსაც განისაზღვრება:

საკუთარი კაპიტალის თითოეული მუხლის პროცენტული წილი, მთლიანი საკუთარი კაპიტალის მიმართ, ან

შეირჩევა ერთი ცენტრალური მაჩვენებელი და დანარჩენი ელემენტების პროცენტული წილი განისაზღვრება მის მიმართ.

მაშასადამე, ვერტიკალური ანალიზი არის შედეგების შესწავლა ერთი საანგარიშგებო პერიოდის შიგნით.

საკუთარი კაპიტალის სტრუქტურის შესწავლის მიზნით შედგენილია შესაბამისი ცხრილი 6.1.2, სადაც წარმოდგენილია საკუთარი კაპიტალის თითოეული მუხლის ხვედრითი წილის მაჩვენებლები, მთლიანი საკუთარი კაპიტალის მიმართ:

ცხრილი 6.1.2. საკუთარი კაპიტალის სტრუქტურა %-ად 2017 წ.

საწარმოები	საწესდებო ან სააქციო კაპიტალი)	საემისიო კაპიტალი	რეზერვები და დაფინანსება	დამატებითი შენატანები კაპ.(მესაკ.არა ფულადი შენატანის რეზერვი)	ძირითადი საშუალებ. გადაფასების რეზერვი	გაუნაწ. მოგება (აკუმულ. ზარალი)	ჯამი
1. სს კოკა-კოლა	11.89	-	-	-	-	88.11	100
2. სს თელიანი ველი	5.83	-	-	88.33	-	5.84	100
3. შპს სანტე	98.53	-	39.17	-	-	(37.70)	100
4. შპს ნიკორა	33.28	-	-	-	-	66.72	100
5. საქართველოს რკინიგზა	90.10	-	-	8.43	-	1.47	100
6. იფქლი დიღომი	0.59	-	34.11	-	2.10	63.20	100
7. გუდვილი	(21.95)	-	-	-	-	121.95	100
8. თელასი	73.27	-	(0.08)	16.78	-	10.03	100
9. საფონდო ბირჟა	4.47	17.44	-	-	-	78.09	100
10. იმედი L	39.37	-	-	92.14	0.78	(32.29)	100

საანალიზო საწარმოების საკუთარი კაპიტალის სტრუქტურის ცხრილიდან ჩანს, რომ საწარმოების ნაწილში ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი უჭირავს სააქციო კაპიტალს, ხოლო, ზოგიერთში - გაუნაწილებელ მოგებას.

აქვე შევნიშნავთ, რომ საქართველოში მოგების გადასახადის ახალი რეგულაციების საფუძველზე, საწარმოთა ბალანსში აღარ უნდა იყოს გაუნაწილებელი მოგების ნაშთი, რადგან მოგება მთლიანად განაწილდება სახელმწიფო ბიუჯეტს, საწარმოთა მესკუთრეებსა და საწარმოებს შორის. რეინვესტირებისათვის ყოველწლიურად შეიქმნება რეზერვები მოგებიდან, რომელიც რეალური გამოყენების შემდეგ შეუერთდება სააქციო (საწესდებო) კაპიტალს. განხილულ საწარმოებში თითქმის არ ხდება მოგების რეინვესტირება. რეინვესტირებული მოგება საწარმოს დაფინანსების ყველაზე მისაღები და შედარებით იაფი ფორმაა. ამიტომ, იგი ყველაზე პოპულარულია. მაგალითად, ლონდონის ბირჟაზე რეგისტრირებული მშენებლობის, მრეწველობის, ვაჭრობისა და ტრანსპორტის კომპანიების ახალი საინვესტიციო პროექტების 90% მოგებითაა რეინვესტირებული.

საკუთარ კაპიტალში, მისი სტრუქტურიდან გამომდინარე, ყველაზე მთავარ მაჩვენებელს სააქციო კაპიტალი (ან საწესდებო კაპიტალი) წარმოადგენს, რადგან იგი ახასიათებს აქციონერების (ან მესაკუთრეების) წილს საწარმოში. ცხრილში 6.1.3. მოცემულია სს „კოკა-კოლას“ ვერტიკალური კოეფიციენტები სააქციო კაპიტალის მიმართ.

ცხრილი 6.1.3. სს კოკა-კოლას საკუთარი კაპიტალის ვერტიკალური კოეფიციენტები 2016-2018 წწ %-ად

საკუთარი კაპიტალის მუხლები	2016	2017	2018
სააქციო კაპიტალი	100	100	100
საემისიო კაპიტალი	-	-	-
უკან გამოსყიდული საკუთარი კაპიტალი	-	-	-
მოგებიდან შექმნილი რეზერვები	-	-	-
გადაფასების რეზერვი	-	-	-
გაუნაწილებელი მოგება (დაუფარავი ზარალი)	684.0	741.0	895.0
სხვა ინვესტიციებიდან მიღებული შემოსულობები	-	-	3

მაშასადამე, როგორც 6.1.3. ცხრილიდანა ჩანს, სს „კოკა-კოლაში“ 2016-2017 წლებში გაუნაწილებელი მოგება 7-ჯერ და 9-ჯერ აღემატებოდა სააქციო კაპიტალის სიდიდეს. ასეთ შემთვევაში წარმოიშობა კითხვა: რატომ არაა ის განაწილებული მესაკუთრეებზე, პერსონალის პრემიებზე და ვთქვათ, რისკების შერბილების რეზერვების შექმნაზე.

ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება საკუთარი კაპიტალის ჰორიზონტალურ ანალიზს, რომელიც საშუალებას იძლევა შესწავლილ იქნეს საკუთარ კაპიტალში შემავალი მუხლების ცვლილებების ტენდენციები, რომელიმე ერთ საანგარიშგებო პერიოდთან მიმართებით. ტენდენციების ანალიზი (trends) ანუ ტენდენციის წრფვეები აჩვენებენ მრავალწლიან პერიოდში საწარმოს მუშაობის შედეგების მიმართულებებს. მაშასადამე, ჰორიზონტალური ანუ დინამიკური (ტრენდული) ანალიზი არის საწარმოს შედეგების მიმოხილვა მრავალწლიან პერიოდში, მინიმუმ, ხუთი წლისათვის. ჩვენთვის ხელმისაწვდომი არ იყო წინა ხუთი წლის ინფორმაცია, მაგრამ, მეთოდიკის ჩვენების მიზნით, აღებულია სამი - 2016-2018 წლები (იხ. ცხრილი 6.1.4).

ჩვენ შევისწავლეთ საწარმოების მთლიანი საკუთარი კაპიტალის ცვლილების ტენდენციები 2016 წლის მიმართ. როგორც 6.1.4. ცხრილიდან ჩანს, საკუთარი კაპიტალი დიდი მერყეობით და შემცირების ტენდენციით ხასიათდება შემდეგ საწარმოებში: ნიკორა, საქართველოს რკინიგზა, გუდვილი, საფონდო ბირჟა. განსაკუთრებით საშიში მდგომარეობაა სს „საქართველოს რკინიგზაში“. 2018 წელს სამჯერ შემცირდა საკუთარი კაპიტალი 2016 წელთან შედარებით.

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგების ჰორიზონტალური ანალიზის თვალსაჩინოებისათვის დეტალურად ჩავატარეთ სს “კოკა-კოლას“ საკუთარი კაპიტალის ჰორიზონტალური ანალიზი.

ცხრილი 6.1.4. საკუთარი კაპიტალის დინამიკა %-ად 2016-2018 წწ.

საწარმოები	2016	2017	2018
1. სს კოკა-კოლა	100	107	131
2. სს თელიანი ველი	100	218	241
3. შპს სანტე	100	120	136
4. შპს ნიკორა	-	49	85
5. საქართველოს რკინიგზა	100	76	33
6. იფქლი დიღომი	100	104	113
7. გუდვილი	100	95	88
8. თელასი	100	101	119
9. საფონდო ბირჟა	100	96	94
10. იმედი L	100	80	178

ცხრილი 6.1.5 წარმოადგენს სამუშაო ცხრილს, რომელშიც თავმოყრილია თანხობრივი მონაცემები და მათ საფუძველზე გამოთვლილი ინდექსები.

ცხრილი 6.1.5. სს კოკა-კოლას საკუთარი კაპიტალის ჰორიზონტალური ანალიზი %-ად 2016 წელთან შედარებით

საკუთარი კაპიტალი	2016	2017		2018	
		ათ. ლ	%	ათ. ლ	%
სააქციო კაპიტალი	8,754	8,754	100	8,754	100
საემისიო კაპიტალი	-	-	-	-	-
რეზერვები მოგებიდან	-	-	-	-	-
გაუნაწილებელი მოგება	59,874	64,853	108	78,331	131
სხვა ინვესტიციებიდან მიღებული შემოსულობები	-	-	-	2,879	
ჯამი	68,628	73,607	108	89,964	131

ცხრილი 6.1.5-ის საფუძველზე შემდეგ მომზადდება მხოლოდ პროცენტული ცხრილი, რომელიც თვალსაჩინოდ წარმოაჩენს მხოლოდ ტენდენციებს (იხ. ცხრილი 6.1.6)

საკუთარი კაპიტალი, როგორც წესი, საწარმოს აქტივების დაფინანსების ყველაზე საიმედო წყაროა. მისი დაბანდება ხდება გრძელვადიან და მოკლევადიან აქტივებში. მაშასადამე მას გააჩნია საბრუნავი კაპიტალის ნაწილი და ძირითადი საშუალებების დაფინანსების ნაწილი.

საკუთარი კაპიტალის იმ ნაწილს, რომელიც მიმდინარე აქტივებშია დაფინანსებული, საბრუნავი ნაწილი ეწოდება. დანარჩენი კი არის ძირითად საშუალებებში დაბანდებული საკუთარი კაპიტალის ნაწილი ანუ ძირითადი კაპიტალი.

ცხრილი 6.1.6. სს კოკა-კოლას საკუთარი კაპიტალის ანგარიშგების ჰორიზონტალური ანალიზი %-ად 2016 წელთან შედარებით

საკუთარი კაპიტალი	2016	2017	2018
სააქციო კაპიტალი	100	100	100
საემისიო კაპიტალი	-	-	-
რეზერვები მოგებიდან	-	-	-
გაუნაწილებელი მოგება	100	108	131
ჯამი	100	108	131

მიმდინარე აქტივებში დაბანდებული საკუთარი კაპიტალის ნაწილს საკუთარი საბრუნავი საშუალებები (სახსრები) ეწოდება. თუ მიმდინარე აქტივები მიმდინარე ვალდებულებებზე მეტია, მაშინ, თანამედროვე პირობებში იგი დაფინანსებულია ან საკუთარი კაპიტალით ან გრძელვადიანი სესხით ან ორივეთი ერთდროულად. ამის იდენტიფიცირება, როგორც ადრე ვისაუბრეთ, ბუღალტრული ბალანსის ინფორმაციით უკვე შეუძლებელია (იხ. გვ. 47). ამიტომ ინფორმაცია საკუთარი კაპიტალისა და გრძელვადანი სესხების გამოყენების მიზნობრიობის შესახებ, საწარმომ ფინანსური ანგარიშგების განმარტებებში უნდა წარადგინოს.

საწარმოს ფინანსური მენეჯმენტისათვის კი პრობლემას არ წარმოადგენს საჭირო ინფორმაციის მოპოვება. მან ეს აუცილებლად უნდა იცოდეს და ყოველწლიურად უნდა გადაამოწმოს, რამდენად ოპტიმალურია მიმდინარე და გრძელვადიან აქტივებში საკუთარი კაპიტალისა და გრძელვადიანი სესხების დაფინანსების არსებული პოლიტიკა.

საკუთარი კაპიტალის წარმოქმნის გზებს შორის არჩევანის გაკეთებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ფინანსების ხელმისაწვდომობა, ფინანსების ოდენობა, დანახარჯები აქციების გამოშვების პროცედურებთან დაკავშირებით, გამოშვებული აქციების შეფასება, კონტროლი, გადასახადები და დივიდენდების გაცემის პოლიტიკა.

საემისიო კაპიტალი არის სხვაობა გამოშვებული აქციების გაყიდვის ფასსა და ნომინალურ ღირებულებას შორის. საემისიო კაპიტალი მხოლოდ სს „საქართველოს საფონდო ბირჟა“-ს 2017 წლის ფინანსურ ანგარიშგებაშია წარმოდგენილი, რომლის თანახმადაც აქციონერებს აქციების გაყიდვის ფასზე 117,42 ათ.ლარით მეტი აქვთ გადახდილი.

ზოგადად, გამოშვებული აქციები, გარდა ფულისა, შეიძლება გაიცვალოს სხვა რომელიმე სახის აქტივზე: შენობებზე, მანქანებზე და სხვა. არაფულად აქტივებზე აქციების გაყიდვის შემთხვევაში აქციების შეფასება ხდება ან მათი საბაზრო ფასით ან მისაღები აქტივის რეალური ღირებულებით. არჩევანის გაკეთება იმის მიხედვით მოხდება, მოცემულ მომენტში რომელი მიდგომა უფრო საიმედო შეფასების საშუალებას იძლევა. საწარმოებმა შეიძლება მოახდინონ პრივილეგირებული აქციების კონვერტირება ჩვეულებრივ აქციებზე ან ნაყიდ ობლიგაციებზე, წინასწარ არსებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მისი მიზანია პრივილეგირებული აქციების ბრუნვიდან ამოღება.

შევნიშნავთ, რომ საქართველოს კომპანიებში ერთი აქციის ნომინალური ღირებულება ძალიან არასერიოზულად გამოიყურება. ასე მაგალითად: 2018 წლის მდგომარეობით, სს „საქართველოს რკინიგზას“ გამოშვებული აქვს 1 მილიარდ 50 მლნ ცალი ჩვეულებრივი აქცია და ერთი აქციის ნომინალური ღირებულება არის 1 ლ; კოკა-კოლას გამოშვებული აქვს 8.7 მლნ ცალი აქცია და ერთი აქციის ნომინალური ღირებულებაა 1 ლარი; „იმედი ელს“ გამოშვებული აქვს 3 მლნ ცალი და ერთი აქციის ნომინალური ღირებულებაა 3 ლ; სს გუდვილს გამოშვებული აქვს 35.5 მლნ ცალი აქცია და ერთი აქციის ნომინალური ღირებულებაა 0.18 ლ; თელიანი ველში - გამოშვებულია 620 მლნ ცალი ჩვეულებრივი აქცია და ერთი აქციის ნომინალური ღირებულებაა 0.00001 ლ; ვფიქრობთ, უნდა მოხდეს ერთი აქციის ნომინალური ღირებულების მინიმალური დონის დადგენა კანონმდებლობით.

სააქციო კაპიტალის ანგარიშგებაში წარდგენილი ნაშთები, უნდა ემთხვეოდეს ბუღალტრულ ბალანსში მოცემული საკუთარი კაპიტალის ელემენტების ნაშთებს წლის დასაწყისისა და ბოლოსათვის. საანალიზო საწარმოებში ეს მოთხოვნა დაცულია.

საწარმოთა ბუღალტრულ ბალანსში და საკუთარი კაპიტალის ანგარიშგებაში კვლავ არის მაჩვენებელი: „გაუნაწილებელი მოგება“, რაც საქართველოში საგადასახადო კოდექსის ახალი მოთხოვნების შედეგად, აღარ უნდა დარჩეს. მოგება ან მთლიანად მესაკუთრეებზე განაწილდება ან ნაწილის რეინვესტირება უნდა მოხდეს. რეინვესტირებული მოგება საწარმოს დაფინანსების ყველაზე მისაღები და შედარებით იაფი ფორმაა. ამიტომ, იგი ყველაზე პოპულარულია. მაგალითად, ლონდონის ბირჟაზე რეგისტრირებული მშენებლობის, მრეწველობის, ვაჭრობისა და ტრანსპორტის კომპანიების ახალი საინვესტიციო პროექტების 90% მოგებითაა რეინვესტირებული.

ამდენად, რეინვესტირებისათვის საწარმოებში უნდა შეიქმნეს რეზერვები მოგებიდან. მას შეიძლება ეწოდოს „ინვესტირების რეზერვი“, რომელიც რეალური ინვესტირების განხორციელების შემდეგ სააქციო კაპიტალს შეურთდება. არცერთი საანალიზო საწარმოს ბუღალტრულ ბალანსში და საკუთარი კაპიტალის ანგარიშგებაში არაა წარმოდგენილი მოგების რეინვესტირების მაჩვენებელი. საქართველოში მოგების გადასახადის ახალი რეგულაციების მთავარი მიზანი კი იყო ბიზნესში მოგების ინვესტირების ზრდა, შესაბამისად, წარმოების გაფართოება და დასაქმების ზრდა. რაც, ჩვენი დაკვირვებით, არ ჩანს. ამიტომ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, დაკანონდეს საწარმოთა მოგების მინიმუმ 30%-ის რეინვესტირება.

6.2. საბაზისო და გაზავებული შემოსავალი ერთ ჩვეულებრივ აქციაზე და გამოთვლის მეთოდიკა

გამოშვებული აქციების სახეების შესაბამისად, როგორც ცნობილია, სააქციო კაპიტალი არსებობს ან პრივილეგირებული ან ჩვეულებრივი აქციების სახით. კომპანიისათვის პრივილეგირებული აქციების გამოშვება უფრო მაღალი რისკით ხასიათდება, ვიდრე ჩვეულებრივი აქციების გამოშვება. ზოგჯერ, პრივილეგირებულ სააქციო კაპიტალს ვალდებულებებს ადარებენ, ვინაიდან კომპანია ვალდებულია ნებისმიერ შემთხვევაში, მოგების სიდიდის მიუხედავად, გასცეს დივიდენდი გამოშვებულ პრივილეგირებულ აქციებზე. ეს რა თქმა უნდა არ ნიშნავს იმას, პრივილეგირებული სააქციო კაპიტალი გაიგივებული იქნეს ვალდებულებებთან, რადგან, ვალდებულებები როგორც ასეთი, კომპანიაში წილის ფლობის უფლებას არ იძლევა. მაგრამ, გამომდინარე იქედან, რომ არსებობს პრივილეგირებულ აქციაზე დივიდენდის გაცემის აცულებლობა, სააქციო საზოგადოებები ზოგჯერ წინასწარ აცხადებენ პირობას, რომ საჭიროების შემთხვევაში, მოახდენენ პრივილეგირებული აქციების კონვერტირებას ჩვეულებრივ აქციებში ან ობლიგაციებში.

ბუღალტრული აღრიცხვის 33-ე საერთაშორისო სტანდარტი - "შემოსავალი ერთ აქციაზე" - მოითხოვს, რომ კომპანიებმა მოგება/ზარალის ანგარიშგებაში უნდა გამოაქვეყნონ ერთი აქციის შემოსავლის მაჩვენებლები: საბაზისო და გაზავებული. ბასს 32 – `ფინანსური ინსტრუმენტები: წარდგენა" - მიუთითებს, რომ თუ კომპანია ხელახლა შეისყიდის წილობრივ ინსტრუმენტებს, ისინი (გამოსყიდული აქციები) გამოაკლდება საკუთარ კაპიტალს. საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების შესყიდვის, გაყიდვის, გამოშვების ან გაუქმების შედეგად წარმოშობილი არავითარი შემოსულობა ან დანაკარგი არ აღიარდება მოგებად ან ზარალად. ასეთი გამოსყიდული აქციების შეძენის სანაცვლოდ გადახდილი ან მიღებული ანაზღაურება უნდა აღიარდეს პირდაპირ საკუთარ კაპიტალში [ბასს 32, მუხლი 33]. ამდენად, აქციების უკან გამოსყიდვა გავლენას ახდენს საემისიო კაპიტალზე, ან საემისიო კაპიტალის უკმარისობის შემთხვევაში, გაუნაწილებელ მოგებაზე.

შემოსავალი ერთ აქციაზე (EPS –Earnings per Share) წარმოადგენს კომპანიის საქმიანობის შეფასების ფართოდ გავრცელებულ ხერხს, განსაკუთრებით გრძელვადიან ჭრილში. შემოსავალი ერთ აქციაზე ასევე მნიშვნელოვანია აქციონერებისათვის. იგი გაიანგარიშება წმინდა მოგებიდან პრივილეგირებული აქციების დივიდენდის გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი მოგების შეფარდებით, ჩვეულებრივი აქციების საშუალო შეწონილ რაოდენობასთან.

ჩვეულებრივი აქციების საშუალო შეწონილი რაოდენობა კი უდრის პერიოდის დასაწყისში მომოქცევაში არსებული ჩვეულებრივი აქციების რაოდენობას, რომელიც კორექტირებულია

გამოსყიდული ან პერიოდის განმავლობაში გამოშვებული ჩვეულებრივი აქციების რაოდენობით, გამრავლებული დროის ფაქტორის კოეფიციენტზე. ამრიგად:

1. **საბაზისო შემოსავალი 1 აქციაზე (EPS) =**

(წმინდა მოგება –პრივილეგირებული აქციების დივიდენდი)

= ----------;

ჩვეულებრივი აქციების საშუალო შეწონილი რაოდენობა

2.. **გაზავებული შემოსავალი 1 აქციაზე =**

(წმინდა მოგება –პრივილეგირებული აქციების დივიდენდი) შესწორებული დამატებითი მოსალოდნელი მოგებით და შემცირებული მოსალოდნელი ხარჯით

= ----------;

ჩვ. აქციების საშუალო შეწონილი რიცხვი + გაზავების ეფექტიხ მქონე ჩვ. აქციების რიცხვი

დროის ფაქტორით შეწონილი კოეფიციენტი განისაზღვრება აქციების მიმოქცევაში ყოფნის დღეთა (ან თვეების) რაოდენობის გაყოფით საანგარიშგებო პერიოდის დღეების (ან თვეების) საერთო რაოდენობაზე. კოეფიციენტი შეიძლება თვეების რაოდენობას დაეყრდნოს, როცა აქციების გამოშვებისა და უკან გამოსყიდვის თარიღები ზუსტ თვეებს ემთხვევა.

განვიხილავთ პირობით მაგალითს. დავუშვათ საწარმოში არსებობს შემდეგი ინფორმაცია (იხ. ცხრილი 6.2.1).

ცხრილი 6.2.1. ჩვეულებრივი აქციების მოძრაობა წლის განმავლობაში (ცალებში)

თარიღი	გამოშვებული აქციები	გამოსყიდული აქციები	აქციები მიმოქცევაში
1 იანვარი 2018 წელი, ნაშთი	4000	(1000)	3000
1 აპრილი, 2018 წ.	2000	-	5000
31 აგვისტო, 2018 წ.	-	(500)	4500
1 ნოემბერი, 2018 წ.	1500	-	6000
31 დეკემბერი, 2018 წ. ნაშთი	7500	(1500)	6000

დროის ფაქტორის კოეფიცენტი არის აქციის გამოშვებიდან წლის ბოლომდე დარჩენლი თვეების რიცხვი შეფარდებული 12-თან. მაგალითად, იგულისხმება, რომ 4000 ცალი აქცია წლის ბოლომდე 12 თვეს იქნებოდა მიმოქცევაში. უკან გამოსყიდული აქციები 900 ცალი წლის ბოლომდე ოთხი თვეს აღარ იქნებოდა მიმოქცევაში და ა.შ.

ამდენად:

ჩვეულებრივი აქციების საშუალო შეწონილი რაოდენობა =

= 3000 * 12/12 + 2000 * 10/12 – 500 * 4/12 + 1500 * 2/12 =
= 3000 + 1667 - 167 + 250 = 5084 ცალი

თუკი წმინდა მოგებისა და პრივილეგირებული აქციების დივიდენდების თანხებს შორის სხვაობა იქნებოდა 45000 ლარი, მაშინ:

საბაზისო შემოსავალი 1 აქციაზე = 45 000 ლ / 5084 ცალი = 8.85 ლ/ცალი

საწარმოებმა მოგება/ზარალის ანგარიშგებაში უნდა წარადგინონ საბაზისო (და გაზავებული) შემოსავალი ერთ ჩვეულებრივ აქციაზე.

გაზავებული შემოსავალი ერთ აქციაზე, ითვალისწინებს ფასიანი ქაღალდების: პრივილეგირებული აქციებისა და ობლიგაციების კონვერტირებას ჩვეულებრივ აქციებში, თუკი ასეთი მოხდებოდა. მათ გაზავების ეფექტის მქონე ფასიანი ქაღალდები ეწოდება და მათი რაოდენობა ცალკე გამოითვლება (იხ. ბასს 33), რომელიც გამოშვებული ჩვეულებრივი აქციების საშუალო შეწონილ რაოდენობას დაემატება. ხოლო დამატებითი მოსალოდნელი მოგება არსებულ მოგებას მიემატება.

ერთ აქციაზე გაზავებული შემოსავლის გამოსათვლელად ჩვეულებრივი აქციების საშუალო შეწონილი რიცხვს უნდა მიემატოს გაზავების ეფექტის მქონე, ყველა პოტენციური ჩვეულებრივი აქციის რაოდენობა. ხოლო, ჩვეულებრივ აქციებზე გათვალისწინებულ მოგებას უნდა დაემატოს გაზავების ეფექტის მქონე პოტენციური ჩვეულებრივი აქციის დივიდენდი, დარიცხული პროცენტი და კონვერტაციით მიღებული შედეგი.

თუ საწარმოს გამოცხადებული აქვს პირობა, რომ ერთ პრივილეგირებულ აქციას (ან ობლიგაციას) გაცვლის 4 ჩვეულებრივ აქციაზე და გამოშვებული აქვს 2000 ცალი პრივილეგირებული აქცია, მაშინ,

გაზავების ეფექტის მქონე აქციების რიცხვი = 2000 * 4 = 8000 ცალი

მაშასადამე, თუკი საწარმოს დასჭირდება ამ პირობების შესრულება, მაშინ მიმოქცევაში დამატებით გამოვა 8000 ცალი ჩვეულებრივი აქცია რაც მოსალოდნელ შემოსავალს ერთ ჩვეულებრივ აქციაზე შეამცირებს. სწორედ ამიტომ არის ეს მაჩვენებელი არსებული და პოტენციური აქციონერებისათვის საინტერესო.

ჩვენს მაგალითზე, თუ აგრეთვე ადგილი ექნება რაიმე დამატებით მოგებას 1200 ლარს და დამატებით 700 ლ ხარჯს, მაშინ იქნება:

გაზავებული შემოსავალი ერთ აქციაზე = (45000+1200-700) / (5084+8000) =
= 45500 / 13084 = 3.48 ლ/ცალი

ამრიგად, გაზავებული შემოსავალი აჩვენებს, რა წილი უკავია თითოეულ ჩვეულებრივ აქციას საწარმოს საქმიანობის შედეგებში, როცა გათვალისწინებულია ყველა გაზავებული

(კონვერტირებადი) პოტენციური ჩვეულებრივი აქცია, თუ დავუშვებთ, რომ კონვერტირებადი აქციების კონვერტაცია განხორციელდა [ბასს 33].

პოტენციური ჩვეულებრივი აქციები არის ისეთი ფინანსური ინსტრუმენტი ან ხელშეკრულება (ვარანტი, ოფციონი და მათი ეკვივალენტები), რომელმაც შესაძლოა მის მფლობელს ჩვეულებრივი აქციის ფლობის უფლება მისცეს.

პოტენციური ჩვეულებრივი აქციები მაშინ ჩაითვლება გაზავების ეფექტის მქონე აქციებად, თუ მათი ჩვეულებრივ აქციებად კონვერტაცია შეამცირებდა ერთ აქციაზე მოგებას ან გაზრდიდა ერთ აქციაზე ზარალს, რომელიც მიღებულია საწარმოს ჩვეულებრივი უწყვეტი საქმიანობიდან (ბასს 33, მუხლი 41).

6.3. საკუთარი კაპიტალის მდგომარეობის კოეფიციენტები

საკუთარი კაპიტალის მდგომარეობის კოეფიციენტები საწარმოს ფინანსური სტაბილურობის მახასიათებლებია. ისინი, ფინანსური რისკების არსებობა/არარსებობის შესახებ მიანიშნებენ.

საკუთარი კაპიტალის გამოყენების საერთო მაჩვენებლებია:

საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი = საკუთარი კაპიტალის ფარდობას აქტივებთან

აღნიშნული კოეფიციენტი აჩვენებს აქტივების რა ნაწილია დაფინანსებული საკუთარი კაპიტალის ხარჯზე. სასურველია, ეს კოეფიციენტი 0,5-ზე მეტი იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ბიზნესის ფინანსური რისკი იზრდება.

საკუთარი კაპიტალის ლევერიჯი = აქტივები / საკუთარი კაპიტალი

ეს მაჩვენებელი საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის შებრუნებული მაჩვენებელია და აჩვენებს, აქტივები რამდენჯერ აღემატება საკუთარ კაპიტალს. ამ მაჩვენებლის ზრდა ვალდებულებების ზრდას ნიშნავს. თუ ეს კოეფიციენტი ერთის ტოლია, ნიშნავს რომ მესაკუთრეები საწარმოს მთლიანად აფინანსებენ და აკონტროლებენ. ეს მაჩვენებელი იმავდროულად ფინანსური რისკის მაჩვენებელია და მისი დონე 1-ის ზემოთ, უკვე ფინანსური რისკის არსებობაზე მიუთითებს. ამ კოეფიციენტს ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტსაც უწოდებენ. მისი იდეალური ზღვარია ერთი. ერთის ზემოთ ის აჩვენებს, რომ საწარმო ფინანსურად დამოკიდებული ხდება სხვებზე (კრედიტორებზე).

სააქციო კაპიტალის უკუგება (ROE) = (წმინდა მოგება - პრივილეგირებული აქციის დივიდენდი) / სააქციო კაპიტალი ჩვეულებრივ აქციებში

სააქციო კაპიტალის უკუგება, როგორც წესი, მხოლოდ ჩვეულებრივი აქციების მიხედვით გამოითვლება, რადგან, პრივილეგირებული აქციების დივიდენდის განაკვეთი წინასწარ არის გამოცხადებული და მაშასადამე, მისი უკუგება, ცნობილია. ამდენად, ეს კოეფიციენტი აჩვენებს რამდენი პროცენტი მოგება რჩება ჩვეულერივი აქციის მფლობელებს, მათ მიერ შეტანილი კაპიტალიდან.

თუ საწარმო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას წარმოადგენს, მაშინ, სააქციო კაპიტალის ნაცვლად, საწესდებო კაპიტალის უკუგების მაჩვენებელი გამოითვლება.

კაპიტალის ორგანული სტრუქტურა = საკუთარი კაპიტალი / ვალდებულებებთან

ეს კოეფიციენტი აჩვენებს ფინანსურად რამდენად სტაბილურია საწარმო და იგი ერთზე მეტი უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ფინანსური რისკი იზრდება.

$$\text{სააქციო კაპიტალის გამოსყიდვის პერიოდი} = \frac{\text{სააქციო კაპიტალი}}{\text{წმინდა მოგება}}$$

იგი აჩვენებს რამდენი წელი დასჭირდება საწარმოს, სრულად დაფაროს ინვესტორების კაპიტალი ანუ ვალდებულება ინვესტორების მიმართ. მოცემულ კოეფიციენტებზე გავლენას ახდენს საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი და ფინანსური მომგებიანობა. ეს კავშირი ფაქტორული მოდელის სახით შეიძლება გამოისახოს:

$$\text{სააქციო კაპიტალის გამოსყიდვის პერიოდის ფაქტორული მოდელი} = \frac{\text{სააქციო კაპიტალი/აქტივები}}{\text{წმინდა მოგება/აქტივები}}$$

$$\text{ეკონომიკური ზრდა} = \frac{\text{მოგებიდან შექმნილი რეზერვები + გაუნაწილებელი მოგება}}{\text{სააქციო და საემისო კაპიტალის ჯამი წლის ბოლოს}}$$

ეკონომიკური ზრდის კოეფიციენტი აჩვენებს რამდენი ლარის მოგების რეინვესტირება მოხდა საწარმოში სააქციო კაპიტალის ყოველ ერთ ლარზე. იგი ახასიათებს აქციონერების პოლიტიკას, რამდენად აფართოებენ ბიზნესს, რასაც დადებითი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები მოაქვს, როგორც მიკრო, ისე მაკრო დონეზე.

ცხრილში 6.3.1. მოცემულია საანალიზო საწარმოების საკუთარი კაპიტალის კოეფიციენტები, რომლის თანახმადაც 2017 წლის ბოლოსათვის ფინანსური რისკები გაზრდილია შემდეგ კომპანიებში: სს „კოკა-კოლა“, შპს „ნიკორა“, „საქართველოს რკინიგზა“, „გუდვილი“, თელასი და იმედი L. საკუთარი კაპიტალის ლევერიჯი 1,5-ის ზემოთ უკვე სახიფათოა. როგორც

გაანგარიშებებიდან ჩანს, საწარმოთა დიდი უმრავლესობა საკუთარი კაპიტალით ვერ ახდენს წარმოების გაფართოებას. ამასთან, 2017 წლიდან, კომპანიების საკუთარ კაპიტალში უნდა ჩანდეს რეინვესტირებული მოგების მაჩვენებელი, მაგრამ რეინვესტირება საანალიზო საწარმოებიდან არავის გაუკეთებია. მაშინ როდესაც, რეინვესტირება ამ რეფორმის მთავარი მიზანი იყო.

რეინვესტირებული მოგება ხელს უწყობს თავიდან იქნეს აცილებული აქციების გამოშვებასთან დაკავშირებული ხარჯები. მეორე არსებითი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ იმავდროულად საწარმოს საქმიანობაზე კონტროლიც ხორციელდება, ვინაიდან აქციონერების რისკი არ იცვლება. საანალიზო საწარმოებიდან არცერთ მათგანს არა აქვს პრივილეგირებული აქციები გამოშვებული.

ცხრილი 6.3.1. საანალიზო საწარმოების საკუთარი კაპიტალის კოეფიციენტები 2017 წელს

საწარმოები	საკ.კ.წილი აქტივებში	საკუთარი კაპიტალის უკუგება (ROE) %-ად	საკუთარი კაპიტალის ლევერიჯი	საკ.კაპიტ-ის ფარდობა ვალდებულე-ბებთან	ეკონომიკუ-რი ზრდა
1. სს კოკა-კოლა	0.40	69	2.50	0.67	7.4
2. სს თელიანი ველი	0.85	114	1.18	5.69	0.06
3. შპს სანტე	0.79	17	1.27	3.75	ზარალია
4. შპს ნიკორა	0.19	112	5.29	0.23	ზარალია
5.საქ. რკინიგზა	0.42	(36)	2.40	0.72	0.05
6. იფქლი დიღომი	0.85	10,191	1.18	5.67	0.16
7. გუდვილი	(0.96)	23	(1.04)	(0.52)	ზარალია
8. თელასი	0.48	20	2.09	1.09	0.13
9. საფონდო ბირჟა	0.87	(89,8)	1.15	6.64	3.55
10. იმედი L	0.21	(63)	4.87	0.26	ზარალია

დიაგრამაზე 6.3.1 თვალსაჩინოდ ჩანს, რომ საანალზო საწარმოების უმრავლესობაში, როგორიცაა: გუდვილი, კოკა-კოლა, საქართველოს რკინიგზა, საფონდო ბირჟა, თელასი, იმედი L - ფინანსური რისკები ძალიან მაღალია.



დიაგრამა 6.3.1. საწარმოთა საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი

დიაგრამიდან 6.3.1. - აშკარად ჩანს, რომ მრავალი საწარმოს რისკების მართვის ხარისხი და კონტროლი ძალიან დაბალია.

6.4. სააქციო კაპიტალის უკუგების ფაქტორული ანალიზი

სააქციო კაპიტალის უკუგების ცვლილება ბუნებრივია აქციონერების დიდი ინტერესის სფეროს წარმოადგენს. ამიტომ, მათთვის აქტუალურია, რა ფაქტორები იწვევს მის ცვლილებას. დასავლეთის პრაქტიკაში, ამ მიზნით დიდი ხანია გამოიყენება სააქციო კაპიტალის ფინანსური რენტაბელობის ანუ კაპიტალის უკუგების ე.წ. დიუპონტის ფაქტორული მოდელი, რომელიც შემდეგი სახისაა:

$$ROE = \frac{\text{წმ. მოგ.}}{\text{სააქც. კაპ.}} = \frac{\text{წმ. მ.}}{\text{წლ. მ.}} * \frac{\text{წლ. მ.}}{\text{საოპ. მ.}} * \frac{\text{საოპ. მ.}}{\text{შემოსავ.}} * \frac{\text{შემოს.}}{\text{აქტივი}} * \frac{\text{აქტივი}}{\text{სააქციო კაპ.}}$$

მოცემული ტოლობის მიხედვით შეიძლება სააქციო კაპიტალის უკუგების გადახრაზე მოქმედი ხუთი ფაქტორის ცვლილების გავლენის გაზომვა, როგორიცაა:

პირველი ფაქტორი: წმინდა მოგების წილი დასაბეგრი მოგების მიმართ. რაც უფრო მაღალი იქნება ეს მაჩვენებელი, მით მეტი იქნება სააქციო კაპიტალის ფინანსური რენტაბელობა, რაც განსაკუთრებით მესაკუთრეებს და პერსონალსაც აინტერესებთ;

მეორე ფაქტორი - დასაბეგრი მოგების ფარდობა პროცენტის გამოქვითამდე არსებული მოგების მიმართ. ეს კოეფიციენტი რაც უფრო გაიზრდება წინა პერიოდთან შედარებით, ნიშნავს რომ საპროცენტო ხარჯები მცირდება და მომგებიანობა იზრდება;

მესამე ფაქტორია საოპერაციო მოგების ნორმა. მისი ზრდა სააქციო კაპიტალის უკუგებას ზრდის.

მეოთხე ფაქტორი არსებითად აჩვენებს აქტივებში ავანსირებული ღირებულების ბრუნვის რიცხვს. ანუ, მთელი ავანსირებული ღირებულება წელიწადში რამდენჯერ გადაიქცევა თავისუფალ ფულად საშუალებად. ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობა რაც უფრო დაჩქარდება, მით უფრო აქტიურია ბიზნესი და უზრუნველყოფს მეტ მომგებიანობას. გამოთვლებში აქტივები და სააქციო კაპიტალი აიღება წლის ბოლო მდგომარეობით.

მეხუთე ფაქტორ-მაჩვენებელი ახასიათებს, რა მოცულობის რესურსები მოდის ყოველ ერთ ლარ სააქციო კაპიტალზე.

ეს მოდელი შეიძლება ინფორმაციის გარე მომხმარებლებმაც გამოიყენონ საწარმოების შედარებითი დახასიათებისათვის.

ფაქტორული ანალიზის მეთოდიკა მოცემულია კოკა-კოლას მაგალითზე. 6.4.1. ცხრილში წარმოდგენილია საკუთარი კაპიტალის უკუგების მაჩვენებლები და მათზე მოქმედი ფაქტორ-მაჩვენებლები 2016-2017 წლებისთვის. 2018 წელს საკუთარი კაპიტალის უკუგება გაზრდილია წინა წლებთან შედარებით. 2017 წელს კი ყველაზე დაბალი იყო.

ცხრილი 6.4.1. სს „კოკა-კოლას“ კაპიტალის უკუგების ცვლილებაზე მოქმედი ფაქტორები 2016-2018 წლებში

მაჩვენებლები	2016	2017	2018
კაპიტალის უკუგება (ROE)	**1.7630**	**0.6890**	**1.8826**
მოქმედი ფაქტორები:			
1. წმინდა მოგება/წლიური მოგება	(33.9140)	0.7350	1.0870
2. წლიური მოგება / საოპერაციო მოგება	(0.0420)	0.4690	0.8100
3. საოპერაციო მოგება / შემოსავლი რეალიზ.	0.0937	0.1323	0.1319
4. შემოს.რეალიზაციიდან / აქტივების საშ, წლ. ნაშთი	0.6890	0.7210	1.0500
5. აქტივების საშ.წლ.ნაშთი / სააქციო კაპიტ. საშ. წლ. ნაშთი	23.8160	20.9450	22.1150

აბსოლუტური სხვაობის ხერხის გამოყენებით გაზომილ იქნა სააქციო კაპიტალის უკუგებაზე მოქმედი ფაქტორების ცვლილების გავლენა (იხ. ცხრილი 6.4.2.).

ცხრილი 6.4.2. სს „კოკა-კოლას“ კაპიტალის უკუგების ცვლილებაზე მოქმედი ფაქტორების გავლენის შედეგები 2018 წელს წინა წელთან შედარებით

მ ა ჩ ვ ე ნ ე ბ ლ ე ბ ი	წინა წელს	მიმდინარე წელს	გადახრა (+. -)
• სააქციო კაპიტალის უკუგება	0.6890	1.8826	**+1.1936**
გადახრაზე მოქმედი ფაქტორები:			
I. წმინდა მოგების ფარდობა წლიურ მოგებასთან	0.7350	1.0870	+0.3520
II. წლიური მოგების ფარდობა საოპერაციო მოგებასთან	0.4690	0.8100	+0.3410
III. საოპერაციო მოგების მარჟა			
IV. აქტივების შემოსავლიანობა	0.1323	0.1319	-0,0004
V. ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი	0.6890	0.7210	+0.0320
	20.9450	22.1150	+1.1700
გადახრაზე მოქმედი ფაქტორების გავლენა:			
• პირველი ფაქტორის გავლენა			
• მეორე ფაქტორის გავლენა	-	-	+0.3152
• მესამე ფაქტორის გავლენა	-	-	+0.7077
• მეოთხე ფაქტორის გავლენა	-	-	-0.0051
• მეხუთე ფაქტორის გავლენა	-	-	+0.0778
	-	-	+0.0980

ცხრილში 6.4.2 მოცემულია ფაქტორთა გავლენის გამოთვლების შედეგები. ფაქტორთა გავლენა გამოთვლილია აბსოლუტური სხვაობის ხერხით.

პირველი ფაქტორი გავლენა = (+0.3520) * 0.4690 * 0.1323 * 0.6890 * 20.9450 = +0.3152

მეორე ფაქტორის გავლენა = 1.0870 * (+0.3410) * 0.1323 * 0.6890 * 20.9450 = +0.7077

მესამე ფაქტორის გავლენა = 1.0870 * 0.8100 * (-0.0004) * 0.6890 * 20.9450 = - 0.0051

მეოთხე ფაქტორის გავლენა = 1.0870 * 0.8100 * 0.1319 * (+0.0320) * 20.9450 = +0.0778

მეხუთე ფაქტორის გავლენა = 1.0870 * 0.8100 * 0.1319 * 0.7186 * (+1.1700) = +0.0976

ჯამი +1.193

გამოთვლის შედეგები წარმოდგენილია 6.4.2. ცხრილში. როგორც გაანგარიშებები აჩვენებს, მხოლოდ ერთი ფაქტორი ახდენდა უარყოფით გავლენას.

წლიური მოგებიდან, მოგების გადასახადის გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი წმინდა მოგებიდან, კომპანიის საერთო კრების გადაწყვეტილებით, ხდება დივიდენდების გაცემა აქციონერებზე. დივიდენდების გაცემის პოლიტიკა არსებით გავლენას ახდენს აქციის ფასზე. დივიდენდის ცნების ქვეშ იგულისხმება საწარმოს შემოსავლის გაცემა მის მფლობელებზე და გარკვეული ხასიათით იმაზე მიანიშნებს, რომ საწარმო, რომლის აქციებშიც ფულია დაბანდებული, წარმატებით მუშაობს.

რეინვესტირებული მოგება, როგორც ადრე აღვნიშნეთ, საწარმოს დაფინანსების ყველაზე იაფი ფორმაა. ამიტომ იგი ყველაზე პოპულარულია. ამიტომ, აქციონერების დივიდენდებთან ერთად, პერსონალისთვის საინტერესოა საწარმოს წმინდა მოგებიდან რამდენი რჩება მათი წახალისების მიზნით და თვით წარმოების გაფართოების მიზნით. ასეთი მაჩვენებლები ფინანსურ ანგარიშგებაში ჯერ-ჯერობით არ ჩანს.

რეინვესტირების კოეფიციენტი = (საერთო წმინდა ფულადი ნაკადი - დარიცხული დივიდენდი)/გრძელვადიანი აქტივების ზრდა ლარებში

იმავე კოკა-კოლას მაგალითზე, რეინვესტირების კოეფიცენტი ნულია, რადგან 2018 წელს მოგების რეინვესტირება არ მომხდარა, ვინაიდან წმინდა ფულადი ნაკადი დივიდენდს არ ჰყოფნის [(1027-1053)/14200). მსგავსი ვითარებაა დანარჩენ საწარმოებშიც.

თავი 7. საწარმოთა რისკების ანალიზი

7.1. საწარმოთა რისკების კლასიფიკაცია

დღეისათვის, **რისკის მრავალი სახეობაა ცნობილი, როგორიცაა:** პოლიტიკური, დარგობრივი, ფინანსური, საკრედიტო, ტექნიკური, ინოვაციების. სამეწარმეო ანუ საოპერაციო, კომერციული, მმართველობითი , ეკოლოგიური რისკები და ა.შ.

მიუხედავად მრავალფეროვნებისა, ჩვენი აზრით,რისკები პირველ რიგში მათი ზოგადობის ხარისხის ანუ მოქმედების არეალის ანუ სივრცითი ნიშნით შეიძლება დაჯგუფდეს, როგორიცაა:

1. საწარმოს (ბიზნესის) რისკები,
2. დარგობრივი რისკები,
3. სახელმწიფოებრივი რისკები (ფისკალური და პოლიტიკური),
4. საერთაშორისო რისკები,
5. ბუნებრივი კატაკლიზმებისაგან მოსალოდნელი რისკები.

საწარმოების პოზიციიდან გამომდინარე შეიძლება გამოიყოს გარე და შიდა რისკები:

I. **გარე რისკები:**

ა. ადამიანის ქმედებებისაგან დამოუკიდებელი - ბუნებრივი კატასტროფების შედეგად არსებული რისკები;

ბ. ადამიანის ქმედებებზე დამოკიდებული - პოლიტიკური, საკანონმდებლო, დარგობრივი და ეკონომიკური ხასიათის რისკები ქვეყნისა და მსოფლიოს მასშტაბით.

II. **საწარმოს შიდა რისკებია:**

ა. წარმოების რისკები, როგორიცაა, რესურსების რისკი, დანახარჯების რისკი, აქტივების რისკი, ტექნოლოგიური რისკი და ა.შ.

გ. ფინანსური რისკები, რომელიც დაკავშირებულია დაფინანსების წყაროების რისკებთან, სავალუტო კურსის ცვლილებებთან, ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვასთან, ვალდებულებებთან, პროცენტის რისკებთან და ა.შ.

დ. მმართველობითი რისკები, რომელიც არის ალბათობა იმისა, რომ ადეკვატური გადაწყვეტილებები ვერ იქნება მიღებული. მმართველობა ყოველთვის გარკვეულ რისკებზე მიდის, როცა გადაწყვეტილებებს იღებს. მაგრამ, შემდეგ აუცილებელია საფრთხეების მოახლოების დროული განჭვრეტა და საპასუხო ღონისძიებების ოპერატიულობა, რათა რისკებზე წასვლის შედეგები დადებითი იყოს.

გამომდინარე იქედან, რომ ბიზნესი რისკების გარეშე არ არსებობს, რისკების მართვა და მისგან მოსალოდნელი დანახარჯების მინიმუმამდე დაყვანა, საწარმოთა მართვის ერთ-ერთ აქტუალურ ამოცანას წარმოადგენს. რისკების ეფექტურად მართვის ძირითადი გზა კი მათი ანალიზია.

საწარმოს რისკების ანალიზი მოიცავს სამ ურთიერთდაკავშირებულ კომპონენტს: რისკების შეფასებას (გაზომვას), ფაქტორულ ანალიზს და რეკომენდაციებს.

თანამედროვე ეკონომიკურ თეორიასა და პრაქტიკაში, საწარმოს რისკების შეფასების მიზნით ლევერიჯის (Leverage) კოეფიციენტები გამოიყენება. ლევერიჯი ზოგადად ნიშნავს ორი სხვადასხვა საპირისპირო ბუნების ნივთის ურთიერთდამოკიდებულების სიმძიმეს (ტვირთს). განასხვავებენ საწარმოს საოპერაციო და ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტებს.

მოკლედ შეიძლება აიხსნას, რომ საოპერაციო ლევერიჯი დაკავშირებულია მუდმივი საოპერაციო ხარჯების, ფინანსური ლევერიჯი კი სესხებით წარმოშობილი საპროცენტო ხარჯების არსებობასთან.

მომგებიანობის მაჩვენებლის სამი საკვანძო თავისებურება არსებობს, რაც არსებითია გონივრული დასკვნების გასაკეთებლად. პირველი დაკავშირებულია სივრცე-დროით ასპექტთან, რაც გულისხმობს მხედველობაში იქნეს მიღებული კომპანიის საქმიანობის დროითი ასპექტი (დროითი თავისებურება). როდესაც კომერციული ორგანიზაცია ახდენს ახალი საინვესტიციო ტექნოლოგიების ან პროდუქციის სახეების დანერგვას, რომლებიც დიდ ინვესტიციებს მოითხოვს, მომგებიანობის ინდიკატორები შეიძლება დროებით შემცირდეს, მაგრამ, იგი მიმდინარე საქმიანობის უარყოფით მოვლენად არ შეიძლება ჩაითვალოს.

მეორე თავისებურება დაკავშირებულია რისკის პრობლემის არსებობასთან. ხშირად მენეჯმენტის გადაწყვეტილება დაკავშირებულია დილემასთან: "კარგი ჭამა თუ მშვიდი ძილი?". თუ აირჩევთ პირველ ვარიანტს, თქვენ მიიღებთ გადაწყვეტილებებს, რომლებიც მიმართულია მაღალი მოგების მიღებისას, მაღალი რისკის ფასად. მეორე ვერსია - საპირისპიროა. ბიზნეს რისკების ერთ-ერთი მაჩვენებელია ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი. იგი რაც უფრო მაღალია, მით უფრო მაღალია რისკები აქციონერების, ინვესტორების და კრედიტორებისათვის,

მესამე პრობლემა დაკავშირებულია შეფასების საკითხებთან. მოგება მიიღება ბაზარზე არსებული მიმდინარე ფასებით და პირობებით. საკუთარი კაპიტალი (ან აქტივები) კი შეფასებულია ადრე არსებული შეძენის ღირებულებით, რაც განსხვავდება მიმდინარე შეფასებისაგან.

მკაცრად რომ ვთქვათ, მფლობელები განკარგავენ არა მხოლოდ საანგარიშგებო წლის წმინდა მოგებას, არამედ, გაუნაწილებელი მოგების საერთო თანხას, რომელიც შეიცავს წინა წლების გაუნაწილებელ მოგებას და მიმდინარე წლის წმინდა მოგებას. ამის გამო, შესაძლებელი ხდება, რომ დივიდენდები განაწილდეს მიმდინარე წლის ზარალის არსებობისას. ეს კი ხშირად ართულებს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას. მოგების რეინვესტირება არავის ახსოვს.

რისკების შეფასებისას უნდა განისაზღვროს საწარმოს საერთო რისკის პროფილი და შეფასდეს, რამდენად შესაძლებელია ფინანსური სიძნელეების წარმოქმნა. რისკების შეფასება გულისხმობს რისკისა და მისი შემარბილებელი ღონისძიებების (მიტიგანტების) შეფასებას.

ამასთან, თითოეულ კატეგორიას მინიჭებული აქვს რისკის წონა. აღნიშნული წონების ჯამი უნდა უდრიდეს 100%-ს. რისკის წონები ცალკეული საწარმოების მიხედვთ გნსხვავებული იქნება მათი ბიზნეს-მოდელის თავისებურებების გათვალისწინებით.

რისკების შეფასების მექანიზმის შემუშავებისათვის საწარმოებს, ჩვენი აზრით, შეუძლიათ იხელმძღვანელონ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დამუშავებული, რისკებზე დაფუძნებული საზედამხედველო ჩარჩო-რისკების შეფასების საერთო პროგრამით (GRAPE). რისკების მართვის ჩარჩო-პროგრამა დამუშავებული უნდა იქნეს ცალკეული საწარმოს მენეჯმენტის მიერ საკუთარი ბიზნეს-საქმიანობის თავისებურებების გათვალისწინებით.

დასახელებული ჩარჩო-პროგრამის კონცეფციის საფუძველზე შეიძლება გამოიყოს საწარმოთა რისკების კატეგორიები და შეფასების კრიტერიუმები. საწარმოთა რისკების კატეგორიებია: საოპერაციო რისკი, საკრედიტო რისკი, საბაზრო რისკი, ლიკვიდურობის რისკი, ბიზნეს-მოდელი და მომგებიანობა, მაკროეკონომიკური გარემო, კორპორაციული მართვა, საერთო რისკი რესურსებამდე, რესურსები და საერთო რისკი რესურსების შემდეგ.

რისკის შეფასება გულისხმობს თითოეულ კატეგორიაში ინჰერენტული (თანდაყოლილი) რისკისა და მისი მიტიგანტების (რისკის შემარბილებელი) ღონისძიებების შეფასებას. ამასთან, თითოეულ კატეგორიას მინიჭებული აქვს რისკის წონა. აღნიშნული წონების ჯამი უნდა უდრიდეს 100%-ს. რისკის წონები ცალკეული საწარმოებისათვის განსხავებულია მისი ბიზნეს მოდელისა და რისკის მოცემული კატეგორიის მნიშვნელობის დონის გათვალისწინებით.

1. **საოპერაციო რისკი** არის შიდა საქმიანობაში არაადეკვატური პროცესების, პერსონალის ქმედებების და გარე ფაქტორების შედეგად გამოწვეული ზარალის რისკი. ინჰერენტული (თანდაყოლილი) საოპერაციო რისკის შეფასებისას გასათვალისწინებელია საწარმოს ოპერაციების მოცულობა, კომპლექსურობა, სირთულე (ნედლეულის გადამუშავების ტექნოლოგიები); გარედან მიღებული მომსახურების პოლიტიკა (აუთსორსინგი); საწარმოს დამოკიდებულება (მოწყვლადობა, სისუსტე) ეკონომიკური საქმიანობის შეფერხებების მიმართ; სამეთვალყურეო საბჭოს გათვითცნობიერებულობა და ჩართულობა საოპერაციო რისკებთან დაკავშირებულ საკითხებში; საოპერაციო მართვასთან დაკავშირებული პოლიტიკა და პროცედურები; საოპერაციო დანაკარგების აღრიცხვა-მონიტორინგის სისტემები; ბიზნეს უწყვეტობის მართვასთან დაკავშირებული პოლიტიკის პროცედურები, ბიზნეს უწყვეტობის გეგმა და მისი ტესტირება; კიბერ-უსაფრთხოების მართვის შესაბამისი კონტროლის სისტემები; თაღლითობისადმი „მიდრეკილება“; თაღლითობის რისკის გაცნობიერება მენეჯმენტის მხრიდან, მისი მართვის პოლიტიკისა და კონტროლის მექანიზმები;

საწარმოს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე საოპერაციო რისკის შეფასებისას შესაძლოა გათვალისწინებულ იქნას სხვა კრიტიკულ სექტორებზე დამოკიდებულება. მაგალითად, ის საოპერაციო რისკები, რომლებიც გამომდინარეობს საფინანსო სექტორის

ტელეკომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ტრანსპორტისა და სხვა სფეროებზე დამოკიდებულებიდან გამომდინარე.

2. საკრედიტო რისკი არის კონტრაგენტის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით ან გაკოტრებით გამოწვეული რისკი. საერთოდ, მყიდველებიდან ფულადი ნაკადების მიღების ტემპები, ზარალის მიღების ყველაზე მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. საკრედიტო რისკების შეფასებისას გასათვალისწინებელია საწარმოს დაფინანსების სტრატეგია; კორპორატიული პორტფელის მახასიათებლები: ვადიანობა, უზრუნველყოფის საშუალებები, ფინანსური კოეფიციენტები; მყიდველების დივერსიფიკაცია; მოთხოვნების დანაკარგების რეზერვების ლიმიტირება და მონიტორინგი.

3. საბაზრო რისკი არის სხვადასხვა საბაზრო ფასის ცვლილებით გამოწვეული ზარალის რისკი. ლიკვიდურობის რისკის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს: პროდუქციის ფასების ცვლილება ბაზარზე; აგრეთვე, გაცვლითი კურსების ცვლილება საქონლის (პროდუქციის) ექსპორტსა და იმპორტთან დაკავშირებით; საწარმოს მენეჯმენტის ჩართულობა საბაზრო რისკების მართვის პოლიტიკაში; საბანკო სესხების ფასის ცვლილება და ფინანსური რისკები.

4. ლიკვიდურობის რისკი არის საწარმოს რისკი გაისტუმროს ვალდებულებები დათქმულ ვადაში მნიშვნელოვანი მოულოდნელი დანაკარგების გარეშე. ლიკვიდობის რისკის შეფასებისას გასათვალისწინებელია: ლიკვიდობის რისკის პოზიცია; ლიკვიდური აქტივების სტრუქტურა, ხარისხი; ვალდებულებების სტრუქტურა, კონცენტრაცია, დინამიკა; ლიკვიდობის საგანგებო გეგმა; სამეთვალყურეო საბჭოს გათვითცნობიერებულობა და ჩართულობა ლიკვიდობის რისკთან დაკავშირებულ საკითხებში; ლიკვიდურობის მართვის პასუხისმგებლობა, შემადგენლობა, კვალიფიკაცია; ლიკვიდობის მართვასთან დაკავშირებული პოლიტიკა-პროცედურები; შიდა ლიმიტების არსებობა და მათი კონტროლისა და მონიტორინგის მექანიზმები. საწარმოთა სპეციფიკიდან გამომდინარე შეფასებისას, შესაძლოა, გათვალისწინებულ იქნას ლიკვიდობის რისკის სხვა ელემენტებიც.

5. ბიზნეს-მოდელი და მომგებიანობა: საწარმოს სტრატეგიამ და ბიზნეს-მოდელმა შეიძლება, მნიშვნელოვნად გაზარდოს მისი რისკები. ამასთან, მომგებიანობა საწარმოს კაპიტალის შიდა ზრდის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია აღნიშნული რისკების შეფასება. მომგებიანობისა და ბიზნეს-მოდელის რისკის შეფასებისას გასათვალისწინებელია: საწარმოში არსებული ბიზნეს-მოდელის საწარმოო და ფინანსური მიზნები; საწარმოს სტრატეგია და მისი მიღწევადობა; საწარმოს კონკურენტუნარიანობა, ნიშა; მომგებიანობა, მოგების ნორმა და მისი მდგრადობა; ძირითად პროდუქტებზე ფასდადგენის მოდელები; მონიტორინგი საწარმოს მომგებიანობის მაჩვენებლებზე. ბიზნეს-მოდელისა და მომგებიანობის სხვა მნიშვნელოვანი ელემენტები საწარმოს სპეციფიკიდან გამომდინარე.

6. მაკროეკონომიკური გარემოს შეფასება - გულისხმობს სისტემური ხასიათის რისკების შეფასებას, რომლებიც ზემოქმედებენ ბაზრის ყველა მონაწილეზე და მათგან გადაეცემა რეალური ეკონომიკის სექტორს. სისტემური რისკების სრული განეიტრალება შეუძლებელია, მაგრამ შესაძლებელია საწარმოებზე მათი ზემოქმედების შემსუბუქება საწარმოთა ფინანსური მენეჯმენტის მიერ დროული თავდაცვითი ღონისძიებების შემუშავებით და დაცვით. კერძოდ, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების (ფორვარდები, ფიუჩერსები, ოფციონები) გამოყენებით. საწარმოს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე უნდა გაანალიზდეს მაკროეკონომიკური გარემოს მახასიათებელი მაჩვენებლის გავლენა საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე.

7. კორპორაციული მართვა, აღნიშნულ კატეგორიაში ინჰერენტული რისკი და მიტიგანტის შეფასება მოიცავს ერთსა და იმავე ელემენტებს:

ა). კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია მთლიანი რისკის განსაზღვრაზე. საბჭოსა და მასთან არსებული კომიტეტების წევრების განათლება, გამოცდილება, კვალიფიკაცია, რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს საწარმოს საქმიანობის მასშტაბებსა და სირთულეებს. საბჭო აქტიურად უნდა იყოს ჩართული აღმასრულებელი მენეჯმენტის მონიტორინგის პროცესებში. შესაბამისად, ამ ქვეკატეგორიის შეფასებისას მხედველობაში მიიღება შემდეგი საკითხები: საბჭოს წევრების შემადგენლობა, მათი ინდივიდუალური და ჯამური შესაფერისობა, დამოუკიდებელი წევრების არსებობა; საბჭოს თავმჯდომარის როლი; ინტერესთა კონფლიქტი და დომინანტი პირის (key person risk) რისკი; საბჭოს პასუხისმგებლობა, ჩართულობა და ეფექტიანობა; საბჭოს დონეზე შექმნილი კომიტეტების, მათ შორის, აუდიტის კომიტეტის ფუნქციონირება და ეფექტიანობა.

ბ). დირექტორატი პასუხისმგებელია საწარმოს ყოველდღიურ მართვაზე. დირექტორატს შეუძლია მნიშვნელოვნად იმოქმედოს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე, პოლიტიკების გაუმჯობესებასა და საბჭოს მიერ დამტკიცებული სტრატეგიის დანერგვაზე. დირექტორატი ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს რისკის მართვის სისტემის შესაფერისობასა და ეფექტიანობაზე. როგორც სამეთვალყურეო საბჭოს შემთხვევაში, ასევე დირექტორატის შესაფერისობის განსაზღვრისას, მნიშვნელოვანია, როგორც თითოეული წევრის, ასევე ჯამურად, მათი შესაფერისობა საწარმოს საქმიანობის მასშტაბებსა და კომპლექსურობასთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ ქვეკატეგორიის შეფასებისას გასათვალისწინებელია შემდეგი საკითხები: დირექტორატის შემადგენლობა, როლი და პასუხისმგებლობები, მათ შორის ფორმალური დელეგირების სისტემები; კვალიფიკაცია - შესაფერისობის კრიტერიუმებთან ინდივიდუალური და ჯამური შესაბამისობა;

გ). რისკების მართვა და შიდა კონტროლი - რისკების მართვისა და შიდა კონტროლის ეფექტიანობაში სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობა განისაზღვრება ძირითადი რისკების სტრატეგიის დამტკიცებითა და ბიზნეს-გარემოს ცოდნით.

რისკების მართვისა და შიდა კონტროლის მექანიზმები დაკავშირებულია საწარმოს საქმიანობის მასშტაბებთან, ზომასთან და ოპერაციებთან. შესაბამისად, ამ ქვეკატეგორიის შეფასებისას გასათვალისწინებელია შემდეგი საკითხები: რესურსების ადეკვატურობა და დამოუკიდებლობა; ინტერესთა კონფლიქტის მართვა; საბჭოსთან და მენეჯმენტთან რისკების მართვაზე შიდა ანგარიშგების სისტემები; შიდა აუდიტისა და შესაბამისობის მართვის სამსახურის (Compliance) ეფექტიანობა.

დ). ანაზღაურების და მოტივაციის სისტემა - ანაზღაურებისა და მოტივაციის სისტემა მუდმივ შესაბამისობაში უნდა იყოს საწარმოს რისკის აპეტიტთან. აღნიშნული სისტემები ყველა რგოლზე არ უნდა აჩენდეს გადაჭარბებული რისკების აღების მოტივაციას. მნიშვნელოვანია, რომ მატერიალური რისკის ამღები პირების ანაზღაურების დიდი ნაწილი იყოს ცვალებადი და მათი გადახდა დამოკიდებული იყოს აღებული რისკების მატერიალიზებაზე. დამოუკიდებელი ფუნქციების ანაზღაურება საშუალებას უნდა იძლეოდეს კვალიფიციური და ადეკვატური რესურსების შენარჩუნებისათვის.

8). ჯგუფის სტრუქტურა ასევე საწარმოს რისკის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს, რადგან მასზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საწარმოს რესურსებზე ხელმისაწვდომობა. ამასთან, ჯგუფის სხვა წევრებთან მჭიდრო ურთიერთკავშირების სხვადასხვა ფორმებს საწარმოს რისკიანობაზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია. შესაბამისად, ჯგუფის სტრუქტურის შეფასება რისკების შეფასების სისტემის ერთ–ერთ მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს. ჯგუფის სტრუქტურის ინჰერენტული რისკის შეფასებისას გასათვალისწინებელია: მფლობელობის სტრუქტურა; აქციონერებისა და ბენეფიციარი მფლობელის კაპიტალის წარმოშობის წყაროები; მფლობელობის კონცენტრაცია და მათი სამომავლო სტრატეგია. საწარმოს ინვესტიციების მომგებიანობა; სამომავლო საინვესტიციო სტრატეგია; ჯგუფის წევრებს შორის ტრანზაქციები; საწარმოსა და ჯგუფის წევრებს შორის შიდაჯგუფური ტრანზაქციები; ჯგუფის წევრებს შორის კორელაციასთან დაკავშირებული რისკები; ფინანსური რისკი; რეპუტაციული რისკი; საწარმოს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლოა, შესწავლილ იქნას ჯგუფის სტრუქტურასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

7.2. საოპერაციო ლევერიჯის ანალიზის მეთოდიკა

ფიანანსური მენეჯმენტის მთავარი მიზანია საწარმოს ფინანსური სტაბილურობის არსებული მდგომარეობის გამოკვლევა და მისი შემდგომი გაუმჯობესება.

გამომდინარე იქედან, რომ ბიზნესის რისკები როგორც შიგა ფაქტორების, ასევე, გარეშე ფაქტორების მოქმედების შედეგად მუდამ არსებობენ, შეიძლება ითქვას, რომ რისკები მრავალი მხრიდან უტევენ საწარმოებს. ამიტომ, რისკების ფხიზელი მართვა და მისგან მოსალოდნელი დანახარჯების მინიმუმამდე დაყვანა საწარმოთა მართვის ერთ-ერთ სტრატეგიულ ამოცანას წარმოადგენს.

ბიზნესის შიგა რისკები ორ მთავარ ჯგუფად იყოფა. ესენია: სამეწარმეო ანუ საოპერაციო და ფინანსური რისკები.

სამეწარმეო (იგივე საოპერაციო) რისკი დაკავშირებულია პროდუქციის, საქონლის და მომსახურების წარმოებასთან და ნებისმიერ სამეწარმეო საქმიანობასთან. მისი მიზეზებია: პროდუქციისა და მომსახურების დაგეგმილი მოცულობის შემცირება შრომის მწარმოებლურობის დაქვეითების, შრომითი დანაკარგების და მასალის დანაკარგების გამო; წუნდებული პროდუქციის ზრდა, მატერიალური დანახარჯების არასასურველი ზრდა, ფასების ზრდა შესყიდვებზე, დანადგარების ფიზიკური და მორალური ცვეთა.

საწარმოთა ფინანსური რისკების წარმოშობა მოსალოდნელია ფინანსური გარიგებების დადების შემდეგ სავალუტო კურსის ცვლილებების, ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის და საკრედიტო რისკის დროს, როგორიცაა: ვალდებულებების დროული დაფარვის, ინვესტიციებზე დივიდენდების გაცემის და საპროცენტო ხარჯების დაფარვის რისკები.

თანამედროვე ეკონომიკურ თეორიასა და პრაქტიკაში, საწარმოს რისკების დახასიათების მიზნით ლევერიჯის (Leverage) კოეფიციენტები გამოიყენება (7.,10.,12). ლევერიჯის კოეფიციენტების კვლევას უცხოურ ლიტერატურაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია (ბრიგმან ეუგენე, სანჯაი ბორადი, ივო ველხი, ვან ჰორნი, კოვალევი და მრავალი სხვა). ასევე, ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში ბიზნესის რისკების შესახებ კვლევები მოცემულია გ. პაპავას, ბ. გაბიძაშვილის, გ. ცაავას, დ. ნარმანიას, ნ. ფარესაშვილის, ნ. ლაზვიაშვილის, ა.გაბელაიას და სხვათა შრომებსა თუ სახელმძღვანელოებში. თუმცა, ლევერიჯის კოეფიციენტების ანალიზური კვლევა ქართველი მეცნიერების მიერ ჯერ არ ჩატარებულა.

ლევერიჯი არის სპეციალური ძალებისა და ეფექტების გამოყენება მაღალი შედეგების მისაღებად, რომელიც აჭარბებს ჩვეულებრივი კურსით მუშაობის პირობებში მიღებულ შედეგებს. მაგრამ, იგი დაკავშირებულია გარკვეულ ფინანსურ ხიფათთან. მაგალითად, კრედიტის ტვირთი მოიცავს მუდმივი ფინანსური ხარჯების გამოყენებას საწარმოს პოტენციური მოგების გაზრდისათვის. თუმცა, ხელსაყრელ პირობებში შეიძლება მოიტანოს დადებითი

შედეგები. მაგრამ, არახელსაყრელ პირობებში შეიძლება მიღებულ იქნეს უარყოფითი შედეგებიც.

ლევერიჯი არის ორმაგად მჭრელი მახვილი (Leverage is a double-edged sword). ის ზრდის მოგებას, მაგრამ, შეიძლება გაზარდოს ზარალიც.

საოპერაციო ლევერიჯი დაკავშირებულია მუდმივი საოპერაციო ხარჯების არებობასთან და ახასიათებს წარმოებისა და რეალიზაციის პროცესებში არსებულ რისკებს. საოპერაციო რისკი შეიცავს მუდმივი ხარჯების, კერძოდ, წარმოების მართვისა და მომსახურების ხარჯების არაეფექტიანად გამოყენების შესაძლო რისკს, რაც მოსალოდნელი მოგების შემცირებაში აისახება. საოპერაციო რისკი არის იგივე სამეწარმეო ანუ სამეურნეო რისკი.

საწარმოს რისკების ანალიზი მოიცავს სამ ურთიერთდაკავშირებულ კომპონენტს: რისკების შეფასებას, ფაქტორულ ანალიზს და რეკომენდაციებს.

ეკონომიკურ ლიტერატურაში საოპერაციო ლევერიჯის (DOL) შეფასების რამდენიმე მაჩვენებელია ცნობილი . ესენია:

$$\textit{საოპერაციო ლევერიჯი}\ (\boldsymbol{DOL1}) = \frac{\textit{მუდმივი ხარჯები}\ (\boldsymbol{FC})}{\textit{ცვალებადი ხარჯები}\ (\boldsymbol{VC})}$$

ითვლება, რომ კოეფიციენტი (1) როცა ერთის ტოლია, რისკი არ არსებობს. ერთის ზემოთ უკვე რისკის მანიშნებელია. თუმცა, შესაძლოა არსებობდეს სიტუაცია, როცა იგი ერთზე მაღალია, მაგრამ მუდმივი ხარჯები უკვე დაფარულია. ამ კოეფიციენტს დანახარჯების ორგანული შედგენილობა შეიძლება ვუწოდოთ. მისი ზრდა ბიზნესრისკის ზრდას იწვევს.

$$\textit{საოპერაციო ლევერიჯი}\ \boldsymbol{2}\ (\boldsymbol{DOL\ 2}\ ) = \frac{\textit{მუდმივი ხარჯები}}{\textit{საოპერაციო ხარჯები.}}$$

კოეფიციენტი (2) არასოდეს არ იქნება ერთის ტოლი, ვინაიდან წარმოების პროცესში, ყოველთვის არსებობს ცვალებადი ხარჯები. ამიტომ, მუდმივი ხარჯები ვერასოდეს გადააჭარბებს საოპერაციო ხარჯებს. შესაბამისად, კოეფიციენტი (2) არასოდეს არ იქნება ერთზე მაღალი. მაშასადამე, შეუძლებელია დავადგინოთ, მის რომელ დონეზე არსებობს რისკი. ეს კოეფიციენტი ახასიათებს მუდმივი ხარჯების ხვედრითი წილს საოპერაციო ხარჯებში, რომელიც სასურველია, დინამიკაში არ იზრდებოდეს. იგი გავლენას მოახდენს საოპერაციო რისკზე. ამდენად, მე-2 კოეფიცინეტიც უნდა ჩავთვალოთ, რომ საოპერაციო რისკზე მოქმედი ფაქტორია.

$$\textit{საოპერაციო ლევერიჯი}\ \boldsymbol{3}\ (\boldsymbol{DOL\ 3}\ ) = \frac{\textit{მუდმივი ხარჯები}\ (\boldsymbol{FC})}{\textit{შემოსავალი .რეალიზ.}}$$

კოეფიციენტი (3) რეალურად არის მუდმივი ხარჯების გამოყენების ეფექტიანობის ერთ-ერთი მაჩვენებელი. იგი აჩვენებს, რამდენი თეთრი მუდმივი ხარჯია გაწეული ყოველი ერთი ლარის შემოსავალზე. იგი რაც უფრო ნაკლები იქნება ერთზე, მით უფრო დადებით მოვლენას წარმოადგენს. ასე, რომ რისკის გამზომ მაჩვენებლად ვერც იგი ჩაითვლება, თუმცა რისკებზე გავლენას მოახდენს.

$$\textit{საოპერაციო ლევერიჯი}\ \mathbf{4}\ (\boldsymbol{DOL}\ \mathbf{4}\ ) = \frac{\textit{მუდმივი ხარჯები}\ (\boldsymbol{FC})}{\textit{საოპერაციო მოგება}\ (\boldsymbol{EBIT})}$$

საოპერაციო მოგებას, უცხოურ ეკონომიკურ ლიტერტურაში, აგრეთვე უწოდებენ - მოგებას პროცენტისა და მოგების გადასახადის გადახდამდე (EBIT).

კოეფიცინტი (4) ახასიათებს რამდენი თეთრი მუდმივი ხარჯია გაწეული ყოველი ერთი ლარის საოპერაციო მოგების მისაღებად. იგი რაც უფრო დაბალი იქნება ერთზე, ნიშნავს რომ მით უფრო ეფექტიანად გამოიყენება მუდმივი ხარჯები და მაშასადამე, მით უფრო მცირე იქნება საოპერაციო (სამეწარმეო) რისკი. ვინაიდან საოპერაციო მოგება შემოსავლებსა და საოპერაციო ხარჯებს შორის სხვაობაა, ხოლო, ეს უკანასკნელი, მუდმივი და ცვალებადი ხარჯებისაგან შედგება და ასევე, საოპერაციო მოგება საოპერაციო ანუ ძირითადი საქმიანობის ყვლაზე ზოგადი ფინანსური შედეგია, კოეფიციენტი (4) ადრე განხილულ მაჩვენებლებს შორის, ყველაზე კომპლექსური ხასიათის მაჩვენებელია.

ჩატარებული ლოგიკური და რაოდენობრივი ანალიზის საფუძველზე, საოპერაციო რისკის ზოგად მაჩვენებლად მუდმივი ხარჯებისა და საოპერაციო მოგების ფარდობის კოეფიციენტი (FC/EBIT) მიგვაჩნია, რომელშიც ასახულია მუდმივი და ცვალებადი ხარჯების გამოყენებასთან დაკავშირებული რისკები, წარმოების უსაფრთხოების დიაპაზონის შერჩევის რისკი და ასევე, საოპერაციო მოგების დამოკიდებულება ზღვრულ მოგებასთან. ეს კოეფიციენტი ერთზე დაბალი უნდა იყოს. ერთის ზემოთ საოპერაციო რისკის მაჩვენებელია.

საოპერაციო ლევერიჯის ანალიზის სრულყოფის მიზნით, საერთო საოპერაციო რისკის კოეფიციენტი (FC/EBIT) წარმოვადგინეთ მასზე მოქმედი ფაქტორთა დაკავშირების მწკრივით [ჭილაძე ი. 2019. მონოგრაფია. გვ.58]:

$$\frac{\boldsymbol{FC}}{\boldsymbol{EBIT}} = \frac{\boldsymbol{FC}}{\boldsymbol{VC}} * \frac{\boldsymbol{VC}}{\boldsymbol{OC}} * \frac{\boldsymbol{OC}}{\boldsymbol{MP}} * \frac{\boldsymbol{MP}}{\boldsymbol{EBIT}} \ ;$$

ჩვენს მიერ შემუშავებული ოთხფაქტორიანი მოდელის საფუძველზე, ანალიზის აბსოლუტური სხვაობის ხერხის გამოყენებით, საწარმოთა მენეჯმენტი შეძლებს გაზომოს საერთო საოპერციო ლევერიჯის დონეზე მოქმედი ოთხი ფაქტორების გავლენა, როგორიცაა [Izolda Chiladze. 2017. pp:80]:

1. **საოპერაციო ხარჯების ორგანული შედგენილობა** (FC/VC). ეს კოეფიციენტი რაც უფრო მაღალი იქნება ანუ რაც უფრო მეტი იქნება მუდმივი ხარჯები ცვალებად ხარჯებზე, მით უფრო გაიზრდება საოპერაციო რისკი;

2. **ცვალებადი ხარჯების წილი საოპერაციო ხარჯებში** (VC/OC) - მისი ზრდა სხვა თანაბარ პირობებში, ცვალებადი ხარჯების ეფექტიანად გამოყენების რისკებს ზრდის და შესაბამისად ზრდის საოპერაციო რისკს;

3. **საწარმოს საოპერაციო ხარჯების ფარდობა ზღვრულ მოგებასთან** (OC/MP) აჩვენებს, რამდენი ლარის საოპერაციო ხარჯი იქნა გაწეული ერთი ლარის ზღვრული მოგების მისაღებად. იგი რაც უფრო მაღალი იქნება ერთზე, მით უფრო გაიზრდება ხარჯების ეფექტიანად გამოყენების რისკი და შესაბამისად გაზრდის საოპერაციო რისკს.

4. **ზღვრული მოგების ფარდობა საოპერაციო მოგებასთან** (MP/EBIT) **ასევე ზეგავლენას ახდენს საოპერაციო რისკზე. ის** რაც უფრო მაღალი იქნება ერთზე, მით მაღალია მუდმივი ხარჯების მაღალი არაეფექტიანობით გამოყენების რისკი.

საილუსტრაციოდ განვიხილეთ პირობითი საწარმოები, რადგან მისთვის საჭირო ინფორმაციის ნაწილი საწარმოთა შიდა ინფორმაციაა, რომელიც მენეჯერებისათვის ხელმისაწვდომია. გადახრა შეისწავლება წინა წელთან, გეგმასთან ან სხვა მსგავს საწარმოსთან შედარებით.

ცხრილი 7. 2.1. საოპერაციო ლევერიჯის ფაქტორული ანალიზის შედეგები

მაჩვენებლები	N1 საწარმო	N2 საწარმო	გადახრა (+, -)
საოპერაციო ლევერიჯი (FC/EBIT)	1,053	0,784	-0,269
მოქმედი ფაქტორები:			
1. FC/VC	0,7692	0,3846	-0,3846
2. VC/OC	0,5652	0,7222	+0.157
3. OC/MP	1,1795	1,5824	+0.4029
4. MP/EBIT	2,0526	1,7843	-0,2683
ფაქტორების გავლენა:			
• პირველი ფაქტორის გავლენა	-	-	-0,526
• მეორე ფაქტორის გავლენა	-	-	+0,146
• მესამე ფაქტორის გავლენა	-	-	+0,229
• მეოთხე ფაქტორის გავლენა	-	-	-0,118

საილუსტრაციოდ განვიხილეთ ცხრილში მოტანილი პირველი და მეორე საწარმოს მაჩვენებლები (იხ. ცხრილი 1.3.2). ამ ცხრილში მოცემულია შედარება ორი ერთგვაროვანი

პირობითი საწარმოს რისკის კოეფიციენტებს შორის. საოპერაციო ლევერიჯის დონე მეორე საწარმოში დაბალია პირველთან შედარებით 0,269 პუნქტით. პირველი და მეოთხე ფაქტორის ზეგავლენით მეორე საწარმოში რისკები შემცირდა. მეორე და მესამე ფაქტორების გავლენით კი საოპერაციო რისკი გაზრდილია. ამდენად, მეორე საწარმოს მენეჯმენტმა უნდა იზრუნოს ცვალებადი ხარჯების ეფექტიანობის ამაღლებაზე და წარმოების უსაფრთხოების დიაპაზონის გაფართოებაზე, რადგან ზღვრული მოგებისა და საოპერაციო მოგების ფარდობა (MP/EBIT) წარმოების წონასწორობის წერტილსა და უსაფრთხოების მასშტაბს უკავშირდება. ხოლო, პირველი საწარმოს მენეჯმენტმა ყურადღება უნდა მიაქციოს საოპერაციო ხარჯების ორგანული შედგენილობის ოპტიმიზაციას და მუდმივი ხარჯების ეფექტიანობის ამაღლებას.

ზემოთ მოტანილი ყველა გაანგარიშებით ის ჭეშმარიტებაც დასტურდება, რომ რისკების მიუხედავად, მოგების მიღების შესაძლებლობა ყოველთვის არსებობს. ამიტომაც მიდიან მეწარმეები რისკზე. ამასთან, მენეჯმენტი უნდა ცდილობდეს მაღალი კორელაცია არ იყოს საოპერაციო მოგებასა და შემოსავლებს შორის, რადგან შემოსავლების მცირე ცვლილებამაც კი შეიძლება დიდი საოპერაციო დანაკარგი გამოიწვიოს.

ამრიგად, წარმოდგენილი ფაქტორული მოდელის გამოყენებით საწარმოთა მენეჯმენტს შეუძლია რეგულარულად აკონტროლოს საოპერაციო რისკებზე მოქმედი ძირითადი ფაქტორების ცვლილებები და მიიღოს ადეკვატური გადაწყვეტილებები.

7.3. ფინანსური ლევერიჯის ანალიზის მეთოდიკა

ფინანსური ლევერიჯი იკვლევს საწარმოს სესხებსა და სააქციო კაპიტალს შორის თანაფარდობის კავშირს მოგების ცვლილებასთან. **დაფინანსების წყაროების სტრუქტურის ოპტიმიზაციას მოგების გადიდების მიზნით, ფინანსური ლევერიჯის კონცეფციას უწოდებენ.**

ფინანსური ლევერიჯი ფინანსური რისკების შეფასებისათვის გამოიყენება. იგი განსაკუთრებით საინტერესოა აქციების მფლობელებისათვის, რათა იცოდნენ, მოგების რა სიდიდეს უნდა ელოდებოდნენ ყოველ ერთ აქციაზე.

ფინანსური ლევერიჯი დამოკიდებულია საწარმოს მმართველობის არჩევანზე, დაფინანსებისათვის გამოიყენოს აღებული სესხები, თუ გამოუშვას პრივილეგირებული ან ჩვეულებრივი აქციები. როცა კომპანია იყენებს სესხებს ან უშვებს პრივილეგირებულ აქციებს, მათ ყოველთვის გააჩნიათ ფინანსური ლევერიჯი, ვინაიდან წარმოიშობა მოზიდული სახსრების გადასახდელი მუდმივი სარგებელი, რაც კომპანიისათვის საპროცენტო ხარჯებია. ამასთან, გამოშვებული პრივილეგირებული აქციები მართალია სესხი არაა, მაგრამ მათ აქვთ გარანტირებული დივიდენდი და კომპანიას გააჩნია ვალდებულება, პრივილეგირებულ აქციებზე აუცილებლად გასცეს დივიდენდი უცვლელი საპროცენტო განაკვეთით და მხოლოდ ამის შემდეგ გაიცემა დივიდენდები ჩვეულებრივ აქციებზე. ამდენად, ფინანსური ლევერიჯი გამოიყენება ჩვეულებრივი აქციების შემოსავლიანობის გაზრდის მიზნით. ლევერიჯის არსებობას გააჩნია პირდაპირი ეფექტი ჩვეულებრივი აქციონერების უკუგების ცვალებადობაზე.

ზემოთქმულთან დაკავშირებით, განასხვავებენ ხელსაყრელ და არახელსყრელ ფინანსურ ლევერიჯს.

ხელსაყრელი ანუ დადებითი ფინანსური ლევერიჯი წარმოიშობა როცა საწარმო იყენებს მუდმივი ფინანსური დანახარჯების ვალდებულებების და პრივილეგირებული აქციების დივიდენდების მუდმივი განაკვეთის პოლიტიკას, რათა გამოიმუშაოს გადახდილ ფიქსირებულ ფინანსურ დანახარჯებზე (პროცენტებზე და დივიდენდებზე) მეტი. მეცნიერ-ეკონომისტები წერენ, რომ მიღებული დაფინანსების ფიქსირებული დანახარჯების დაფარვის შემდეგ დარჩენილი მოგება ეკუთვნის ჩვეულებრივი აქციის მფლობელებს.

არახელსაყრელი ანუ უარყოფითი ფინანსური ლევერიჯი წარმოიშობა, როცა კომპანია ვერ გამოიმუშავებს დაფინანსების მუდმივი დანახარჯების ტოლ თანხას. ამდენად, ფინანსური ლევერიჯის ხელსაყრელობა განისაზღვრება იმ შემოსავლით, რაც მას ერთ ჩვეულებრივ აქციაზე მოაქვს. როგორც ადრე განვიხილეთ, ერთ ჩვეულებრივ აქციაზე შემოსავალი გამოითვლება შემდეგი წესით:

$$\textbf{შემოსავალი 1 აქციაზე} = \frac{\text{საოპ.მოგება} - \%\text{-ის ხარჯი} - \text{მოგ.გადასახადი} - \text{პრივ.აქციის დიდივიდ.}}{\text{ჩვეულებრივი აქციების რიცხვი}} \qquad (1)$$

მაგრამ, ამ მაჩვენებელს შეიძლება არ დაემთხვეს „დივიდენდი ერთ ჩვეულებრივ აქციაზე“, რადგან, წმინდა მოგება (net profit)) აგრეთვე გამოყენებული უნდა იქნეს კომპანიის განვითარებისა და პერსონალის სტიმულირებისათვის.

თანამედროვე კონკურენტულ გარემოში აუცილებელი გახდა ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციური მეთოდების დანერგვა წარმოებისა და მომსახურების სფეროში, რაც გარკვეულ ფინანსებს მოითხოვს და რომელიც მოგებიდან უნდა დაიფაროს. ამიტომ, მხოლოდ აქციონერების ფინანსური ინტერესების დაკმაყოფილება საკმარისი არაა. კომპანიის წმინდა მოგებიდან უნდა შეიქმნას რეზერვები ბიზნესის განვითარებისათვის, რისკისათვის, პერსონალისათვის და ა.შ. ჩვენი აზრით, დღეს ბიზნესის სტაბილურობის ერთ-ერთი ინდიკატორია მოგებიდან შექმნილი რეზერვების წილი წმინდა მოგებაში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, პირველი ფორმულა შემდეგნაირად უნდა იქნეს შესწორებული:

$$\textit{შემ. 1 აქციაზე} \quad (EPS) = \frac{\textit{საოპ. მოგ.} - (\textit{სა} - \%\ \textit{ხარჯი} + \textit{მოგებ. გადასახადი} + \textit{პრ. აქც. დივ.} + \textit{რეზერვები})\ PSD}{\textit{ჩვ. აქც. საშ. შეწ. რიცხვი}}$$

$$EPS = \frac{OP - P - TP - PSD}{N} \qquad (2)$$

ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტებს ორ ჯგუფად ყოფენ: კაპიტალის ლევერიჯი და პროცენტის ლევერიჯი. ეკონომიკურ ლიტერატურაში ცნობილია ფინანსური ლევერიჯის (ფლ) შემდეგი კოეფიციენტები [Charles H. G.].

$$\textbf{ფლ}_1 = \textbf{აქტივები / საკუთარი კაპიტალი} \qquad (3)$$

ეს კოეფიციენტი როცა ერთის ტოლია, მაშასადამე, მთელი აქტივები საკუთარი კაპიტალითაა დაფინანსებული და ფინანსური რისკი არ არსებობს. მაგრამ, თუ ერთზე მეტია, მაშინ საწარმოს აგრეთვე გააჩნია დაფინანსება ვალდებულებების სახით, რომელზეც პროცენტი უნდა გადაიხადოს და ფინანსური რისკიც არსებობს. ვფიქრობთ, მოცემული ფორმულა მოითხოვს სრულყოფას.

სიმარტივისათვის დავუშვათ, რომ საკუთარი კაპიტალი მხოლოდ სააქციო კაპიტალს მოიცავს. თუკი კომპანიას მხოლოდ ჩვეულებრივი აქციები ექნება გამოშვებული, მაშინ ფიქსირებული გადასახადის ხარჯი პრივილეგირებული აქციების დივიდენდების სახით და შესაბამისად, ფინანსური რისკიც არ იარსებებს. მაგრამ, თუკი გამოშვებული იქნება პრივილეგირებული აქციებიც, მაშინ წარმოიშვება ვალდებულება დივიდენდის უცვლელი განაკვეთით გაცემაზე, რომლის დაფარვის შემდეგაც დაიფარება ჩვეულებრივი აქციების დივიდენდი. მაშასადამე, ჩვეულებრივი აქციის მფლობელებისათვის უკვე ფინანსური რისკი იარსებებს. მაგალითად, თუ დავუშვებთ, რომ კომპანიის აქტივები 2 მლნ ლარია, რომელიც მთლიანად სააქციო კაპიტალითაა დაფინანსებული, მაშინ ფინანსური ლევერიჯი ერთის ტოლია და რისკი არ არსებობს. მაგრამ, თუ სააქციო კაპიტალის შიგნით ნახევარი მილიონი ლარის გამოშვებული პრივილეგირებული აქციებია, მაშინ ჩვეულებრივი აქციის მფლობელებისათვის წარმოიშვება დივიდენდების მიღების რისკი, რაც ფინანსური ლევერიჯის ზემოთ მოტანილ (3) ფორმულაში არ ჩანს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, (3) ფორმულა ვფიქრობთ შემდეგნაირად შეიძლება შევასწოროთ:

ფლ$_1$ = აქტივები /(საკუთარი კაპიტალი - პრივილეგ. სააქც.კაპიტ.) (4)

ფლ$_2$ = ვალდებულებები / (საკუთარი კაპიტალი-პრივ. საკუთ. კაპიტ.) (5)

მართლაც, მოცემული ფორმულის მიხედვით, ფინანსური ლევერიჯის (ფლ) კოეფიციენტი ერთზე მეტი იქნება:

$$2 / (2\text{-}0{,}5) = 1{,}33$$

ფლ$_3$ = საოპერაციო მოგება / მოგება დაბეგვრამდე (ან წმინდა მოგება) (6)

$$\text{ფლ4 (კაპიტალის ლევერიჯი)} = \frac{\text{საკუთარი კაპიტალი+გრძელვად.ვალდ}}{\text{საკუთ.კაპიტ.–პრივილ.სააქც.კაპიტ[}} \quad (7)$$

$$\text{ფლ5 (ჯამური ლევერიჯი)} = \frac{\text{საკ.კაპიტ.–საკ.საბრ. სახსრ.+გრძელვად.ვალდ}}{\text{საკ.კაპიტ.+გრძელვად.ვალდ}} \quad (8)$$

$$\text{ფლ6 = ფინანსური ლევერიჯის დონე} = \frac{\text{წმინდა მოგების პროცენტული } \textit{ცვლილება}}{\text{საოპერაციო მოგების \%–}\textit{ული ცვლილება}} \quad (9)$$

$$\text{პროცენტის ლევერიჯი} = \frac{\text{ვალდის საპროცენტო ხარჯი+}\textit{პრივილეგ.აქციის დივიდენდი}}{\text{საოპერაციო მოგება}} \quad (10)$$

ეს კოეფიციენტი ერთზე მეტი არ უნდა იყოს.

$$\text{კომბინირებული ლევერიჯი} = \frac{\text{წმინდა მოგების პროცენტული ცვლილება}}{\text{შემოსავლების პროცენტული ცვლილება}} \qquad (11)$$

ჩამოთვლილი კოეფიციენტებიდან ყველა სამართლებრივი ფორმისა და ზომის საწარმომ პირველ რიგში უნდა აკონტროლოს კაპიტალის და პროცენტის ლევერიჯის მაჩვენებლები (იხ. ცხრილი 7.3.1). ამასთან, ანალიზისათვის ფინანსური ანგარიშგების ინფორმაცია საკმარისია.

ცხრილი 7.3.1. ფინანსური ლევერიჯის ძირითადი კოეფიციენტები

კ ო მ პ ა ნ ი ე ბ ი	აქტივების ფარდობა საკუთარ კაპიტალთან (არ უნდა იყოს 2-ზე მეტი)			პროცენტის საერთო ლევერიჯი (არ უნდა იყოს 1-ზე მეტი)	
	2016	2017	2018	2016	2017
1. სს კოკა-კოლა	2.663	2.499	2.142	1.202	0.823
2. სს თელიანი ველი	1.372	1.176	1.196	0.326	0.176
3. შპს სანტე	1,223	1.268	1.207	-	სა-% ხ. არაა
4. შპს ნიკორა	13.23	5.963	1.787	5.804	0.451
5. სს საქართველოს რკინიგზა	2.017	2.71	4.278	0.986	ზარალია
6. სს გუდვილი	- 1,47	-34.5	-1.023	-	ზარალია
7. შპს იფქლი დიღომი	1.061	1.176	1.338	0.007	0.01
8. სს თელასი	1.911	2.078	1.886	0.033	1.377
9. იმედი L	4.634	4.875	2.745	ზარალია	0.138
10. საფონდო ბირჟა	1.159	1.15	1.16	ზარალია	სა-% ხ.არაა

როგორც 7.3.1. ცხრილიდან ჩანს, ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი ყველა საწარმოში ერთზე მაღალია. განსაკუთრებით საშიშია „კოკა-კოლაში“, „საქართველოს რკინიგზასა“ და „იმედი L-ში“ და გუდვილშ. ამ უკანასკნელს საკუთარი კაპიტაი სააერთოდ აღარ გააჩნია. ხოლო პროცენტის ლევერიჯი მაღალია „კოკა-კოლაში“, „საქართველოს რკინიგზაში“, „გუდვილში“, „თელასში“. ამ კომპანიებს საპროცენტო ხარჯების დაფარვის უნარი 2017 წლის მდგომარეობით თითქმის დაკარგული აქვთ. საანალიზო საწარმოების ფინანსური პოზიციები ძალიან მერყევია და გაკოტრებისაკენ მიექანება.



დიაგრამა 7.3.1. საანალიზო საწარმოების ფინანსური ლეევერიჯი

ფინანსური ლეევერიჯის განხილული კოეფიციენტებიდან, ყველაზე ზოგად მაჩვენებელად მიგვაჩნია საოპერაციო მოგების ფარდობა წმინდა მოგებასთან (OP/NP). ჩვენს მიერ ჩამოყალიბებულ იქნა ფინანსური ლეევერიჯის ამ ზოგადი მაჩვენებლის ექვს-ფაქტორიანი მოდელი [ჭილაძე ი. 2019. მონოგრაფია. გვ.84]:

$$\frac{OP}{NP} = \frac{OP}{S} * \frac{S}{PS} * \frac{PS}{A} * \frac{A}{OwC} * \frac{OwC}{P} * \frac{P}{NP}$$ სადაც,

OP/NP - საოპერაციო მოგების ფარდობა წმინდა მოგებასთან.

I. OP/S – საოპერაციო მოგებისა და ამონაგების ფარდობა - რაც უფრო მაღალია ეს კოეფიციენტი, ნიშნავს, რომ იზრდება გაყიდვების რისკები.

II. S/PS – ამონაგებისა და რეალიზაციიდან მიღებული მოგების ფარდობა - მისი ზრდა საწარმოო დანახარჯების ნაკლებ ეფექტიანად გამოყენების რისკებზე მიანიშნებს. ანუ იზრდება საოპერაციო რისკი.

III. PS/A – რეალიზაციიდან მიღებული მოგების ფარდობა აქტივების საშუალო წლიურ ნაშთთან. მისი ზრდა აქტივების დაძველების რისკებზე მიუთითებს.

IV. A/OwC – აქტივების საშუალო წლიური ნაშთის ფარდობა საკუთარი კაპიტალის საშუალო წლიურ ნაშთთან - მისი ზრდა მიუთითებს საკრედიტო და საპროცენტო რისკებზე.

V. OwC/P – საკუთარი კაპიტალისა და დაბეგვრამდე მოგების ფარდობა - მისი ზრდა ნიშნავს, რომ ფინანსური რისკი იზრდება დივიდენდის დაფარვის რისკების ზრდის გამო. ე.ი. შესაძლოა მოგება საკმარისი არ აღმოჩნდეს დივიდენდების დასაფარავად.

VI. P/NP - წლიური მოგების (მოგება დაბეგვრამდე) ფარდობა წმინდა მოგებასთან ახასიათებს საგადასახადო ტვირთით წარმოშობილ რისკებს. მისი ზრდა საგადასახადო რისკის ზრდას ნიშნავს.

ცხრილში 7.3.2. წარმოდგენილია ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტის გადახრაზე მოქმედი ფაქტორების გავლენები 2018 წელს, წინა წელთან შედარებთ. გამოთვლებს აქვს შემდეგი სახე [Chiladze Izolda. 2019. Pp: 46].

I ფაქტორის გავლენა = (+0.0387) * 3.1657 * 0.2177 * 2.7806 * 3.9474 * 1 = + 0.2927
II ფაქტორის გავლენა = 0.1323 * (-0.1659) * 0.2177 * 2.7806 * 3.9474 * 1 = - 0.0524
III ფაქტორის გავლენა = 0.1323 * 2.9998 * (+0.0226) * 2.7806 * 3.9474 * 1 = + 0.0984
IV ფაქტორის გავლენა = 0.1323 * 2.9998 * 0.2403 * (-0.6516) * 3.9474 * 1 = - 0.2453
V ფაქტორის გავლენა = 0.1323 * 2.9998 * 0.2403 * 2.1290 * (+6.5445) * 1 = + 1.3288
VI ფაქტორის გავლენა = 0.1323 * 2.9998 * 0.2403 * 2.1290 * 10.4919 * (+0.3607) = + 0.7684

ჯამი + 2.19

გამოთვლის შედეგები წარმოდგენილია 7.3.2. ცხრილში

ცხრილი 7.3.2. ფინანსური ლევერიჯის ფაქტორული ანალიზი კოკა-კოლას მაგალითზე

მაჩვენებლები	2016	2017		2018	
		კოეფიცი-ენტები	გადახრა 2016 წ-დან	კოეფიცი-ენტები	გადახრა 2017 წ-დან
ა	1	2	3	4	5
ფინანსური ლევერიჯი (OP/NP)	**0.71**	**2.90**	**+2.19**	**1.36**	**-1.54**
მოქმედი ფაქტორები:	-	-	-	-	-
I. OP/S	0.0936	0.1323	+0.0387	0.1318	- 0.0005
II. S/PS	3.1657	2.9998	-0.1659	3.1714	+ 0.1716
III. PS/A	0.2177	0.2403	+0.0226	0.2441	+ 0.0038
IV. A/OwC	2.7806	2.1290	-0.6516	2.3670	+ 0.238
V. OwC/P	3.9474	10.4919	+6.5445	5.1042	- 5.3877
VI. P/NP	1.0	1.3607	+0.3607	1.1026	- 0.2581
ფაქტორების გავლენა ფინანსური ლევერიჯის გადახრაზე:			- -		- -
I ფაქტორის გავლენა			+0.2927		- 0.011
II ფაქტორის გავლენა			-0.0524		+ 0.1652
III ფაქტორის გავლენა			+0.0984		+ 0.0483
IV ფაქტორის გავლენა			-0.2453		+ 0.3467
V ფაქტორის გავლენა			+1.3288		- 1.7705
VI ფაქტორის გავლენა			+0.7684		+ 0.3181
ჯამი			+ 2.19		- 1.54

ამრიგად, მოცემული გაანგარიშებებით, აბსოლუტური სხვაობის ხერხით გაზომილია 2017 წლის ფინანსური ლევერიჯის, 2016 წლიდან გადახრაზე მოქმედი ფაქტორების გავლენა.

ანალოგიური გამოთვლები გაკეთდება 2018 წლის ფინანსური ლევერიჯის 2017 წლიდან გადახრაზე მოქმედი ფაქტორების გავლენების გასაზომად. ფაქტორთა უმრავლესობა ზრდის რისკებს.

2018 წელს შემცირდა საოპერაციო მოგების ფარდობა შემოსავალთან რაც ნიშნავს, რომ გაყიდვებში რისკები შემცირდა. მეორე ფაქტორი - ამონაგების ფარდობა რეალიზაციდან მიღებულ მოგებასთან გაიზარდა, რაც მიანიშნებს რომ საწარმოო დანახარჯები ნაკლები ეფექტიანობით არის გამოყენებული, რამაც ფინანსური რისკი გაზარდა; მესამე ფაქტორი - რეალიზაციიდან მიღებული მოგების ტემპი უფრო გაიზარდა, ვიდრე აქტივების, რამაც აქტივების დაძველების რისკი წარმოშვა და ფინანსური რისკები გაიზარდა; მეოთხე ფაქტორი - აქტივების საშუალო წლიური ნაშთის ფარდობა საკუთარ კაპიტალთან, მისი ზრდა ნიშნავს საკრედიტო და საპროცენტო რისკების ზრდას; მეხუთე ფაქტორი - საკუთარი კაპიტალის ფარდობა წლიურ მოგებასთან შემცირდა, რაც მიუთითებს რომ მოგება უფრო გაიზარდა ვიდრე საკუთარი კაპიტალი და ფინანსური რისკები შემცირდა. მეექვსე ფაქტორი - წლიური მოგების ფარდობა წმინდა მოგებასთან - გაიზარდა, რაც საგადასახადო ტვირთის ზრდას ნიშნავს და ფინანსური რისკიც გაიზარდა.

ამრიგად, ფინანსური ლევერიჯის წარმოდგენილი ფაქტორული მოდელის ანალიზი საწარმოთა ფინანსურ მენეჯმენტს დაეხმარება მრავალწახნაგოვანი თვალსაზრისით მართოს და აკონტროლოს ფინანსური რისკები.

7.4. საწარმოს გაკოტრების პროგნოზირების მოდელები

პროგნოზები მენეჯმენტს ეხმარება დაგეგმვასა და გადაწყვეტილების მიღებაში. როცა გაურკვეველია რა მოხდება მომავალში, პროგნოზირება აუცილებელია. დასავლეთის მეცნიერ-ეკონომისტმა, ედუარდ ალთმანმა საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების მრავალწლიანი ინფორმაციის, მათემატიკური სტატისტიკის, ალბათობისა და პირსონის კორელაციის კოეფიციენტის გამოყენებით, შეიმუშავა საწარმოთა მოსალოდნელი გაკოტრების პროგნოზირების მოდელები. ეს მოდელები მეტად საჭიროა მენეჯმენტისათვის, რათა წინასწარ შეიტყოს საკუთარი კომპანიის პერსპექტივა, თუ რა ელოდება მას. რამდენად ახლოსაა კომპანია გაკოტრებასთან. ასევე, საინტერესოა პოტენციური ინვესტორებისათვის, დააბანდონ თუ არა ფული მოცემულ საწარმოში და აგრეთვე, გამოიყენება საბანკო სექტორის მიერ, რათა შეფასონ, რამდენად საიმედოა სესხის გაცემა ამა თუ იმ კომპანიაზე.

მოცემულ შრომაში ჩვენ წარმოვადგენთ ამ მოდელებს, რაც ასევე საინტერესო და მეტად საჭიროა საქართველოს საწარმოებისათვის. ესენია:

1. **კერძო საწარმოთა გაკოტრების პროგნოზირების ალთმანის მოდიფიცირებული მოდელი :**

Altman Z-Ccore = 0,717 A + 0,847 B + 3,107 C + 0,42 D + 0,998 E ; სადაც,

A – არის წმინდა საბრუნავი საშუალებები (იგივე საკუთარი საბრუნავი საშუალებები) ფარდობა აქტივებთან (Working Capital / Total Assets)

B – მოგებიდან შექმნილი რეზერვების და გაუნაწილებელი მოგების (ზარალის) ჯამის ფარდობა აქტივებთან (Retained Earnings / Total Assets)

C - საოპერაციო მოგების (ზარალის) ფარდობა აქტივებთან (Earnings before Inteest and Tax / Total Assets)

D - საკუთარი კაპიტალის (გადაფასების რეზერვის გარეშე) ფარდობა ვალდებულებებთან (Book Value of equity / Total Assets)

E - ამონაგების ფარდობა აქტივებთან (Sales / Total Assets)

ალთმანის მოდელით, როცა:

Z > 3 - არსებობს უსაფრთხოების ზონა;

1,23 < Z < 2,99 - ასეთ შემთხვევაში გაურკვევლობის არეა. ავტორი მას „ნაცრისფერ ზონას“ უწოდებს. გაკოტრების ალბათობა არის ზომიერი. მენეჯმენტმა უნდა იმუშაოს ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

Z < 1,23 - არსებობს გაკოტრების დიდი ალბათობა.

განვითარებადი ბაზრების კომპანიების გაკოტრების პროგნოზირების მოდელი შემდეგია:

Altman Z – Score = 3.25 + (6.56 * A) + (3.26 * B) + (6.72 * C) + (1.05 *D).

A - არის საკუთარი საბრუნავი საშუალებების (სსს) ფარდობა მთლიან აქტივებთან,

B - გაუნაწილებელი მოგების და მოგებიდან შექმნილი რეზერვების ჯამის (ან რეინვესტირებული მოგების) ფარდობა მთლიან აქტივებთან,

C - არის საოპერაციო მოგების ფარდობა მთლიან აქტივებთან,

D - საკუთარი კაპიტალის ფარდობა მთლიან ვალდებულებებთან.

2.6 - ის ზემოთ უსაფრთხო ზონაა.

2.6-დან 1.1-მდე არის „ნაცრისფერი ზონა“. მენეჯმენტმა უნდა გაატაროს ღონისძიებები, საშიშ ზონაში მოხვედრის თავიდან ასაცილებლად.

1.1-ის ქვემოთ უკვე არის საშიში „სტრესული“ ზონა, როცა ნებისმიერ დროს შეიძლება კომპანიის გაკოტრება გამოცხადდეს.

სპრინგეითის მოდელი (Springate model) ალთმანის მოდელის გაგრძელებას წარმოადგენს, მაგრამ ალთმანის მოდელი უფრო ხშირად გამოიყენება. ეს მოდელი 1978 წელს შეიქმნა გორდონ ლ.ვ. სპრინგეითის მიერ. მისი კოეფიციენტების გამოსათვლელად საჭიროა ბუღალტრული ბალანსისა და მოგება/ზარალის ანგარიშგების ინფორმაცია.

სპრინგეითის მოდელი = 1,03 Y_1 + 3,07 Y_2 + 0,66 Y_3 + 0,4 Y_4

Y_1 = სსს / მთლიანი აქტივები
Y_2 = მოგება %-ისა და გადასახადის გადახდამდე (EBIT) / მთლიანი აქტივები
Y_3 = მოგება დაბეგვრამდე / მიმდინარე ვალდებულებები
Y_4 = შემოსავალი რეალიზაციიდან / მთლიანი აქტივები

ეს კოეფიციენტი უსაფრთხოდ ითვლება 0,9-ის ზემოთ.

3. ზემიჯისკის მოდიფიცირებული მოდელი (The Zmijewski model) :

$$Z = 4.5x_1 - 5.7x_2 + 0.004x_3$$

x_1 - წმინდა მოგება შეფარდებული მთლიან აქტივებთან
x_2 - მთლიანი ვალდებულებების ფარდობა მთლიან აქტივებთან
x_3 - მიმდინარე აქტივების ფარდობა მიმდინარე ვალდებულებებთან
საშიშია , თუ Z < 2.1052, საწარმო გაკოტრებისკენ მიემართება

გროვერის მოდელი (Grover model):

$S = 1.650X_1 + 3.404 X_2 - 0.016$ ROA + 0.057.

X_1 -სსს / მთლიანი აქტივი
X_2 - საოპერაციო მოგება / მთლიანი აქტივი
ROA -წმინდა მოგება / მთლიანი აქტივები
Z > 1
1 > Z > 0.3357 – გაურკვევლობის არე
Z < 0.3357 - საწარმო გაკოტრებულია.

საანალიზო საწარმოების მაგალითზე შესწავლილ იქნა გაკოტრების ზემოთ დასახელებული მოდელები (იხ. ცხრილები 7.4.1. და 7.4.2).

ცხრილი 7.4.1. საწარმოთა გაკოტრების პროგნოზირების მოდელების შედეგები

საწარმოები	2016		2017		2018	
	ალთმანი უსაფრთხოა Z > 3	სპრინგეითი უსაფრთხოა Z > 0.862	ალთმანი უსაფრთხოა Z > 3	სპრინგეითი უსაფრთხოა Z > 0.862	ალთმანი უსაფრთხოა Z > 3	სპრინგეითი უსაფრთხოა Z > 0.862
1. კოკა-კოლა	2.0771 *	0.2578 *	1.6516 *	0.6963 *	1.7288 *	0.886
2. თელიანი ველი	1.6987 *	0.994 *	2.8927 *	0.7758 *	2.6294 *	0.5969 *
3. სანტე	1.1818 *	1.5141	4.0188	1.8508 *	3.648	1.3073
4. ნიკორა	2.4489 *	0.7515 *	2.7342 *	1.0805	0.8651 *	0.2318 *
5. საქ. რკინიგზა	0.8863 *	0.4071 *	0.8588 *	-1.3847 *	-0.8090 *	2.2795
6. გუდვილი	2.2262 *	0.5267 *	4.0945	1.1445	3.9964	2.0433
7. იფქლი	12.608	11.4403	5.4118	6.8746	7.7564	5.1532
8.თელასი	2.1407 *	1.0158 *	1.5171 *	0.8037 *	2.0487 *	0.8667
9. საფონდო ბირჟა	1.6089 *	0.8981	4.7827	0.7526 *	(0.2396)*	(0.3177) *
10. იმედი L	2.6776 *	0.0929 *	1.6844 *	0.9616	1.8996 *	1.2734

* წერტილებით აღნიშნულია საშიში მაჩვენებლები.

ასევე შესწავლილ იქნა (იხ. ცხრილი 7.4 2.) გროვერისა და ზემიჯევსკის გაკოტრების მოდელები.

ცხრილი 7.4.2. საწარმოთა გაკოტრების პროგნოზირების მოდელების შედეგები

საწარმოები	2016		2017		2018	
	გროვერი უსაფრთხოა Z >1	ზემეჯისკი უსაფრთხოა Z >3.11	გროვერი უსაფრთხოა Z > 1	ზემეჯისკი უსაფრთხოა Z >3.11	გროვერი უსაფრთხოა Z > 1	ზემეჯისკი უსაფრთხოა
1. კოკა-კოლა	-0.0235 *	3.9407	0.241 *	-3.2692 *	0.3001 *	-2.8517 *
2. თელიანი ველი	0.5823 *	1.7047 *	0.4818 *	-0.596 *	0.4846 *	-0.7844 *
3. სანტე	0.1978 *	1.678 *	0.8041 *	-0.6192 *		
4. ნიკორა	-0.2998 *	4.8538	0.8653 *	-4.5241 *	-0.1138 *	-1.8523 *
5. საქ. რკინიგზა	0.3584 *	2.9736 *	0.4943 *	-0.4291 *	1.0082	-5.788 *
6. გუდვილი	1.559	2.9668 *	-0.3428 *	-9.1291 *	-0.2146 *	-11.025 *1
7. იფქლი	2.817	9.5892	1.9873			
8.თელასი	0.3018 *	3.3231	0.1524 *	-2.6395 *	0.18.75 *	-2.3103 *
9. საფონდო ბირჟა	0.3652 *	4.0971	0.8882 *	-0.9231 *		
10. იმედი L	0.7573 *	0.4571 *	-0.3788 *	-4.7286 *	1.0864 *	-3.4129 *

* წერტილებით აღნიშნულია საშიში მაჩვენებლები.



ამრიგად, ოთხივე მოდელი, უმრავლეს შემთხვევაში, არასასურველ შედეგებს აჩვენებს. შეიძლება ითქვას, რომ მთელი რიგი საწარმოები, გაკოტრებისაკენ მიექანება. ჯერ-ჯერობით ჩვენთვის უცნობია, რა ვითარებაა 2019 წლის მდგომარეობით. ამას მომავალში ვნახავთ.

მენეჯმენტმა ასევე რეგულარულად უნდა შეისწავლოს შემდეგი მაჩვენებლები:

$$\textbf{კრიტიკული ლიკვიდურობის კოეფიციენტი} = \frac{\textbf{ფულადი თანხები} + \textit{\textbf{დებიტ. დავალიანება}}}{\textbf{მიმდინარე ვალდებულებები}}$$

ეს კოეფიციენტი 0.7 და 0,8 შორის უნდა მერყეობდეს.

$$\textbf{ნასესხები კაპიტალის დაფარვის ბიერის კოეფიციენტი} = \frac{\text{წმინდა მოგება} + \text{დარიცხული ამორტიზაცია}}{\text{ნასესხები კაპიტალი}};$$

ეს კოეფიციენტი 0,4 – 0,45 დაბალი არ უნდა იყოს.

ცნობილია აგრეთვე კრედიტორული დავალიანებების დაფარვის ბიერის შესწორებული კოეფიციენტი:

$$\textbf{ბიერის შესწორებული კოეფიციენტი} = \frac{\textbf{მყიდველებიდან მიღებული ფული – მოგების გადასახადი}}{\text{---------- ;}}$$

ეს კოეფიციენტი ერთზე მეტი უნდა იყოს.

რეინვესტირების კოეფიციენტი = (საერთო წმინდა ფულადი ნაკადი - დარიცხული დივიდენდი)/გრძელვადიანი აქტივების ზრდა ლარებში

საწარმოს შესაძლო გაკოტრების მიზეზებია:

- მუდმივი არსებითი დანაკარგები ძირითადი სამეურნეო საქმიანობის პროცესში;
- ვადაგადაცილებული კრედიტორული დავალიანებები;
- ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანებების ძალიან მაღალი ხვედრითი წილი;
- მოკლევადიანი სესხების გადაჭარბებული გამოყენება გრძელვადიანი აქტივების დაფინანსებისათვის;
- ლიკვიდურობის საერთო კოეფიციენტის მუდმივი დაბალი დონე;
- საკუთარი საბრუნავი სახსრების პერმანენტული უკმარისობა;
- ნასესხები სახსრების წილის გამუდმებული ზრდა დაფინანსების წყაროებში;
- რეინვესტირების არასწორი პოლიტიკა
- ინვესტორების, კრედიტორების და აქციონერების წინაშე ვალდებულებების გამუდმებული შეუსრულებლობა;
- საწარმოო მარაგების ნაშთების გაუმართლებელი ზრდა და ჩაწოლილი საქონლის არსებობა;
- საბანკო დაწესებულებებთან დაძაბული ურთიერთობების არსებობა;
- არახელსაყრელი პირობებით დაფინანსების ახალი წყაროების მოზიდვა;
- ძირითად საქმიანობაში დიდი რაოდენობით ვადაგადაცილებული და ტექნიკურად ჩამორჩენილი მოწყობილობების გამოყენება;
- გრძელვადიანი კონტრაქტების პოტენციური დანაკარგები;
- შეკვეთების პორთფელში არასასურველი ცვლილებები.

გარდა ამისა, არსებობს ისეთი ფაქტორები, რომლებიც უშუალოდ არ იწვევენ საწარმოთა მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის გამწვავებას, მაგრამ ისინი მიანიშნებენ, რომ გარკვეულ პირობებში მდგომარეობა შეიძლება გაუარესდეს. ესენია:

- მართვის აპარატის მთავარი, წამყვანი თანამშრომლების დაკარგვა;
- წარმოების პროცესის იძულებითი შეწყვეტა და არარიტმულობა;

- დასაქმებული პერსონალის არასაკმარისი დაინტერესება საწარმოს ფინანსური შედეგებით;
- საწარმოს საქმიანობის არასაკმარისი დივერსიფიკაცია ანუ საწარმოს ფინანსური შედეგების ზომაზე მეტად დამოკიდებულება ერთ კონკრეტულ პროექტზე;
- ახალი პროექტების მომგებიანობის გადაჭარბებული შეფასება;
- საწარმოს მონაწილეობა სასამართლო გარჩევებში, გაუთვალისწინებელი შედეგებით;
- მთავარი კონტრაგენტების (პარტნიორების) დაკარგვა;
- საწარმოს განუწყვეტელი ტექნიკური და ტექნოლოგიური განახლების აუცილებლობის არასწორი შეფასება;
- არაეფექტური გრძელვადიანი ხელშეკრულებები.
- არასასურველი იძულებითი ხასიათი გარე პოლიტიკური რისკები

ყველა ჩამოთვლილი ფაქტორი შესწავლილი და განხილული უნდა იქნეს საწარმოთა ფინანსური მენეჯმენტისა და დირექტორთა საბჭოს (აგრეთვე მფლობელთა) მიერ და განხორციელდეს ადეკვატური ღონისძიებები. შედეგად, გარანტირებული იქნება საწარმოთა ფინანსური უსაფრთხოება და საბოლოოდ, მაკროეკონომიკური სტაბილურობა.

თავი 8. საწარმოთა მმართველობის ანგარიშგება

8.1. საქმიანობის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს და ბასს) მოთხოვნების თანახმად, ყველა საწარმოს მოეთხოვება გამოაქვეყნონ ფინანსური ანგარიშგება, რომელსაც თან ერთვის წერილობითი განმარტებები და გაანგარიშებები, რასაც მმართველობითი ანგარიშგება ეწოდება.

ამდენად, **წლიური ანგარიშგება არის** ერთიანი დოკუმენტი, რომელიც მოიცავს სუბიექტის როგორც ფინანსურ, ისე მმართველობის ანგარიშგებას. აღსანიშნავია, რომ მმართველობითი ანგარიშგების სახელმძღვანელო თარგმნილი და გამოქვეყნებულია reportal.ge-ზე [7]. მას აქ მოკლედ მიმოვიხილავთ.

საქართველოში, საქართველოში დღეს უკვე ყველა კატეგორიის საწარმოები არიან ვალდებულნი, მოამზადონ მმართველობითი ანგარიშგება (მხოლოდ მეოთხე კატეგორიის საწარმოებს აქვთ დროებითი გადავადება ორი წლით). მაგრამ, ჩვენი აზრით, კარგი იქნება თუ მეოთხე კატეგორიის საწარმოებიც დაიწყებენ მის მომზადებას, ჯერ ერთი იმიტომ, რომ დიდ პრაქტიკულ გამოცდილებას მიიღებენ და მეორეც, მომზადებული შეხვდებიან მომავალში კანონით მიღებულ ამ ვალდებულებას.

მმართველობის ანგარიშგების მიზანია, ყევლა დაინტერესებულ პირს საშუალება მიეცეს გაეცნოს ამა თუ იმ იურიდიული პირის ინფორმაციას მისი საქმიანობის შედეგების, განვითარებისა და მდგომარეობის შესახებ. ეს ინფორმაცია შეიცავს საწარმოთა მენეჯმენტის ხედვას იმის შესახებ რაც უკვე მოხდა, რატომ მოხდა და მომხდარმა რა ზეგავლენა შეიძლება მოახდინოს საწარმოს ფინანსურ სტაბილურობაზე მომავალში. შეფასებულია, როგორია ძირითადი რისკები.

კანონის მიხედვით, მმართველობით ანგარიშგებას თან უნდა ახლდეს აუდიტორის მოსაზრება მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობისა და იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრის თაობაზე.

კანონი მმართველობითი ანგარიშგების შემადგენელ ნაწილებს განსაზღვრავს და არ ადგენს მის სტრუქტურას, რათა ის უფრო მოქნილი იყოს. მმართველობის ანგარიშგებამ წლიურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია რელევანტური და ადვილად გასაგები უნდა გახადოს. შესაძლებელია სხვადასხვა ხერხების გამოყენება ცხრილების, გრაფიკების, დიაგრამების და სხვადასხვა მანიშნებლების სახით.

კანონით რეკომენდირებულია, რომ მმართველობით ანგარიშგებაში გადმოცემულ იქნეს არსებითი ინფორმაცია, რომელიც გავლენას ახდენს გარე მომხმარებლის მიერ გადაწყვეტილებების მიღებაზე. კერძოდ დააბანდოს თუ არა ინვესტიცია, მისცეს სესხი, მიაწოდოს საქონელი თუ მომსახურება და ა.შ.

ბასს საბჭოში დღემდე მიმდინარეობს არსებითობის არსის განხილვა. რომელი ინფორმაცია არის არსებითი, რომელიც გავლენას ახდენს მისი გარე მომხმარებლების გადაწყვეტლებების მიღებაზე. ჩვენი აზრით, საკმარისია შემდეგი მაჩვენებლების შესწავლა: რამდენად მოთხოვნადია საწარმოს პროდუქტი, ბოლო ხუთი წლის განმვალობაში უნდა იყოს მომგებიანი და გადახდისუნარიანი და ჰქონდეს დაბალი ფინანსური რისკები.

მმართველობის ანგარიშგება ღიად და მიუკერძოებლად უნდა შეიცავდეს საწარმოს საქმიანობის დადებით და უარყოფით მხარეებს. ყველა აუცილებელი სპეციფიური ტერმინი უნდა იქნეს განმარტებული. საჭირო არაა ზედმეტად დეტალური ინფორმაცია და იგი იყოს ლაკონური. კონფიდენციალური ანუ კომერციული საიდუმლოებების შემცველი ინფორმაციის გამჟღავნება (მაგ. ცალკეული სახის პროდუქციის მომგებიანობა და საკალკულაციო ბარათები, ნედლეულისა და მასალების დასახელება და გადამუშავების ტექნოლოგიური რუკები და ა.შ.) სავალდებულო არ არის. ინფორმაციის წარდგენა მხოლოდ განზოგადებული სახით უნდა მოხდეს.

ამასთან, ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები ურთიერთკავშირში იმყოფება. მათ შორის კავშირი რაოდენობრივი მაჩვენებლების მეშვეობით მოწმდება. ეს კავშირები შრომის მეორე თავშია განხილული. ყველა კავშირის ჩვენება სავალდებულო არაა. მხოლოდ მთავარი კავშირები შეიძლება იქნეს ნაჩვენები. ასე მაგალითად:

აქტივი წლის ბოლოს =

= ვალდ. წლ.ბოლოს + სააქციო და საემის. კაპიტ. წლის ბოლოს +გადაფასების რეზერვი წლის ბოლოს + საწყისი გაუნაწ. მოგება და რეზერვები + წლ.შემოს. – წლ.ხარჯი - დივიდენდი

მომწოდებლებზე გადახდილი ფული = ვალდებულებები მოწოდებიდან წლის დასაწყისში + შესყიდვები წლის განმავლობაში - ვალდებულებები მოწოდებიდან წლის ბოლოს

და ა.შ.

ამ კავშირების შემოწმება ხელს უწობს დაშვებული შეცდომების გამოვლენას.

მმართველობითი ანგარიშგება სამი კომპონენტისაგან შედგება. ესენია:

I. საქმიანობის მიმოხილვა

II. კორპორაციული მართვის ანგარიშგება

III. არაფინანსური ანგარიშგება

I. მმართველობითი ანგარიშგების პირველი კომპონენტი - „საქმიანობის მიმოხილვა“, ორი ნაწილისაგან შედგება:

ა. საქმიანობის განვითარება, შედეგები და მდგომარეობა

ბ. ძირითადი რისკები და გაურკვევლობა

განვიხილავთ თითოეული განაყოფის შინაარსს.

ა). საქმიანობის განვითარება, შედეგები და მდგომარეობა.

აქ წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი საკითხები:

1. სუბიექტის განვითარების გეგმები - აქ აღწერილი უნდა იყოს საწარმოს დასახული მიზნები საქმიანობის გაფართოების (ან არ გაფართოების), აქტივების, შემოსავლების, მომგებიანობის, ინვესტიციების, გაცემული დივიდენდების, მოგების რეინვესტირების, დასაქმების ცვლილების გეგმები. ინფორმაცია სამოქმედო ბაზრების შესახებ. ასევე, ინფორმაცია სამართლებრივ და მაკროეკონომიკურ გარემოზე, თუ რა გავლენას ახდენენ ისინი საწარმოს საქმიანობასა და მის შედეგებზე.

2. ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ - თუ საწარმო კონსოლიდირებული ტიპის კომპანიაა, მაშინ, სასურველია მოკლე ინფორმაცია შვილობილი საწარმოების შესახებ. რა საქმიანობას ეწევიან ისინი და მთლიან მოგებაში რამდენი პროცენტი მოგება მოაქვთ.

3. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა - აქ უნდა ჩანდეს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა სახის კვლევებს იყენებს საწარმო დაგეგმვაში და აქვს თუ არა კვლევითი ხასიათის ურთიერთობები შესაბამისი დარგის მეცნიერებასთან (ერთობლივი კონფერენციებისა თუ სემინარების ჩატარების გზით) და ურთიერთობა სტუდენტ ახალგაზრდობასთან (პრაქტიკაზე მათი მიღების სახით). ამასთან, მიმოხილვა არ უნდა მოიცავდეს მარკეტინგული და სარეკლამო კვლევების შედეგებს. ასევე, სასურველია მმართველობით ანგარიშგებაში აისახოს, რა კვლევებს და ღონისძიებებს ატარებს საწარმო ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის დამზადების მიმართულებით.

4. აუცილებელი ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები - ამ მიმართულებით წარმოდგენილი უნდა იყოს ის ძირითდი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები, რომლებიც საწარმოს მენეჯმენტის მიერ ყველაზე ეფექტურად მიიჩნევა საწარმოს მიზნებისა და გეგმების ფაქტობრივი მიღწევების შესაფასებლად. ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები ერთმანეთისაგან მკვეთრად უნდა იყოს გამიჯნული. ფინანსური მაჩვენებლების სისტემა ზემოთ უკვე განხილულ იქნა. ყველა მაჩვენებლის განხილვა მმართველობით ანგარიშგებაში აუცილებელი არაა. აუცილებელია ნაჩვენები იქნეს გარე მომხმარებლებისათვის საინტერესო შემდეგი მაჩვენებლები: სასაქონლო მარაგების შედგენილობა, ძირითადი საშუალებების მოძრაობა, EBITDA – ეს არის მოგება ცვეთის, პროცენტის და მოგების გადასახადის ხარჯების გამოკლებამდე. ეს მაჩვენებელი საინტერესოა სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედი ფილიალების მუშაობის შედარებითი დახასიათებისათვის, სადაც ცვეთის დარიცხვის სხვადასხვა პოლიტიკა გამოიყენება. აგრეთვე, აქტივების მომგებიანობის, გადახდისუნარიანობის (ლიკვიდურობის), ფინანსური სტაბილურობის, საოპერაციო და ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტები. წარმოდგენილი უნდა იქნეს ამ მაჩვენებლების ცვლილება წინა წელთან შედარებით და დასკვნები.

არაფინანსური ღონისძიებების მაგალითებია ისეთი ფაქტები, როგორიცაა: სამუშაო ძალის განვითარება, სამუშაო ძალის დენადობა, პროდუქტიულობა, პროდუქციის ხარისხი, მომხმარებლის კმაყოფილება, დროულად მიწოდების ინოვაციური ზომები, სტრატეგიული მიზნების მიღწევა, ბაზრის წილი, აქტივობა, ლიდერობა და თანამშრომელთა კმაყოფილება. დასაქმებულთა და გარემოს დაცვის საკითხები, სოციალური პასუხისმგებლობების შესრულების ხარჯები და სხვა მსგავსი.

5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის (გამოსყიდვის) შესახებ - უნდა მოიცავდეს საკუთარი აქციების შეძენის მიზეზებს; შეძენილი და გასხვისებული აქციების რაოდენობას; მათ ნომინალურ ღირებულებას. ხოლო, ნომინალური ღირებულების არარსებობის შემთხვევაში მათ საბალანსო ღირებულებას; კაპიტალში აქციების წილობრივ მაჩვენებელს.

6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები იძლევა რეკომენდაციებს, რომ საქმიანობის მიმოხილვაში წარმოდგენილმა ანალიზმა უფრო სრულყოფილად უნდა გახადოს ფინანსური ანგარიშგების ინფორმაცია. საქმიანობის მიმოხილვა უნდა მოიცავდეს ინფორმაციას სუბიექტის მდგრადობის და მატერიალური და არამატერიალური რესურსების შესახებ. ასეთი ინფორმაცია შეიძლება მოიცავდეს ისეთ მუხლებს, რომლებიც არ არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში. ეს შეიძლება იყოს: რეპუტაცია და ბრენდის სიძლიერე, მომხმარებლები, ბუნებრივი რესურსები, დასაქმებულები, კვლევა და განვითარება, ინტელექტუალური კაპიტალი, ლიცენზიები, პატენტები, საავტორო უფლებები და სასაქონლო ნიშნები, სუბიექტის პოზიცია ბაზარზე.

ბ). ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

მმართველობის ანგარიშგების სახელმძღვანელოში [7] აღნიშნულია, რომ საქმიანობის მიმოხილვით გათვალისწინებული ძირითადი რისკები და გაურკვევლობები უნდა შემოიფარგლებოდეს იმით, რასაც ხელმძღვანელი პირები არსებითად მიიჩნევენ საწარმოს საქმიანობის განვითარების, მდგომარეობისა და სამომავლო პერსპექტივებისათვის. იგი შეიძლება მოიცავდეს საწარმოს საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის, საოპერაციო და ფულადი ნაკადების რისკებს და ინფორმაციას ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ. ხელმძღვანელი პირების მიერ მუდამ უმდა მიმდინარეობდეს მონიტორინგი, რომლის მეთოდიკა და შედეგები რეკომენდებულია ანგარიშგებაში აისახოს.

როგორც უკვე განვიხილეთ, თანამედროვე ეკონომიკურ თეორიასა და პრაქტიკაში, საწარმოს შიგა რისკების დახასიათების მიზნით ლევერიჯის (Leverage) კოეფიციენტები გამოიყენება. ლევერიჯის კოეფიციენტების კვლევას უცხოურ ლიტარატურაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია (ბრიგმან ეუგენე, სანჯაი ბორადი, ივო ველხი, ვან ჰორნი, კოვალევი და მრავალი სხვა). ქართულ ლიტერატურაში ჯერ-ჯერობით არ წერენ და მისი ანალიზური კვლევა ქართველი მეცნიერების მიერ ჯერ არ ჩატარებულა. ჩვენი აზრით, საოპერაციო და ფინანსური

რისკების მათვისა და კონტროლის მიზნებისათვის, საქართველოს საწარმოთა მენეჯმენტმა სასურველია გამოიყენოს ლევერიჯის კოეფიცენტები და ჩვენს მიერ შემუშავებული ფაქტორული მოდელები, რომელიც წინა თავშია გადმოცემული.

მმართველობით ანგარიშგებაში საჭიროდ ვთვლით, საწაროებმა რისკების გაზომვის მიზნით აჩვენონ ლევერიჯის შემდეგი კოეფიციენტები:

საოპერაციო ლევერიჯი 1 = მუდმივი ხარჯების ფარდობა ცვალებად ხარჯებთან

საოპერაციო ლევერიჯი 2 = მუდმივი ხარჯების ფარდობა საოპერაციო მოგებასთან

როცა ეს კოეფიციენტები ერთზე მეტია, არსებობს დანახარჯების არაეფექტიანად გამოყენების რისკი.

ფინანსური ლევერიჯის ძირითადიკოეფიცენტები:

ფლ1 = აქტივები / საკუთარი კაპიტალი

ფლ2 = აქტივები /(საკუთარი კაპიტალი - პრივილეგ. სააქც.კაპიტ.)

ფლ3 = საოპერაციო მოგება / მოგება დაბეგვრამდე

როცა ეს კოეფიციენტები ერთზე მეტია მაშასადამე არსებობს ფინანსური რისკი ანუ საპროცენტო ვალდებულებების დაფარვის რისკები.

ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი = საკუთარი კაპიტალი / აქტივები

ამ კოეფიციენტს საწარმოს ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტს უწოდებენ. იგი ერთზე მეტი უნდა იყოს.

ფინანსური ლევერიჯის ზოგადი მაჩვენებლის ფაქტორული ანალიზი მენეჯმენტის მიერ რეგულარულად უნდა ჩატარდეს, რომლის მეთოდიკა წინა თავშია გადმოცემული.

რაც შეეხება გაურკვევლობებს (რომელიც რისკებისაგან იმით განსხავდება, რომ მათი რაოდენობრივი გამოსახვა, თუნდაც დაახლოებით, შეუძლებელია), მენეჯმენტმა სასურველია გამოიყენოს დასავლეთის პრაქტიკაში გავრცელებული შემდეგი მეთოდები: მაქსი-მაქსი, მაქსი მინი, მინი-მაქსი [იხ. 8. გვ: 135-138].

8. 2. კორპორაციული მართვის ანგარიშგება

თანამედროვე მსოფლიოში უკვე შეუძლებელია ბიზნესის ცივილიზებული წარმართვა და განვითარება კორპორაციული მართვის მაღალი სტანდარტების დაცვის გარეშე. კორპორაციული მართვის ანგარიშგების მომზადება ევალება მხოლოდ საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებულ კომპანიებს. საწარმოთა მიერ, **„კორპორაციული მართვის ანგარიშგებაში“ წარდგენილი უნდა იქნეს:**

ა). კორპორაციული მართვის კოდექსის და პრაქტიკის მიმოხილვა;

ბ). გადახვევები კორპორაციული მართვის კოდექსიდან;

გ).ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან დაკავშირებული შიდა კონტროლისა და რისკების მართვის სისტემების მიმოხილვა;

დ). აქციონერთა და აქციონერთა საერთო კრების უფლებების და მათი განხორციელების წესების მიმოხილვა;

ე). მმართველობითი ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს (მათ შორის, დამოუკიდებელი დირექტორების) შემადგენლობისა და ფუნქციონირების მიმოხილვა;

ვ). მმართველობითი ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს მიმართ გამოყენებული დივერსიფიკაციის პოლიტიკის მიმოხილვა;

ზ). სავალდებულო სატენდერო შეთავაზების შემთხვევაში აუცილებელი ინფორმაციის მიმოხილვა.

ა). ცივილიზებული მსოფლიო და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები აღიარებენ და მხარს უჭერენ საერთაშორისო სტანდარტებს, რომელიც შემუშავებულია სხვადასხვა საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტის მიერ და ხელს უწყობს გამჭვირვალე და ეფექტიანი კაპიტალის ბაზრების ჩამოყალიბებას და კორპორაციული მართვის საუკეთესო მსოფლიო პრაქტიკის დანერგვას.

დღეისათვის მიჩნეულია, რომ არსებობს ბიზნესის ჯანსაღი ფინანსური მართვის სისტემის თორმეტი ძირითადი სტანდარტი.

1. მონეტარული და საფინანსო პოლიტიკის საუკეთესო პრაქტიკისა და გამჭვირვალობის კოდექსი - საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)
2. ფისკალური გამჭვირვალობის საუკეთესო პრაქტიკის კოდექსი (IMF)
3. სპეციალურ მონაცემთა გავრცელების სტანდარტები / ზოგად მონაცემთა გავრცელების სტანდარტები - საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)
4. გაკოტრების ეფექტური სისტემები და გაიდლაინები და კრედიტორების უფლებების სისტემა - მსოფლიო ბანკი (WB)
5. კორპორაციული მართვის პრინციპები - ეკონომიკური თანამშრომლობისა და

განვითარების ორგანიზაცია (OECD)

6. ფინანსური ანგარიშგებისა და აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები - ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო (IASB)
7. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები
8. სისტემატურად მნიშვნელოვანი გადახდის სისტემების ძირითადი პრინციპები - საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის გადახდისა და ანგარიშსწორების სისტემების კომიტეტი (CPSS) და რეკომენდაციები უსაფრთხო ანგარიშსწორების სისტემებისათვის - საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის გადახდისა და ანგარიშსწორების სისტემებისა და ფასიანი ქაღალდების კომისიების საერთაშორისო ორგანიზაციების ტექნიკური კომიტეტი (COSS და IOSCO).
9. ფინანსური ქმედებების სპეციალური ჯგუფის 40 რეკომენდაცია და ტერორისტების დაფინანსების შემთხვევების ცხრა სპეციალური რეკომენდაცია (FATF)
10. ბანკების ეფექტიანი ზედამხედველობის ძირითადი პრინციპები - ბანკების ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტი (BCBS)
11. ფასიანი ქაღალდების რეგულირების მიზნები და პრინციპები - ფასიანი ქაღალდების კომისიების საერთაშორისო ორგანიზაცია (IOSCO)
12. დაზღვევის ძირითადი პრინციპები - სადაზღვევო ზედამხედველობის საერთაშორისო ასოციაცია (IAIS)

ამრიგად, თანამედროვე ტიპის საწარმოებს აქვთ ღია ტიპის მმართველობა. რეალური სამეთვალყურეო საბჭო, არჩეული დამოუკიდებელი დირექტორები საბჭოში, ანგარიშვალდებულება, გამჭვირვალობა, სოციალური პასუხისმგებლობა და ა.შ. არის მაღალი დონის და იმიჯის, თავისუფლების და განვითარების აუცილებელი კომპონენტები. იმედია ჩვენი საწარმოები დაიწყებენ სვლას ამ მიმართულებით.

ანგარშგებაში უნდა იყოს გადმოცემული არის თუ არა საწარმოში კორპორაციული მართვის კოდექსი. თუ კორპორაციული მართვის კოდექსი საერთოდ არაა მიღებული, მაშინ, საწარმომ უნდა შეუწყოს ხელი კორპორაციული მართვის საუკეთესო პრაქტიკის დამკვიდრებას და გაასაჯაროოს ინფორმაცია ნებაყოფლობით დანერგილი მართვის პრაქტიკის შესახებ.

კორპორაციული მართვის ანგარიშგება უნდა მოიცავდეს საბჭოს კომიტეტების შემადგენლობას, ჩატარებული შეხვედრების რაოდენობას, საბჭოს შემადგენლობას მოკლე ბიოგრაფიული დეტალებით, ნებისმიერი არააღმასრულები და დამოუკიდებელი ხელმძღვანელი პირის მოკლე ბიოგრაფიას, დეტალურ ინფორმაციას ანაზღაურების შესახებ, ინტერესთა კომფლიქტის შემთხვევებს ან ურთიერთდაკავშირებულ პირებს შორის გარიგებებს, რამდენად შეესაბამება საწარმოს საქმიანობა მართვის კოდექსით დადგენილ პუნქტებს, რომელიც გასაჯაროებული უნდა იყოს ვებგვერდზე (მისამართი მიეთითება).

ბ). გადახვევები კორპორაციული მართვის კოდექსიდან.

თუ სუბიექტმა გადაწყვიტა, რომ არ დაეყრდნოს საკუთარი სურვილით შერჩეულ ან სავალდებულო კორპორაციული მართვის კოდექსს, მან უნდა განმარტოს ასეთი გადაწყვეტილებების მიზეზები.

დ). აქციონერთა და აქციონერთა საერთო კრების უფლებების და მათი განხორციელების წესების მიმოხილვა - საწარმომ უნდა გაასაჯაროოს აქციონერების შეხვედრის შედეგები და მათი ძირითადი უფლებამოსილებები, რაც მოიცავს აქციონერების უფლებების აღწერას და მათი განხორციელების გზებს, აქციონერთა ძირითად შეთანხმებებს და სხვა პირდაპირ თუ ირიბ ურთიერთობებს მთავარ აქციონერებსა და სუბიექტებს შორის. თუ სუბიექტს აქვს საკომუნიკაციო პოლიტიკა, რომელიც აქცონერებთან ეფექტური კომუნიკაციის ხელშეწყობას ემსახურება, მათ შორის ელექტრონული საშუალებებით, და ხელს უწყობს საერთო კრებაზე აქციონერთა ჩართულობას, ინფორმაცია ასეთი პოლიტიკის შესახებ უნდა გასაჯაროვდეს.

ე). მმართველობითი ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს (მათ შორის, დამოუკიდებელი დირექტორების) შემადგენლობისა და ფუნქციონირების მიმოხილვა - საწარმომ უნდა გაასაჯაროოს ადმინისტრაციული, ხელმძღვანელი პირების (მათ შორის დამოუკიდებელი დირექტორების), სამეთვალყურეო ორგანოებისა და მათი კომიტეტების შემადგენლობა და საქმიანობა. ამასთან, საუკეთესო პრაქტიკად ჩაითვლება შემდეგი საკითხების გასაჯაროება: დამოუკიდებელ დირექტორთა დამოუკიდებლობის განმსაზღვრელი კრიტერიუმები, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში გამართული საბჭოსა და კომიტეტის შეხვედრების რაოდენობა, იმ შეხვედრების რაოდენობა, რომელსაც თითოეული წევრი დაესწრო, დირექტორთა/საბჭოს წევრების მოკლე ბიოგრაფიები (CV), მათი თანამდებობაზე ყოფნის ვადა და რელევანტური (გასათვალისწინებელი) პროცედურები საბჭოს საქმიანობის შესაფასებლად.

ვ). მმართველობითი ორგანოსა და სამეთვალყურეო საბჭოს მიმართ გამოყენებული დივერსიფიკაციის პოლიტიკის მიმოხილვა - საწარმოს კორპორატიული მართვის ანგარიშგება, იმ სუბიექტების გარდა, რომლებიც მეორე და მესამე კატეგორიის საწარმოთა კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ, უნდა მოიცავდეს მმართველობითი ორგანოს და სამეთვალყურეო საბჭოს მიმართ გამოყენებული დივერსიფიკაცის პოლიტიკის (ასაკის, სქესის, კვალიფიკაციის და სხვ.) მიმოხილვას, ინფორმაციას ამ პოლიტიკის მიზნების, გამოყენებული მეთოდებისა და შესაბამის პერიოდში მიღწეული შედეგების შესახებ. აღნიშნული პოლიტიკის არარსებობის შემთხვევაში უნდა აღინიშნოს შესაბამისი მიზეზები.

ზ). სავალდებულო სატენდერო შეთავაზების შემთხვევაში აუცილებელი ინფორმაციის მიმოხილვა - იმ შემთხვევაში, როცა საწარმოს აქციები სავალდებულო სატენდერო შეთავაზების მოთხოვნის საგანს წარმოადგენს, კორპორაციული მართვის ანგარიშგებაში შემდეგი ინფორმაცია უნდა გასაჯაროვდეს: პირდაპირი ან ირიბი (ერთი აქციონერის ან აქციონერთა ჯგუფის წევრების თანხმობა) მნიშვნელობის მონაწილეობა კაპიტალში; ინფორმაცია იმ

აქციონერების შესახებ, რომლებიც ფლობენ სპეციალური კონტროლის უფლების მიმნიჭებელ აქციებს და ამ უფლების აღწერა; ინფორმაცია ხმის უფლების შეზღუდვის შესახებ; მმართველობის ორგანოების წევრების დანიშვნისა და ჩანაცვლების წესები, ასევე ინფორმაცია წესდებაში შესწორებების შესახებ; ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელი ორგანოს წევრების უფლებამოსილება.

ამდენად, კორპორაციული მართვის ანგარიშგების მომზადება და წარდგენა მთლიანად საწარმოთა მენეჯმენტის მიზანია და მის მომზადებაში ყველა ჩართული უნდა იყოს.

8.3. არაფინანსური ანგარიშგება

არაფინანსური ანგარიშგება მოიცავს: არაფინანსურ საკითხებს, საწარმოს ბიზნესმოდელის მიმოხილვას, საწარმოს საქმიანობის რისკების ანალიზს, საქმიანობის ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლებისა და გამოყენებული პოლიტიკების აღწერას.

არაფინანსური საკითხები უნდა მოიცავდეს გარემოს დაცვის, სოციალური, დასაქმების, ადამიანის უფლებების დაცვის და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებელი საქმიანობის შედეგების ინფორმაციას. რა ღონისძიებებს ატარებს საწარმო ყველა ამ მიმართულებით.

საწარმომ უნდა გაასაჯაროვოს არსებითი ინფორმაცია გარემოს დაცვის, წყლის დაბინძურების წინააღმდეგ გატარებული ღონისძიებების შესახებ.

ასევე, მიზანშეწონილია გასაჯაროვდეს ინფორმაცია ადამიანთა უფლებების დაცვის კუთხით. ყოველი თანამშრომელი უნდა იყოს უსაფრთხოდ რათა თავისუფლად გამოთქვამდეს აზრს საწარმოს შიგნით არსებულ პრობლემბზე და მათი გადაწყვეტის გზებზე. საუკეთესო პრაქტიკად ითვლება, როცა საწარმო გამოხატავს მზაობას აიღოს ადამიანის უფლებათა დაცვის ვალდებულება და ასაჯაროებს რა ადეკვატურ ზომებს მიმართავს ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევაში.

საწარმოს ბიზნესმოდელი აღწერს, როგორ ინარჩუნებს საწარმო გრძელვადიან პერსპექტივაში თავისი პროდუქციის (მომსახურების) წარმეობის ტემპებსა და ფაქტორებს, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მის მომავალ განვითარებაზე და ბაზრის წილზე.

საწარმომ უნდა გაასაჯაროს ინფორმაცია ძირითადი რისკებისა და მათი მართვისა და მიტიგაციის შესახებ. აღნიშნული რისკები შესაძლოა დაკავშირებული იყოს სუბიექტის მიერ განხორციელებულ ოპერაციებთან, პროდუქციასთან ან მომსახურებასთან, მიწოდების ჯაჭვთან და საქმიან ურთიერთობებთან ან სხვა საკითხებთან.

ანგარიშგება ასევე უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ძირითადი რისკების შესახებ, რომლებიც შეიძლება დაკავშირებული იყოს საწარმოში განხორციელებულ ოპერაციებთან, პროდუქციასთან და სხვადასხვა ურთიეთობებთან მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერიოდში.

მიზანშეწონილია აგრეთვე წარმოადგინოს ინფორმაცია იმ პოლიტიკების შესახებ, რომელიც არაფინანსური ხასიათისაა. მაგალითად, რომელი პირია პასუხისმგებელი გარემოს დაცვის, ადამიანთა უფლებების დაცვისა და სხვა მსგავს საკითხებთან დაკავშირებული პოლიტიკების გატარებაზე.

არაფინანსური მაჩვენებლებია:

სამუშო ძალის დენადობა = სამუშაოდან წასულთა რიცხვის ფარდობა დასაქმებულთა საშულო სიობრივ რიცხვთან, გამრავლებული 100%-ზე.

ეს მაჩვენებელი საშუალო დარგობრივ მაჩვენებელზე დაბალი არ უნდა იყოს.

შრომისმწარმოებლურობა = წელიწადში გამოშვებული პროდუქციის მოცულობის ფარდობა პერსონალის საშუალო წლიურ რიცხვთან.

იგი აჩვენებს, წელიწადში რამდენი ლარის პროდუქციაა გამოშვებული ყოველ ერთ ლარ დასაქმებულზე. ეს მაჩვენებელი დინამიკაში უნდა იზრდებოდეს.

გარემოს დაცვის ხარისხი = გარემოს ეკოლოგიურ გაუმჯობესებაზე (ანუ გარემოს უსაფრთხოებაზე) გაწეული ხარჯების ფარდობა რესურსების ანუ აქტივების საშუალო წლიურ ნაშთთან.

იგი საშუალო დარგობრივ მაჩვენებელზე ან საერთაშორისო სტანდარტებზე დაბალი არ უნდა იყოს.

სოციალური პასუხისმგებლობების შესრულების ხარისხი = უდრის ამ მიმართულებით გაწეული ხარჯების პროცენტულ წილს საწარმოს წლიურ მოგებაში.

ეს მაჩვენებელი რაც უფრო მაღალი იქნება 0%-ზე, მით უფრო დადებითი მოვლენაა.

ამრიგად, კომპანიების მართვის ფილოსოფია თანამედროვე პროგრესულ სამყაროში, ეს არის გამჭვირვალობა; ყოველ ადამიანზე ზრუნვა და მისი კეთილდღეობა; სამართლიანობა და კანონის უზენაესობა; პიროვნების თავისუფლება და ჯანსაღი ეკოლოგიური გარემო; მაღალი პასუხისმგებლობები და პარტნიორობა დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის; მდგრადი ეკონომიკური განვითარება.

თავი 9. გეგმური ფინანსური ანგარიშგების მომზადების მეთოდიკა

9.1. გეგმური მოგება/ზარალის ანგარიშგების მომზადება

ბიზნესში წარმატების მისაღწევად აუცილებელია დაგეგმვა, რომელიც ბიზნეს-გეგმის შედგენით იწყება. ბიზნეს-გეგმა მომავალი საქმიანობის დოკუმენტია, რომელიც საწარმოს მენეჯმენტს საშუალებას აძლევს გაერკვეს თავისი საქმიანობის ზრდის პერსპექტივაში, განჭვრიტოს ის შესაძლო ცვლილებები და პრობლემები, რომლებიც მომავალში შესაძლოა წარმოიშვას და შეაფასოს მოსალოდნელი პროგრესი და რისკები.

მეცნიერ-ეკონომისტები და პრაქტიკოსები ერთხმად აღიარებენ, რომ ნებისმიერი საქმიანობა გეგმის გარეშე ემსგავსება უკომპასო გემს, რომელიც განწირულია დაღუპვისათვის. ბიზნეს გეგმის არმქონე საწარმო ვერასოდეს ვერ მიაღწევს რესურსების ეფექტიან გამოყენებას, ეს რესურსები თვალსა და ხელს შორის გაუქრება და დიდი ალბათობით, გაკოტრდება.

აქციების გამოშვებით და ხელსაყრელი სესხით მიღებული ფული ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ წარმატება გარანტირებულია. კრედიტის აღებამდე ძალიან ადრე უნდა განისაზღვროს ამ სესხის დანიშნულება. მისი გონივრული ხარჯვა და მოსალოდნელი შედეგები, რაც ბიზნეს გეგმაში ჰპოვებს ასახვას. მენეჯმენტმა პირველ რიგში უნდა განსაზღვროს მიზანი, რის გაკეთებას აპირებს იგი. შემდეგ რაც შეიძლება სწორად უნდა დაგეგმოს ერთი მხრივ, რა რაოდენობის რესურსები სჭირდება მიზნის მიღწევას და როგორი შემადგენლობით. მეორე მხრივ, ასევე უნდა განისაზღვროს რა წყაროებით უნდა მოხდეს რესურსების შეძენა და როგორი თანაფარდობა უნდა იყოს საკუთარ და მოზიდულ კაპიტალს შორის, რათა შეარბილოს ფინანსური რისკები. ყოველივე ეს ბიზნეს გეგმაში უნდა იქნეს ასახული.

ბიზნეს გეგმა ეხმარება მეწარმეებსა და ფინანსისტებს, შეისწავლონ ბაზრის მომავალი მოთხოვნა მათ პროდუქტებზე და სწორად დაგეგმონ დანახარჯები, რათა საბოლოო ჯამში განსაზღვრონ თავიანთი პროდუქტების მომგებიანობა. აღმოაჩინონ ყველა შესაძლო წინააღმდეგობა ("წყალქვეშა ქვები"), რაც კი შეიძლება გადაეღობოს საქმიანობას. განსაზღვრონ მაჩვენებლები, რომელთა მიხედვითაც შეიძლება ყოველთვის იცოდნენ ბიზნესის მდგომარეობა აღმავლობისკენ მიდის თუ დაცემისკენ. სწორად შედგენილი ბიზნეს გეგმა პასუხს იძლევა კითხვებზე: საერთოდ ღირს თუ არა ფული დაბანდებულ იქნეს მოცემულ საქმეში (პროექტში) და სრულად ანაზღაურდება თუ არა შრომითი, მატერიალური და ფინანსური დანახარჯები.

საწარმოთა ბიზნეს გეგმის ნიშვნელოვანი ნაწილია ფინანსური გეგმა, რომელიც შეიცავს მოგების და მომგებიანობის მაჩვენებლებს და გეგმურ ფინანსურ ანგარიშგებას. პირველ რიგში შედგება მოგება/ზარალის გეგმური ანგარიშგება. ამ მიზნით გამოიყენება წარმოების ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი.

საწარმოებს, რომლებიც ხანგრძლივად მუშაობენ და უკვე წარმოების მასშტაბებისა და ზრდის ტემპების შესახებ ჩამოყალიბებული ტრადიცია აქვთ, მომგებიანობის მაჩვენებელთა და მასზე მოქმედ ფაქტორთა შესახებ სრული მონაცემები გააჩნიათ. თუკი სამომავლოდ მნიშვნელოვნად არ შეიცვლება აქტივების დაფინანსების წყაროების და მოგების გამოყენების მიმართულებების სტრუქტურა, მაშინ წარმოების ზრდის ტემპი (q) შეიძლება გამოითვალოს, საერთაშორისო პრაქტიკაში კარგად ცნობილი ფორმულით:

$$\mathbf{q} = \frac{\mathbf{r} * \mathbf{p} * \mathbf{R} * \mathbf{FD}}{\mathbf{1} - \mathbf{r} * \mathbf{p} * \mathbf{R} * \mathbf{FD}}$$

სადაც,

r - არის გაუნაწილებელი (ან რეინვესტირებული ანუ რეზერვები მოგებიდან) მოგების ფარდობა წმინდა მოგებასთან;

p - არის წმინდა მოგების ფარდობა ამონაგებთან, რომელსაც შეიძლება წმინდა მოგების მარჟა ეწოდოს;

R - არის აქტივების უკუგება ანუ ამონაგების ფარდობა აქტივების ჯამთან საბაზისო წელს, როგორც წილადის მრიცხველში, ისე - მნიშვნელში;

FD - არის ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი ანუ აქტივების ფარდობა საკუთარ კაპიტალთან.

თუკი საწარმოს ხელმძღვანელობა განიზრახავს, უფრო მაღალი ტემპით გაზარდოს ფირმის პოტენციალი, მას ეს ერთი ან რამდენიმე ფაქტორის მეშვეობით შეუძლია, როგორიცაა: დივიდენდის გაცემის პოლიტიკის შეცვლა (დივიდენდზე გასაცემი წმინდა მოგების წილის შემცირება), ფინანსური პოლიტიკის შეცვლა (მოზიდული კაპიტალის წილის ამაღლება ავანსირებულ კაპიტალში), აქტივების ბრუნვის დაჩქარება (კაპიტალუკუგების გაზრდა წარმოების ინტენსიფიკაციის გზით ანუ შრომისმწარმოებლურობის ზრდით), პროდუქციის რენტაბელობის გაზრდა წარმოებისა და მიმოქცევის ხარჯების შემცირებით.

პროგნოზირების მეთოდიკას პირობითი საწარმო „ტიტას“ მაგალითზე განვიხილავთ. დავუშვათ, 2017 წელს, სააქციო საზოგადოება "ტიტას" მოგება/ზარალის ანგარიშგების (იხ.ცხრილი 9.1.1) და ბუღალტრული ბალანსის (იხ. ცხრილი 9.1.2) მაჩვენებლები შემდეგნაირად გამოიყურება:

ცხრილი 9.1.1. მოგება/ზარალის ანგარიშგება 2017 წელს

მაჩვენებლები	ათ.ლ.
ამონაგები რეალიზაციიდან	95 690
საოპერაციო ხარჯები (შემოსავლების 85,22%)	(81 550)
არასაოპერაციო ხარჯები	(1220)
(საოპერაციო ხარჯების 1,496%)	
არასაოპერაციო შემოსავალი	200
მოგება დაბეგვრამდე	13 120
მოგების გადასახადის ხარჯი (15%)	(1 200)
წმინდა მოგება	11 920
განაწილებული მოგება (50.34%)	(6 000)
რეზერვები (49.66%)	(5 920)

ბუღალტრული ბალანსის ძირითადი მაჩვენებლები კი შემდეგნაირად გამოიყურება.

ცხრილი 9.1.2. ბუღალტრული ბალანსი (ლ) 2017 წ. 31.12

აქტივი	ათ. ლარი	კაპიტალი	ათ. ლარი
		I.ვალდებულებები	
I. **მიმდინარე აქტივები**		-ბანკის სესხები	9 600
-მიმდინარე აქტივები	13 380	-ვალდებ. მოწოდებიდან	4 100
		-დანარჩენი ვალდებულებები	4 270
ჯამი	13 380	ჯამი	17 970
II.გრძელვადიანი აქტივები		**საკუთარი კაპიტალი**	
-ძირითადი საშუალებები	19 220	-სააქციო კაპიტალი	10 360
-ნაყიდი ობლიგაციები	2 000	-საემისიო კაპიტალი	2 200
-არამატერიალური აქტივები	1 530	-გადაფასების რეზერვი	500
		-მოგებიდან შექმნილი რე-	
ჯამი	22 750	ზერვები	5 920
		-უკან გამოსყიდული აქციები	(820)
		ჯამი	18160
სულ	36 130	სულ	36 130

განვიხილოთ პროგნოზის ორი შესაძლო ვარიანტი:

I. ფინანსური მაჩვენებლების არსებული სტრუქტურა მომავალ წელს, დავუშვათ არ შეიცვლება. ამ შემთხვევაში ყველა კოეფიციენტი აიღება საანგარიშგებო მონაცემების მიხედვით.

r = 5920 / 11920 = 0,4966
p = 11920 / 95690 = 0,1246
R = 95690 / 36130 = 2,6485
FD = 36130 / 18160 = 1,9895

მაშინ, წარმოების ზრდის ტემპი იქნება:

$$q = \frac{0,4966 * 0,1246 * 2,6485 * 1,9895}{1 - (0,4966 * 0,1246 * 2,6485 * 1,9895)} = 0.326 / 0,674 = 0,484$$ ანუ 48,4%

მაშასადამე, მომავალ წელს არსებული პოტენციალის პირობებში, საწარმოს შეუძლია წარმოება და რეალიზაცია 48%-ით გაზარდოს ისე, რომ დამატებითი სახსრების მოზიდვა არ დასჭირდება.

II. ახლა განვიხილოთ ისეთი შემთხვევა, როცა მეწარმეს წარმოების 30%-ით გაზრდა სურს. ხოლო, დივიდენდების გაცემის პოლიტიკას შეცვლის და წლიური მოგების 80%-ს აქციონერებზე გაანაწილებს. 20% - რეინვესტირებისთვისაა საჭირო. შემოსავლებს სხვა საქმიანობიდან არ ელოდებიან. ასეთი ვითარებისათვის, მოგება/ზარალის პროგნოზული ანგარიშგება შემდეგნაირად მომზადდება (იხ.ცხრილი 9.1.3): ვინაიდან, შემოსავალი გაიზრდება 30%-ით ანუ 1/3-ით, ხარჯების პროცენტული თანაფარდობა შემოსავლების მიმართ იგივე რჩება. ხოლო, შეიცვლება მოგების გადასახადის გამოთვლის წესი, საქართველოს საგადასახადო კოდექსის ახალი რეგულაციების შესაბამისად, როცა გადასახადით იბეგრება მესაკუთრეებზე განაწილებული მოგება.

ცხრილი 9.1.3. მოგება/ზარალის პროგნოზული ანგარიშგება (ათასი ლარი)

მ ა ჩ ვ ე ნ ე ბ ლ ე ბ ი	**ათ. ლარი**
შემოსავალი რეალიზაციიდან (95690 * 1.3)	124 397
საოპერაციო დანახარჯები (124397 * 85,22%)	(106 011)
არასაოპერაციო ხარჯები (124397 * 1,496%)	(1 861)
წლიური მოგება (მოგება დაბეგვრამდე)	16 525
მოგების გადასახადი (16525-ის 80% * 15%)= 13220-ის 15%	(1 983)
წმინდა მოგება	14 542
დარიცხული დივიდენდი (13220-ის 85%)	(11 237)
რეზერვები მოგებიდან (20%)	(3 305)

ვინაიდან მენეჯმენტი ითვალისწინებს, რომ მოგების 80%-ს (16525* 80% = 13220 ათ.ლ) აქციონერებზე გაანაწილებს, ამიტომ მოგების გადასახადი ამ თანხიდან გამოითვლება (13220 * 15%), რომელიც არის 1983 ათ.ლარი. დარიცხული დივიდენდი კი არის განაწილებული მოგების 85% ანუ 11237 ათ.ლ (რადგან, 15% მოგების გადასახადია).

მაშასადამე, მოგება/ზარალის ანგარიშგებაში, განაწილებული მოგება შეიძლება გამოითვალოს დარიცხული დივიდენდის ფარდობით 0.85-ზე. ხოლო რაც შეეხება მოგებიდან შექმნილ რეზერვებს, მოგების ფაქტობრივი ინვესტირების (ანუ რესურსების შეძენის) შემდეგ იგი რეზერვიდან ჩამოიწერება და სააქციო (ან საწესდებო) კაპიტალს შეუერთდება. ჩვენი აზრით, უკეთესი იქნება, თუკი საწარმოთა მენეჯმენტი გეგმაში წინასწარ განსაზღვრავს, წლიური მოგების რამდენი პროცენტის რეინვესტირებას განახორციელებს. შესაძლებლად მიგვაჩნია მისი მინიმალური ზღვარი დაკანონდეს კიდეც (მაგალითად, წლიური მოგების 30%).

9.2. გეგმური ბუღალტრული ბალანსის მომზადების მეთოდიკა

მოგება/ზარალის ანგარიშგების დაგეგმვის შემდეგ შეიძლება პროგნოზული ბალანსის შედგენაც, რისთვისაც შემდეგი საფეხურების გავლაა საჭირო:

- განისაზღვრება აქტივების საერთო სიდიდე წარმოების ზრდის შესაბამისად;
- წინა წელს არსებული სტრუქტურის შესაბამისად გამოითვლება მიმდინარე და გრძელვადიანი აქტივების პროგნოზული მოცულობა. გრძელვადიანი აქტივებიდან ცალკე გამოიყოფა ნაყიდი ფასიანი ქაღალდები, რაც იმავე დონეზე დარჩება, თუკი დამატებითი შესყიდვები არაა განზრახული. ასევე, ცალკე განიხილება არამატერიალური აქტივების მოსალოდნელი სიდიდე, თუკი მათი შესყიდვა მოსალოდნელია. გაანგარიშებები მოხდება მხოლოდ ძირითადი საშუალებების მიმართ.

კრედიტორული დავალიანებების ზრდა იგეგმება აქტივების ზრდის პროპორციულად;

- რეინვესტირებული (მოგებიდან შექმნილი რეზერვების) მოგების სიდიდე (თუკი გათვალისწინებულია) გამოითვლება წინა წლის ბუღალტრული ბალანსისა და პროგნოზული მოგება/ზარალის ანგარიშგების საფუძველზე;
- დამატებითი სახსრების სიდიდე გამოითვლება როგორც სხვაობა აქტივისა და პასივის ჯამებს შორის. ან შეიძლება კორექტირებულ იქნეს აქტივების ზრდის პროპორციულად.

გამოთვლები დაგეგმვისათვის:

წლის ბოლოს არსებული ფაქტობრივი აქტივების ჯამიდან გამოიქვითება ობლიგაციები და არამატერიალური აქტივები (იხ. ცხრილი 9.2.1).

36130 – 2000 – 1530 = 32600 ათ.ლ. აქედან,
მიმდ. აქტივების წილი = 13380 / 32600 = 41,04%
ძირით. საშ. წილი = 19220 / 32600 = 58,96%
აქტივების გეგმური ზრდა = 32600 * 1,3 = 42380 ათ.ლ

ცხრილში 9.2.1, წარმოდგენილია ბუღალტრული ბალანსის მუხლების გადაანგარიშებული გეგმური თანხები. პასივის ჯამი აღმოჩნდა 3730 ათასი ლარი, რაც აქტივის ჯამზე ნაკლებია. მაშასადამე, დამატებით საჭიროა 8550 ათ. ლ (45910-37360) სახსრების მოზიდვა, რათა წარმოება 30%-ით გაიზარდოს. ეს სახსრები შეიძლება მოზიდულ იქნაეს სესხების ან საკუთარი აქციების გამოშვების გზით. მენეჯმენტი რა გადაწყვეტილებასაც მიიღებს, პროგნოზული ბალანსის კაპიტალშიც შესაბამისი მუხლი გაიზრდება მოცემული თანხით.

ცხრილი 9.2.1. პირობითი საწარმოს „ტიტას“გეგმური ბუღალტრული ბალანსი (ათ. ლ)

აქტივი	ლარი	კაპიტალი	ლარი
I. მიმდინარე აქტივები		**I. ვალდებულებები**	
- მიმდინაე აქტივები (42389 * 0.4104)	17 393	- ბანკის სესხები	9 600
		- ვალდებულებები მოწ-დან (4100 * 1.3)	5 330
----------	---------	-დანარჩენი ვალდებულებები	4 270
ჯამი	**17 393**	----------	---------
		ჯამი	**19 200**
II. გრძელვადიანი აქტივები		**II. საკუთარი კაპიტალი**	
- ძირითადი საშუალებები (42380 * 0.5896)	24 987	- სააქციო კაპიტალი (10360-820)	9 540
		- საემისიო კაპიტალი	2 200
- ნაყიდი ობლიგაციები	2 000	- გადაფასების რეზერვი	500
- არამატერიალური აქტივები	1 530	- მოგებიდან შექმნილი რეზერვები	5 920
----------	----------	----------	---------
ჯამი	36 130	ჯამი	**18 160**
----------	-------	----------	---------
სულ აქტივები	**45 910**	**სულ**	**37 360**

III. დავუშვათ, საწარმო თავის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას 70%-ით იყენებდა. მაშინ, არსებული ძირითადი საშუალებები საკმარისია 136700 (95690/0.7) ათასი ლარი რეალიზაციის მოცულობისათვის, რაც რეალიზაციის ამოსავალ მოცულობას 43%-ით აღემატება (136700/95690 *100). ამდენად, წარმოების 15%-იანი ზრდისათვის, ძირითად საშუალებებში სახსრების დამატებითი დაბანდებები საჭირო არ იქნება.

IV. თუკი საწარმო თავის რესურსებს 90%-ით გამოიყენებდა მაშინ, ძირითადი საშუალებები 106322 ათასი ლარის (95690/0,9) რეალიზაციას უზრუნველყოფს, რაც რეალიზაციის ამოსავალ

მოცულობას 11%-ით აღემატება და საჭირო გახდება დამატებითი სახსრების მოზიდვა ძირითადი საშუალებების შესაძენად. კერძოდ, ფონდუკუგება იქნება 95690/19220 = 4,98 ლ. ფონდუკუგება აჩვენებს რამდენი ლარი შემოსავალი მიიღება ერთ ლარ ძირითად საშუალებებზე. ფონდუკუგების მოცემული დონის შემთხვევაში კი 124397 ათ. ლარის რეალიზაციის უზრუნველყოფას 24979 ათ. ლარის (124397/4,98) ძირითადი საშუალებები დასჭირდება.

9.3. გეგმური ფულადი ნაკადების ანგარიშგების მომზადების მეთოდიკა

საწარმოს ფინანსური მმართველობის ერთ-ერთი მთვარი ამოცანაა ფულადი თანხების შემოდინებისა და გადინების შესაძლო ნაკადების განსაზღვრა. მაჩვენებლების უმრავლესობის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია. ამიტომ პროგნოზირება ხდება წინა რამდენიმეწლიანი (5-10წ) პერიოდის ანალიზის საფუძველზე.

ფულადი ნაკადების პროგნოზირება ყველაზე რეალურია სამ წლამდე პერიოდისათვის. წლის შიგნით კი გეგმები დაყოფილია კვარტლებად და თვეებად. პროგნოზირების მეთოდიკის პროცედურები შემდეგი თანმიმდევრობით ხორციელდება:

- ფულის შემოსულობების პროგნოზირება;
- ფულის გადინების პროგნოზირება;
- წმინდა ფულადი ნაკადების (მეტობის ან დეფიციტის) განსაზღვრა წლისა და თვეების მიხედვით;
- მოკლევადიან დაფინანსებაზე მოთხოვნის საჭიროების განსაზღვრა პერიოდების მიხედვით;

პირველ ეტაპზე, ჯერ განისაზღვრება რეალიზაციიდან ფულის მოსალოდნელი შემოდინების მოცულობა. როგორც წესი, პროდუქციის რეალიზაცია, საწარმოში ფულის შემოსვლის ძირითადი წყაროა. რეალიზაცია, როგორც ცნობილია, ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით შეიძლება განხორციელდეს. უნაღდო ანგარიშსწორების დროს, მეწარმეები აკვირდებიან მათ მყიდველებს, საშუალოდ რა დრო სჭირდება მათ ანგარიშის განაღდებისთვის. ამ დაკვირვებების საფუძველზე განისაზღვრება, რა რაოდენობის ფულადი შემოსავალი შეიძლება იქნეს მიღებული მიმდინარე პერიოდში და რამდენი – მომავალში. ფულადი შემოსულობები შეიძლება გამოითვალოს შემდეგი საბალანსო ტოლობით:

დებიტორული დავ. პროგნოზული საწყისი ნაშთი + პერიოდის შემოსავალი რეალიზ. =
= შემოსული ფული პერიოდში + დებიტორული დავალიანების საბოლოო ნაშთი გეგმით

ამ ტოლობიდან გამოითვლება მისაღები ფულის სიდიდე, დაიგეგმება რა დებიტორული დავალიანებების საბოლოო ნაშთი.

დებიტორული დავალიანებების გეგმური სიდიდე = დებიტ. დავ. წინა წლის ბოლოს +
+ გეგმური რეალიზაცია - რეალიზაციიდან მისაღები გეგმური თანხა პერიოდში.

რეალიზაციიდან მისაღები ფულადი ნაკადების გეგმური მაჩვენებელი გამოითვლება საწარმოში არსებული გამოცდილების საფუძველზე, თუ როგორი თანმიმდევრობით იხდიან კლიენტები დავალიანებებს. თუ მოსალოდნელია ფულის შემოსვლა სხვა ოპერაციებიდან, მათი სიდიდე პირდაპირი გაანგარიშებებით განისაზღვრება.

მეორე ეტაპზე ხდება ფულის გასავლების მიმართულების დადგენა და შესაბამისი მოცულობების გამოთვლა. პირველის მსგავსად, მოხდება კრედიტორული დავალიანებების პერიოდიზაცია. კრედიტორული დავალიანების დაფარვის მაქსიმალური ვადაა 90 დღე. მის ზემოთ არსებული დავალიანება ვადაგადაცილებულად ითვლება. ამასთან, მეწარმე ცდილობს პირველ რიგში ძვირადღირებული დავალიანებები დაფაროს, რადგან მათი დაგვიანებისას დიდი ჯარიმების გადახდა მოუწევს.

კრედიტორული დავალიანებების გეგმური სიდიდე პერიოდის ბოლოს = კრედიტ.დავ.ნაშთი წინა წლის ბოლოს + შესყიდვების გეგმური მოცულობა - შესყიდვების მოსალოდნელი განაღდება

ასევე, პირდაპირი გამოთვლებით განისაზღვრება ხელფასების, მუდმივი და ცვლადი ხარჯების, კაპიტალური დაბანდებების, მოგების გადასახადის, გასაცემი დივიდენდის, პროცენტების და ა.შ. დაფარვისათვის საჭირო ფულადი თანხები.

მესამე ეტაპი, ფულადი ნაკადების პროგნოზირების პირველი ორი ეტაპის, ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს. კერძოდ, ფულადი ნაკადების მოსალოდნელ შემოსულობებს, დაუპირისპირებენ მოსალოდნელ გასავლებს და მიიღება წმინდა ფულადი ნაკადი (მეტობა ან დეფიციტი).

მეოთხე ეტაპზე, წინა გამოთვლების საფუძველზე გაიანგარიშება ფულზე მოთხოვნა მოკლევადიანი დაფინანსებისათვის, რომლის საფუძველზე მოკლევადიანი საბანკო სესხების საჭიროება წლის შიგნით, პერიოდების მიხედვით გამოითვლება.

გაანგარიშებების დროს, მოულოდნელი საჭიროებებისათვის აგრეთვე აუცილებელია ფულადი რესურსების მინიმალური რაოდენობის არსებობა ფულის საბანკო ანგარიშებზე.

ამას ვაჩვენებთ პირობით მაგალითზე:

დავუშვათ, წინა წლების ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ საწარმო წლიურად, საშუალოდ პროდუქციის 80%-ს უნაღდოდ და 20%-ს ნაღდ ანგარიშზე ყიდის. როგორც წესი,

საწარმო თავის კლიენტებს სთავაზობს შეღავათს 30 დღიანი განაღდებისათვის. სტატისტიკა აჩვენებს, რომ მყიდველების მიერ, დავალიანების 70% დროულად ნაზღაურდება, დანარჩენი 30% კი შემდეგ თვეში.

გეგმური რეალიზაციის პერიოდიზაცია პირველ კვარტალში შეადგენს:

იანვარში - 30 მლნ ლ
თებერვალში - 38 მლნ ლ
მარტში - 43 მლნ ლ

ამასთან, პროგნოზით, დანარჩენი საქმიანობიდან მიღებული ფულადი თანხები იქნება: იანვარში – 3; თებერვალში – 2,5 და მარტში – 3,1 მლნ ლარი.

გასული წლის ნოემბერში რეალიზაციის ფაქტიური მოცულობა 29 მლნ ლარი იყო, მ.შ. კრედიტით რეალიზაცია – 23,3; დეკემბერში – 28; მ.შ. კრედიტით 22,4 მლნ ლ. დებიტორული დავალიანება წინა წლის ბოლოს 10 მლნ ლარს შეადგენდა.

შევადგინოთ პირველი კვარტლის ფულადი სახსრების ბიუჯეტი.

საჭიროა შემდეგი საფეხურების გავლა:

- ფულადი საშუალებების შემოსულობებისა და დებიტორული დავალიანებების ნაშთების ცხრილის მომზადება;
- ფულადი საშუალებების გასვლის და კრედიტორული დავალიანებების ნაშთების ცხრილის მომზადება;
- ფულადი სახსრების პროგნოზული ბიუჯეტის შედგენა;
- საჭირო მოკლევადიანი დაფინანსების გაანგარიშება.

ფულის შემოდინების გაანგარიშება შემდეგნაირად ხდება.

გამოთვლები იანვრისათვის:

1. ნაღდი ფული რეალიზაციიდან = 30 ათ. ლარის 20% = 6 მლნ ლარი
2. დეკემბერში კრედიტით გაყიდული პროდუქციის 70% შემოვა იანვარში = 22,4-ის 70%= = 15,68
6. იანვარში ასევე შემოვა წინას წინა თვიდან, ნოემბრის კრედიტით გაყიდვების 30% = = 23,3-ის 30% = 7 მლნ ლ
7. დებიტორული დავალიანებების საბოლოო ნაშთი = (10+30) – 28,68 = 11,32 მლნ ლ

გამოთვლები თებერვლისათვის:

1. ნაღდი ფულით რეალიზაცია = 38-ის 20% = 8,6 მლნ ლ
2. იანვარში კრედიტით გაყიდული პროდუქციის 70% შემოვა თებერვალში =

= 24-ის 70% = 16,8

3. თებერვალში ასევე შემოვა წინას წინა თვის, დეკემბრის კრედიტით გაყიდვების 30% =
= 22,4-ის 30% = 6,72 მლნ ლარი
4. დებიტორული დავალიანებების საბოლოო ნაშთი = (11,32 + 38) – 31,12 = 18,2

ცხრილი 9.3.1. ფულადი სახსრების შემოსულობები და დებიტორული დავალიანებების დინამიკა (მლნ ლარებში)

მაჩვენებლები	იანვარი	თებერვალი	მარტი
დებიტორული დავალიანება პერიოდის დასაწყისში	10,0	11,32	18,2
ამონაგები რეალიზაციიდან გეგმით	30,0	38,0	43,0
მ.შ. რეალიზაცია კრედიტით (80%)	24,0	30,4	34,4
ფულის შემოდინება:			
ნაღდი ფულით, მიმდინარე თვის რეალიზაციიდან	6,0	7,6	8,6
წინა თვის კრედიტით რეალიზაციიდან (70%)	15,68	16,8	21,28
კრედიტით რეალიზაციის 30% წინას წინა თვიდან	7,0	6,72	7,2
სულ ფულის შემოსვლა	28,68	31,12	37,08
დებიტორული დავალიანების საბოლოო ნაშთი	11,32	18,2	24,12

გამოთვლები მარტისათვის:

1. ნაღდი ფულით რეალიზაცია = 43-ის 20% = 8,6 მლნ ლ
2. თებერვალში კრედიტით გაყიდვების 70% შემოვა მარტში = 30,4-ის 70% = 21,28 მლნ ლ
3. წინას წინა თვის, იანვრის კრედიტით გაყიდვების 30% = 24-ის 30% = 7,2 მლნ ლ
4. დებიტორული დავალიანებების საბოლოო ნაშთი = (18,2+43) – 37,08 = 24,12 მლნ ლ.

პირველი ცხრილის შემდეგ, მომზადდება ფულადი სახსრების გადინების და კრედიტორული დავალიანებების დინამიკის ცხრილი. რომელშიც, რეალიზაციის მოცულობის ნაცვლად გამოყენებული იქნება შესყიდვების მაჩვენებლები.

ფულის შემოსულობებისა და გადინების დინამიკის ცხრილების საფუძველზე მომზადდება ფულადი სახსრების მოძრაობის პროგნოზული ბიუჯეტი, რომელიც (9.3.2) ცხრილშია მოცემული (მაგალითში ფულის გასვლის მაჩვენებლებს მზა სახით მოვიტანთ. ხოლო პრაქტიკაში ფულის მოძრაობის პროგნოზი უფრო დეტალიზებულია). მსგავსი გამოთვლების შესაბამისად დაიგეგმება ფულის მოძრაობა ოთხივე კვარტლისთვის.

ცხრილი 9.3.2. ფულადი თანხების მოძრაობის პროგნოზი (მლნ ლარი)

მაჩვენებლები	იანვარი	თებერვალი	მარტი
1.ფულადი თანხების შემოდინება			
-პროდუქციის რეალიზაციიდან	28,68	31,12	37,08
- დანარჩენი საქმიანობიადან (განისაზ-ღვრება პირდაპირი გამოთვლებით)	3,0	2,5	3,1
ფულის შემოსულობა სულ	31,68	33,68	40,18
8. ფულის გადინება			
-კრედიტორული დავალიანებების დასაფარად	25,0	24,0	25,0
- ხელფასების გასაცემად	8,5	9,2	10,0
- სხვა გადახდები	3,0	3,5	4,0
გადინება სულ	36,5	36,7	39,0
ფულადი თანხების მეტობა (დეფიციტი)	(4,82)	(3,02)	1,18

9.3.2 ცხრილიდან ჩანს, რომ საწარმოს ფულის დეფიციტის დასაფარავად იანვარსა და თებერვალში ფულადი სახსრების დამატებითი მოზიდვა დასჭირდება. ამისათვის, შედგება საჭირო სესხების გაანგარიშების ცხრილი (იხ. ცხრილი 9.3.3). ფულის დეფიციტი ნიშნავს ფულის უკმარისობას ანუ ვალდებულებების დროულად დაფარვის უუნარობას.

ცხრილი 9.3.3. საჭირო მოკლევადიანი სესხების გაანგარიშება (მლნ ლარი)

მაჩვენებლები	იანვარი	თებერვალი	მარტი
1.ფულადი სახსრების სავარაუდო საწყისი ნაშთი	1,5	4,0	3,5
2.ფულადი სახსრების მოსალოდნელი წმინდა ნაკადი	(4,82)	(3,02)	1,18
	(3,32)		
9. ფულადი სახსრების საბოლოო სავარაუდო ნაშთ (1 + 2)		0,98	4,68
10. თავისუფალი ფულადი თანხების ნაშთ	3,0		
დადგენილი	6,32	3,0	3,0
მინიმუმი საბანკო ანგარიშებზე		2,02	-
11. მოთხოვნა მოკლევადიან სესხებზე (4 – 3)			

ამდენად, 9.3.3 ცხრილის გაანგარიშებების თანახმად, საანალიზო საწარმოს იანვარსა და თებერვალში ფულადი თანხების საჭირო სავარაუდო საბოლოო ნაშთები ნაკლებია ფულის მინიმალურ მოთხოვნაზე. შესაბამისად, ამ თვეებში წარმოიშვა მოკლევადიანი სესხების საჭიროება.

გეგმური ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტს დაეხმარება ფაქტობრივი მაჩვენებლების გეგმიდან გადახრების ანალიზისა და შესაბამისი შიდა რეკომენდაციების შემუშავებასა და დანერგვის პროცესებში. ყოველივე ეს საწარმოებში შექმნის მართვის ოპერატიულ და ეფექტიან გარემოს.

ასეთია, გეგმური ფინანსური ანგარიშგების მომზადების მეთოდიკა. მენჯმენტმა იგი ყოველი წლისათვის უნდა მოამზადოს, რა თქმა უნდა, მთავარ ბუღალტერთან ერთად, რომელიც ასევე მენეჯმენტის ანუ მართვის სისტემაში იმყოფება.

დასკვნა

ამრიგად, სამეცნიერო-კვლევით პროექტში: „ფინანსური ანგარიშგების გამჭვირვალობის მნიშვნელობა და მისი ანალიზის გაუმჯობესების გზები საქართველოს საწარმოებში“ - გადმოცემულია საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების ანალიზის შემდგომი სრულყოფის აქტუალური საკითხები საქართველოს საწარმოებისათვის. ისინი ვალდებულნი არიან ფინანსური ანგარიშგება გამოაქვეყნონ, რაც მართლაც პროგრესული მოვლენაა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების, საწარმოთა ეკონომიკური ზრდის, ფინანსური სტაბილურობის, საწარმოებს შორის პარტნიორული ურთიერთობების დამკვიდრებისა და წინსვლის გზაზე.

ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის მომხმარებლებისათვის, მათ მიერ სწორი გადაწყვეტილებების მისაღებად აუცილებელია, მათ შეძლონ ფინანსური ანგარიშგების ანალიზის სათანადო დონეზე ჩატარება. სრულყოფილი და გააზრებული ანალიზის გარეშე, ფინანსური ანგარიშგება რაც არ უნდა შესაბამისი და სამართლიანად წარდგენილი იყოს, მისი მომხმარებლები სწორი გადაწყვეტილებების მიღებას ვერ შეძლებენ. ამდენად, ფინანსური ანგარიშგების ანალიზის მეთოდიკის შესწავლა მეტად აქტუალურია მენეჯმენტის, საერთოდ ეკონომისტებისა და ყველა მისი მომხმარებლისათვის.

საწარმოთა მენეჯმენტმა ფინანსური ანგარიშგების ანალიზის შედეგები უნდა გამოიყენოს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის და რისკების შეფასებისა და ადეკვატური გადაწყვეტილებების მიღებისა და დანერგვისათვის. მას შეუძლია სიღრმისეული ფაქტორული ანალიზი ჩაატაროს. რადგან არ განიცდის ინფორმაციის მისაწვდომობის პრობლემას და თან, უფრო მეტი მიზნები გააჩნია.

ინფორმაციის გარე მომხმარებლებს, როგორიცაა: პოტენციური ინვესტორები, ბანკები და სხვა კრედიტორები, მყიდველები, მეცნიერები, პოლიტიკოსები, ჟურნალისტები და სხვა, ასევე სჭირდებათ საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების ინფორმაცია სხვადასხვა დასკვნების გასაკეთებლად. მეცნიერება, როგორც წესი, საინფორმაციო წყაროების შესწავლის საფუძველზე აკეთებს შესაბამის დასკვნებს და იძლევა რეკომენდაციებს, რაც ეხმარება ეკონომიკის წინსვლასა და განვითარებას. იმავდროულად ხდება თვით მეცნიერული აზროვნების განვითარება.

კვლევის მიზანი იყო ფინანსური ანგარიშგების ანალიზის მეთოდიკის სრულყოფა საქართველოს საწარმოებისათვის, რომელიც სწორი გადაწყვეტილებების მისაღებად მნიშვნელოვანია ანგარიშგების გარე მომხმარებლების, საწარმოთა ფინანსური მენეჯმენტისა და საზოგადოებაში ამ საკითხით დაინტერესებული სხვა პირებისთვის.

კვლევის ობექტების სახით შერჩეულ იქნა ათი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ესენია: სააქციო საზოგადოებები: კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯია, თელიანი ველი, საქართველოს

რკინიგზა, გუდვილი, ნიკორა ტრეიდი, თელასი, საფონდო ბირჟა, იმედი L, შეზღუდული პასუხიმსმგებლობის საზოგადოებები:სანტე და იფქლი დიღომი.

წინამდებარე კვლევის პირდაპირი მიზანი არ ყოფილა საწარმოთა ფინანსური სტაბილურობის ტენდენციების გამოკვლევა საქართველოში და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება. თუმცა ამ საკითხს გვერდს ვერ ავუვლიდით, როგორც კვლევის თანაშედეგი.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე დასახულ იქნა შემდეგი ამოცანები:

1. ფინანსური ანგარიშგების ანალიზის მეთოდების თეორიული ასპექტების მიმოხილვა;

2. ფინანსური ანგარიშგების ანალიზის ემპირიული შედეგების გამოვლენა შერჩეული საწარმოების მაგალითზე (მინიმუმ სამი დარგობრივი მიმართულებიდან);

3. საქართველოს საწარმოებში ფინანსური ანგარიშგების ანალიზის მეთოდიკის იმპლემენტაციის მიმართულებების შემუშავება ფინანსური ანგარიშგების ანალიზის რეგულარულად გამოყენების მიზნით

4. ფინანსური ანგარიშგების ანალიზის ისეთი მოდელის შემუშავება, რომლის მიხედვითაც ყველა საწარმოს ფინანსური საქმიანობის შეფასება შესაძლებელი გახდება ერთიანი და მარტივი მეთოდიკით.

დასმული ამოცანების შესაბამისად, შრომაში გადმოცემულია ფინანსური ანგარიშგების კომპონენტების მიმოხილვა და ანალიზის მეთოდიკა.

ბუღალტრული ბალანსის ინფორმაციის საფუძველზე საწარმოთა მენეჯმენტს შეუძლია დაადგინოს როგორია საწარმოს ფინანსური პოზიციები, გადახდისუნარიანობა და ფინანსური სტაბილურობის ხარისხი.

"კარგი" ბუღალტრული ბალანსი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ა). საანგარიშო პერიოდის ბოლოს ბალანსის აქტივი იზრდება პერიოდის დასაწყისთან შედარებით, ხოლო მისი ზრდის ტემპი უფრო მაღალია, ვიდრე ინფლაციის მაჩვენებელი, მაგრამ არა უფრო მაღალი ვიდრე შემოსავლის ზრდის ტემპი;

ბ) მიმდინარე აქტივების ზრდის ტემპი უფრო მაღალია, ვიდრე გრძელვადიანი აქტივებისა და მოკლევადიანი ვალდებულებების ზრდის ტემპები;

გ) დაფინანსების გრძელვადიანი წყაროების (საკუთარი კაპიტალი და გრძელვადიანი ნასესხები კაპიტალი) ზრდის ტემპი არ აღემატება მიმდინარე აქტივების შესაბამის მაჩვენებლებს;

დ) საკუთარი კაპიტალის წილი ბალანსის აქტივების 50% ზე ნაკლები არაა;

ე) დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების სიდიდე, წილი და ზრდის ტემპი დაახლოებით ერთნაირია;

ვ) ბალანსში არ არის დაუფარავი ზარალი.

ზ. საკუთარი კაპიტალი აქტივებზე უფრო სწრაფად უნდა იზრდებოდეს, რადგან ფინანსური დამოუკიდებლობა კომპანიებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

მოგება/ზარალის ანგარიშგების ანალიზის მეშვეობით შესაძლებელი ხდება შეფასდეს:

რამდენად მომგებიანად იყენებს საწარმო რესურსებს; როგორია დანახარჯების სტრუქტურული ცვლილებები, ხარჯების უკუგება, მოგების მაჩვენებლების ზრდის ტემპები, მომგებიანობის სხვადასხვა მაჩვენებლების ტენდენციები;

მოგება/ზარალის ანგარიშგების მაჩვენებლებს შორის თანაფარდობის სამი ძირითადი წესი არსებობს. ესენია:

ა. შემოსავალი უნდა გაიზარდოს და უფრო სწრაფად, ვიდრე აქტივები.

ბ. ხარჯები ან უნდა შემცირდეს ან გაიზარდოს უფრო ნელა, ვიდრე შემოსავალი. ეს არის ფინანსური შედეგის ზრდის გასაღები.

გ. მოგების ყველა მაჩვენებელი უფრო ინტენსიურად უნდა იზრდებოდეს, ვიდრე შემოსავალი.

საგანგაშო მდგომარეობაა როდესაც:

- მმართველობითი ხარჯების ზრდის ტემპი უსწრებს თვითღირებულების ზრდის ტემპს:
- ადმინისტრაციული ხარჯები არაადეკვატურია, მაგალითად, წარმოების ხარჯებთან შედარებით.
- „სხვა ხარჯების“ ზრდის ტემპი მაღალია, ჩვეულებრივი საქმიანობის ხარჯების ზრდის ტემპთან შედარებით. მაგალითად, პროცენტის ხარჯები სესხებზე და კრედიტებზე, ჩამოწერილი უიმედო დებიტორული სახსრები. „სხვა ხარჯების“ მნიშვნელოვანი ზრდის ტემპი მოითხოვს სიღრმისეული ანალიზის ჩატარების მენეჯმენტის მხრიდან.

ფულადი ნაკადების ანგარიშგების ანალიზი საშუალებას იძლევა შესწავლილ იქნეს: რამდენად ფარავს საწარმო ძირითად ვალდებულებებს საკუთარი აქტიურობით გამომუშავებული ფულით; სჭირდება თუ არა დამატებითი სახსრების მოზიდვა და რომელი გზებითაა ეს შესაძლებელი; გააჩნია თუ არა ფულის დეფიციტი და რომელი მიმართულებით; როგორია ფულის ბრუნვის სიჩქარე; რამდენად იფარება დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები. ნორმალური ფუნქციონირების პირობებში საწარმოს არ უნდა ჰქონდეს ფულის დეფიციტი განსაკუთრებით საოპერაციო და საფინანსო საქმიანობიდან, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ საწარმოს ფულის პრობლემა არ გააჩნია.

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება პასუხს იძლევა კითხვებზე: რომელი სახის აქციებია გამოშვებული და როგორი სტრუქტურით; მიიღწევა თუ არა საკუთარი კაპიტალის ზრდა მოგების ხარჯზე, ხდება თუ არა მოგების რეინვესტირება საწარმოში; გაიცემა თუ არა დივიდენდები ან მოგების წილი მესაკუთრეებზე; როგორია აქციების შემოსავლიანობის დონე.

შერჩეული საწარმოების ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვის შედეგად აღმოჩნდა:

ა. ძირითადად, ყველა საწარმო წარადგენს ანგარიშგების ხუთივე კომპონენტს. თან ახლავს დამოუკიდებელი აუდიტორის დასკნა და მმართველობის ანგარიშგება.

ბ. მმართველობის ანგარიშგებაში შედის ა).საქმიანობის მიმოხილვა, ბ).კორპორაციული მართვის ანგარიშგება და გ). არაფინანსური ანგარიშგება.

„საქმიანობის მიმოხილვაში“ გადმოცემულია ვინ არიან საწარმოთა ხელმძღვანელობის პასუხისმგებელი პირები; მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა სადაც წარმოდგენილია ინფორმაცია ხელმძღვანელობის, სააღრიცხვო პოლიტიკის, მარაგების, ძირითადი საშუალებების, დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების მდგომარეობის შესახებ; გამოთვლილია მოგება ცვეთის, პროცენტისა და მოგების გადასახადის გადახდამდე (EBITDA); ზოგიერთს გამოთვლილი აქვს ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტიც.

გ. გახსნილია საკუთარი კაპიტალის ინფორმაცია აქციების გამოშვების და უკან გამოსყიდვის შესხებ.

დ. გაშიფრულია აღებული სესხები კრედიტორების, ვადიანობის და საპროცენტო ხარჯების მიხედვით;

ე. მოცემულია დანახარჯების სტრუქტურული დეტალიზაცია ეკონომიკური ელემენტების მიხედვით;

ვ. ახსნილია რისკების სახეები (საკრედიტო რისკი, სავალუტი რისკი, საპროცენტო განაკვეთების რისკი) და მათი მოსალოდნელი ზეგავლენა საწარმოს ფინანსურ შედეგებზე;

ზ. წარმოდგენილია ინფორმაცია შვილობილ და საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოების მიმართ მოთხოვნების და ვალდებულებების შესახებ; საინვესტიციო გარიგებების შესახებ.

თ. ზოგიერთი საწარმოს მიერ, წლიურ ანგარიშთან ერთად აგრეთვე წარმოდგენილია ხელმძღვანელობის წლიური ანგარიში, რომელშიც ასახულია საქმიანობის შედეგების, მოსახლეობის სოციალური დახმარებისა და გარემოს დაცვის ღონისძიებების, კადრების პროფესიონალიზმის ამაღლების, ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით გაწეული ღონისძიებების შესახებ (მაგ. სს თელიანი ველი).

ი. ინფორმაციის საიმედოობა დადასტურებულია ფინანსურ ანგარიშგებაზე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნის თანდართვით.

კვლევის დროს, ფინანსური ანგარიშგების წარდგენაში დაფიქსირდა ზოგიერთი ხარვეზი:

1. ზოგჯერ ბუღალტრულ ბალანსში გამოყოფილი არაა მიმდინარე და გრძელვადიანი აქტივები. ასევე კლასიფიცირებული არაა გრძელვადანი და მოკლევადიანი ვალდებულებები (მაგ.„ სს იფქლი დიღომი“, „იმედი ლ“).

2. თელასის ბალანსში არაა საკუთარი კაპიტალის მუხლები იდენტიფიცირებიული. ასევე არაა მოკლევადიანი და გრძელვადიანი აქტივების მუხლობრივად (თელასი, ნიკორა);

3. იყო შემთხვევა, როცა წარმოდგენილია მხოლოდ ბალანსი და მოგება/ზარალის. ანგარიშგება (თელასი 2017წ.)

4. ადგილი აქვს ტერმინების უზუსტობას მოგება/ზარალის ანგარიშგებაში. ზოგჯერ, „წმინდა მოგება“ წარმოდგენილია როგორც - „წლის მოგება“. ზოგჯერ როგორც „გაუნაწილებელი მოგება“.

5.ფულადი ნაკადების ანგარიშგება არ არის მომზადებული პირდაპირი მეთოდით; რაც მის ანალიზურ მნიშვნელობას აკნინებს, რადგან არ ჩანს საოპერაციო საქმიანობაში ფული რაზე იხარჯებოდა და საიდან მიედინებოდა საწარმოში.

6.ზოგიერთ საწარმოში გამოთვლილი არაა წლიური საერთო წმინდა ფულადი ნაკადი;

7.როგორც წესი, წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში ორი წლის: მიმდინარე და წინა წლის ინფორმაცია უნდა იყოს წარდგენილი. ზოგიერთი საწარმოს ანგარიშგებაში არაა წინა წლის ინფორმაცია ნაჩვენები (თელასი);

8. ზოგჯერ „კაპიტალი“ გაიგივებულია მხოლოდ „საკუთარ კაპიტალთან“.

9. საწარმოთა საკუთარი კაპიტალის ანგარიშგებაში კვლავ არის მაჩვენებელი: „გაუნაწილებელი მოგება“, რაც მოგების გადასახადის ახალი რეგულაციების მოთხოვნების შედეგად, აღარ უნდა დარჩეს. მოგება ან მთლიანად მესაკუთრეებზე განაწილდება ან მეორე ნაწილით რეინვესტირების რეზერვი უნდა შეიქმნას.

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ფორმატის მიმოხილვის შემდეგ, ჩვენ ფინანსური ანგარიშგების ანალიზის მეთოდიკა წარმოვადგინეთ შერჩეული საწარმოების მაგალითზე და როგორც კვლევის თანაშედეგი, შრომაში აგრეთვე წარმოვადგინეთ, თუ როგორია ჩვენი კომპანიების ფინანსური სტაბილურობა, ეფექტიანობა, გადახდისუნარიანობა და უსაფრთხოება (პერსპექტივები).

ბუღალტრული ბალანსის (ანუ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების) კოეფიციენტების ანალიზის შედეგად აღმოჩნდა:

1. ძალიან დაბალია აქციების ნომინალური ღირებულება. ზოგჯერ ერთი თეთრიც არაა.

2. ზოგიერთ საწარმოს არ გააჩნია საკუთარი საბრუნავი საშუალებები. მაგალითად, კოკა-კოლაში ბალანსით მოკლევადიანი აქტივები სამივე წელს ნაკლებია მოკლევადიან ვალდებულებებზე, ე.ი,საკუთარი საბრუნავი საშუალებები არ გააჩნია. მაშასადამე არასტაბილური ფინანსური მდგომარეობაა. მენეჯმენტმა სამი წლის განმავლობაში ეს პრობლემა ვერ გადაწყვიტა;

3. საერთო გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი ნორმის ფარგლებში ორსა და სამს შორის მხოლოდ „თელიანი ველსა“ და „იფქლი დიღომში“ იყო. ასევე, ინვესტირების კოეფიციენტი მრავალ საწარმოში ერთზე დაბალია (ცხრილი 3.4.2);

4. მიმდინარე აქტივებში ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობა შენელებულია;

5. შემოსავლების მიმართ წმინდა მოგების ფარდობის კოეფიციენტის ხშირი მერყეობა უარყოფით გალენას ახდენს მოგების რეინვესტირების პოლიტიკაზეც.

მოგება არის არა მხოლოდ კონკრეტული პერიოდის განმავლობაში მიღებული შემოსავლისა და გაწეული ხარჯის დადებითი ფინანსური შედეგი, არამედ, მომავალში წარმოების ფაქტორთა შესაძლო ცვლილებების ინდიკატორი. მოგება არის პერსპექტივა იმისა, რომ ბიზნესი მომავალში განვითარდება, რასაც ადეკვატური დადებითი ცვლილებები მოჰყვება

ტექნიკური პროგრესის და მთელი საზოგადოების სოციალური ყოფის ამაღლების მიმართულებით. ჩვენი ქვეყნის საწარმოთა შორის კი არცთუ ისე ცოტა, ზარალიანია;

6. რიგ საწარმოებში დარღვეულია ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებს შორის ცვლილების ტენდენციების ურთიერთდამოკიდებულების კანონზომიერებები;

7. პროდუქციის თვითღირებულებისა და ამონაგების ზრდის ტემპი ერთნაირია, რაც გარკვეულ ეკონომიკურ ხიფათს ქმნის. უნდა გატარდეს ღონისძიებები მის შესამცირებლად, მაგალითად ინვესტიციების ზრდა ტექნოლოგიური გადაიარაღებისთვის.

8. ზოგჯერ დაცული არაა შემდეგი ტოლობა:

წმინდა ფულადი ნაკადი = ვალდებულებების ზრდა - არაფულადი მიმდინარე აქტივების ზრდა- გრძელვადიანი აქტივების ზრდა + საკუთარი კაპიტალის ზრდა.

9. ზოგიერთი საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი ჩვეულებრივ აქციებს ფლობენ აქციონერები თუ პლივილეგირებულს. ასევე მოცემული არაა დაბრუნებადი და დაუბრუნებადი აქციების რაოდენობა.

10. საერთო გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი ნორმის ფარგლებში ორსა და სამს შორის საწარმოთა უმრავლესობაში არ იყო. ასევე, ინვესტირების კოეფიციენტი მრავალ საწარმოში ერთზე დაბალია (იხ. ცხრილი 3.4.2).

11. მიმდინარე აქტივებში ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობა არასტაბილურია;

12. ზოგიერთ საწარმოში ადგილი აქვს ფულის დეფიციტს.

13. საწარმოთა უმრავლესობაში იმდენად დაბალია გადახდისუნარიანობის და ფინანსური სტაბილურობის კოეფიციენტები, რომ თუ ასე გაგრძელდა, მალე საწარმოებიდან დასაქმებულთა მასობრივი დათხოვნები დაიწყება.

14. ზოგჯერ რჩება შთაბეჭდილება, რომ საწარმოს არც მენეჯმენტი ჰყავს და არც მესაკუთრეები. ეს წარმოშობს ეჭვს, რომ საწარმოებზე შესაძლოა ადგილი ჰქონდეს გარედან ფარული ძალების უკანონო ზეწოლას.

15. მაღალია ფინანსური რისკები. საერთაშორისოდ აღიარებული გაკოტრების მოდელების ანალიზმა აჩვენა, რომ თითქმის ყველა განხილული საწარმო გაკოტრების პირასაა (იხ. ცხრილები 7.4.1. და 7.4.2). თუ მსგავსი მდგომარეობა 2019 წელსაც განმეორდა, მოსალოდნელია, საწარმოებიდან თანამშრომელთა მასობრივი დათხოვნები დაიწყოს. რჩება შთაბეჭდილება, რომ ზოგიერთ საწარმოს არც მფლობელები ჰყავს და არც მენეჯმენტი. ასეთი დაძაბული ფინანსური მდგომარეობის მიზეზი შეიძლება იყოს ქვემოთ ჩამონათვალიდან ერთ-ერთი ან რამდენიმე ერთად:

- საწარმოთა მფლობელების დაუდევრობა და უპასუხისმგებლობა;
- მენეჯმენტის დაბალი პროფესიონალიზმი და უპასუხისმგებლობა;

- ფინანსურ ანგარიშგებაში ზოგიერთი მაჩვენებლის თვითნებური შესწორება სხვადასხვა სუბიექტური მიზნებიდან გამომდინარე (გადასახადებზე თავის არიდება, მესაკუთრის შემოსავლების დამალვის მცდელობა);
- საწარმოდან ფულის იძულებით გადინება სახელმწიფო მართვის ორგანოების ან სხვა გარეშე ძალების უკანონო ზეწოლის შედეგად (და სხვა მსგავსი რამ). არასასურველი იძულებითი ხასიათი გარე პოლიტიკური რისკები.

ჩატარებული კვლევის შედეგად შემუშავებულ იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

1. მმართველობით ანგარიშგებაში საწარმოებმა საჭიროა აჩვენონ ინფორმაცია იმის შესახებ, გრძელვადიანი სესხი გამოყენებულია თუ არა მიმდინარე აქტივებში ან პირიქით: მიმდინარე სესხი გამოყენებლია თუ არა გრძელვადიანი აქტივების დასაფინანსებლად;

2. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები, მოგება/ზარალის ანგარიშგებას ჯერ „სრული შემოსავლების“, შემდეგ „მოგებისა და ზარლის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება“ უწოდებს. თან აღნიშნავს, რომ საწარმოებს შეუძლიათ ადრინდელი სახელწოდება გამოიყენონ.

ჩვენი აზრით, ტერმინი - „მოგება/ზარალის ანგარიშგება“ ყველაზე უფრო ადვილად აღქმადი და ლაკონურია რომელსაც ექნება ორი განაყოფი:

ა. მოგება/ზარალი ძირითადი საქმიანობიდან და

ბ. მოგება/ზარალი დანარჩენი საქმიანობიდან.

3. მმართველობით ანგარიშგებაში საწარმოებმა აჩვენონ ავანსირებული ღირებულების ბრუნვადობის კოეფიციენტების დასაშვები დონე მათი საქმიანობის შესაბამისი დარგის მიხედვით;

4. საწარმოთა მენეჯმენტს და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს რეკომენდაციას ვაძლევთ, გამოიყენონ ჩვენს მიერ შედგენილი, რამდენიმე მაჩვენებლის ფაქტორული მოდელი:

1. კაპიტალის ორგანული სტრუქტურის ფაქტორული მოდელი:

$$\frac{\text{საკუთარი . კაპიტ.}}{\text{ვალდებულებები}} = \frac{\text{საკუთ. კაპ.}}{\text{მოგება დაბეგვრამდე}} * \frac{\text{მოგება დაბეგვრამდე}}{\text{აქტივები სულ}} * \frac{\text{აქტივები სულ}}{\text{ვალდებულებები}}$$

2. აქტივების მომგებიანობის მრავალფაქტორული მოდელი:

$$\mathbf{PTA} = \frac{\mathbf{P}}{\mathbf{TA}} = \frac{\mathbf{P}}{\mathbf{OP}} * \frac{\mathbf{OP}}{\mathbf{PS}} * \frac{\mathbf{PS}}{\mathbf{S}} * \frac{\mathbf{S}}{\mathbf{CS}} * \frac{\mathbf{CS}}{\mathbf{OEx}} * \frac{\mathbf{OEx}}{(\mathbf{MM} + \mathbf{CA})} * \frac{(\mathbf{MM} + \mathbf{CA})}{\mathbf{Ow.C}} * \frac{\mathbf{Ow.C}}{\mathbf{TA}}$$

სადაც,

PTA - არის მთლიანი აქტივების მომგებიანობა (ROA).

P/TA - არის წლიური მოგების (მოგება დაბეგვრამდე) ფარდობა მთლიან აქტივებთან.

ფაქტორ-მაჩვენებლებია:

I. P/OP - წლიური მოგების (ანუ მოგება დაბეგვრამდე) ფარდობა საოპერაციო მოგებასთან;
II. OP/PS – საოპერაციო მოგების ფარდობა რეალიზაციიდან მიღებულ მოგებასთან;
III. PS / S – რეალიზაციიდან მიღებული მოგების ფარდობა რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალთან;
IV. S / CS – რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის ფარდობა რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებასთან;
V. CS / OEx – რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების ფარდობა საოპერაციო ხარჯებთან;
VI. OEx / (TA + CA) – საოპერაციო ხარჯების ფარდობა ძირითადი საშუალებებისა და მიმდინარე აქტივების საშუალო ჯამთან;
VII. (TA + CA) / Ov.A – ძირითადი საშუალებებისა და მიმდინარე აქტივების საშუალო ჯამის ფარდობა საკუთარი კაპიტალის საშუალო ნაშთთან;
VIII. Ov.C / A – საკუთარი კაპიტალის (გადაფასების რეზერვის გარეშე) ფარდობა აქტივების საშუალო ჯამთან.

3. ფულის ბრუნვის რიცხვის მაჩვენებლის ოთხფაქტორიანი მოდელი სამრეწველო საწარმოებისთვის:

$$\text{ფულის ბრ. რიცხვი} = \frac{\text{შემოს. რეალიზ.}}{\text{მზა პრ. საშ. წ. ნ.}} * \frac{\text{მზა პრ. საშ. წ. ნ.}}{\text{დაუმთ. პრ. საშ. წ. ნ.}} * \frac{\text{დაუმთ. პრ. საშ. ნ.}}{\text{მასალის. საშ. წ. ნ.}} * \frac{\text{მასალის საშ. წ. ნ.}}{\text{ფულის საშ. წ. ნ.}}$$

4. ფულის ბრუნვის რიცხვის სამფაქტორიანი მოდელი, სავაჭრო საწარმოებისთვის:

$$\text{ფულის ბრ. რიცხვი} = \frac{\text{შემოს. რეალიზ.}}{\text{ფულის საშ. წლ. ნაშთი}} = \frac{\text{შემოს. რეალიზ.}}{\text{რეალიზ. თვითღ. .}} * \frac{\text{რეალიზ. თვითღ. .}}{\text{საქონლ მარაგი.}} * \frac{\text{საქონ. მარაგი.}}{\text{ფულის . ნაშთი}}$$

5. საკუთარი კაპიტალის უკუგების (ROE) დიუპონტის მრავალფაქტორული მოდელი:

$$\textbf{ROE} = \frac{\text{წმ.მოგ.}}{\text{სააქც.კაპ.}} = \frac{\text{წმ.მ.}}{\text{წლ.მ.}} * \frac{\text{წლ.მ.}}{\text{საოპ.მ.}} * \frac{\text{საოპ.მ.}}{\text{შემოსავ.}} * \frac{\text{შემოს.}}{\text{აქტივი}} * \frac{\text{აქტივი}}{\text{სააქციო კაპ.}}$$

6. გამომდინარე იქედან, რომ ბიზნესის რისკები როგორც შიგა ფაქტორების, ასევე, გარე ფაქტორების მოქმედების შედეგად მუდამ არსებობენ, შეიძლება ითქვას, რომ რისკები მრავალი მხრიდან უტევენ საწარმოებს. ამიტომ, რისკების ფხიზელი მართვა და მისგან მოსალოდნელი დანახარჯების მინიმუმამდე დაყვანა საწარმოთა მართვის ერთ-ერთ სტრატეგიულ ამოცანას წარმოადგენს. საოპერაციო და ფინანსური რისკების მართვისა და კონტროლის მიზნებისათვის,

საწარმოთა მენეჯმენტს ვურჩევთ, ანალიზში გამოიყენონ რისკების შემდეგი ფაქტურული მოდელები:

საერთო საოპერაციო რისკის (საოპერაციო ლევერიჯის -DOL) კოეფიციენტის - მუდმივი ხარჯების ფარდობა საოპერაციო მოგებასთან (FC/EBIT) - მრავალფაქტორული მოდელი:

$$\boldsymbol{DOL = \frac{FC}{EBIT} = \frac{FC}{VC} * \frac{VC}{OC} * \frac{OC}{MP} * \frac{MP}{EBIT}} \ ;$$

7. ფინანსური რისკის ანალიზის მიზნით, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ფინანსური ლევერიჯის (DFL) შემდეგი ფაქტორული მოდელი:

$$\boldsymbol{DFL = \frac{OP}{NP} = \frac{OP}{S} * \frac{S}{PS} * \frac{PS}{A} * \frac{A}{OwC} * \frac{OwC}{P} * \frac{P}{NP}}$$

8. მმართველობის ანგარიშგებაში უნდა ჩანდეს რომ საწარმოებს აქვს ღია ტიპის მმართველობა: რეალური სამეთვალყურეო საბჭო, არჩეული დამოუკიდებელი დირექტორები საბჭოში, ანგარიშვალდებულება, გამჭვირვალობა, სოციალური პასუხისმგებლობა და ა.შ. არის მაღალი დონის და იმიჯის, თავისუფლების და განვითარების აუცილებელი კომპონენტები. იმედია ჩვენი საწარმოები დაიწყებენ სვლას ამ მიმართულებით;

9. ანგარიშგებაში უნდა იყოს გადმოცემული არის თუ არა საწარმოში კორპორაციული მართვის კოდექსი. თუ კორპორაციული მართვის კოდექსი საერთოდ არაა მიღებული, მაშინ, საწარმომ უნდა შეუწყოს ხელი კორპორაციული მართვის საუკეთესო პრაქტიკის დამკვიდრებას და გაასაჯაროს ინფორმაცია ნებაყოფლობით დანერგილი მართვის პრაქტიკის შესახებ;

10. საქართველოში ეკონომიკურ მეცნიერებასა და ბიზნესს შორის უნდა დამკვიდრდეს ურთიერთთანამშრომლობის ტრადიცია ერთობლივი, პრაქტიკული კონფერენციების, სემინარების და სტუდენტების პრაქტიკის განვითარების მეშვეობით. ყოველივე ეს მოიტანს ეკონომიკის განვითარებას ერთი მხრივ და თვით ეკონომიკური აზრის განვითარებას, მეორე მხრივ.

11. არაფინანსურ ანგარიშგებაში საწარმოებმა უნდა გაასაჯაროონ ინფორმაცია თანამშრომელთა უფლებების დაცვის, ეკოლოგიური გარემოს დაცვის, მუშახელის დენადობის, სოციალური პასუხისმგებლობების დაცვის და სხვადასხვა საარჩევნო ფონდებში ფულის გადარიცხვების შესახებ;

12. მოხდეს აქციების ნომინალური ღირებულების დარეგულირება სახელმწიფო კანონმდებლობით. დავუშვათ, ერთი აქციის ნომინალური ღირებულება ას ლარზე დაბალი არ იყოს;

13. მიღებულ იქნეს სახელმწიფო კანონი იმის შესახებ, რომ მეცნიერების მიერ ამა თუ იმ კვლევაში გაკეთებული დასკვნები და ვარაუდები საწარმოთა საქმიანობასა და ფინანსურ

ანგარიშგებაში არსებულ ხარვეზებთან დაკავშირებით, მენეჯმენტის მიერ გასწორდეს ან დასკვნების უზუსტობა დასაბუთდეს, გამოქვეყნებიდან მაქსიმუმ ორი წლის განმავლობაში და რომ, ამ ვადის გასვლამდე, კვლევა არ იქნება რაიმე სამართლებრივი დევნის მიზნით გამოყენებული;

14. საწარმოებმა თავი აარიდონ გრძელვადიანი აქტივების დაფინანსებას მოკლევადიანი ვალდებულებებით;

15. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, დაკანონდეს საწარმოთა მიერ დაბეგრამდე მოგების მინიმუმ 30%-ის რეინვესტირება.

ამრიგად, აუცილებლობას წარმოადგენს, რომ საწარმოთა მენეჯმენტმა რეგულარულად გამოიყენოს წინამდებარე შრომაში გადმოცემული ფინანსური ანგარიშგების ანალიზის ვერტიკალური, ჰორიზონტალური და კოეფიციენტების ანალიზის მეთოდები.

ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის მომხმარებლებისათვის, მათ მიერ სწორი გადაწყვეტილებების მისაღებად, აუცილებელია, მათ შეძლონ ფინანსური ანგარიშგების ანალიზის სათანადო დონეზე ჩატარება. სრულყოფილი და გააზრებული ანალიზის გარეშე, ფინანსური ანგარიშგება რაც არ უნდა შესაბამისი და სამართლიანად მომზადებული იყოს, მისი მომხმარებლები სწორი გადაწყვეტილებების მიღებას ვერ შეძლებენ. ამდენად, ფინანსური ანგარიშგების ანალიზის მეთოდიკის შესწავლა მეტად აქტუალურია მენეჯმენტის, საერთოდ ეკონომისტებისა და ყველა მისი მომხმარებლისთვის.

საწარმოთა მენეჯმენტმა ფინანსური ანგარიშგების ანალიზის შედეგები უნდა გამოიყენოს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, რისკების შეფასებისა და ფინანსური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. მენეჯმენტს შეუძლია სიღრმისეული ფაქტორული ანალიზი ჩაატაროს, რადგან მას არ გააჩნია ინფორმაციის მისაწვდომობის პრობლემა და თან, უფრო მეტი პასუხისმგებლობები აკისრია.

ინფორმაციის გარე მომხმარებლებს, როგორიცაა: პოტენციური ინვესტორები, ბანკები და სხვა კრედიტორები, მყიდველები, მეცნიერები, პოლიტიკოსები, ჟურნალისტები და სხვა, ასევე სჭირდებათ საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების ინფორმაცია სხვადასხვა დასკვნების გასაკეთებლად. მეცნიერება, როგორც წესი, საინფორმაციო წყაროების შესწავლის საფუძველზე აკეთებს შესაბამის დასკვნებს და იძლევა რეკომენდაციებს, რაც ეხმარება ეკონომიკის წინსვლასა და განვითარებას. იმავდროულად ხდება თვით მეცნიერული აზროვნების განვითარება.

საწარმოთა მენეჯმენტის მიერ ფინანსური ანგარიშგების ანალიზის მეთოდების რეგულარულ გამოყენებას ექნება შემდეგი დადებითი შედეგები:

- საწარმოებში არსებული ფინანსური პრობლემების დროულად გამოვლენა და გადაწყვეტა;
- რისკების შეფასება და ეფექტური მართვა;
- საწარმოთა თანამშრომლების პროფესიული დონის და იმიჯის ამაღლება;

- წარმოების ეფექტიანობის, სტაბილურობის და უსაფრთხოების განმტკიცება;
- ფინანსური ანგარიშგების გამჭვირვალობის დამკვიდრება, რაც მალე საერთოდ დღის წესრიგიდან მოხსნის საწარმოთა ფინანსურ რესურსებზე გარეშე ძალების გასაიდუმლოებულ და უკანონო გავლენებს;
- შეუქცევადი გახდება ყველა საწარმოს მენეჯმენტის პროფესიონალიზმისა და ბიზნესის კულტურის პერმანენტული ამაღლების პროცესი;
- მოიტანს დასაქმების ზრდას და მოსახლეობის სოციალური ცხოვრების მაღალ დონეს. ყოველივე ეს კი საბოლოოდ საქართველოში დაამკვიდრებს ეკონომიკური ზრდისა და კეთილდღეობის უწყვეტ პროცესს.

წარმოდგენილი კვლევა ქვეყნის მასშტაბით არის პირველი მცდელობა, რომელიც ერთი მხრივ, დაეხმარება საწარმოთა მესაკუთრეებსა და მენეჯმენტს იმის სწორად გაცნობიერებაში, რომ ფინანსური ანგარიშგების საჯაროობა, რომელიც არა მხოლოდ მის გამოქვეყნებას, არამედ, მის საჯარო განხილვებსაც ნიშნავს, სულაც არ არის ზედმეტი ან საშიში პროცედურები. მეორე მხრივ, პრაქტიკოს მუშაკებს: ბუღალტრებს, აუდიტორებს და მენეჯერებს დაეხმარება ფინანსური ანგარიშგების ანალიზის მეთოდების გამოყენება-დანერგავში და მათი პროფესიონალიზმის ამღლებაში; მესამე, უზრუნველყოფს ბიზნესის სტაბილურობას ქვეყანაში, მეოთხე, ხელს შეუწყობს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების, აღებული ვალდებულებებისა და სოციალური პასუხისმგებლობების შესრულების ხარისხის ამაღლებას. ყველივე ეს ბიზნესის პატრიოტულ მოვალეობებსაც წარმოადგენს.

შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტი, რეკომენდაციის სახით მიეწოდება ყველა დაინტერესებულ პირს. პროექტის რეკომენდაციების წარმატებულად განხორციელება იქნება სამეცნიერო დარგისა და პრაქტიკული ეკონომიკური სექტორის ურთიერთთანამშრომლობისა და პარტნიორობის ერთ-ერთი ძლიერი ემპირიული შედეგი.

ლიტერატურა

1. ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები. (თარგმ.ინგლისურუდან) https://www.saras.gov.ge/ka/Ifrs
2. ბასს 1: ფინანსური ანგარიშგების წარდგენა, (თარგმ.ინგლისურიდან). https://www.saras.gov.ge/ka/Ifrs
3. ბასს 7: ფულადი ნაკადების ანგარიშგება (თარგამნი ინგლისურიდან
4. ბასს 32: ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა. თარგმანი ინლისურიდან.
5. ბასს 33: შემოსავალი აქციაზე, თარგმანი ინგლისურიდან https://www.saras.gov.ge/ka/Ifrs/Pdf/366
6. კორპორაციული მართვის საერთაშორისო სტანდარტები. https://bm.ge/ka/article/korporaciuli-martvis-saertashoriso-standartebi/9855
7. მმართველობის ანგარიშგების სახელმძღვანელო https://reportal.ge/getattachment/BannersMenu/Non-financial-guide/mmartvelobis-angarishgebis-sakhelmdzgvanelo-(2).pdf.aspx
8. საქმიანობის შედეგების მართვა, წიგნი F5. ACCA. თარგმანი ინგლსიურიდა, 2010.
9. ბოლქვაძე ბესიკ (2018), ფინანსური ინდექსების მნიშვნელობა ბიზნეს-სუბიექტების ფინანსურ ანალიტიკაში. ჟურნალი: გლობალიზაცია და ბიზნესი, 5, 2018. გვ: 154-156
10. საწარმოთა გაკოტრების ალთმანის მოდელი. https://www.cleverism.com/altman-z-score-model-guide-examples/
11. საწარმოთა გაკოტრების ზეიმჯესკის მოდელი. https://pdfs.semanticscholar.org/e51e/b974cf4e2e4adeb8db7d612994e780e6c32c.pdf
12. საწარმოთა გაკოტრების სპრინგეითის მოდელი. http://financialratioss.com/other-financial-ratios/springate-score-definition
13. ჯიქია მ. (2018), ეკონომიკური ანალიზი, გამომცემლობა „მერიდიანი“.
14. ჯიქია მ. (2017), ფნანსური ანალიზი, გამომცემლობა მერიდიანი.
15. ჭილაძე ი. (2019). საწარმოთა ლევერიჯის ანალიზის მეთოდიკის სრულყოფის საკითხები. მონოგრაფია. თბ. გამომცემლობა „მწიგნობარი“ https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/leverij.pdf
16. ჭილაძე ი. (2018). ფინანსური ანალიზი, სახელმძღვანელო. თბ., „მწიგნობარი“. https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/finansanaliz.pdf
17. Bilal Zia, Miriam Bruhn, Luciana de Souza (2011). The impact of high school financial education. https://www.academia.edu/31489004/The_impact_of_high_school_financial_education_experimental_evidence_from_Brazil
18. Chiladze Izolda (2017), Factor Analysis Aspects of the Enterprise's Operating Leverage. Journal: Applied Finance and Accounting. Vol.3, No. 1; February 2017 ; pp: 75-82. doi:10.11114/afa.v3i1.
19. Chiladze Izolda (2018),Theoretical and Practical Aspects of Profitability Factorial Analysis.

11th International Scientific Conference: Accounting and Finance: Science, Business and Public Sector Partnership. and Studies of Accounting and Finance: Problems and Perspectives, Volume 12, Number 1, pp. 12-18. DOI:https://doi.org/10.15544/ssaf.2018.02

20. Chiladze Izolda (2019), Factorial Analysis of the Financial Leverage of the Enterprise, Journal: Applied Finance and Accounting Vol. 5, No. 1, February 2019 ISSN 2374-2410E-ISSN 2374-2429 Published by Redfame Publishing URL: pp. 42-48. http://afa.redfame.com doi:10.11114/afa.v5i1.4063
21. Hubermane Ciguino (2019). Financial literacy of micro entrepreneurs in Davao city. https://www.researchgate.net/publication/336369416_Financial_literacy_of_micro_entrepreneurs_in_Davao_city
22. Kristina Kundelienea,*, Sviesa Leitonieneb (2015). Business Information Transparency: Causes and Evaluation Possibilities. 20th International Scientific Conference Economics and Management - 2015 (ICEM-2015) https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S1877042815059030
23. Zainab Tumwebaze, Mukyala Veronica (2018). Corporate governance, internal audit function and accountability in statutory corporations. DOI:10.1080/23311975.2018.1527054
24. Peyman Imanzadeh, Mehdi Maran-Jouri, Petro Sepehri (2011). -A Study of the Application of Springate and Zmijewski Bankruptcy Prediction Models in Firms Accepted in Tehran Stock Exchange. Australian Journal of Basic and Applied Sciences, 5(11): 1546-1550, 2011. https://pdfs.semanticscholar.org/e51e/b974cf4e2e4adeb8db7d612994e780e6c32c.pdf
25. M. Fakhri Husein, Galuh Tri Pambekti (2014).Precision of the models of Altman, Springate, Zmijewski, and Grover for predicting the financial distress. Journal of Economics, Business, and Accountancy Ventura Vol. 17, No. 3, December 2014, pages 405 – 416. https://journal.perbanas.ac.id/index.php/jebav/article/view/362/281
26. Барйленко В.И. Анализ Финансовой Отчетностиюю, М.,2016. 234
27. Ковалев В.В. (2007), Финансовый Менеджмент, теория и практика, 2-е издание, «Издательство Проспект»,
28. Зонова А.В. Анализ финансового состояния предприятия http://afdanalyse.ru/publ/finansovyj_analiz/analiz_balansa/shest_ehtapov/10-1-0-70 http://1fin.ru/?id=281&t=1019
29. საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება. http://www.parliament.ge/ge/gavigot-meti-evrokavshirtan-asocirebis-shetanxmebis-shesaxeb/associationagreement1
30. http://www.financial-lawyer.ru/newsbox/finance/194-530573.html
31. https://studbooks.net/57682/statistika/pokazateli_finansovoy_ustoychivosti
32. https://pravo.studio/knigi-finansovyiy-menedjment/analiz-delovoy-aktivnosti-43513.html

Annotation

The association agreement between Georgia and the European Union obliges Georgia to gradually bring its legislation into line with EU law and international legal instruments. One of the areas that European legislation dictates to Georgia is to increase the transparency of business financial reporting in the country. This will help increase the quality of enterprise management.

Following the signing of the Association Agreement with the EU, Georgian enterprises are required to publish financial statements. In Georgia necessary to establish transparency of financial reporting.

Financial reporting is a key information source for analyzing the financial and economic performance of companies. This information helps enterprise management to fully control the company's solvency, financial position, risks and profitability, and to make adequate decisions. Thus, the issues of the financial reporting methodology have not lost its actuality.

The purpose of the research project is to develop and deliver methodological and practical recommendations for financial reporting analysis to Georgian enterprises as well as to other stakeholders.

The subject of the project research is the financial statements published on the financial reporting portal, based on which the recommendations will be developed for the identified gaps.

The study was selected ten Georgian enterprises from different sectors, except for the financial sector.

The study uses quantitative and qualitative analysis methods. Specifically, mathematical tools, factor elimination method, vertical, horizontal and ratio analysis methods are used.

The practical significance of the study is that any practical and methodical recommendations provided by the community process can be applied to any enterprise registered in Georgia (except the financial and public sector).

The report recommends that all enterprise management regularly apply the methods of vertical, horizontal and coefficient analysis of financial statements presented in this work;

Using a multi-factor model of cash flow numbers, organic capital structure, profitability, operational and financial leverage indicators developed by one of the authors will help enterprise management measure the impact of factors on the deviation of these indicators and make appropriate decisions.

The research presented in Georgia is the first attempt to help business owners and managers understand, on the one hand, that the transparency of financial statements, which not only publishes them but also publicly discusses them, is not unnecessary or dangerous.

This scientific-research project will be provided to all interested persons as a recommendation. The successful implementation of project recommendations in practice will be one of the strong empirical results of cooperation and partnership between the scientific sector and the practical economic sector.

Keywords: financial reporting, transparency, solvency, profitability, leverage, factor-models.